ISSN 1512 - 4649

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომისტი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591/2
2009

№2, 2009 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"

რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში
"ქართულ რეფერატულ ჟურნალში"
და
სრულიად რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (VINITI) რეფერატულ გამოცემებში;

ჟურნალი „ახალი ეკონომისტი" აღიარებულია რეფერირებულად:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გორის უნივერსიტეტი;
- ახალციხის ინსტიტუტი;
- ევროპული უნივერსიტეტი.

THE MAGAZINE "AKHALI EKONOMISTI" (NEW ECONOMIST)

IS REVIEWED:

IN THE "GEORGIAN REVIEWED MAGAZINE" –
P.L.L.E. INSTITUTE OF TECHINFORM
AND
IN THE REVIEWED PUBLICATIONS OF THE SCIENTIFIC-SEARCH INSTITUTE
OF THE SCIENTIFIC-TECHNICAL INFORMATION OF THE RUSSIAN FEDERATION.

THE MAGAZINE "AKHALI EKONOMISTI" (NEW ECONOMIST)
IS KNOWN AS REVIEW :

- IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY;
- ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY;
- GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY;
- TBILISI STATE UNIVERSITY OF ECONOMIC RELATIONS;
- GRIGOL ROBAQIDZE UNIVERSITY;
- TBILISI FREE UNIVERSITY, ESM BUSINESS SCOOL;
- CAUCASUS UNIVERSITY;
- SUKHUMI STATE UNIVERSITY;
- GORI UNIVERSITY;
- AKHALTSIKHE INSTITUTE;
- EUROPEAN UNIVERSITY.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2(13), 2009

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:
ლოიდ ძარჩავა

სარედაქციო კოლეგია:
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);
მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი);

რამაზ აბესაძე (საქართველოს ეროვნული აკადემიის ჯ. გუგუშვილის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი); **იური ანანიაშვილი** (ეკონომეტრიკის მიმართულება); **გივი გამსახურდია, თამარ გამსახურდია** (ფინანსების მიმართულება); **თინა გელაშვილი** (ახალციხის ინსტიტუტის რექტორი); **სიმონ გელაშვილი** (ეკონომიკური სტატისტიკის მიმართულება); **რევაზ გველესიანი** (ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება); **მიხეილ გოგატიშვილი** (პოლიტიკური მეცნიერებებისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულება); **ვასილ გორბაჩუკი** (კიევი, უკრაინა); **ვლადიმირ გრიგოლია** (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); **ვოლფგანგ ვენგი** (ბერლინი, გერმანია); **შოთა ვეშაპიძე** (ევროპული უნივერსიტეტის რექტორი); **ნუგზარ თოდუა** (მარკეტინგის მიმართულება); **გოჩა თუთბერიძე; რევაზ კაკულია; მერაბ კაკულია; ირაკლი კოვზანაძე** (საბანკო საქმის მიმართულება); **ჰერალდ კუნცი** (ბრანდენბურგი, გერმანია); **იოსებ მასურაშვილი; შალვა მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში); **მურთაზ მაღრაძე** (ინფორმატიკის მიმართულება); **იაკობ მესხია; ელგუჯა მეძვაბიშვილი** (საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკური თეორიის მიმართულება); **ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი); **მირიან ტუნაშვილი** (შრომა და სოციალური მიმართულება); **სლავა ფეტელავა; სიმონ ქადაგიძე** (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, ESM ბიზნესის სკოლის რექტორი); **რუსუდან ქუთათელაძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი); **ლარისა ყორღანაშვილი; თეიმურაზ შენგელია** (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება); **გიორგი შიხაშვილი** (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი); **ლალი ჩაგელიშვილი** (თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, მენეჯმენტის მიმართულება); **მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი); **ავთანდილ ჩუთლაშვილი** (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი); **აკაკი ცომაია; ზაზა ცოტნიაშვილი** (გორის უნივერსიტეტის რექტორი); **ნოდარ ხადური** (მაკროეკონომიკის მიმართულება); **ელენე ხარაბაძე** (აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის მიმიმართულება); **ეთერ ხარაიშვილი** (მიკროეკონომიკის მიმართულება); **რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე** (დემოგრაფიის მიმართულება); **დავით ჯალაღონია** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); **დიმიტრი ჯაფარიძე** (ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი); **მიხეილ ჯიბუტი; ჯენნეტ ჰომესი** (მაასტრიხტი, ჰოლანდია)

ტექნიკური პერსონალი:
მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**
კორექტურა: **ხათუნა ბურჭულაძე**
დიზაინი: **გიორგი ჯანიბეგაშვილი**

ფასი 5 ლარი

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2009 წ.,
© გამომცემლობა „ლოი“

akhali EKONOMISTI

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №2(13), 2009

Editor-in-Chief and Head of Editorial board:
LOID KARCHAVA

EDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors:

JAMLET JANJGAVA
*(Deputy of Editor-in-Chief, **Dean** of Economics and Buziness Faculty of I. Javakhishvili State University)*

MURTAZ KVIRKVAIA
*(Editor of the Scientific part, **Dean** of Business and Management Faculty of G. Robakidze University)*

RAMAZ ABESADZE *(**Director** of P. Gugushvili Economical Institut of Science Academy of Georgia);* **IURI ANANIASHVILI** (Econometrics); **GIVI GAMSAKHURDIA; TAMAR GAMSAKHURDIA** *(Finantions)*; **TINA GELASHVILI** *(**Rector** of Akhaltsikhe Institute)*; **SIMON GELASHVILI** *(Statistics);* **REVAZ GVELESIANI** *(Economical politics);* **MICHAEL GOGATISHVILI** *(political sciens and political philosof);* **VASYL GORBACHUK** *(Kiev, Ukraine);* **VLADIMIR GRIGOLAIA** *(Moscow, Russian federation);* **WOLFGANG WENG** *(Berlin, Garmany);* **SHOTA VESHAPIDZE** *(**Rector** of European University);* **NUGZAR TODUA** (Marketings); **GOCHA TUTBERIDZE; REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; IRAKLI KOVZANADZE** *(banks)*; **HARALD KUNZ** *(Brandenburg, Garmany),* **SHALVA MACHAVARIANI** *(**Vice-Prasidenrt** of Caucasus University in sciens field);* **MURTAZ MAGRADZE; JAKOB MESKHIA; ELGUJA MEQVABISHVILI** *(**Dean** of Business fakulty of Economics and Law University of Georgia);* **ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE** *(Corresponding-member of Academy of Science of Georgia);* **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; SIMON QADAGIDZE** *(**Rector** of Tbilisi Free University, **ESM** Business school);* **RUSUDAN KUTATELADZE** *(**Dean** of Humanitarian- Social Faculty of Georgian Tecnical University);* **LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA** *(Business Administation);* **GIORGI SHIKHASHVILI** *(Lecturer of Tbilisi Academy and Seminary)*; **LALI CHAGELISHVILI** *(**Dean** of Business and Management Faculty of Tbilisi Economical Relations and Law University);* **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** *(**Rector** of Paata Gugushvili University, Corresponding-member of Academy of Science of Georgia);* **AVTANDIL CHUTLASHVILI** *(**Rector** of Tbilisi Economical Relations State University);* **AKAKI TSOMAIA; ZAZA TSOTNIASHVILI** *(**Rector** of Gori University);* **NODAR KHADURI** (macroeconomics); **ELENE KHARABADZE** (accaunting and audit); **ETER KHARAISHVILI** (microeconomics); **REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** *(**Dean** of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University);* **DIMITRI JAFARIDZE** *(**Dean** of Business and legal Faculty of Ilia Chavchavadze State University);* **MICHAEL JIBUTI; JEANNETTE HOMMES** *(Maastricht, Netherlands).*

TECHNICAL PERSONS:
Corrections: **KHATUNA BURCHULADZE**
Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**
Design: **GEORGI JANIBEGASHVILI**

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

ADDRES: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

რედაქტორის გვერდი 5

მთავარი გვერდი

საღღგომო ეპისტოლე 6

მეცნიერება

სლავა ფეტელავა — ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არსი და ამოცანები 10

ეთერ სარჯველაძე, დალი ფულაია — სურსათის ფალსიფიკაცია - მომხმარებლის, ბიზნესისა და სახელმწიფოს პოზიციებიდან 15

გულიკო ქათამაძე — საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფისათვის . . . 21

ვაჟა მათურელი, ნინო მათურელი — დინამიკური ოპტიმიზაციის ინტერპრეტაცია ფაზურ სივრცეში 25

ვაჟა მათურელი, ნინო მათურელი — მართვის ოპტიმიზაციის დინამიკური ამოცანები 28

გულადი ნაკაშიძე, დემურ სიჯინავა — სახელისუფლო ორგანოების ინფორმაციული სტრუქტურის დაზიანების ეკონომიკური ასპექტი და მისგან თავდაცვის მეთოდები 30

დავით ქათამაძე — ბიზნეს-გარემოს სრულყოფის შესაძლებლობები საქართველოში 35

კობა ჩაგელიშვილი — ბრენდინგი – ბიზნესის მამოძრავებელი ძალაა 39

ეკატერინე მეყანწიშვილი — პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შეფასება ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელის საშუალებით 42

ლია ბერიკაშვილი — წარმოებაში ხარისხის კონტროლის დროს სენსორული შეფასების როლი და მნიშვნელობა . . 46

ლილი გვენეტაძე — ღია ეკონომიკა და ფინანსური გლობალიზაციის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე . . 50

ინგა ბალარჯიშვილი — "პოსტრევოლუციური" საქართველო – კორუფციის ბაზარი და მოთხოვნა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე 54

ირმა დიხამინჯია — მარკეტინგი ინოვაციების სფეროში 61

რამაზ შუტკარაძე — საქართველო-ევროკავშირის საგაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობა . . 64

შოთა ვეშაპიძე — დიდი ქართველი მოაზროვნეები გლობალიზაციასა და ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ 74

იოსებ მასურაშვილი — საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანობა 83

კობა სოხაძე — კაპიტალის მოძრაობის ადგილი ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაში 87

ელენე ხარაბაძე — საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღრიცხვა 91

დავით ჯალაღონია — გუდვილის აღიარება და შეფასება საერთაშორისო სტანდარტებით . . 96

იოსებ მასურაშვილი, პაატა ტერტერაშვილი — საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები 99

ტატა (დოდო) კურტანიძე — საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით . . 103

საუნივერსიტეტო სიახლეები

გრიგორ როგაძიძის სახელობის უნივერსიტეტი 108

კავკასიის უნივერსიტეტი 109

ფერილები რედაქციას

ახალციხის ინსტიტუტი 111

გორის უნივერსიტეტი 112

გრიგოლ როგაძიძის სახელობის უნივერსიტეტი 113

ევროპული უნივერსიტეტი 114

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ეკონომისტი

საქართველ... პარლამენტ... ეროვნულ...

CONTENTS

EDITORIAL PAGE 5

MAIN PAGE

EASTER EPISTLE 6

SCIENCE

SLAVA FETELAVA – TASKS AND BEING OF ANTIMONOPOLY POLICY 10

ETER SARJVELADZE, DALI TSULAIA – FALSIFICATION OF FOOD PRODUCTS FROM POSITIONS CONSUMER, BUSINESS AND STATE 15

GULIKO KATAMADZE – FOR GUARANTEEING SOCIAL-ECONOMICAL CONDITIONS IN GEORGIA 21

VAJA MATURELI, NINO MATURELI – INTERPRETATION OBJECT OF DYNAMICAL OPTIMIZATION IN PHASE SPACES 25

VAJA MATURELI, NINO MATURELI – THE DYNAMIC TASKS OF OPTIMIZATION MANAGEMENT . . 28

GULADI NAKASHIDZE, DEMUR SICHINAVA, – ECONOMICAL ASPECT OF AUTHORITY ORGANS' DAMAGE OF INFORMATIONAL STRUCTURES AND DEFENSIVE METHODS FROM ITON 30

DAVID KATAMADZE – THE WAYS OF GUARANTEENG BUSINESS ENVORINMENT IN GEORGI. . . . 35

KOBA CHAGELISHVILI – BRANDING - MOVER OF BUZINESS 39

EKATERINE MEKANTSISHVILI – THE ESTIMATION OF STATE REGULATION EFFICIENCY OF POSTCOMMUNIST COUNTRY ON THE BASIS OF COMPUTABLE GENERAL EQUILIBRIUM MODELA . 42

LIA BERIKASHVILI – ROLE AND IMPORTENCE OF SENSORY EVALUATION IN THE PROCESS OF QUALITY CONTROL OF THE PRODUCTION 46

LILY GVENETADZE – OPEN ECONOMY AND EFFECT OF FINANSIAL GLOBALIZATION ON GEORGIAN ECONOMY 50

INGA BALARJISHVILI – POST REVOLUTIONARY GEORGIA – CORRUPTION MARKET AND DEMAND ON DEMOCRATC INSTITUTION 54

IRMA DIKHAMINJIA – MARKETING IN INNOVATION FIELD 61

RAMAZ FUTKARADZE – MODERN SITOATION OF GEORGIA-EUROPEAN UNION TRADE RELATIONS 64

SHOTA VESHAPIDZE – THE GREAT GEORGIAN THINKERS ABOUT GLOBALIZATION AND NATIONAL ECONOMIC VALUES 74

IOSEB MASURASHVILI – ECONOMY OF GEORGIA AND CHRISTIANITY 83

KOBA SOKHADZE – THE ROLE OF CAPITAL MOTION IN SYSTEM OF ECONOMIC POLICY. 87

ELENE KHARABADZE – ACCOUNTING OF REVENUE FROM GOODS SALES 91

DAVID JALAGONIA – ACKNOWLEDGMENT AND EVALUATION OF GOODWILL ACCORDING TO INTERNATIONAL STANDARTS 96

IOSEB MASURASHVILI, PAATA TERTERASHVILI – EPROBLEMS AND PROSPECTS OF ECONOMIC COOPERATION OF GEORGIA AND RUSSIA 99

TATA (DODO) KURTANIDZE – THE STRUCTURE OF INVESTMENT PORTFOLIO ACCORDING TO BASIC CRITERIA 103

UNIVERSIT NEWS

GRIGOL ROBAQIDZE UNIVERSITY 108

CAUCASUS UNIVERSITU 109

LETTERS TO EDITOR

AKHALTSIKHE INSTITUTE 111

GORI UNIVERSITU 112

GRIGOL ROBAQIDZE UNIVERSITY 113

EUROPEAN UNIVERTSITY 114

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სიახლეების შესახებ

წინა ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ საქართველოში წამყვანი უმაღლესი საწავლებლების (**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა; კავკასიის უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**) ხელმძღვანელთა წერილები, ჟურნალ "ახალი ეკონომისტის" რეფერირებულად აღიარების შესახებ. დღეისათვის მათ სიას დაემატა კიდევ ოთხი ცნობილი უმაღლესი სასწავლებლების: **გორის უნივერსიტეტის, ახალციხის ინსტიტუტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ევროპული უნივერსიტეტის** ხელმძღვანელთა წერილები. მომავალ ნომერშიც დაემატება რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი.

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, უკვე ახალი რუბრიკით – "**საუნივერსიტეტო სიახლეები**", – დავიწყეთ წერილების გამოქვეყნება. დღეისათვის წარმოდგენილია **გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი** და **კავკასიის უნივერსიტეტი**. მომდევნო ნომერში წარმოგიდგენთ წერილებს სხვა მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

გეგმაში გვაქვს სხვა სიახლეებიც, რომელსაც ჩვენი ჟურნალის მკითხველი მომდევნო ნომრებიდან შეიტყობს.

ლოიდ ქარჩავა
29.06.09.

AGAINS ABOUT THE NEWS

In last number of our magazine we have published the letters of leadership of the leader of high educational institutions in Georgia (**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY; ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY; GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY; TBILISI STATE UNIVERSITY OF ECONOMIC RELATIONS; TBILISI FREE UNIVERSITY, ESM BUSINESS SCHOOL; CAUCASUS UNIVERSITY; SUKHUMI STATE UNIVERSITY**) about recognizing the journal "Akhali Economisti" (New Economist) as the reviewed magazine. Nowadays, there are added four letters of well-known high educational institution leaderships to this list: **AKHALTSIKHE INSTITUTE; GORI UNIVERSITY; GRIGOL ROBAQIDZE UNIVERSITY; EUROPEAN UNIVERSITY.** The several high educational institutions will be added in the next number of magazine.

As we have made the information in the last number of our journal, we have already begun to publish the letters in new rubric – **"UNIVERSITY NEWS".** For today we are presented by **GRIGOL ROBAQIDZE UNIVERSITY** and **CAUCASUS UNIVERSITY.** In the next numbers we'll be presented by the letters about the news in the other progressive high educational institutions.

There're more news in our plan and our reader will be informed about them from the next number of our journal.

LOID KARCHAVA
29.06.09

სააღდგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II

"ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად"

(რუსთაველი)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

ეს სიტყვები პირველად ანგელოზმა ახარა კვირას, გამთენიისას, საფლავთან მისულ მენელსაცხებლე დედებს;

ქრისტე აღდგა!

სიხარულით გაოგნებულმა დედებმა ამცნეს მოციქულებს;

ქრისტე აღდგა!

ეს სასწაული სასწაულთ შორის მოჰფინეს მოციქულებმა მთელ მსოფლიოს; და ჩვენც, არა მიწიერი სიხარულით აღვსილნი, ყველას გასაგონად ვხმობთ: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

- მაგრამ რა არის მიზეზი ჩვენი ზეიმისა?

- ის, რომ სიკვდილი განქარდა და ბჭენი ჯოჯოხეთისა შეიმუსრა; რომ დამთავრდა გარდაცვლილთა მარადიული სიკვდილის ტყვეობაში ყოფნა და ქრისტეს ყველა ჭეშმარიტ მადიდებელს ცხონების შესაძლებლობა მიეცა.

ამიტომაც ამიერიდან აღარ გვეშინია სიკვდილისა, ვიცით რა, რომ მოვალს ჟამი, როდესაც სხვა მართლმორწმუნე მიცვალებულთა მსგავსად ჩვენც აღვდგებით საფლავიდან, რათა აღარასოდეს მოვკვდეთ.

მავანი იტყვის: როგორ აღდგებიან მკვდარნი? - პავლე მოციქული მას ასე პასუხობს: 'განა არ იცი უგუნურო, რასაც შენ თესავ, ვერ იცოცხლებს თუკი არ მოკვდა? ასევე მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში; ითესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში, ითესება უძლურებაში, აღდგება ძლიერებაში, ითესება სხეული მშვინვიერი, აღდგება სხეული სულიერი (1 გალატ. 15, 35-36, 42-44).

ასე რომ, აღდგომის დღესასწაული ნათელი დადასტურებაა მომავალში ჩვენი მკვდრეთით აღდგომისაც და განღმრთობისაც.

უნდა ვიცოდეთ, რომ მართალთა სულების სავანეს ეწოდება ზეციური ანუ მოზეიმე ეკლესია, ხოლო დედამიწაზე არსებულ მართლმადიდებელ მორწმუნეთა კრებულს - მებრძოლი ეკლესია.

მოზეიმე და მებრძოლი ეკლესია, ეს არის ორი ნაწილი ქრისტეს ერთიანი სხეულისა, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამასთან, მისი ღვთაებრივი მადლით არის მოცული და გაერთიანებული.

გარდაცვლილთა სულებთან ჩვენ ლოცვითი ურთიერთობა გვაქვს; ასევე მართალთა სულნიც უფლის წინაშე აგრძელებენ მოღვაწეობას და მიწიერი მებრძოლი ეკლესიის და მისი წევრების შემწენი და ღვთის წინაშე მეოხნი არიან. ყოვლადწმიდა სამებასთან ყველაზე ახლომდგომი და მთელი კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი შუამდგომელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია; ბედნიერია ჩვენი ერი, რომ საქართველო მისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება. სასუფეველი ღვთისა იიძულების, - გვასწავლის მაცხოვარი; ამიტომაცაა, რომ ადამიანის სურვილს და მონდომებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ასე იყო ეს ყოველთვის.

გავიხსენოთ, ორმოცი წელი დასჭირდა ებრაელ ერს აღთქმულ ქვეყანამდე მისვლისათვის, თუმცა მათ ღმერთთან მოლაპარაკე მოსე და სიწმინდით შემოსილი აარონი წინამძღვრობდნენ.

დიახ, შრომისა და ღვაწლის გარეშე ვერც უფლის მიერ ბოძებულ მიწაზე დაემკვიდრა ძველი აღთქმის ისრაელი და ვერც სასუფეველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიპოვებს ახალი აღთქმის ნებისმიერი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი.

ჩვენ ვამბობთ: ჩვენთან არს ღმერთი და ეს ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენც ვიყოთ ღმერთთან, საჭიროა სწორად ცხოვრება. ჩვენ ვამბობთ: ივერია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრია, მაგრამ ეს წილხვდომილობა რომ ჩვენს დროშიც გამოვლინდეს, საჭიროა შესაბამისი სულიერი ნაბიჯების გადადგმა.

ებრაელებიც ამაყობდნენ და მაცხოვრის წინაშეც იქადოდნენ, რომ აბრაამის შთამომავალნი იყვნენ. იესო ქრისტემ კი უპასუხა, რომ აბრაამის და წინასწარმეტყველთა შვილობა მათი საქმეების აღსრულებაში, ანუ სწორად ცხოვრებაში მდგომარეობს და არა მხოლოდ გენეტიკურ ნათესაობაში, რადგან ამ წინასწარმეტყველთა მკვლელებიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ.

როგორ უნდა მივხვდეთ, სწორად ვცხოვრობთ თუ არა? ადამიანს უნდა ქონდეს რეალური შეგრძნება იმისა, რომ ის არის მართალი სამშობლოს, მოყვასისა და თვით თავისი მტრების წინაშეც;

რაც შეეხება ღმერთთან დამოკიდებულებას, უფალთან მიმართებაში მართალი საერთოდ არავინაა, რადგან ცოდვისგან თავისუფალნი არც წმინდანებია; ესა თუ ის პიროვნება ოდენ ჭეშმარიტი სინანულითა და ღვთის მოწყალებით განმართლდება. დიახ, მხოლოდ გულწრფელი სინანულითა და აღსარებით შევძლებთ, აღვხოცოთ ჩვენი შეცოდებანი და მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომლის შესახებაც დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: 'ნეტარ არს რომელსა არა შეერაცხა ცოდვები" (ფს).

უფალთან ჩვენი დამოკიდებულება, მართალია, ინდივიდუალურია, მაგრამ საზოგადოებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა და კვლავაც აქვს ხელისუფალთა რწმენას ან ურწმუნოებას.

ამის მაგალითად ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი რთული მონაკვეთი მინდა შეგახსენოთ, კერძოდ, XVII საუკუნე, როცა ერთმანეთის ახლო ნათესავი ორი ქართველი მეფე, - როსტომ ხანი და თეიმურაზ I, - მოღვაწეობდნენ.

როსტომმა ქრისტიანობა უარჰყო; თავის გარშემოც ასეთნი შემოიკრიბა და უზნეოდ მცხოვრებს სურდა, ხალხიც მასავით გადაგვარებულიყო. მის დროს „გამრავლდა სიძვა და არაწმიდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და დედათა თანა-აღრევა..." ამასთან, ვინც ასე იქცეოდა, მეფისგან დაფასებული იყო, ხოლო სიმართლისმომქმედნი, ცოდვისმოძულენი და წრფელნი გულითა, იჩაგრებოდნენ (ქართლის ცხოვრება).

როსტომ ხანის 26 წლიანმა ბატონობამ ქვეყანა სულიერი დაღუპვის პირამდე მიიყვანა, მაგრამ ერმა დაძლია ეს განსაცდელი. ამისი ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ისიც იყო, რომ ამავე პერიოდში მეფობდა თეიმურაზ I, რომელმაც საოცარი ცხოვრება განვლო.

ღვთისა და ქვეყნის ერთგულებისთვის მას შაჰ-აბასმა წამებით მოუკლა დედა, - დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, ორი მცირეწლოვანი ყმაწვილი და ქალიშვილი, ხოლო მესამე ვაჟი, დავითი, სამშობლოსთვის ომს შეეწირა. მტერთაგან შევიწროვებულ თეიმურაზს რამდენჯერმე მოუწია თავისი სამეფოს დატოვება, მაგრამ მარცხს არასოდეს ურიგდებოდა; პირველივე შესაძლებლობისამებრ ბრუნდებოდა და განახლებული ძალით განაგრძობდა სიტყვით და საქმით ქვეყნის მსახურებას.

ჭარმაგი მეფე 71 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. რჯულის მტკიცე დამცველს ბოლო გამოცდის ჩაბარება სპარსეთში მოუწია, სადაც ქრისტეს აღმსარებლობისათვის შეიპყრეს და ციხეში დაატყვევეს. აქ იგი მალევე გარდაიცვალა.

რწმენისა და მამულისადმი ერთგულებით, ვაჟკაცობითა და სიმტკიცით იგი ღვთისთვის და ეროვნული მეობისათვის გაუტეხელი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ თვისებების გამო მას სანიმუშო მაგალითად მიიჩნევდა არა მარტო მისი ერთგული ხალხი, არამედ შინაური თუ გარეშე მტერიც. „თათრებსაც ბევრსა ერწმუნა, მივლენ უნთებენ სანთელსა. . . მისებრი სახელოვანი დედამ სხვა ვერვინ შობოსა", - წერს არჩილ მეფე.

წარსული იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი და მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ქრისტიანული თვალსაზრისით ადამიანის სწორი დამოკიდებულება სამშობლოსადმი.

თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს გააკეთოს მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლობაც მას აკისრია. ესაა მისი მსახურება ქვეყნისადმი. ყველაზე მეტი უფლებები და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა

და განვითარება. შემდეგ კი - ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვა.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. ჩვენ მათთან, აუცილებლად, უნდა გავაღრმავოთ კავშირი, რის წინაპირობადაც უნდა იქცეს კულტურათა შორის დიალოგი; ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტასაც.

საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც.

ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

ზემოთჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გაძლიერებისათვის კი საჭიროა ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა.

სამწუხაროდ კი, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს; არადა საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და, მითუმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადადებაც შევთავაზოთ: მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია, ქმედითი ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირებისა. 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლებისკენ გადადგმული ნაბიჯი კარგი ფაქტი იყო, მაგრამ, ალბათ, უფრო შედეგიანი იქნება საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მომქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან.

რა თქმა უნდა, თუ ეს ნაბიჯი განხორციელდა, იგი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმეების, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

საერთოდ კი, რაც არ უნდა მძიმე იყოს ჩვენი მდგომარეობა, სულით არ უნდა დავეცეთ და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ, რადგან ცალკეულ პიროვნებებსაც და ერსაც განსაცდელი ან რწმენაში განსამტკიცებლად ეძლევა, ან მცდარი გზიდან მოქცევისათვის.

ჩვენს თავს მოწევნული განსაცდელი უმეტეს შემთხვევაში სწორედ მეორე მიზეზით იყო ხოლმე განპირობებული. ეს დღესაც ასეა. ბუნებრივია, პრობლემებიდან თავის დაღწევის საშუალებაც ჩვენს ხელთაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია, ამიტომაც ყველამ თავისი წილი შეცდომებისა უნდა გამოასწოროს.

მოყვასის მიმართ ჩვენი სამართლიანი მიდგომა ასეთი უნდა იყოს: „ყველაფერში, როგორც გსურთ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ“ (მათე 7.12).

რა მოკლე განმარტებაა, მაგრამ როგორი მრავლისმომცველი! ეს სიტყვები ყოველთვის გახსოვდეთ და ცხოვრების წესად გქონდეთ. უნდა ვეცადოთ იმასაც, რომ არ ვიყოთ გულგრილნი სხვათა მიმართ გამოჩენილი უსამართლობისადმი და დავიცვათ ტყუილუბრალოდ დაჩაგრული ადამიანი.

რაც შეეხება მტერთან მიმართებაში ჩვენს დამოკიდებულებას, აქ განვითარების ოთხი საფეხური არსებობს: პირველი - შეურაცხმყოფელს შენც სათანადო პასუხს სცემ (რაც ძველაღთქმისეული ანგარიშსწორებაა, - „კბილი კბილისა წილ“ და ახალი აღთქმისთვის მიუღებელია); მეორე - მოყენებული გულისტკივილისათვის სამაგიეროს არ მიაგებ, მაგრამ შინაგანად მრისხანებ; მესამე - დამცირებას უდრტვინველად იტან; მეოთხე - შენს მიმართ ჩადენილ უსამართლობას აღიქვამ,

როგორც შენს სხვა ცოდვათა გამოსასყიდს, მადლიერი ხარ უფლისა და შინაგანად ხარობ. დაფიქრდი რომელ საფეხურზე დგახარ და მიხვდები როგორი ქრისტიანი ხარ. „შეიყვარე მტერი შენი“ - გვასწავლის მაცხოვარი. ხოლო ვისთვისაც ეს სიტყვები გაუგებარი და მიუღებელია, მათ პავლე მოციქული ასე არიგებს: „ილოცე შენი მტრებისთვის და ნუ სწყევლი მათ“. ამით თქვენ მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს აგროვებთ მის თავზე. ღმერთი სამართლიანია და ყველას დამსახურებისამებრ მიაგებს. ჩვენი შეურაცხმყოფელიც (და საერთოდ ნებისმიერი ბოროტმოქმედი) დაუსჯელი არ დარჩება, ოღონდ ამას ჩვენს ნაცვლად უფალი გააკეთებს; „ჩემია შურისგება“ - ბრძანებს იგი.

ემსგავსეთ ფუტკარს, - გვასწავლის პაისი ათონელი, - რომელიც მხოლოდ ყვავილებს ხედავს და აგროვებს სიტკბოს თაფლისთვის და არა ბუზს, რომელიც ნაგავს და ათასგვარ სიბინძურეს ეძებს და იმით იკვებება.

დიახ, სამართლის ქმნა და სიმართლის მსახურება აუცილებელი პირობაა ყოველი ქრისტიანისთვის. ღმერთი სიმართლით მცხოვრებთ მადლით მოსავს, ცრუთ და თვალთმაქცთ კი - განეშორება. თუმცა ისეც ხდება, რომ სიცრუის გზით მავალნი ზოგჯერ წარმატებულნი ჩანან; მაგრამ არ დაბრკოლდეთ, ეს დროებითია; სიმართლე ბოლოს მაინც, აუცილებლად, იზეიმებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს. იცოდეთ ისიც, რომ შეიძლება კეთილდღეობა უბედურებაზე საშიში იყოს და პირიქით, უბედურებამ შეიძლება კეთილდღეობაზე მეტი სიკეთე მოუტანოს კაცს. ოცწლიანი გარდამავალი პერიოდით დაღლილი, გაწამებული და გაღატაკებული ჩვენი მოსახლეობა ხშირად ჩივის: ნეტავ არ დავბადებულიყავ, როდემდე უნდა ვეწამო? სად არის სამართალი? სულ მე რატომ უნდა ვიტანჯო?. . , რაც უმძიმესი ცოდვის, - მცირედმორწმუნეობის გამოვლინებაა და არასწორი ცხოვრებისა და აზროვნების შედეგია.

უფალი ხომ იმაზე მძიმე ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტარებაც არ ძალგვიძს. ამასთან, მოვლენებს სულიერი თვალით უნდა შევხედოთ. განა ნებისმიერ დროში ნებისმიერი აღმსარებლობის პიროვნებამ არ იცოდა და არ იცის, რომ ყოველივე წარმავალია: ახალგაზრდობაც და სილამაზეც, ჯანმრთელობაც და ავადმყოფობაც, სიმდიდრეც და სიღარიბეც, პატივიც, თანამდებობაც და თვით სიცოცხლეც?.

ასე რომ, ნუ დარდობ და შფოთავ იმისთვის, რაც დღეს არის და ხვალ აღარ იქნება.

თუ გსურს ნამდვილი კეთილდღეობა მოიპოვო (და თანაც მარადიულად), სასუფეველი ღმრთისა უნდა ეძიო, - ანუ უფლის მცნებებით ცხოვრებას უნდა ესწრაფვო, რადგან „სასუფეველი ღმრთისაი არა არის საჭმელი და სასმელი, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა“ (რომ. 14,17), - აი, ეს უნდა დავიმახსოვროთ.

ჩემო საყვარელო შვილებო, ძენო და ასულნო ღვთისმშობლის წილხვედრი ღვთივკურთხეული ივერიისა: კახელნო და აფხაზნო, აჭარელნო და თუშნო, ლაზნო და ხევსურნო, ჰერნო და სვანნო, ოსნო და მთიელნო, მეგრელნო, გურულნო, სამაჩაბლოსა და სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნო, ყოველნო ჩვენნო თანამემამულენო, მაშ, შეიყვარეთ სიმართლე და მშვიდობა, განიძარცვეთ ცოდვის სამოსელი და ემსახურეთ ჭეშმარიტებას, რომ „სიმართლე იგი სჯულისაი აღესრულოს“ თქვენს შორის (რომ. 8,4).

ჯოჯოხეთის დამსხვრეულ ბჭეთა ზედა ამაღლებული და არამიწიერი ნათლით მოსილი, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი გვიხმობს, რათა მისი მადლით განმართლებულნი, ვითარცა ფინიკნი, აღვყვავდეთ და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განვმრავლდეთ.

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, 2009 წლის 18 აპრილი

ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲚᲐᲕᲐ ᲭᲘᲙᲝᲚᲐᲕᲐ
ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲔᲑᲐ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ (1; �გᲕ. 10).

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲡᲐᲓᲐᲝᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ „ ... ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲐᲗᲐ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲮᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲥᲕᲔ ᲮᲐᲖᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲡᲕᲐᲡ ᲘᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲡᲘᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲡ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲝᲡ (ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ) ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ (ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ) ᲓᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲨᲔᲝᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ– (1)ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ; (2)ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ; (3)ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ (ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ) ᲙᲝᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ (4)ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ �გᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ (9; ᲒᲕ.144-145).

ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘ ,,ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲐ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘ, ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠ ᲖᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (483 ᲬᲔᲚᲘ). ᲐᲛ ᲐᲥᲢᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ: „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲑᲔᲓᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲖᲔ ᲐᲜ ᲗᲔᲕᲖᲖᲔ, ᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲡ ᲐᲜ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ (7; ᲒᲕ.4)

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲐᲖᲔ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲜᲢᲘᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲓᲒᲘᲜᲐ „ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲐᲡᲘ“ ᲓᲐ ᲛᲘᲔᲦᲝ „ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ“ (7; ᲒᲕ.4).

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡᲐ, ᲤᲐᲥᲢᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელთა დამსახურება იყო.

რაც შეეხება თანამედროვე ანტიმონოპოლურ პოლიტიკას, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ის ბოლო ასწლეულის განმავლობაში მუდმივად ვითარდებოდა და მსოფლიოს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განხორციელებული ცვლილებების შედეგს წარმოადგენს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ანტიმონოპოლური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხებზე მუდმივად მიმდინარეობდა თეორიული დავები, სადაც სხვადასხვა თვალსაზრისებსა და მიდგომებს ენიჭებოდა უპირატესობა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ცალკეულმა დებულებებმა (პრინციპებმა) დროთა განამვლობაში ზოგადი სტანდარტის ძალა შეიძინეს და მათი აუცილებლობა დღეს უკვე შეცნობილია მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნის ხელისუფალთა მიერ. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ანტიმონოპოლური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული მსოფლიოს განვითარებული (და არა მარტო განვითარებული) ქვეყნების მიერ დღემდე აღიარებული და აპრობირებული პრინციპები.

ერთ-ერთი ასეთი პრინციპის თანახმად, ანტიმონოპოლური პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, კონკურენციის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საფუძვლის დაცვა. კერძოდ, ანტიმონოპოლური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ქვეყნის შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის (საბაზრო ძალაუფლების) მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ შემთხვევებში, თუ კონკრეტულ სასაქონლო ბაზარებზე კომპანიათა შერწყმის შედეგად, ან ცალკეულ სუბიექტთა მხრიდან მათი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად შეიზღუდება (ან იზღუდება) კონკურენცია, აუცილებელია შესაბამისი, მიზანმიმართული (ზომიერი) ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წარმოება. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ამ ამოცანის პრაქტიკული რეალიზაცია, არც თუ ისე ადვილადაა განხორციელებადი იმ სირთულეების გამო, რაც რეალურად თან ახლავს კონკურენციის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კიდევ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა. ამ საკითხის შესწავლას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა შრომებში, რომელთა გარკვეული ნაწილი წინა პლანზე აყენებს სტატიკური ეფექტურობის საკითხებს, ხოლო სხვები კი– დინამიკურ ეფექტურობას (რომელიც ქვეყნის თანამედროვე ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას ეფუძნება) ანიჭებენ უპირატესობას. ამ ამოცანის პრაქტიკული რეალიზება მეტად აქტუალურია (ის ხშირად სხვადასხვა ინტერესების შეჯახებას იწვევს) რადგანაც ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება პირდაპირ ემსახურება კონკურენციის პირობების გაუმჯობესებასა და სრულყოფას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში ადვილი შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ცალკეულ ეკონომიკურ აგენტთა ისეთ კოორდინირებულ მოქმედებებს, რომლის შედეგად, ერთის მხრივ ილახება კონკურენციის ძირითადი პრინციპები, ხოლო მეორეს მხრივ კი ამ კოორდინირებული მოქმედების შედეგად მაღლდება საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე. ე.ი. არაა გამორიცხული ანტიმონოპოლური პოლიტიკის (კანონმდებლობის) პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში ადგილი ჰქონდეს ასეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. შესაბამისად, აუცილებელია კონკრეტული სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით ოპტიმალური /საუკეთესო/ გადაწყვეტილების მიღება. თავის მხრივ ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის შეფასება უკავშირდება „შემოსავლების განაწილების“ საკითხს. კონკრეტულად კი იმას, თუ როგორ ხდება მოგების გადანაწილება პროდუქციის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამასთან, სულაც არაა გამორიცხული, რომ სწორედ ეს უკანასკნელი იქცეს წინააღმდეგობის წყაროდ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ანტიმონოპოლური პოლიტიკის ამოცანათა პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი ბევრად უფრო კონფლიქტურია ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის სფეროში, რადგანაც ამ სფეროებში კონკურენცია არ არსებობს. უფრო კონკრეტულად კი – „ბუნებრივი მონოპოლია არის სასაქონლო ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება

წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე (წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით) უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებაზე" (3; გვ.57).

ამასთან, ფაქტია ისიც, რომ საქართველოში, ისევე როგორც ბეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების აბსოლიტურ უმრავლესობაში, ბუნებრივ მონოპოლიათა მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო (ცაკლეული გამონაკლისების გარდა), რის გამოც ამ პრობლემის გადაწყვეტა ბევრად უფრო რთულ ხასიათს იძენს, ვიდრე განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში. შესაბამისად, სირთულეების დაძლევის მიზნით აუცილებელია, თანმიმდევრული ანტიმონოპოლური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზება იმ იურიდიული ნორმებისა და წესების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლების მკაცრ და სამართლიან განაწილებას. ამ უკანასკნელის მისაღწევად კი აუცილებელია, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით, შესაბამისი ინსტიტუტების მიერ მოხდეს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის შემზღუდავი იურიდიული ნორმებისა და წესების გათვალისწინება.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკულმა რეალიზაციამ განვითარებულ ქვეყნებში წარმოაჩინა ანტიმონოპოლური პოლიტიკის, როგორც - 'საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის ფუნქციაც". სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა მცირე საწარმოების დაცვის პრაქტიკა 'დიდი დეპრესიის" პერიოდში, ისევე როგორც სამართლიანობის პრინციპი, როგორც დადებითი ღირებულების მატარებელი გასული საუკუნის 60-70-იანი წლების სამომხმარებლო საზოგადოებაში. შესაძლებელია ამ საკითხზე მოტანილ იქნეს არაერთი სხვა მაგალითიც, თუმცა, აქ უმთავრესია ის ფაქტორი, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში შესაძლებელია (ხშირ შემთხვევებში აუცილებელია) დაშვებულ იქნას გარკვეული კომპრომისები, რათა მოხდეს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის წინაშე მდგომი ამოცანების თანაარსებობა. აქ პირველ რიგში იგულისხმება კონკურენციის დაცვა და ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა. რაც შეეხება კომპრომისებს, უნდა ითქვას, რომ, თუ საკითხს მხოლოდ ანტიმონოპოლური პოლიტიკის კუთხით შევხედავთ და ამავდროულად მასში გაერთიანებულია ე.წ. სოციალური ამოცანები, არაა გამორიცხული დაზარალდეს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რადგანაც ანტიმონოპოლურ პოლიტიკას არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს სოციალურ მოთხოვნებს. შესაბამისად, განვითარებულ /და არა მარტო განვითარებულ/ ქვეყნებში მიმდინარეობს ისეთი ანტიმონოპოლური პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც კომპრომისების საფუძველზე ემსახურება რამდენიმე კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას.

გარდა ზემოთქმულისა არაა გამორიცხული, რომ ანტიმონოპოლური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში ადგილი ჰქონდეს კონფლიქტურ სიტუაციებს – საკითხის აღქმის იურიდიულ და ეკონომიკურ თვალთახედვებს შორის. ცხადია, რომ ანტიმონოპოლური პოლიტიკის ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ მიეცემათ პრიორიტეტული სტატუსი და აიკრძალება ან შეიზღუდება ამ ამოცანათა წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი საქმიანობა. სწორედ, ამ მიზნის მისაღწევად იქმნებოდა და იქმნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა. ამასთან ცხადია, რომ კანონის უმთავრესი მოთხოვნაა (ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს) დარღვევათა კლასიფიკაციის მკაფიო და ცალსახა ინტერპრეტირება, თუმცა ასეთი ცალსახა კლასიფიკაცია შეუძლებელია ანტიმონოპოლიური პოლიტიკის იმ ამოცანებთან მიმართებაში, რომლებიც ერთმანეთთან შედიან კონფლიქტში. ჩვეულებრივ იურიდიული ნორმები ამ პრობლემებს წყვეტენ იმ ორგანოებზე უფლებამოსილებების მინიჭებით ვინც პასუხისმგებელია კანონის აღსრულებაზე. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ რაც უფრო ნაკლებად ხდება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დაცვა მით უფრო ხშირია კონფლიქტური სიტუაციები იურიდიულ და ეკონომიკურ მიდგომებს შორის.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკითხებზე აღმასრულებელი ინსტიტუტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, სადაც თავის მხრივ, მოსამართლეებსაც უწევთ გარკვეული სირთულეების გადალახვა, მაგრამ ეს უფრო სწორი და გამართლებული მიდგომაა. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ანტიმონოპოლიური ორგანოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებები ძირითადში დაემთხვევა (იდეალურ შემთხვევაში კი ყველა) ერთმანეთს ეს უკვე ქვეყანაში რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სისწორის მაჩვენებელია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაციის თეორიულ ბაზას წარმოადგენს ცალკეული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებები. ფაქტია, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საფუძველი ჩაეყარა და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს (ფუნქციონირებდა) რამდენიმე ცნობილი სამეცნიერო სკოლა, რომელთა შეხედულებები განსხვავებულია, როგორც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ამოცანის განსაზღვრაში, ასევე ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლზე (რეგულირების საკითხებში სახელმწიფოს ჩარევის სიდიდეზე). შესაბამისად, გვინდა გამოვყოთ შემდეგი სამი ეკონომიკური სკოლის– 1)„სამრეწველო პოლიტიკისა და ევოლუციური განვითარების სკოლის"; 2)ეგრეთწოდებული „სტრუქტურული სკოლისა" და 3)„ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის" თეორიული შეხედულებები. კერძოდ,

1) <u>სამრეწველო პოლიტიკისა და ევოლუციური განვითარების სკოლა</u>. ამ სკოლის წარმომადგენელთა ძირითადი შეხედულებები ემყარებოდა მოსაზრებას, რომ– XX საუკუნის მეორე ნახევრის კონკურენციული ბაზრის სტრუქტურა საფუძვლიანად განსხვავდებოდა რა XIX საუკუნის პერიოდის ბაზრისაგან, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კონკურენციული პოლიტიკის ძველი ფორმით რეალიზაცია შეუძლებელია. შესაბამისად, ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სახელმწიფო პოლიტიკის ინტეგრაცია და მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი ფირმების შექმნა წარმოადგენდა (წარმოადგენს) აუცილებელ პირობას სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა თავის დანიშნულებას ასრულებდა (ასრულებს) იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უწყობდა (უწყობს) ადგილობრივი ეკონომიკური აგენტების გარდაქმნას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული ძალის მქონე კომპანიებად და ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარ წინააღმდეგობებს ლახავდა (ლახავს).

2) <u>ეგრეთწოდებული „სტრუქტურული სკოლა"</u>. ეს სკოლა ეფუძნება თეზისს იმის შესახებ, რომ საბაზრო სტრუქტურის კონცენტრაციის მიხედვით ხდება კონკურენციის შესუსტება; შესაბამისად, ამ სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ შექმნილი კონკურენციის ხელოვნური წინაღობების აღმომფხვრელი ნებისმიერი ღონისძიებები (ჩარევა) დასაბუთებული იქნება.

3) <u>„ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლა"</u>. ეს სკოლა ძირითადად სტრუქტურული მიდგომის კრიტიკის საფუძველზე ვითარდებოდა. მათი იდეები ეფუძნებოდა (ეფუძნება) თავისუფალი ბაზრის უპირატესობას ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევასთან შედარებით. ამ მიმართულების მომხრეები ამტკიცებდნენ (ამტკიცებენ), რომ კონკურენციის შეზღუდვა, რომელსაც სტრუქტურისტები ეყრდნობიან შეიძლება განვითარდეს მხოლოდ გამონაკლის ექსტრემალურ შემთხვევებში და ღია მსოფლიოში მისი ეფექტურად შენარჩუნება შეუძლებელია. შესაბამისად, ამ სკოლის წარმომაგენელთა აზრით, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, მხოლოდ მინიმალური ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად.

ამასთან, თუ გადავხედავთ განვითარებული ქვეყნების ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგებს (2; გვ.46-97) დავინახავთ, რომ თვით მაღალგანვითარებულ ქვეყანაშიც კი, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად ხდებოდა რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ცვალებადობა. კერძოდ, იყო ამ საკითხებისადმი, როგორც რბილი ასევე მკაცრი მიდგომების პერიოდი. მაგალითად– „...გასული საუკინის 70-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, თითქმის მთელი ათეული წელი აშშ-ს ანტიტრესტულ პოლიტიკაში გაბატონებული იყო „ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის" მიდგომები..."(8; გვ.54-55), თუმცა ისიც ფაქტია, რომ „ჩიგაკოს ეკონომიკური სკოლის" მიდგომების ერთგულებას არ გამოუწვევია აშშ-ს ანტიტრესტულ საკანონმდებლო ნორმათა ძირითადი დებულებების (ანტიმონოპოლიური

რეგულირების ამოსავალი დებულებების) შეცვლა თუ მათი ანულირება, რადგანაც აქ ძირითადი აქცენტი იყო გაკეთებული ცალკეული საკითხების მიმართ შერბილებულ და არა ანულირებულ მიდგომებთან. უფრო მეტიც, მოგვიანებით, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აშშ-ში დასრულდა რბილი კონკურენციის ეტაპი, როდესაც დაიწყო IBM-ის მონოპოლისტობის საქმის განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ აშშ-ში, ისევე როგორც სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა მიდგომები ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხებისადმი, თუმცა, არსად არასოდეს არ დასმულა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ანულირება (გაუქმება) დღის წესრიგში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ქვეყანა ბოლომდე არ ყოფილა და მათ შორის, საქართველოც ვერ იქნება მხოლოდ ერთი რომელიმე ეკონომიკური სკოლის შეხედულებათა მიმდევარი, რადგანაც თითოეული ქვეყანა საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით ცდილობდა და ცდილობს შესაბამისი ინსტიტუტების მეშვეობით გაატაროს „მისთვის მისაღები", გარე სამყაროსთან შესატყვისი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. თავის მხრივ, ,,მისთვის მისაღები" გამორიცხავს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების იგნორირებას,რადგანაც აღიარებულია, რომ თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში თანმიმდევრული და გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) პოლიტიკის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა, რაგინდ მაღალგანვითარებულიც არ უნდა იყოს იგი, ცალკე აღებული ვერ მიაწევს წარმატებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს. – კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება /ლექციების კურსი/, თბ., „ლოი", 2007;
2. ფეტელავა ს. – კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, თბ; „ლოი", 2007;
3. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი", საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., „არადანი", 2003;
4. Гелхорн Э., Ковасик В. - Антитрестовское законодательство и экономика (Перевод на русский язык), Вашингтон, 1995.
5. Залесская М.В. – Антимонопольное регулирование в зарубежных странах, М., 1991.
6. Портер М. – Конкуренция, М., ,,Вильяме", 2000.
7. Тотьев К.Ю. - Конкуренция и Монополии, М., ,,Юристъ", 1996.
8. Ячейстова Н.И. - Международная конкуренция: законодательство, регулирование и сотрудничество, ООН, Нъю-Йорк и Женева, 2001.
9. Типовой закон о конкуренции – Серия документов ЮНКТАД по проблематике законодательства и политики в области конкуренции, Организация обьединенных наций, Женева, 2003.

TASKS AND BEING OF ANTIMONOPOLY POLICY

SLAVA FETELAVA
PHD Economics,
Grigol Robakidze University Asossation Professor

In this article there is formulated being of antimonopoly policy and there are also examined it's main tasks. What's more, there are comprehend such conflict situations, that can be exist in solving tasks of antimonopoly policy.

A There are discussed theoretic opiniops of the three most famous ecomonic schools– 1),,Industrial policy and evolution developin school", 2) ,,structural school" and 3) ,,Chicago's economic school", and there is made a conclusion, that no country in the world, not even Georgia, can't be the follower of only one economic school, because each country tried and tries to pass antimonopoly policy, that is ,,convenient for him" with the help of defending own interests. Besides, ,,convenient for him" excludes ignore of antimonopoly policy's main principles and only means the changing of realized policy's measure volum

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურსათის ფალსიფიკაცია - მომხმარებლის, ბიზნესისა და სახელმწიფოს პოზიციებიდან

ეთერ სარჯველაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
დალი ფულაია
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გლობალიზაციის პირობებში სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაციამ ტრანსნაციონალური ხასიათი მიიღო. ფალსიფიცირებულ სასურსათო პროდუქტებს, კი ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ სასურსათო პროდუქტთა შორის, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ. გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (**FAO**) მონაცემებით მილიონობით ადამიანი არის დაავადებული მავნე სასურსათო პროდუქტების მოხმარების გამო.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის შეფასებით, ფალსიფიცირებული სასურსათო პროდუქცია შეადგენს სურსათით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 10%, მისი დიდი წილი მოდის განვითარებად ქვეყნებზე [1].

ფალსიფიკაციის მოვლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული სურსათის უვნებლობასთან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის კონსტიტუციური უფლების განხორციელების აუცილებელი პირობაა. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია კანონმდებლობის მიხედვით ისჯება.

სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაციის დროს პროდუქტი ინარჩუნებს ნატურალურისათვის დამახასიათებელ ტიპიურ მახასიათებლებს (გარეგან სახეს, ფერს, კონსისტენციას), მაგრამ კარგავს არა მარტო კვებითი ღირებულებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტებს (სრულფასოვანი ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და სხვა), არამედ ხშირ შემთხვევებში საშიში ხდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასურსათო პროდუქტების ასორტიმენტი, შეიცვალა კვების ხასიათი, დაინერგა წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ახალი და არატადიციული ტექნოლოგიური მეთოდები, მკვეთრად გაიზარდა სურსათში გამოყენებული ქიმიური ნაერთების – საკვები დანამატების (საღებავები, კონსერვანტები, ანტიოქსიდატები და სხვათა) ნაირსახეობა და რაოდენობა, რამაც ხელსაყრელი საფუძველი შექმნა ფალსიფიცირებული პროდუქტების წარმოებისათვის.

საკვები დანამატები, რომლებიც გამოიყენება სასურსათო პროდუქტების წარმოების, ტრანსპორტირებისა და შენახვის სხვადასხვა ეტაპზე: საწარმოო პროცესის გაუმჯობესების ან გაადვილების, სხვადასხვა ფაქტორებით დაზიანებისადმი მდგრადობის გაზრდის, პროდუქტის სტრუქტურისა და გარეგანი სახის შენარჩუნების ან ორგანოლეპტიკური თვისებების (ფერი, გემო, სუნი და სხვა) გაუმჯობესების მიზნით, არაკეთილსინდისიერი მეწარმეების ხელში ფალსიფიკაციის ხელსაყრელ იარაღად იქცა.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში, საკვებ პროდუქტებში დანამატების შემცველობა მკაცრად რეგლამენტირებულია[2], ვინაიდან ამ ნივთიერებების მოხმარების ნორმების დარღვევა, მითუმეტეს, ფალსიფიკაციის დროს არასასურსათო დანიშნულების დანამატების გამოყენება, ადამიანის ორგანიზმში ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების დაგროვების და ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის მიზეზი ხდება.

სურსათის უვნებლობის და ფალსიფიკაციის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო და მასთან დაკავშირებული პრობლემები სათავეს იღებს

[1] Россия в глобальном мире. www.yur.ru/russia-xxi/Globalizm1.

[2] ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 10 ნოემბრის 2003/89 **EC** დირექტივა (შესწორებული). 2000/13 **EC** საკვებ პროდუქტებში არსებული ინგრედიენტების მითითების შესახებ.

ჯერ კიდევ უძველეს დროში. უამრავი წესი თუ რეკომენდაცია, რომლებიც გვხვდება ისტორიულ თუ რელიგიური ხასიათის წიგნებში, ადამიანთა სასურსათო პროდუქტებით გამოწვეული დაავადებებისაგან დაცვის აშკარა მცდელობაა.

ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებში გატარებულმა ღონისძიებებმა კარდინალურად გააუმჯობესა სასურსათო ბაზრის მდგომარეობა, სადაც თითქმის შეუძლებელი გახდა ფალსიფიცირებული, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის რეალიზაცია.

სასურსათო პროდუქტების კანონმდებლობის პრინციპები მოცემულია ევროკავშირის №178/2002 რეგულაციაში. მასში ხაზგასმულია, რომ "სასურსათო პროდუქტების კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესების ძლიერად დაცვას, მათ შორის სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სამართლიანი ფორმების დანერგვას"[3].

დოკუმენტში მითითებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებულნი არიან გაატარონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ საზოგადოებას სრულყოფილად მიეწოდოს ინფორმაცია იმ რისკის ბუნების შესახებ, რომლის წინაშეც მათი ჯანმრთელობა შეიძლება დადგეს, ბაზარზე შემთხვევით მოხვედრილი მავნე, ფალსიფიცირებული პროდუქტის მოხმარებით. მათ უკისრებათ პასუხისმგებლობა, განსაზღვრონ თუ რა ტიპის ღონისძიებები ტარდება ან გატარდება ამ რისკის პრევენციის, შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით.

ფალსიფიკაციასთან ბრძოლა ყოველთვის იყო საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემა. დიდ მოგებას დახარბებული არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები და მომწოდებლები რეცეპტურით გათვალისწინებული ნატურალური ნედლეულის ნაცვლად პოულობენ პროდუქტში იაფფასიანი კომპონენტების დამატების ახალ საშუალებებს, რომ ადვილად მიიღონ დაუმსახურებელი მოგება.

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის, ფალსიფიკაციის, დაზიანებისა და ხარისხის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, ევროკავშირში შემოღებულ იქნა საფრთხის კონტროლი მთელ სასურსათო ჯაჭვზე ("ფერმიდან თეფშამდე"). პასუხისმებლობა დაეკისრათ ფერმერებს, მწარმოებლებს და ყველა იმ პირს, რომლებიც დაკავშირებულია სასურსათო პროდუქტების მომხმარებლამდე მიწოდებაზე.

მიუხედავად, საქართველოს სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის ეროვნული სამსახურის მიერ, გაწეული სამუშაოებისა, ფინანსური და სხვა პრობლემების გამო ჯერ-ჯერობით სრულფასოვნად ვერ წარმოებს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში სასურსათო პროდუქტებისაგან ბაზრის დაცვა, ვერც ამ პროდუქტების მოხმარებით გამოწვეული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების მონიტორინგი, გამოვლენა და სტატისტიკური აღრიცხვა.

ფალსიფიკაციის ზრდის ტენდენცია საშიშია, როგორც ცივილიზებული ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი გარემოება (კეთილსინდისიერი მეწარმე ვერ უძლებს კონკურენციას, რადგან ის არ კადრულობს გააყალბოს პროდუქცია) და ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად მომქმედი ფაქტორი, აგრეთვე, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, იწვევს მომხმარებელთა ჯანმრთელობის გაუარესებას და სიკვდილსაც კი.

მომხმარებელი სურსათის ბიზნესის ყველაზე დაუცველი რგოლია. ხშირად მომხმარებელი იძენს პროდუქტს, რომლის ქიმიური შედგენილობის, დანამატებისა თუ ე.წ. "გამაუმჯობესებლების" შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია, იგი ყიდულობს მას, ასე ვთქვათ "ბრმად". ამგვარად იგი, როგორც წესი, მხოლოდ პროდუქტის მოხმარების (მცირე დისკომფორტის, ან უფრო გართულების – მოწამვლის ან დაავადების) შემდეგ არკვევს მის ავკარგიანობას.

უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, მომხმარებლის უფლების დაცვა ან საქონლის კომპენსაციასთან დაკავშირებული რაიმე დავის სამართლებრივი გადაწყვეტა, აუცილებლად მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას, ეს კი რიგითი მომხმარებლისთვის კი არა, რიგ შემთხვევებში მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებისათვისაც ხელმიუწვდომელია.

შესაბამისი არასრულყოფილი ნორმატიული ბაზის გამო, სასამართლოში სარჩელის მოგება მოითხოვს მოტყუებული მომხმარებლისა და მისი ადვოკატის დიდ ძალისხმევას და დროს, რაც ხშირ შემთხვევაში განუხორციელებელი რჩება.

[3] ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) № 178/2002. 2002 წლის 28 იანვარი

იმის გამო, რომ საქართველოში შეჩერებულია კანონის 'სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" მე-14 და მე-16 მუხლები, სასურსათო პროდუქტების ბიზნესით დაკავებულ ყველა საწარმოს მიკვლევადობისა და მონიტორინგის განხორციელება ვერ ხერხდება. რეგისტრაციისა და მიკვლევადობასთან დაკავშირებული მუხლების გაუქმება კი - ხელს უშლის ფალსიფიკაციის აღმოჩენის შემთხვევაში პირველადი წყაროს მიკვლევას.

სასურსათო პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის ასეთი უგულვებელყოფა, სახელმწიფო სტრუქტურებისაგან, ცხადია მოტივირებულია ლიბერალიზმის მნიშვნელობის გაზვიადებით. მათი აზრით, 'ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს, შესაბამისად არ უნდა დავაბრკოლოთ მეწარმე ზედმეტი კონტროლითა და სახელმწიფო რეგულირებით". მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად საქართველოში ნებაყოფლობით სტანდარტებთან ერთად, რომლებსაც შეიმუშავებენ და ამტკიცებენ თვითონ მეწარმეები (ისინი ხშირად ამ სტანდარტების მაჩვენებლებსაც არ იცავენ), მოქმედებენ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა მეწარმისათვის.

საგაჭრო კავშირების მნიშვნელოვანი გაფართოების გამო, სასურსათო პროდუქტების ქართული ბაზარი გახდა მრავალფეროვანი: დახლები სავსეა თურქული, რუსული, ირანული, აზერბაიჯანული და სხვა წარმოშობის პროდუქტებით, რომელთა შორის მრავლადაა ფალსიფიცირებული საკვებიც. ისინი ხშირ შემთხვევაში უვნებლობის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებენ.

ბოლო დროს შეინიშნება კარგი ტენდენციაც, საქართველოს სასურსათო ბაზარზე მომრავლდა სხვადასხვა ევროპული ქვეყნებიდან იმპორტირებული მაღალი ხარისხის პროდუქციია (ეს უკანასკნელები ძირითადად სუპერმარკეტებში იყიდება და საკმაოდ ძვირადაც), სამწუხაროდ, მათი შეძენა მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ შეუძლია დაბალი მსყიდველობითი უნარიანობის გამო.

ასორტიმენტის მრავალფეროვნობა თავისთავად დადებითი მოვლენაა, რადგანაც ეს ხელს უწყობს თავისუფალი კონკურენციის განვითარებას და წარმოშობს მყიდველის ბაზარს ანუ სიტუაციას როცა მყიდველს დიდი არჩევანის პირობებში საუკეთესოს არჩევის საშუალება ეძლევა. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია საქართველოს სასურსათო ბაზარზე არსებული მდგომარეობა ფალსიფიკაციის თვალსაზრისით და პასუხი გაგვეცა კითხვებზე:

- როგორია ბაზარზე გამოტანილი სასურსათო საქონლის ხარისხი?
- ვინ ამოწმებს მას?
- ვინ არის პასუხიმგებელი სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაციაზე, სახელმწიფო თუ ბიზნესმენი?
- შეესაბამება თუ არა სიმართლეს მათ ეტიკეტებზე აღნიშნული მონაცემები?[4]

მონიტორინგის პროცესში საქართველოს სასურსათო ბაზარმა ჩვენი ყურადღება მიიქცია არა მხოლოდ განვითარების თვალსაზრისით, არამედ, როგორც ადგილი, სადაც ფალსიფიცირებული პროდუქცია აქტიური ყიდვა-გაყიდვის საგანია, რასაც, ძირითადად, ხელს უწყობს მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა და "ლმობიერი" საკანონმდებლო ბაზა.

საქართველოს კანონის "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" მიხედვით: "ფალსიფიკაცია არის სურსათის შემადგენლობის, ასორტიმენტის და წარმოშობის შეუსაბამობა დადგენილ მოთხოვნებთან ან თანდართულ დოკუმენტებში და ეტიკეტზე აღნიშნულ მონაცემებთან". ე.ი. ამ განმარტებიდან გამომდინარე, **პროდუქცია ფალსიფიცირებულად ითვლება, როცა სასურსათო პროდუქტში ძირითად ნედლეულად ან კომპონენტებად გამოყენებულ დანამატებზე მეწარმე მომხმარებელს არ აძლევს ზუსტ ინფორმაციას.**

ხშირად ფალსიფიკაციასთან შედარებით "ლმობიერ" დამოკიდებულებას ხსნიან იმით, რომ მისი მოხმარება თითქოს ადამიანის ჯანმრთელობაზე არ ახდენს უარყოფით გავლენას, მაგრამ ამ იდეის მიმდევრებს გვინდა შევახსენოთ, რომ თუნდაც უვნებელი, მაგრამ სიცოცხლისათვის აუცილებელი ძირითადი საკვები ნივთიერებების შეცვლა დაბალი ფიზიოლოგიური თვისებების მქონე ან მითუმეტეს, სხვა შემცვლელებით წარმოებული პროდუქტებით და მათი ხშირი მოხმარება, ცუდად

[4] ე. სარჯველაძე, დ. წულაია – "სურსათის ფალსიფიკაცია საართველოში" საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 110

საქართველო ... ეროვნული

აისახება მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული მრავალწლიანი მონიტორინგის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სასურსათო ბაზარზე გვხვდება, როგორც ადგილობრივი, ასევე სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი თითქმის ყველა სახის პროდუქტის ფალსიფიცირებული ანალოგი.

საქართველოს სასურსათო ბაზარზე მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება ფალსიფიკაციის ყველა სახე: ასორტიმენტული, ხარისხობრივი, რაოდენობრივი, ღირებულებითი, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და კომპლექსური ფალსიფიკაცია, აგრეთვე ფალსიფიკაციის ძალზე გავრცელებული სახეებია რაოდენობრივი და ღირებულებითი ფალსიფიკაცია, მაგრამ ისინი ძირითადად მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესების დარღვევასთან არიან დაკავშირებული, და არა უვნებლობის პრობლემებთან.

ფალსიფიკაციის თითოეული სახე ხასიათდება პროდუქტის გაყალბების დამახასიათებელი მეთოდით, ხოლო კომპლექსურის შემთხვევაში საქმე გვაქვს ორი ან რამდენიმე მეთოდის ერთობლიობასთან.

ინფორმაციული ფალსიფიკაცია ჩვენი სასურსათო ბაზრისათვის ფალსიფიკაციის ყველაზე გავრცელებული სახეა. ხშირად პრესა, ტელე და რადიო მაუწყებლობა გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი რეკლამებით, იძლევა ყალბ ინფორმაციას პროდუქტის თვისებების, შენახვის, საგარანტიო ვადის, შენახვის მეთოდებისა და მოხმარების თაობაზე.

საქართველოს კანონი "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" (მუხლი 3) მიუთითებს, რომ: "გამყიდველი (დამამზადებელი, შემსრულებელი) ვალდებულია მიჰყიდოს მომხმარებელს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების, ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე პროდუქციის შესახებ გამყიდველის (დამამზადებელის, შემსრულებელის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისი ხარისხის პროდუქცია".

მარკირების წესები ძალიან ზუსტად განსაზღვრავენ იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა მიეწოდოს მომხმარებელს. იგი არ შეიძლება იყოს შეყვანილი შეცდომაში პროდუქტზე არასწორი ინფორმაციის შედეგად. მას უფლება აქვს იცოდეს რას ყიდულობს.

ჩვენ ჩავატარეთ თბილისში მომხმარებელთა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა ენდობოდნენ თუ არა ისინი სასურსათო პროდუქტების მარკირებაზე მოცემულ ინფორმაციას და რამდენად იყვნენ გათვითცნობიერებული მარკირების ნიშნებში.

200 რესპოდენტს დაურიგდა შესაბამისი კითხვარები, მათ შეეძლოდ ერთდროულად ამოერჩიათ რამდენიმე პასუხი.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა მხოლოდ 40% ენდობა მარკირებაზე მოცემულ ინფორმაციას, 24% ენდობა მხოლოდ მისთვის ცნობილი ფირმების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ხოლო 34% თვლის, რომ მარკირებაზე მოცემული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ არ არის სრული.

კითხვაზე, თუ მარკირებაზე დატანილი რომელი მონაცემი იყო მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილზე აღმოჩნდა ინფორმაცია შენახვის ვადაზე (84%), მეორე ადგილზე – პროდუქტის შემადგენლობა (62%), პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნა – მესამე ადგილზე (33%), ხოლო პროდუქტის კვებითმა ღირებულებამ ბოლო ადგილი დაიკავა (21%), აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა 8% არ ინტერესდება მარკირებაზე მოცემული ინორმაციით და ყიდულობს პროდუქტებს საჭიროების მიხედვით, იმ მომენტში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მომხმარებლთა დაინტერესება მარკირებაზე მოცემულ მაჩვენებელთა მიმართ მოცემულია სურ. 1.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე საქართველოში სასურსათო ბაზარზე ფალსიფიკაციის გავრცელების ძირითადი მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ მთავარი:

- ქვეყანის სასურსათო ბაზარზე კონტროლის მექანიზმების არასრულყოფილება, როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტული პროდუქტებზე, შესაბამისად მათი უმრავლესობა არა მარტო ფალსიფიცირებულია, არამედ საეჭვოა უვნებლობის თვალსაზრისითაც;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო ორგანოს არარსებობა;
- სამომხმარებლო კულტურის დაბალი დონე, რომელიც პირველ რიგში ვლინდება პირადი უფლებებისა და პროდუქტზე ინფორმაციის არ ცოდნასა ან ვერ გაცნობიერებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. შენახვის ვადა; 2. პროდუქტის შეფადგენლობა, 3. პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნა, 4. პროდუქტის კეებითმა ღირებულება, 5. არ ინტერესდება მარკირებაზე მოცემული ინორმაციით

სურ. 1. მომხმარებლთა დაინტერესება მარკირებაზე მოცემულ მაჩვენებელთა მიმართ

• საქართველოს სასურსათო ბაზარზე დაბალი მსყიდველუნარიან მომხმარებელთა მნიშვნელოვანი სეგმენტის არსებობა;

ფალსიფიკაცია ყოველთვის გამოწვეულია ანგარებით, მაგრამ მისი შედეგები ბაზრის სხვადასხვა სუბიექტებისათვის – მომხმარებელი, მწარმოებელი, რეალიზატორი, სახელმწიფო - განსხვავებულია. ფალსიფიკაცია წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების ეტაპებზე ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან და დანაკარგებთან. მაგრამ ყველაზე დიდ რისკს და დანაკარგს მომხმარებლები განიცდიან: ჯანმრთელობის პრობლემების, მათი უფლებების დარღვევის და ეკონომიკურ დანაკარგების სახით.

ფალსიფიკაციის ფართო გავრცელების შედეგად მნიშვნელოვან ზარალს განიცდის არა მარტო ინდივიდუალური მომხმარებელი, არამედ მთელი საზოგადოება. ამ დროს განვითარებული არასასურველი პროცესებიდან მნიშვნელოვანია:

• სახელმწიფოს მიმართ ნდობის დონის შემცირება;

• სახელმწიფოს ეკონომიკაში ინვესტიციების შემცირება.

• მეწარმეთა შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მეთოდების დამკვიდრება, ვინაიდან კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებით მომხმარებლის 'დაპყრობაში", არამედ საქონლის უფრო მეტად გაყალბებაში, რაც იწვევს ორმაგ უარყოფით შედეგს, აზიანებს მომხმარებლებს და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს სასურსათო ბაზარზე ასე ფართოდ ფალსიფიკაციის გავრცელება პირდაპირ ზარალს აყენებს ქართული სახელმწიფოს პრესტიჟს, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, იწვევს უცხოელი პარტნიორების უნდობლობას.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფალსიფიკაციის მოვლენისაგან მომხმარებლებისა და ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის ძირითადი პრინციპია შესაბამისი საკანონმდებლო და ეფექტური კონტროლის სისტემის შექმნა და დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება.

სხვადასხვა სახელმწიფოში კონტროლის სისტემა - განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ ძირითადად აგებულია პრევენციაზე, ბაზრის აქტიურ მონიტორინგსა და შესაბამის მონაცემთა ბანკის შექმნაზე, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევებში მათ ფართოდ გაშუქებაში (ჩეხეთი, ლიტვა, პოლონეთი, უნგრეთი) ან მკაცრ სახელმწიფო კონტროლსა

და საზოგადოებისათვის ფართო ინიციატივის უფლებების მინიჭებაში (აშშ).

საქართველოში ფალსიფიკაციის თავიდან აცილებისა და აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფოებრივი მიდგომის ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბება და მის განსახორციალებლად ქმედითი ღონისძიებების დანერგვა, რომლებიც მიმართული იქნება ამ მოვლენის პრევენციასა და გამოვლენისაკენ.

ჩვენი აზრით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონის" ევრორეგულიაციებთან დაახლოება და მისი სრულად ამოქმედება;
- სურსათის ბაზარზე მონიტორინგის გაძლიერება და პასუხისმგებლობის გამკაცრება როგორც ადგილობრივი მწარმოებისათვის, ისე პროდუქციის იმპორტიორების მიმართ ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე;
- საქართველოს კანონის 'მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთა და შესაბამისი სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მიწოდებით მოსახლეობის სამომხმარებლო ცოდნის ამაღლება;
- არასამთავრობო ორგანიზაციების, სურსათის ექსპერტებისა და საზოგადოების ფართო ფენების ჩართვა ბაზრის მონიტორინგში და შესაბამისად, ფალსიფიკაციის აღმოფხვრის საქმეში.

საქართველოში მთელმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ფალსიფიკაციის აღმოფხვრას და სურსათის ხარისხის ამაღლებას დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია იგი წარმოებისთვისაც, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი, ხოლო ქვეყნისათვის განვითარების დონისა და მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 10 ნოემბრის 2003/89 **EC** დირექტივა (შესწორებული). 2000/13 **EC** საკვებ პროდუქტებში არსებული ინგრედიენტების მითითების შესახებ
2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (**EC**) № 178/2002. 2002 წლის 28 იანვარი
3. ე. სარჯველაძე, დ. წულაია – 'სურსათის ფალსიფიკაცია საართველოში" საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი № 110
4. Россия в глобальном мире. www.yur.ru/russia-xxi/Globalizm1

FALSIFICATION OF FOOD PRODUCTS FROM POSITIONS CONSUMER, BUSINESS AND STATE

ETER SARJVELADZE
DALI TSULAIA

Falsification is closely connected with safety of food products, which is necessary for the constitutional right of life and health. Therefore food product falsification is punishable by law in every country.

We encounter all sorts of local and imported falsified food products in the food markets of Georgia. Widespread of falsification not only creates hazardous health conditions for the consumers, but it also promotes unjust competition among the entrepreneurs and jeopardizes the national interests of Georgia and its reputation among the foreign partners.

In order to eliminate the falsification problem in Georgia, it is essential to create legislative rules and regulations and to take necessary measures regarding this matter.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფისათვის

გულიკო ძათამაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბათუმის შრსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას, მაგრამ ტრანსფორმაციის პროცესში ხელისუფლებამ დაუშვა მრავალი შეცდომა. კერძოდ, სამამულო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩა შიდა ბაზარზე არსებული მოთხოვნის მოცულობას, რის გამოც სასაქონლო დეფიციტის შევსება ხდებოდა იმპორტის ხარჯზე. ქვეყანამ ვერ შეძლო თავისი პროდუქციის გასაღების შიდა ბაზრების შენარჩუნებაც კი. ეროვნული წარმოება არაა უზრუნველყოფილი ნედლეულის ახალი წყაროებით. ლეგალურ სექტორში მომუშავე საწარმოთა როლის დაქვეითებას ხელი შეუწყო ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის მასშტაბების მკვეთრმა ზრდამ. გადასახადებზე გეერდის ავლით მოქმედმა საწარმოებმა და ფალსიფიცირებულმა პროდუქციამ, გასაღების შიდა ბაზარზე ფასდაკლების მაქსიმალური შესაძლებლობის გამო, ფასობრივ კონკურენციაში გაანადგურა ლეგალური წარმოება. აღნიშნულის შედეგად გადასახადებს დაქვემდებარებული საწარმოები კრახის წინაშე აღმოჩნდა.

2000-2003 წლებში გადასახადებზე თავის არიდებითა და ფასდაკლების საფუძველზე ჩრდილოვანმა ეკონომიკამ მთლიანად მოიცვა პირველადი მოხმარების საარსებო საშუალებებით მოსახლეობის ფართო ფენების უზრუნველყოფა. ბოლო პერიოდში პირველადი მოხმარების პროდუქტებზე სამომხმარებლო ფასთა ზრდა სწორედ მათი წარმოებისა და რეალიზაციის დროს საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრეებითაა გამოწვეული. გადასახადების ამოღების მაჩვენებელმა საშუალოდ წლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 24,2% შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე საქართველოში საკმაოდ დაბალია. ეს მაჩვენებელი 2001 წელს შეადგენდა 700 დოლარს, 2005 წელს კი –1391 დოლარს, ხოლო 2007 წელს კი –1600 დოლარს, ეს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებლები 28-32 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. ამას დაემატა ჩვენს ქვეყანაში შემოსავლების უთანასწორო გადანაწილების უარყოფითი ტენდენციაც. მკვეთრად გაღრმავდა ქონებრივი დიფერენციაცია. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რჩება საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მდიდარი ფენა შეადგენს 5-7%-ს, შეძლებული ფენა – 10-15%-ს, უღარიბესი ფენა 50–60%–ია, დანარჩენი (ანუ საშუალო ფენა) 25-30% კი გადანაწილებულია უღარიბეს და შეძლებულ ფენებს შორის.[1]

ამჟამად საქართველო სხვა ძირითადი მახასიათებლების მიხედვითაც დაბალი განვითარების ქვეყნების რიგში თავსდება. კერძოდ, საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა უნდა შეადგენდეს მისი საერთო რაოდენობის 10%–ს (ნორმალურია). საქართველოში კი იგი 34%-ია. უმუშევრობის დასაშვები დონე 7%-ია, (რაც ბუნებრივია) საქართველოში კი, 2007 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი 16,1%-ია[2]. თუ წინა წლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები ქვეყანაში ძირითადად მიღწეული იყო ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობის შედეგად ინვესტიციების ნაკადებისა და ერთობლივი შემოსავლების ზრდით, 2004-2007 წლებში მატება ძირითადად მიღწეულ იქნა საერთო ეკონომიკური გამოცოცხლების შედეგად. ამავე პერიოდში ეს პროცესი სამეწარმეო სექტორის საქმიანობის, იმპორტის ლეგალიზაციისა და საგადასახადო ადმინისტრირების თვისებრივ გაუმჯობესე-ბის, მთლიანი შიდა პროდუქციის საერთო ეკონომიკური ზრდის, გადასახადების ამოღებისა და საბიუჯეტო სექტორის შემოსავლების მატებაში აისახა.

[1] ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა (მოკლე მიმოხილვა) თბ., საგამომც. ფირმა „სიახლე", ბროშურა, 2002. გვ. 48.
[2] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2007 წ./ საქართველოს ეკ. განვითარების სამინისტროს სახელმწიფო-საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი თბ., 2007. გვ. 72.

საქართველო ძირითადად არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობით, რომელიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტიული სექტორია. საკმარისია ითქვას, რომ აგროსამრეწველო სექტორში დასაქმებულია 1 მილიონი ადამიანი, ანუ ქვეყანაში საერთოდ დასაქმებულთა 38 პროცენტი და საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის (2218 ათასი ადამიანი) – 45 პროცენტი; დღეისათვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 12 პროცენტია. აღნიშნულ სექტორს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის ამოქმედებაც კიდევ უფრო განამტკიცებს თავის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სოციალურ წინსვლაში, უმოკლეს ვადაში გადააქცევს კვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსხვილ ექსპორტიორად. საქართველოში აგრო-სამრეწველო პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ნედლეული ხშირად უცხოეთიდან, ქიმიკატებით დაბინძურებული პროდუქტების სახით შემოდის, როცა საამისოდ საჭირო ადგილობრივი ნატურალური ხილი ფუჭდება. ამის მიზეზია ის, რომ არ ხდება ხილის გადამამუშავებელ ქარხნების განახლება.

უარესი მდგომარეობაა ბოსტნეულის პროდუქტების წარმოების სფეროში. დღეისათვის საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე უცხოეთის 16 ქვეყანას შემოაქვს ტომატ-პროდუქტები. ქართული წარმოების ტომატ-პროდუქტების ხვედრითი წილი ბაზრის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს. მარტო მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში წარმოებულ ტომატ-პროდუქტებს შეუძლია არა თუ მთლიანად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა აღნიშნულ პროდუქტებზე, არამედ დიდი ოდენობით გავიტანოთ ეს პროდუქტი ექსპორტზე. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შიდა სამომხმარებლო ბაზრის საერთო მოცულობის (66,0 მილიონი აშშ დოლარი) 63 პროცენტი თურქეთს უკავია, აზერბაიჯანს – 8 პროცენტი, სომხეთს – 5 პროცენტი, დანარჩენ ქვეყნებს – 6 პროცენტი; საქართველოს კი – მხოლოდ 18,0 პროცენტი. ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც აგრარული პროდუქციის წარმოების დიდი ტრადიციები და პოტენციალი აქვს.

სოფლის მეურნეობის საწარმო და რესურსული პოტენციალის დაახლოებით 50%-ია გამოყენებული. მეტად არადამაკმაყოფილებელია ამ რესურსების ხარისხი: შრომითი რესურსები არის გადახდისუუნარო, მიწის რესურსები კი არის ეროზირებული, დანაწევრებული, მეწარმის უნარი უმნიშვნელო და არასათანადო დონეზეა გამოყენებული. არაეფექტურია წარმოების ორგანიზაცია და მართვა, უგულებელყოფილია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენება;

ფისკალური პოლიტიკის შედარებით გამკაცრების საერთო ტენდენციაზე მეტყველებს საბიუჯეტო დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქციასთან თანაფარდობის შემცირების ტენდენცია. 2000-2001 წლებში საგადასახადო შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქციასთან შედარებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა, 2002-2003 წლებში მისი მატება მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდას ჩამორჩა, 2004-2005 წლებში საგადასახადო შემოსავლების მატებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდას. მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდასთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების გადამეტებით ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იქნა მომდევნო – 2006-2007 წლებშიც (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

საგადასახადო შემოსავლებისა და მშპ-ის რეალური ზრდა საქართველოში



ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფიკი 1—საგადასახადო შემოსავლების რეალური ზრდა

გრაფიკი 2—მშპ-ის რეალური ზრდა

წყარო: საკუთარი გაანგარიშება.

ფისკალური სფეროს განვითარების მიღწეული ტემპის შენარჩუნება ქმნის სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების პირობებს განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად.

ლარის მოთხოვნა-მიწოდების ზრდის ტემპებს შორის განსხვავება გამოიწვია ლარებში დანაზოგების ზრდამ. 2005 წელს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მოცულობა 474,1 მლნ დოლარი იყო, 2006 წელს ამ მაჩვენებელმა 1000 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2007 წელს – 1000 მლნ დოლარს, ხოლო დღეისათვის კი ეს მაჩვენებელი 1300 მლნ დოლარს აღემატება. ფულად-საკრედიტო სფეროში განხორციელებული მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას გააჩნია საერთო მასტაბილიზებელი ხასიათი.

საბანკო სისტემა დოლარიზაციის შემცირების საერთო ტენდენციით ხასიათდება. 2005 წლის მდგომარეობით საბანკო დეპოზიტების დონე დაუბრუნდა 2000 წლის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს, ხოლო 2006-2007 წლებში ზრდის ტენდენცია განუხრელად იქნა შენარჩუნებული. იგი არსებითადაა დამოკიდებული ლარის სავალუტო კურსის სტაბილურობაზე. საბანკო სისტემიდან სესხების ნომინირება დანაზოგების, მსხვილი აქტივებისა და ეკონო-მიკური ოპერაციების ღირებულების განსაზღვრა, ჩამოყალი-ბებული ტრადიციისამებრ, ჯერ კიდევ უცხოურ ვალუტაში ხორციელდება

2004-2007 წლებში ფასების საერთო დონის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრებამ, რომლის გამოც სამომხმარებლო ბაზარზე საწვავის, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და სხვა სახის პირველადი მოხმარების პროდუქციის გაძვირება აღინიშნა. ფასების ზრდა გამოიწვია ინფლაციის მოლოდინმაც. 2007 წელს ინფლაციამ შეადგინა 11%, ხოლო 2006 წელს კი – 9,5%. 2005 წელს საქართველოში ინფლაციის დონემ 6,2% შეადგინა. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 7,5% იყო, 2003 წელს –7%, 2002 წელს კი–5,4%. 2004-2007 წლებში ფასების ზრდაზე ასეთი გავლენა მოახდინა მსოფლიო ინფლაციის დაჩქარებამ და საქართველოში ფისკალური ადმინისტრირების გამკაცრებამ. კლიმატური პირობების გაუარესებამ ადგილობრივი პროდუქციის მიწოდების შემცირება გამოიწვია.

ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პარამეტრია საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის სიდიდე. ჩვენი ქვეყნის წმინდა ექსპორტი უარყოფითია. 2007 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3976,5 მლნ. აშშ. დოლარი, ხოლო 2008 წელს კი – 4500 მლნ აშშ. დოლარი. საგარეო ვაჭრობის დეფიციტს ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტები. საზღვარგარეთიდან დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საზღვარგარეთ სამუშაოდ ემიგრირებლ მუშაკთა მიერ გამომუშავებული და საქართველოში რეპატრირებული თანხები. ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა არასახარბიელოა. ექსპორტში ჭარბობს ნედლეული და აგრარული პროდუქციის ხვედრითი წილი. კერძოდ, ექსპორტში დომინირებს: თხილი, ციტრუსი, მინერალური სასუქები, მინერალური წყლები, შავი და ფერადი ლითონების ჯართი, დაუმუშავებელი ოქრო და სხვა, იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი მზა სამრეწველო და ფუფუნების საგნები. ეს ამტკიცებს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის არასწორი მიმართულებით გატარებას.

როგორც უკანასკნელი წლების საქართველოს სოციალურ-ეკონო-მიკური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კი-დევ არ არის შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, სადაც გამოკვეთილი იქნება ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტული დარგები, მათი სრულმასშტაბიანი ამოქმედებისათვის საჭირო რესურსების უზრუ-ნ-ველ-მყოფი წყაროები, ამ დარგებში დამზადებული პროდუქციის გასაღების შიდა და საგარეო ბაზრები და სხვა მახასიათებლები.

ამრიგად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არასახარბიელოა. მისი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საქართველოში აქტიური სასაქონლო პოლიტიკის გატარება იმ პრიორიტეტული დარგების შერჩევით, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს შექმნის შემთხვევაში უზრუნველყოფენ მაქსიმალურ უკუგებას. ასეთ დარგებად პირველ რიგში უნდა მივიჩნიოთ აგროსამრეწველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსი, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, რომლებიც ხასიათდებიან რიგი კონკურენტული უპირატესობით;

2. მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საფინანსო-საწარმოო ჯგუფების ჩამოყალიბება, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე. მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაერთიანებით;

3. სწორი საწარმოო პოლიტიკის გატარებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უცხოელი და ადგილობრივი ინვესტიციებისათვის ერთნაირი სამოქმედო პირობების შექმნას;

4. მინიმუმადე უნდა შემცირდეს ბიუროკრატიული პროცედურები. საჭიროა სრულყოფილ იქნეს სამართლებრივი ბაზა სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის სამეურნეო ურთიერთობების მოსაგვარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., პოსკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა., თბ. „პდპ“, 2002. გვ. 526.

2. მალაშხია გ., საქართველოს ეკონომიკა. საუკუნოვანი პანორამის შტრიხები., თბ., 2002.

3. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა (მოკლე მიმოხილვა) თბ., „სიახლე“, ბროშურა, 2002. გვ. 48.

4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2007 წ. საქართველოს ეკ. განვითარების სამინისტროს სახელმწიფო-საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი თბ., 2007. გვ. 72.

FOR GUARANTEEING SOCIAL-ECONOMICAL CONDITIONS IN GEORGIA

GULIKO KATAMADZE
Academical doctor of economy
Associated professor of BSU

Georgia, according to the Social-economical parameters, is in the list of developing countries. For manufacturing agro-products, raw material comes in our country as a chemical products, when local natural fruits used for this are spoiled. The majority of manufacturing and resourcal potentials are not used. Labour resources do not have paying abilities, land resources are erosirated, dismembered, the abilities of producers are not used importantly and rightly. Organization and leading of production are non-effective. Using of scientifical-technical achievements are ignored.

In order to improve social-economical conditions in Georgia, it is imporatnt to lead the following measures:

1. It is important to lead active manufacturing politics, by choosing those prioritical branches, which should guarantee maximal money returning, in case of creating favouable environment. In the number of these branches we should consider agro-manufacturing complex, feeding and easy productions, which are charactarized by the competitive superiorities.

2. Creating financial-manufacturing groups should be considered as the important direction, as for the international and regional level, by the uniting material and non-material assets.

3. For leading right manufacturing politics, it is important to pay attention to creating united activition conditions for foreing and local investments.

დინამიკური ოპტიმიზაციის ინტერპრეტაცია ფაზურ სივრცეში

ვაჟა მათურელი
თსუ, პროფესორი;
ნინო მათურელი
თსუ მაგისტრი

თავდაპირველად განვიხილოთ ამოცანის ინტერპრეტაცია იმ შემთხვევისათვის, როცა მართვადი სისტემის ფაზური სივრცე სიბრტყეს წარმოადგენს. ამოცანის ინტერპრეტაცია მრავალგანზომილებიანი ფაზური სივრცისათვის ანალოგიური იქნება.

ვთქვათ, ფაზური სივრცის ნებისმიერი (x_1,x_2) წერტილიდან დასაშვები მართვის (მმართველი ზემოქმდების) დახმარებით საჭიროა გადასვლა კოორდინატთა სათავეში, ამასთან, სისტემის მართვის ხარისხის რომელიღაც ამორჩეული კრიტერიუმი უნდა აღწევდეს ოპტიმუმს (მინიმუმს ან მაქსიმუმს). აქვე უნდა შევნიშოთ, რომ ფუნქციონალის მინიმუმის ამოცანა ადვილად შეიძლება შეიცვალოს შებრუნებული ნიშნით აღებული იგივე ფუნქციონალის მაქსიმუმის ამოცანით. ეს იგივეა, რომ ჩვეულებრივი რიცხვითი ფუნქციის მინიმუმის წერტილის განსაზღვრის ამოცანა შეიძლება შეიცვალოს "–" ნიშნით აღებული ამავე ფუნქციის მაქსიმუმის წერტილის განსაზღვრის ამოცანით.

იმისათვის, რომ ამოცანის ინტერპრეტაციის აზრი იქნას გაგებული, ჩვენ დაგვჭირდება განვიხილოთ ფაზური სივრცის ყველა (x_1,x_2) წერტილის რომელიღაც ფუნქცია. ეს ფუნქცია (x_1,x_2) სიბრტყის ყოველი წერტილისათვის განსაზღვრავს S რიცხვს – ოპტიმალობის კრიტერიუმის მნიშვნელობას, რომელიც მიიღწევა ოპტიმალური პროცესის დროს სისტემის გადასვლისას (x_1,x_2) წერტილიდან კოორდინატთა სათავეში. (ამ ფუნქციის ხშირად ბელმანის ფუნქციას უწოდებენ).

სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ ოპტიმალობის კრიტერიუმი დამოკიდ-ებულია უშუალოდ მართვადი სისტემის მხოლოდ ფაზურ კოორდინატებზე და არ არის დამოკიდებული უშუალოდ მმართველ ზემოქმედებებზე. ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს, მაგალითად, დრო, რომელიც საჭიროა სისტემის ერთი წერტილიდან მეორე წერტილში გადასვლისათვის.

ავაგოთ (x_1,x_2) ფაზურ სიბრტყეში ამ ფუნქციის დონის წირები (ანდა ზედაპირები – მრავალგანზომილებიანი ფაზური სივრცის შემთხვევაში), ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, $S=S_1$, $S=S_2$ .... მნიშვნელობების შესაბამისი დონის წირები.

დონის თითეული წირი შეესაბამება მართვის კრიტერიუმის ერთ სრულიად განსაზღვრულ მნიშვნელობას, რომელიც მიიღწევა ოპტიმალურ პროცესში წერტილის გადასვლისას დონის ამ წირის ნებისმიერ წერტილიდან კოორდინატთა სათავეში.

გარდა ამისა, დონის ეს წირები ხასიათდებიან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებით. თუ მართვადი სისტემის მდგომარეობის ამსახველი წერტილი დროის საწყის მომენტში იმყოფება S ფუნქციის მოცემული მნიშვნელობის დონის წირზე, მაშინ სისტემის მუშაობის კრიტერიუმის იმ მნიშვნელობის მიღებისათვის, რომელიც ზუსტად S-ის ტოლი იქნება, შეიძლება მხოლოდ სისტემის ოპტიმალური მართვის დროს, ე.ი. დროის მიხედვით მმართველი ზემოქმდების ან ამ სისტემის მდგომარეობის ამსახველი წერტილის კოორდინატების ცვლილებისას ოპტომალური ტექნოლოგიის შესაბამისად. ნებისმიერი სხვა დასაშვები მართვის პროცესი, რომელიც სისტემას გადაიყვანს იგივე საწყისი წერტილიდან კოორდინატთა სათავეში, მოგვცემს ოპტიმალობის კრიტერიუმის მეტ მნიშვნელობას.

გასაგებია, რომ სხვადასხვა S-ის შესაბამისი დონის წირები არ იკვეთებიან ერთმანეთთან. განსაზღვრული S-ის შესაბამისი დონის წირი მოიცავს თავის შიგნით S-ზე ნაკლები ყველა დონის წირებს.

ამგვარად, დავუშვათ, რომ ფაზურ სივრცეში აგებულია $S(x_1,x_2)$ ფუნქციის დონის წირები. ვთქვათ, რომელიღაც მრუდი წარმოადგენს სისტემის მდგომარეობის ამსახველი წერტილის ოპტიმალურ ტრაექტორიას, რომელიც აკავშირებს (x_{10},x_{20}) საწყის წერტილს კოორდინატთა სათავესთან. ეს ოპტიმალური ტრაექტორია გადაკვეთს S ფუნქციის დონის წირებს. მოდით ახლა ოპტომალური ტრაქტორიის დონის ყველა წირებთან გადაკვეთის წერტილებში ავაგოთ ვექტორი, ორთოგონალური (პერპენდიკულარული)

დონის წირთან ამ წერტილში გავლებული მხების მიმართ და მიმართული მოცემული დონის წირით შემოსაზღვრული არის შიგნით. ამ ვექტორს მოცემულ წერტილში დონის წირისადმი ნორმალი ეწოდება. აღვნიშნოთ იგი λ ასოთი. λ ნორმალის კოორდინატები აღვნიშნოთ შესაბამისად λ_1 და λ_2-ით.

ნორმალს გააჩნია მნიშვნელოვანი თვისება: იგი გვიჩვენებს ბელმანის S ფუნქციის უსწრაფესი კლებადობის მიმართულებას. ამგვარად აგებულ ნორმალს $S(x_1,x_2)$ ფუნქციის ანტიგრადიენტს უწოდებენ, ვინაიდან იგი გვიჩვენებს მიმართულებას, რომელიც ამ ფუნქციის გრადიენტის საწინააღმდეგო მიმართულებისაა. ახლა უკვე ადვილი გასაგებია, როგორ უნდა იქნას ამორჩეული ოპტიმალური $\bar{u}$ მართვა ფაზური (x_1,x_2) სიბრტყის ყოველ წერტილში. მართლაც, ფაზური (x_1,x_2) სიბრტყის ყოველ წერტილში, რომელშიც იმყოფება სისტემის მდგომარეობის ამსახველი წერტილი, არსებობს ორი ვექტორი: ერთი, სისტემის მდგომარეობის ამსახველი წერტილის სიჩქარის ვექტორი $\frac{d\bar{x}}{dt} = f(\bar{x},\bar{u})$, დამოკიდებული თვითონ $\bar{x}$ წერტილზე და $\bar{u}$ მართვაზე; მეორე – ნორმალის ვექტორი $\bar{\lambda}$.

იმისათვის, რომ მოცემული დროის განმავლობაში ოპტიმალობის კრიტერიუმის მნიშვნელობა შემცირდეს რაც შეიძლება მეტი სიდიდით, საჭიროა ისეთნაირად განვახორციელოთ მართვა $\bar{u}$ (რასაკვირველია, დადგენილი შეზღუდვების პირობებში), რომ მასზე დამოკიდებული ვექტორი $f(\bar{x},\bar{u})$ რაც შეიძლება მეტად დაემთხვეს (დაუახლოვდეს) $\bar{\lambda}$ ნორმალს. ზუსტად რომ ვთვათ, ისე უნდა განვახორციელოთ მართვა, რომ $f(\bar{x},\bar{u})$ ვექტორის პროექცია $\bar{\lambda}$ ნორმალზე იყოს მაქსიმალური.

ეს პირობა, ცხადია, უნდა სრულდებოდეს ოპტიმალური ტრაექტორიის ყოველ წერტილში. თუ $\bar{\lambda}$ ნორმალზე $f(\bar{x},\bar{u})$ ვექტორის პროექციას ავღნიშნავთ $\text{პრ}_{\bar{\lambda}}\, f(\bar{x},\bar{u})$ -თი, მაშინ ოპტიმიზაციის პირობა შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს: $\text{პრ}_{\bar{\lambda}}\, f(\bar{x},\bar{u}) \to \max$ $\text{პრ}_{\bar{\lambda}}\, f(\bar{x},\bar{u})$ შეიძლება გამოვსახოთ უშუალოდ $f(\bar{x},\bar{u})$ ფუნქციისა და $\bar{\lambda}$ ვექტორის კოორდინატების საშუალებითაც შემდეგნაირად:

$$\text{პრ}_{\bar{\lambda}}\, f(\bar{x},\bar{u}) = \lambda_1 f_{x_1}(\bar{x},\bar{u}) + \lambda_2 f_{x_2}(\bar{x},\bar{u})$$

თუ სკალარული ნამრავლის სახით წარმოვადგენთ, მივიღებთ, რომ

$$\text{პრ}_{\bar{\lambda}}\, f(\bar{x},\bar{u}) = \bar{\lambda} f(\bar{x},\bar{u})$$

ეს პირობა შეიძლება სხვანაირადაც ჩაიწეროს: თუ $u^*(t)$ – ოპტიმალური მართვაა, $x^*(t)$ - მისი შესაბამისი ოპტიმალური ტრაექტორია, $\bar{\lambda}(t)$ დონის წირისადმი ნორმალი t დროის ყოველ მომენტში, მაშინ დროის ყოველ t მომენტში უნდა სრულდებოდეს პირობა:

$$\max H = \max H\{\bar{\lambda}(t) f[\bar{x}(t),\bar{u}]\} = H\{\bar{\lambda}(t) * f[\bar{x}*(t),\bar{u}*(t)]\}$$

სადაც ბოლო ტოლობის მარჯვენა ნაწილის მაქსიმალური მნიშვნელობა იძებნება ფიქსირებული $\bar{\lambda}(t)$, $\bar{x}(t)$ ვექტორების დროს $\bar{u}$ მართვის ცვლილებათა დასაშვებ არეში. ფუნქციას, რომლის მაქსიმუმსაც ვეძებთ, ჰამილტონის ფუნქციას უწოდებენ. ეს ფუნქცია აღნიშნულია H ასოთი. ამოცანის ასეთი ინტერპრეტაცია უდევს საფუძვლად მაქსიმუმის პრინციპს.

მაქსიმუმის პრინციპის მთავარი როლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი იძლევა შესაძლებლობას განსაზღვრული იქნას ოპტიმალური $\bar{u}(t)$ მართვა $\bar{\lambda}(t)$ და $\bar{x}(t)$ სიდიდეებთან დამოკიდებულებაში.

მაქსიმუმის პრინციპის პირობები მართვადი სისტემისათვის n განზომილებიან სივრცეში ანალოგიურად ასე ჩაიწერება:

$$\max_u H = \{\bar{\lambda}_1 * (t) f_1[\bar{x}*(t), u] + \ldots + \bar{\lambda}_n * (t) f_n[\bar{x}*(t), u]\}$$

სადაც ვექტორი $\bar{\lambda}(t)$ კოორდინატებით

$[\lambda_1^*(t), \ldots, \lambda_n^*(t)]$

ბელმანის S ფუქნციის დონის ზედაპირისადმი შიდა ნორმალია $(x_1, \ldots, x_n)$ ფაზურ სივრცეში ოპტიმალური ტრაქტორიის დონის ამ ზედაპირთან გადაკვეთის წერტილში.

მაქსიმუმის პრინციპიდან შეიძლება, აგრეთვე, მიღებულ იქნას განტოლება $\bar{\lambda}^{\cdot}(t)$ ვექტორის, როგორც დროის ფუნქციის, განსაზღვრისათვის.

მაქსიმუმის პრინციპის გამოყენებას ჯერ კიდევ არ მივყავართ ოპტიმიზაციის დასმული ამოცანის გადაწყვეტამდე; მას დაჰყავს ამ ამოცანის ამოხსნა, რომლიდაც სტანდარტულ ამოცანამდე. ჩვეულებრივ დიფერენციერებულ განტოლებათა სისტემისათვის 2n განზომილებიან სივრცეში. ამ ამოცანის ამოხსნის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნების სიმრავლიდან ამორჩეულ უნდა იქნას ის ამონახსენი, რომელიც გადის სისტემის

ფაზური სივრცის ორ მოცემულ წერტილში: საწყის და საბოლოო წერტილებში.

ასეთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნისთვის საჭიროა გამოყენებულ იქნას სპეციალური მეთოდები, რომლებიც საკმაოდ კარგად არის დამუშავებული დიფერენციალური განტოლებების თეორიაში და მიახლოებით რიცხვით გაანგარიშებათა პრაქტიკაში.

INTERPRETATION OBJECT OF DYNAMICAL OPTIMIZATION IN PHASE SPACES

VAJA MATURELI
Professor of the TSU

In actives examined the questions incididentul of substational object dynamical optimization, wtich constitute necessary premise for interpretation primciple maximum of Pontreagin.

მართვის ოპტიმიზაციის დინამიკური ამოცანები

ვაჟა მათურელი
თსუ პროფესორი
ნინო მათურელი
თსუ მაგისტრი

მართვის სხვადასხვა სახის ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ამოცანებს, რომლებშიაც მართვის ობიექტი უწყვეტი მოძრაობისა და ცვლილებების მდგომარეობაშია გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ასეთი ობიექტების მართვის ამოცანები განეკუთვნებიან მართვის დინამიკური ამოცანების კლასს.

ობიექტს ეწოდება მართავდი, თუ მასზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს შორის არსებობენ ისეთი ფაქტორები, რომელთა ზეგავლენითაც შეიძლება მისი მოძრაობის ხასიათის შეცვლა. ასეთ მიზანდასახულ ზემოქმედებებს მმართველ ზემოქმედებებს უწოდებენ და აღნიშნავენ $\bar{u}(t)$-თი.

მართვის ობიექტის ხასიათი განისაზღვრება დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით:

$$\frac{d\bar{x}}{dt} = f(\bar{x}, \bar{u},), \quad \bar{x}(0) = \bar{x}_0$$

მართვა $\bar{u}(t)$ შედის ამ განტოლებებში; ასე რომ ისინი განსაზღვრავენ არა უბრალოდ ობიექტის კონკრეტულ მოძრაობას, არამედ ტექნიკურ შესაძლებლობებსაც, რომლებიც შეიძლება რეალიზებულ იქნან ამა თუ იმ მართვის ფორმატში.

იმის შეფასება, თუ რამდენად მიიღწევა დასახული მიზანი ამა თუ იმ მართვის მეთოდის დროს, შეიძლება მიზნის ფუნქციის შემოღებით:

$$F = F_\theta[\bar{x}(t), \bar{u}(t)]$$

თუ მაგალითად, $\bar{u}(t)$ არის საწვავის მყისიერი ხარჯვა, ხოლო $\bar{x}(t)$ – ობიექტის მყისიერი სიჩქარე, მაშინ საწვავის ხარჯვის თვალსაზრისით მართვის ხარისხი დროის ნებისმიერ მომენტში $F(t)=\bar{u}(t)/\bar{x}(t)$ რომელიც, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება ბუნების θ მდგომარეობაზე, ე.ი. მოძრაობის პირობების განმსაზღვრელ გარე ფაქტორების ერთობლიობაზე: $F = F_\theta[\bar{x}(t), \bar{u}(t)]$

ამ სახის მიზნის ფუქნცია იშვიათად გამოიყენება, რადგანაც იგი მართვადი პროცესის მყისიერ მნიშვნელობათა შეფასებას იძლევა მაშინ როდესაც ამოცანათა დიდ უმრავლესობაში უნდა შეფასდეს პროცესები მართვის მთელი დროის განმავლობაში 0-დან T-მდე.

ხშირად მიზნის ფუნქცია შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთნაირად, რომ პროცესის შეფასება განხორციელებულ იქნას მართვის ობიექტში მიზნის ფუნქციის ინტეგრირების გზით მართვის მთელი პერიოდისათვის, ე.ი. მართვის ხარისხის კრიტერიუმად მიღებულ იქნას ფუნქციონალი:

$$I(\bar{u}) = \int_0^T F_\theta[\bar{x}(t), \bar{u}(t)]dt$$

ასე, რომ თუ მიზნის ფუნქციას აქვს დანაკარგების ფიზიკური აზრი, მაშინ ეს ფუნქციონალი განსაზღვრავს ჯამურ დანაკარგებს მართვის მთელი პროცესის განმავლობაში.

ზოგჯერ მართვის მიზნის ამპლუაში შეიძლება მოცემულ იქნას $\bar{x}(t)$ პროცესის სასურველი მიმდინარეობა. ამ მიზნის ფუნქციის რანგში აიღება $\bar{x}(t)$ პროცესის სასურველი პროცესისაგან გადახრის კვადრატული ან აბსოლუტური მნიშვნელობა:

$$F = [\bar{x}(t) - \bar{z}(t)]^2, \qquad F = |\bar{x}(t) - \bar{z}(t)|$$

ასეთ შემთხვევებში მართვის ხარისხის $I(\bar{u})$ კრიტერიუმი განსაზღვარავს მთლიან კვადრატულ ან აბსოლუტურ ცდომილებას.

მართვის დინამიკურ ამოცანებში $\bar{u} \in W$ შეზღუდვების გარდა საქმე გვაქვს ხოლმე შემდეგი სახის ინტეგრალურ შეზღუდვებთანაც:

$$\int_0^T H_\theta[\bar{x}(t), \bar{u}(t)]dt \le k = const$$

ხშირად, მაგალითად, ვხვდებით რაიმე $\alpha(\bar{x}, \bar{u})$ პარამეტრის მყისი მნიშვნელობის ცვლილების საზღვრების შეზღუდვის აუცილებლობას მართვის პროცესში. ავღნიშნოთ α_0-ით α პარამეტრის მნიშვნელობა, რომლის გადაჭარბებაც არ არის სასურველი. თუ ინტეგრალქვეშა $F(\bar{x}, \bar{u})$ ფუნქციას, რომელსაც ჯარიმის ფუნქციას უწოდებენ, განვსაზღვრავთ დამოკიდებულებებიდან:

$$H_0(\bar{x}, \bar{u}) = \begin{cases} [\alpha(\bar{x}, \bar{u}) - \alpha_0]^2, & \text{თუ } \alpha(\bar{x}, \bar{u}) > \alpha_0 \\ 0 & \text{თუ } \alpha(\bar{x}, \bar{u}) \le \alpha_0 \end{cases}$$

მაშინ ზემოთმოყვანილი ინტეგრალური შეზღუდვა გამოსახავს მოთხოვნას, რომ α პარამეტრის მყისიერმა მნიშვნელობამ შეიძლება გადააჭარბოს α_0-ს მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში და უმნიშვნელო სიდიდით. ეს

პირობა შესრულდება მით უფრო მკაცრად, რაც უფრო მცირეა k. ასე რომ, თუ k=0 მაშინ შეზღუდვა

$$\int_0^T H_\theta[\overline{x}(t), \overline{u}(t)]dt \le k = const$$

საერთოდ არ დაუშვებს α_0-ის მიმართ α-ს გადაჭარბებას. ასეთი სახის შეზღუდვა წარმოიქმნება მაშინაც, როცა საქმე გვაქვს შეზღუდულ რესურსებთან.

ოპტიმალური ეწოდება ისეთ $\overline{u}^*(t)$მართვას დასაშვებ მმართველ ზემოქმედებას W სივრციდან, რომელიც მოძრაობის განტოლებისა

$$\frac{d\overline{x}}{dt} = f(\overline{x}, \overline{u},), \quad \overline{x}(0) = \overline{x}_0$$

და რესურსების მოცემული

$$\int_0^T H_\theta[\overline{x}(t), \overline{u}(t)]dt \le k = const$$

შეზღუდვების პირობებში უზრუნველყოფს

$$I(\overline{u}) = \int_0^T F_\theta[\overline{x}(t), \overline{u}(t)]dt$$

მიზნობრივი ფუნქციონალის ექსტრემუმს.

მართვის დინამიკური ამოცანა შეიძლება იყოს დეტერემინირებული, თუ ბუნების მდგომარეობათა სივრცე შედგება ერთი ელემენტისაგან, და სტოქასტური, თუ ბუნების მდგომარეობათა სივრცე შეიცავს ერთზე მეტ ელემენტს და მოცემულია ალბათობათა აპრიორული განაწილება ამ სივრცეში.

სტოქასტიკურ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანია ადაპტური მართვის ამოცანები, რომლებიც მაშინ გამოიყენებიან, როცა ბუნების მდგომარეობის შესახებ აპრიორული მონაცემები არ არის საკმარისი ეფექტური მართვის განხორციელებისათვის, ანდა თვით მართვის ობიექტის მათემატიკური აღწერა არ არსებობს.

ადაპტური მართვის მიზანია დააზუსტოს მონაცემები ბუნების მდგომარეობის შესახებ ან მართვის ობიექტის მახასიათებლები უშუალოდ მართვის პროცესში მართვის სხვადასხვა მეთოდების აპრობაციის გზით და შეარჩიოს ისეთი მეთოდი, რომელიც კონკრეტულ პირობებში უზრუნველყოფს ობიექტის ეფექტურ მართვას.

THE DYNAMIC TASKS OF OPTIMIZATION MANAGEMENT

VAJA MATURELI
NINO MATURELI

In the given work the conceptual aspects connected to different mathematical modification construqtions for aims of dynamic tasks are given.

სახელისუფლო ორგანოების ინფორმაციული სტრუქტურის დაზიანების ეკონომიკური ასპექტი და მისგან თავდაცვის მეთოდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულად ნაკაშიძე
თსუ დოქტორანტი
დემურ სიჯინავა
თსუ ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერ ეპოქაში, სახელისუფლო ორგანოებს ყოველთვის გააჩნდათ, იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი და საკმარისი ინფორმაციაც და გარკვეული საინფორმაციო სისტემაც, რომელიც მოიცავდა თავად ინფორმაციას, მისი გადამუშავების მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს. აგრეთვე საინფორმაციო პროცესებში ჩართულ ადამიანებს.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული გაიზარდა ინტერესი ვირტუალური ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი, რაც გამოიწვია კონკურენციულმა ბრძოლამ ფირმებს, კომპანიებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. გამონაკლისს არ წარმოადგენს სახელისუფლო მმართველობითი ორგანოების ინფორმაციული ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მსოფლიო პრაქტიკაში ინფორმაციის დამახინჯების, მოპარვის თუ განადგურების უამრავი მაგალითებია. აქედან გამომდინარე ელექტრონული ინფორმაციის დაკარგვის საშიშროება საინფორმაციო სისტემების თანმხლებ პრობლემად იქცა. ამიტომ ვირტუალური ინფორმაციის დაცვისთვის საჭირო გახდა, არა მარტო უბრალოდ დაცვის მექანიზმების შემუშავება, არამედ მთელი რიგი ღონისძიებების გატარება.

როცა ვსაუბრობთ სახელისუფლო ორგანოების მმართველობითი ფუნქციების სრულყოფაზე, მხედველობაში გვაქვს თვისობრივად და პრინციპულად განსხვავებული თანამედროვე ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა, რომლის ფუნქციონირებაც დამოკიდებულია გარკვეული სუბიექტებისა და ობიექტების მდგომარეობის ამსახავი ინფორმაციის ფორმირებასთან, შეკრებასთან, დამუშავებასა და შენახვასთან. სახელისუფლო ორგანოების მმართველობითი საქმიანობა, როგორც სისტემა, წარმოადგენს მონაცემთა ბაზებისა და საკომუნიკაციო ხაზების განშტოებულ ქსელს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოების ყველა სტრუქტურასა და ქვედანაყოფში მეტნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის ცირკულირებას.

სახელმწიფოს სრულყოფილი მართვის განხორციელებაში ნომერ პირველი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ სახელწიფოს სახელისუფლებო და მმართველობითი ორგანოების აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციით უზრუნველყოფას. ეს კი გულისხმობს სახელისუფლო ინფორმაციის მომხმარებელთა უზრუნველყოფას თანამედროვე საინფორმაციო, ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებებით. ამ უკანასკნელის შექმნა, დანერგვა და სრულყოფა მოგვცემს ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხობრივად ახალ სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობას.

ქვეყნის ახალ ეკონომიკაზე გადასვლამ აქტუალური გახადა, სახელმწიფოს მართვის სფეროში ინფორმაციული და ინფორმაციულ-ანალიტიკური მხარდაჭერის მიმართ ახალი მიდგომების შემუშავება. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისას, ინფორმაცია უნდა განვიხილოთ სახელისუფლო მართვის ორგანოების, როგორც აუცილებელი ატრიბუტი, რომლის გარეშე მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების წარმატებული გამოყენება შეუძლებელია. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ როგორც ყველა საინფორმაციო სისტემა, მათ შორის, სახელისუფლო ორგანოების საინფორმაციო სისტემაც განიცდის მუდმივ ცვლილებას, იხვეწება და იძენს უფრო მაღალ ხარისხს.

სახელისუფლო და მმართველობითი ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფის შექმნაში არსებული პრობლემები უნდა განვიხილოთ ინფორმაციული ბაზების შექმნისა და გამოყენების სხვადასხვა ჭრილში. მათ შორის, განსკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ:

პირველი – ნორმატიული და სამართლებრივი აქტების შემუშავების პრობლემას, რომელიც სახელისუფლო ორგანოების საინფორმაციო სფეროში ინფორმაციის მომხმარებელთა ურთიერთობების ძირითადი მარეგულირებელი საშუალებაა;

მეორე – სახელისუფლო ორგანოების საინფორმაციო რესურსების საფუძველზე სრულყოფილი ინფორმაციული ბაზების შექმნის პრობლემას, სახელისუფლო ორგანოებში არსებული ავტომატიზებული სისტემებისა და ინფორმაციული ქვეგანყოფილებების მიხედვით;

მესამე და მთავარი – შექმნილი, სახელისუფლო ორგანოების ინფორმაციული ბაზების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში ნომერ პირველ პრობლემად გვევლინება.

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში სწორედ მესამე პრობლემაზე გვექნება საუბარი. უწინარეს ყოვლისა, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია თანამედროვე ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიების, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. მოცემულ მომენტში სახეზეა სახელისუფლო ორგანოების მმართველობით სისტემაში სასიკეთო ძვრები თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. თუმცა კომპიუტერიზაცია და თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ჯერ კიდევ შორსაა.

არსებობს ინფორმაციის დამახინჯების მრავალი მიზეზი, თუ საშუალება. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ინფორმაციის გადაცემის საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების ფიზიკური გაუმართაობა, ან ინფორმაციის გამტარუნარიანობის დაბალი ხარისხი, ან შეშფოთებებისაგან დამცავი ტექნიკური საშუალებების უქონლობა. ჩამოთვლილი მიზეზები იწვევენ შეშფოთების ხარისხის ამაღლებას და საკომუნიკაციო საშუალებებში ცირკულირებადი ინფორმაციის მნიშვნელოვან დამახინჯებას. შესაბამისად, სახელმწიფოს სახელისუფლო ორგანოების მმართველობითი ფუნქციების შეფერხებას, ან საერთოდ მართვის ჩაშლას.

აღვილი წარმოსადგენია, თუ რამხელა იქნება, სახელისუფლო ორგანოების საინფორმაციო ბაზებში არსებული, დამახინჯებული ინფორმაციის გამოყენებით სახელმწიფოსთვის მიყენებული, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ზარალი.

ზემოთ აღწერილის გამოსწორება შესაძლებელია, სახელისუფლო ორგანოების მართვაში გამოყენებული მოძველებული, ან არასრულყოფილი ტექნიკური საშუალებების, თანამედროვე სრულყოფილი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების დანერგვის გზით. მაგრამ არსებობს ინფორმაციის დამახინჯების, ან საერთოდ დაკარგვის (მოპარვის გზით) თანამედროვე, არა ტექნიკური, არამედ ტექნოლოგიური (პროგრამული პროდუქტები) საშუალებები.

ადამიანის ფენომენალური აღმოჩენის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ კომპიუტერების შექმნა, რომელმაც, თავის მხრივ, წარმოშვა ახალი ფენომენი კომპიუტერული ვირუსები (Viruses). კომპიუტერულ ვირუსებს გააჩნიათ ბიოლოგიური ვირუსების ყველა ატრიბუტი: გამრავლების, გარემოსთან ადაპტირების, გადაადგილების უნარი და სხვა.

კომპიუტერული ვირუსების ფენომენი – ადამიანთა ორი ჯგუფის გონების ჭიდილია. პირველის ნაყოფია კომპიუტერული ვირუსები, ხოლო მეორე დაკავებულია ამ ვირუსების კოდების გაშიფვრითა და მისი საწინააღმდეგო ანტივირუსების შექმნით.

როგორც ყველა სხვა საინფორმაციო ბაზების, ისე სახელისუფლო ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ნომერ პირველი გამანადგურებელი, პატარა ტანის მქონე, კომპიუტერული მავნებლური პროგრამები, ანუ ვირუსები არიან,

ერთი შეხედვით, ეს პრობლემა თითქოს არაა განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ ვირუსების მიერ კერძო პირებისთვის, თუ ორგანიზაციებისთვის მიყენებულ ზარალს, რომელიც მილიარდობით დოლარს აღემატება, დავრწმუნდებით, რომ კომპიუტერულ ვირუსებთან ბრძოლა მსოფლიო საზოგადოებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა..

ანტივირუსული პროგრამის შემქმნელი ფირმების ძალისხმევის მიუხედავად, კომპიუტერული ვირუსების მიერ მიყენებული ზარალის ოდენობა ასტრონომიულად იზრდება. ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ ანტივირუსული პროგრამები და ტექნიკური საშუალებები არ იძლევიან ვირუსებისგან დაცვის სრულ გარანტიას. არამარტო უბრალოდ

კომპიუტერის მომხმარებლები, არამედ პროფესიონალი პროგრამისტებიც უსუსურნი არიან ვირუსებთან ბრძოლაში, რაც, უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია იმით, რომ მათ კომპიუტერულ ვირუსებზე ზერელე წარმოდგენა გააჩნიათ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ ავხსნათ თუ რა არის **კომპიუტერული ვირუსი**? ბიოლოგიურად, სამედიცინო გაგებით, სიტყვა ვირუსი (ლათ. Virus – შხამი) წარმოადგენს სიცოცხლის არაუჯრედოვან ფორმას მარტივი პარაზიტული სტრუქტურით, რომელსაც გააჩნია უნარი შეაღწიოს უჯრედში და გამრავლდეს. კომპიუტერული ვირუსი თავისი ქცევით კი ჰგავს ბიოლოგიურ ვირუსს, მაგრამ იგი შედგება არა ნუკლეინის მუავეებისგან, არამედ მათემატიკური გამოსახულებებისგან.

კომპიუტერული ვირუსი არის პატარა ტანის, რთული კოდის მქონე მავნებლური პროგრამა, რომელსაც გააჩნია გამრავლებისა და გავრცელების თვისება კომპიუტერის მეხსიერებაში არსებულ პროგრამებში თვითჩანერგვის გზით.

კომპიუტერული ვირუსების ზემოქმედებით შეიძლება: მონიტორის ეკრანი ამოტრიალდეს; ძლიერ შენელდეს კომპიუტერის მუშაობა; მონიტორის ეკრანიდან გაქრეს ინფორმაცია; გამოჩნდეს ეკრანზე უცხო ფრაზები და სხვადასხვა ვიდეო-ეფექტები; კომპიუტერის მეხსიერების დისკებზე გაჩნდეს გაფუჭებული ფაილების დიდი რაოდენობა; ერთბაშად დაინგრეს დისკზე ფაილური სისტემა; ოპერაციულმა სისტემამ ვერ დაინახოს ვინჩესტერი; მოხდეს ფაილების წაშლა, ან ვინჩესტერის დაფორმატება და სხვ.

კლასიკურ კომპიუტერულ ვირუსებს მიეკუთვნებიან: **თანამგზავრი-ვირუსები** (ყველაზე პრიმიტიული ვირუსებია), **ფაილური-ვირუსები, ჩამტვირთავი-ვირუსები, მაკრო-ვირუსები** (ვირუსების ორიგინალური კლასია), **ვირუსი-მოჩვენებები** და სხვ.

ხშირად, არასპეციალისტები **კომპიუტერულ ვირუსებს** მიაკუთვნებენ ისეთ **მავნებლურ** პროგრამებს,როგორიცაა **ტროიანები** (Troj–ტროას ცხენები), **პროგრამა-ჯაშუშები** და **სპამები**.

ტროიანები. მათი სახელწოდება წარმოიშვა მითიური ტროას ცხენიდან, რომელიც გარედან მომხიბვლელად გამოიყურება, მაგრამ შიგნით საფრთხე იმალება. ეს პროგრამები ვირუსებისგან იმით განსხვავდება, რომ ის იმართება ადამიანის მიერ, რომელიც ზის გლობალური ქსელის მეორე მხარეს. ტროიანებს გააჩნია სხვადასხვა ფუნქცია: მათი უმეტესობა განკუთვნილია მხოლოდ პაროლების მოსაპარავად; ტროიანებს შეუძლიათ ამოიღონ სხვადასხვა სახის ინფორმაცია მსხვერპლის კომპიუტერიდან; შეცვალონ ინფორმაცია კომპიუტერის შიგნით; შეუძლიათ, მთლიანად აკონტროლონ მსხვერპლის კომპიუტერი.

ჯაშუშური პროგრამა – Spyware (ინგლ. Spy – ჯაშუში და Software – პროგრამული უზრუნველყოფა) – ეს არის პროგრამა, რომელიც არასანქციონირებულად ყენდება მსხვერპლის კომპიუტერზე, მისი ნაწილობრივი ან სრული გაკონტროლების მიზნით.

სპამები – ეს არის მოთხოვნის გარეშე გამოგზავნილი ანონიმური მასობრივი გზავნილები. ბოლო პერიოდში სპამების შექმნის ტენდენცია მიზანმიმართული გახდა. მათი იერიშები კი შეუმჩნეველი. ყოველწლიურად ქსელით გადაიცემა 120 მილიარდი არასასურველი გზავნილი.

გარდა ხსენებულისა, არსებობს ჯაშუშური პროგრამები, რომელთაც იყენებენ მობილური სატელეფონო საუბრების მოსასმენად. ასე, მაგალითად, ელექტრონული გამოცემის IT.TUT.BY-ს მონაცემებით, 2007 წლის ოქტომბერში, მსოფლიოში ფიჭური კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი კომპანია Vodafone-ს საბერძნეთის ფილიალი დააჯარიმეს 27,3 მლნ დოლარით. მას ბრალი დასდეს, საბერძნეთის მთავრობის, მათ შორის საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის, სატელეფონო საუბრების მოსმენაზე ჯაშუშური მოსასმენი პროგრამული საშუალებების გამოყენებით. სხვათა შორის, კომპანია Vodafone 2006 წელს დაჯარიმდა 76 მლნ ევროთი, თავისი ქსელის არასაიმედო დაცვის გამო[1].

ძირითადად ამ კრიმინალურ ბიზნესს მართავენ დამოუკიდებელი ჰაკერები ან ჰაკერთა ჯგუფები.

ჰაკერები, მავნებლური პროგრამული პროდუქტების, განსაკუთრებით ტროიანებისა და ჯაშუშური პროგრამების გამოყენებით საკმაოდ წარმატებულად ახერხებენ, როგორც კერძო პირების, ისე სახელმწიფო ორგანოების კომპიუტერებიდან საქმიანი, თუ ფასიანი დოკუმენტების მითვისებას.

ჰაკერების კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა ინტერნეტ-რეკეტი, რაც

[1] Vodafone оштрафована на $27 млн за прослушивание телефонов. http://it.tut.by/news/97821.html.

გულისხმობს შემდეგს: ჰაკერი ან ჰაკერთა ჯგუფი ახორციელებს ინტენსიურ შეტევას ორგანიზაციების (ჩვენს შემთხვევაში სახელისუფლო ორგანოების) ინტერნეტ რესურსებზე, რათა მიითვისონ საქმიანი დოკუმენტები დავირუსებული კომპიუტერის რესურსებზე იერიშის მიტანით.

რამდენადაც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა, ადვილი წარმოსადგენია თუ რა სავალალო შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ჰაკერთა მიერ, აღნიშნული სამინისტროს თანამდებობის პირთა სატელეფონო საქმიანი საუბრების მოსმენამ.

"ადამიანის ლტოლვა აკრძალული ხილისადმი" ისევე ძველია, როგორც თვით სამყარო. ერთ-ერთ ასეთ აკრძალულ ხილს მიეკუთვნება პორნო პროდუქცია, რომელიც უხვადაა პორნო საიტებზე. ფაქტია, რომ პორნო პროდუქციას ათვალიერებს ინტერნეტის მომხმარებლების უმრავლესობა. საკმარისია, 3-4 პორნო სურათის გადმოქაჩვა, რათა თქვენს კომპიუტერზე ჩაჯდეს მინიმუმ ხუთი ჯაშუში პროგრამა. ამიტომ ისეთ სახელმწიფო ორგანოებში, როგორიცაა იუსტიციის სამინისტრო, სადაც ინფორმაცია მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც წარმოადგენს საიდუმლოს, პორნო საიტების დათვალიერება კატეგორიულად უნდა იყოს აკრძალული.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესოა თუ რა ეკონომიკური საფუძველი უდევს კომპიუტერული ვირუსების წარმოებას?

ვირუსების შემქმნელები, უპირველეს ყოვლისა, არიან ანტივირუსული ინდუსტრიის "მკვებავები", რომელთა წლიური ბრუნვა ასეულობით მილიონი დოლარია. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვირუსებისგან მიყენებული ზარალიც ასეულობით მლნ დოლარს აღემატება.

ფირმა Garlik-ის შეკვეთით, კომპანია 1871-ის ექსპერტების მონაცემებით, მხოლოდ 2007 წელს ჩადენილ იქნა სამი მლნ დანაშაული. მათ შორის, 207000 ფინანსური მაქინაცია, 144500 კომპიუტერების გატეხვა, 850000 დანაშაული სექსუალურ სფეროში, როგორიცაა საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელება[2].

მაღალი ტექნოლოგიების ელექტრონული გამოცემა CNews-ში გამოქვეყნდა IronPort Systems-ის დობილი ფირმის Cisco-ს ანგარიში 'ქსელური უსაფრთხოების სისტემების განვითარების ტენდენციებზე" 2008 წლის მონაცემებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბოლო 13 თვის განმავლობაში 60 მლნ ადამიანმა განაცხადა პირადი მონაცემების დაკარგვის შესახებ. ყველა ამ დაკარგულ ინფორმაციას ფლობენ ელექტრონული კრიმინალური ბიზნესის წარმომადგენლები – ჰაკერები. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ მავნებლური პროგრამებისაგან კომპიუტერული სისტემების გაწმენდისა და ჰაკერების იერიშების შედეგების ხარჯებმა 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დღეისთვის კორპორაციული ინფორმაციის 60% აბსოლუტურად დაუცველ კომპიუტერებში ინახება[3]. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპიუტერული პარკიც არაა სრულად დაცული.

კალიფორნიის (აშშ) ანტივირუსული კომპანიის McAfee-ს, 2009 წლის იანვრის მონაცემებით, 2008 წელს კიბერდამნაშავეების მიერ მიყენებულმა ზარალმა მსოფლიოში შეადგინა 1 ტრილიონი დოლარი[4]. კომპანია McAfee-ს პროგნოზით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, კიბერდანაშაულობების მნიშვნელოვანი ზრდაა მოსალოდნელი.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს? მსოფლიოში უძლიერესი ანტივირუსული კომპანიის Kaspersky Security Network-ის ანტივირუსული პროგრამული პროდუქტების მუშაობის შედეგად, 2009 წლის თებერვალში, მომხმარებელთა კომპიუტერებში, დაფიქსირდა 45396 უნიკალური მავნებლური, სარეკლამო და პოტენციურად საშიში პროგრამები[5]. ჯერჯერობით დასახელებული მავნებლური პროგრამებისგან სრული დაცვის საშუალებები არ არსებობს.

მოვიყვანოთ კომპიუტერული მავნებლური პროგრამების მწარმოებელი ლიდერი ქვეყნების პირველი ათეულის სია.

2008 წლის ნოემბრის მონაცემებით მავნებელი პროგრამების შემქმნელი პირველი 10 ქვეყნის სია შემდეგია: რუსეთი – 27,89%; ჩინეთი – 26,52%; აშშ – 9,98%; ბრაზილია – 6,77%; უკრაინა – 5,45%; დიდი ბრიტანეთი –

[2] За год в Интернете зафиксировано три миллиона преступлений. http://www.lenta.ru/news/2007/09/06/crime/.

[3] Отчет компании IronPort о спаме, вирусах и шпионских программах за 2007 год и пр ВИСТЛАН - сетевое оборудование. http://www.vist-lan.ru/article_info.php?articles_id=12.

[4] McAfee: В 2008 году компании потеряли из-за киберпреступников триллион долларов. http://www.securitylab.ru/news/367143.php

[5] Рейтинг вредоносных программ, февраль 2009. http://www.kaspersky.ru/news?id=207732913

5,34%; საფრანგეთი – 3,81%; გერმანია –2,14%; შვედეთი – 1,6% და ესპანეთი – 1,37%[6].

მაშ, როგორ დავიცვათ კიბერდამნაშავეებისაგან სახელმწიფო დანიშნულების მქონე საქმიანი ინფორმაცია, რომლებსაც ვინახავთ კომპიუტერებში? როგორც ვიცით, მედალს ორი მხარე აქვს და, რა თქმა უნდა ჩვენს შემთხვევაშიც არსებობს დაცვის გარკვეული (არა 100%-ანი) მექანიზმები. ამისათვის საჭიროა:

- სამინისტროს კომპიუტერებზე ინსტალირებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სერთიფიცირებული პროგრამული პროდუქტები, როგორც ოპერაციული სისტემები, ისე ანტივირუსული პროგრამები;
- არასოდეს გახსნათ სამსახურებრივი დანიშნულების კომპიუტერის "ლოჯინი" და პაროლი უცხო პირის თანდასწრებით;
- ნუ გახსნით ისეთ გზავნილებს, რომლებიც თქვენ არ მოგითხოვიათ;
- ასეთი გზავნილები გახსნის გარეშე გაანადგურეთ წაშლის გზით;
- ნუ ჩაატარებთ იუსტიციის სამინისტროს კომპიუტერების მეშვეობით ელექტრონულ კომერციას საეჭვო მაღაზიებთან და კერძო პირებთან;
- კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე არასოდეს დადოთ სამსახურებრივი საიდუმლოს შემცველი ფაილები;
- არ შეინახოთ "ლოჯინისა" და პაროლის დუბლიკატები მაგიდის უჯრებში და ნუ მიაწებებთ მას კომპიუტერზე დამახსოვრების მიზნით;
- შეიმუშავეთ რთული პაროლები;
- სამინისტროს კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის თანამშრომლების გარეშე არ გააკეთოთ ამა თუ იმ პროგრამის ინსტალაცია;
- სამინისტროს კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის თანამშრომლებმა რეგულარულად უნდა დაათვალიერონ სამსახურებრივი კომპიუტერის ვინჩესტერი. კერძოდ, Program Files დირექტორია, სასტარტო მენიუში ავტოჩატვირთვის საქაღალდე, მართვის პანელზე არსებული პროგრამების ჩატვირთვისა და ამოგდების ფანჯარა Add or Remove Programs და სხვა;
- თუ კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფაში აღმოჩენილ იქნა საეჭვო პროგრამული პროდუქტები მაშინათვე უნდა განადგუროთ;
- უნდა გამოიყენოთ ისეთი პროგრამული პროდუქტები, როგორიცაა, Ad-Aware Release-ი. აღნიშნული პროგრამა, უტილიტებს შორის, ყველაზე ეფექტურია ჯაშუშური პროგრამების მოსასპობად.
- სამსახურებრივი კომპიუტერების ქსელის სპეციალისტებმა უნდა გამოიყენონ ქსელური ეკრანის კლასის ისეთი პროგრამები. როგორიცაა: Brandmauer-ს ანუ FireWall-ს (გერმან. Brandmauer – ცეცხლგამძლე კედელი; ინგლ. FireWall – ცეცხლგამძლე კედელი). საკანონმდებლო ან საიდუმლო დოკუმენტების შემუშავებისას უნდა იყოთ განსაკუთრებული ყურადღებით.

ECONOMICAL ASPECT OF AUTHORITY ORGANS' DAMAGE OF INFORMATIONAL STRUCTURES AND DEFENSIVE METHODS FROM IT

GULAD NAKASHIDZE
TSU Doctorate
DEMUR SICHINAVA
TSU Associated Professor

The article shows the necessity of developing informational supply in state organizations and possibility of introduction of characteristically different, modern system of informational supply. The main problem in carrying out this task is divided in three parts: the first – working out normative and juridical acts; the second – creating perfect data bases on the base of informational resources of the state organizations; the third – guaranteeing the security of the data bases functioning in state organizations. The article discusses the economic aspect of damaging informational system in state organizations and the ways how such problems can be avoided. The article shows importance of this problem not only in Georgia, but also all over the world. It gives some advice how confidential information can be protected from being corrupted by other harmful programs.

[1] Украина вошла в пятерку лидеров по производству компьютерных вирусов. http://softall.com.ua/2008/02/25/ukraina_vyshla_v_lidery_.html

ბიზნეს-გარემოს სრულყოფის შესაძლებლობები საქართველოში

დავით ძათაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო მეურნეობის მოქმედების სფეროებისა და მასშტაბების ზრდამ, პოლიტიკური ძვრების გააქტიურებით, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესი. თანამედროვე ეტაპზე უკვე შეუძლებელი ხდება ეროვნული მეურნეობის განვითარება უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და საერთაშორისო ბიზნესში ქვეყნის აქტიურად ჩართვის გარეშე. ინვესტიციების მოზიდვა კი საჭიროებს შესაბამისი, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას. ბიზნეს-გარემოს ფორმირება საქართველოს უხდება იმ დროს, როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება მეტად არასტაბილურია.

ბიზნეს-გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოვ-ყოთ გამსხვილებულ ფაქტორთა ნუსხა, რომლებიც ერთიანდებიან ბიზნესის მიკრო, მაკრო და საერთაშორისო ფაქტორებში.[1] საინვესტიციო კლიმატის ფორმირება უკავშირდება ერთმანეთზე გადაჯაჭვულ, კონტროლირებად და არაკონტროლირებად ფაქტორებს. ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას, მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივი გარანტიების, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოცი-ალური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საქართველოში არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მისი ბიზნეს-გარემოს ფორმირებაზე. კერძოდ, ესენია: ომის განახლების საშიშროება, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების არასტაბილურობა, სოციალური კრიზისი, საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება, საგარეო ვალი, ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაადექვატური ჩარევა ბიზნესის განვითარებაში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საფონდო ბირჟის, საშუამავლო-საფინანსო ინსტიტუტების განუვითარებლობა, და ა. შ. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა განიცდის ღრმა სოციალურ კრიზისს. საზოგადოების სიღატაკე აუარესებს მომხმარებელთა გადახდისუნარიანობას, რითაც უარყოფითად მოქმედებს ბიზნესის დაფინანსებაზე.

საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუარესებაზე მთავარი გავლენა მოახდინა ხელისუფლების მხრიდან ბიზნესისადმი არაადექვატურმა მიდგომამ. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ბიზნესი შეუფერხებლად უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ გარკვეულ ზღვრებში იგი მაინც უნდა იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უნდა მონაწილეობდეს ბიზნესის განვითარებაში, მასაც არა აქვს იმის უფლება, რომ ზედმეტად ჩაერიოს ამ პროცესებში. საზოგადოებას სჭირდება ბევრი ისეთი დარგი (განათლება, თავდაცვა, ჯანდაცვა და ა. შ.), რომელთა შენარჩუნებაც ეკონომიკურად არაა მომგებიანი, მაგრამ მათ გარეშე ქვეყანა წააწყდებოდა დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებს. ასეთი დარგების დაფინანსება სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს. სწორედ კარგად ორგანიზებულმა საგადასახადო სისტემამ უნდა დაარეგულიროს ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნეს-გარემოს მართვის ძირითადი ბერკეტებია ფულად-საკრედიტო, ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკა. ბიზნესის მართვის ამ ორი ბერკეტის ოპტიმალური კომბინაციით გამოყენება იძლევა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის რეალურ შესაძლებლობას.

საქართველოში ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებაზე მოქმედ გარე ფაქტორთა შორის მთავარ როლს ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საგარეო

[1] შენგელია თეიმურაზ. თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007 წ., გვ. 52.

ვალი და მრავალეროვნული კომპანიები. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს შესთავაზა სამამულო ეკონომიკის საბაზრო სისტემაზე ტრანსფორმაციის რეკომენდაციები, რაც ხშირად სამწუხაროდ არაადექვატური აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ბიზნეს-გარემოსთან მიმართებაში. მსოფლიო ბანკი საქართველოს სთავაზობს შედავათიან, გრძელვადიან კრედიტებს საბაზრო ინფრასტრუქტურის რეორგანიზაციის მიზნით. საქართველომ უარი უნდა თქვას ეკონომიკის რეორგანიზაციის მიზნით ამ ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებსა და პროექტების დაფინანსებაზე, თუ ისინი დამაკაბალებელ ხასიათს ატარებენ.

საგარეო ვალი უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს-გარემოს ფორმირებაზე. ვალის მომსახურება "ძარცვავს" სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ქვეყნის მიერ საგარეო ვალის გადახდისუნარიანობას განსაზღვრავს ექსპორტის საგარეო ვალთან თანაფარდობა. თუ ეს მაჩვენებელი 30 %-ზე დაბალია, მაშინ ქვეყანა ვალის გადახდისუუნაროა. ჩვენს ქვეყანაში 2008 წლის მონაცემებით ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 1497,7 მლნ აშშ დოლარი, ხოლო საგარეო ვალმა კი – 1832 მლნ აშშ დოლარი, ანუ საგარეო ვალის დაფარვის კოეფიციენტმა შეადგინა 80 %[2]. მართალია, ამჟამად საქართველო იმყოფება ვალის გადახდისუნარიან პოზიციაზე, მაგრამ სამომავლოდ მსოფლიო საფინანსო კრიზისის დამანგრეველი ეფექტის თავიდან აცილებისა და საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, დაგეგმილია დამატებით 2,5 მლრდ დოლარის ოდენობის საგარეო ვალის აღება, რაც მნიშვნელოვნად გააუარესებს ჩვენი ქვეყნის მიერ საგარეო ვალის გადახდისუნარიანობას.

საგარეო ვალის დაფარვის ერთ-ერთი რეალური გზაა, მისი აქციებად გადაქცევა, საფონდო ბირჟებზე მისი გაყიდვის შემთხვევაში, რაც შედავათს აძლევს დებიტორს, რომ სააქციო შემოსავლებიდან დაფაროს ძველი დავალიანებები. საგარეო ვალის ინტენსიურად გადახდის პერიოდის დადგომისთანავე, ფინანსური სახსრების სახლვარგარეთ "გაჟონვა", ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების ვარდნის კვალდაკვალ, გამოიწვევს სამამულო საქონლის წარმოების მოცულობის შეზღუდვასა და ლარის გაუფასურებას.

ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს ფორმირებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, რომლის ეპიცენტრში არიან მრავალეროვნული კომპანიები. ეს კორპორაციები დიდ გავლენას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკაზე. ოპოზიციური პარტიების დაფინანსებით მათ შეუძლიათ შეცვალონ ხელისუფლება და სათავეში მოიყვანონ მათთვის სასურველი ბიზნეს-პოლიტიკის გამტარებელი მთავრობა. ყოველივე ეს კარდინალურად ცვლის ქვეყანაში შექმნილ ბიზნეს-გარემოს. ეს პროცესები განსაკუთრებით მკვეთრად აისახა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელთა პოლიტიკური იდეოლოგია ჩამოყალიბების სტადიაშია. შესაბამისად მათი სამთავრობო პოლიტიკა ხშირ ცვლილებას განიცდის. ამ სახელმწიფოებში ადგილი აქვს პოლიტიკურ არასტაბილურობას. ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან ერთად, ტრანსნაციონალური კომპანიები, თავიანთი კაპიტალდაბანდებით ახდენენ ამ ქვეყნებზე მათი ინტერესების ლობირებას.

ანალოგიური ზეგავლენის ქვეშაა საქართველოც. თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციები, სამთავრობო პოლიტიკისადმი სწორედ მსგავსი მიდგომით, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას. ისინი საქართველოს საწარმოებს სთავაზობენ პროგრესულ ტექნოლოგიებს, ჭარბ ინვესტიციებს, მმართველობით გამოცდილებას და ამით, ერთის მხრივ, აუმჯობესებენ ჩვენი ქვეყნის ბიზნეს-გარემოს, მაგრამ მეორეს მხრივ, ზეწოლას ახდენენ მის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე. საზღვარგარეთის კომპანიებს 'ლობისტური წნეხის" ქვეშ ჰყავთ მოქცეული მთავრობა. ლიბერალიზაციის მოტივზე დაყრდნობით, ისინი აიძულებენ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, საბაჟო ტარიფების დემონტაჟის კვალდაკვალ, უარი თქვან იმპორტის არასატარიფო ბარიერებზეც. ეს კი, სამამულო წარმოებაზე დარტყმის მიყენებით, გზას უხსნის უცხოური პროდუქციის რეალიზაციას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს პოზიცია ამ თვალსაზრისით ორმხრივია: იგი ერთის მხრივ შეშფოთებულია უცხოელ ინვესტორთა მიერ ეროვნულ ბიზნეს-გარემოზე კონტროლის დონის ამაღლებით, მათი მხრიდან შიდა ბაზრის მონოპოლიზაციის საშიშროების ზრდის გამო, მეორეს მხრივ,

[2] www. statistics ge. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. საქართველოს საგადამხდელო ბალანსი,თბ.,2009 წ.

უცხოელ ბიზნესმენთა შემოსვლის შეზღუდვით, მისთვის ხელმიუწვდომელი გახდება უცხოური კაპიტალი. შესაბამისად გაძნელდება უცხოეთის პროგრესული ტექნოლოგიების მიღება. ამიტომ ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეზღუდოს უცხოელ ინვესტორთა შემოსვლა იმ დარგებში, სადაც უცხოელ ბიზნესმენთა მუშაობა გამოიწვევს ეროვნული ბუნებრივ-სამრეწველო ნედლეულისა და შემოსავლების გაფლანგვას ან ზედმეტი საზღვარგარეთული გავლენის ფორმირებას. ბიზნეს-გარემოს სრულყოფის მიზნით საქართველომ უნდა შეზღუდოს თავის ტერიტორიაზე კრიმინალური წარმოშობის, უცხოური ინვესტიციების ჩრდილოვანი არხებით შემოდენისა და "შავი ფულის გათეთრების" შესაძლებლობები, რათა ამით შეინარჩუნოს ეროვნულ რესურსებზე კონტროლი.

როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, ბიზნესზე ზემოქმედების ერთ-ერთი ასპექტია პოლიტიკური სისტემა. მისი როლი მდგომარეობს საზოგადოების ინტეგრაციაში.[3] რაც უფრო მაღალია პოლიტიკური არასტაბილურობა, მით უფრო დიდია პოლიტიკური კლიმატის შეცვლის საშიშროება. პრობლემას ამწვავებს ის გარემოებაც, რომ ძალზე რთულია პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი მიზეზების დადგენა. პოლიტიკური რისკის პროგნოზირების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს არასტაბილურობის შედეგებზე დაფუძნებული მოდელების აგება. საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია ბიზნეს-რისკების მართვა. ჩვენს ქვეყანაში მოქმედმა რისკის მენეჯერმა არამარტო უნდა აკონტროლოს ბიზნესის სფეროში წარმოქმნილი რისკი, არამედ იგი ამავე დროს უნდა ცდილობდეს რისკის შედეგად მიღებული ზარალის მინიმუმდე შემცირებას. ბიზნეს-რისკების მართვის მიზნით მენეჯერმა უნდა შეიმუშავოს პარამეტრთა ოპტიმალური ბადე, მოახდინოს ჩვენი ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სკანირება.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, საქართველოში ბიზნესის წარმართვისათვის ჯერ კიდევ არახელსაყრელი პირობებია შექმნილი. ბიზნეს-გარემოს ფორმირების პროცესში დაშვებული იქნა მთელი რიგი შეცდომები, რომელთა აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია მსხვილი კაპიტალის მოზიდვა. ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს სრულყოფის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. უნდა შემუშავდეს სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, ამაღლდეს დაბანდებული კაპიტალის უკან დაბრუნების გარანტია, უფრო ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეო-პოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, და ა. შ.;

2. ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფო-ებრივი რეგულირება უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. სახელმწიფო უნდა იცავდეს კონკურენციას, ხელს უწყობდეს ადრე უთანასწოროდ გადანაწილებული შემოსავლების ხელახალ, სამართლიან გადანაწილებას, იცავდეს ეკოლოგიურ წონასწორობას, აკონტროლებდეს დასაქმებისა და ინფლაციის ღონეს;;

3. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების წყალმომარაგებისა და სანიტარული სამსახურების განვითარებაზე იგი უნდა ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, გარემოს დაცვასა და სოციალური კლიმატის გაუმჯობესებას. ხელისუფლება ხელს უნდა უწყობდეს რესურსების რაციონალიზაციას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაკრო-ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას.

[3] ლალი ჩაგელიშვილი. საერთაშორისო ბიზნესი. თბ., 2003 წ., გვ. 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE WAYS OF GUARANTEENG BUSINESS ENVORINMENT IN GEORGIA

DAVID KATAMADZE
The Doctor of Economy,
Associated Professor of BSU

In Georgia There is a very unprofitable environment for business development . Many factors brake it. For example: political-economical and social factors, non-stability of criminological condition, non-development of bond-fund exchange and financial-mediary institutions, frequent changes of normative basis and payment system, foreign debts, the poverty of population, transnational companies' political influence which is profitable for them and etc.

In order to solve problems existed in our country's business, it is important to lead the following measures:

1. Right investional politics should be worked out, the guarentees of returning invested money should be risen. Our country's Geo-political location should be used effectively,the variety of our country's nature resources and cheap and good quality labour power-existed in our labour market should be also used effectively.

2. Our State's agrarian business regulation should be done by taking the interests of society in consideration. State should protect the competition, it should stimulate the development of branches which have strategical importance for our society, it should help to redistrubute income, which was wrongly distrubuted before.The state should protect ecological balance, it should control the level of inflation and employment.

3. The State should stimulate watersupply, energetics, transport and sanitar services develompent. It must stimulate: the actions of financial- institutes, the development of foreign relations. It should also stimulate protection of our natural conditions and our social climate, and the State should help to rationalize our resources.

ბრენდინგი – ბიზნესის მამოძრავებელი ძალაა

კობა ჩაგელიშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

ბრენდისა და ბრენდ-მენეჯმენტის გაგება უკვე გაცილდა ტრადიციული გაგების საზღვრებს. მისი მნიშვნელობა იზრდება ნებისმიერი დარგის ყველა კომპანიაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯერ ერთი ყველა სფეროში სწრაფად იზრდება საქონლის არჩევის ვარიანტების რაოდენობა და მეორეც, ბაზარი სავსეა სხვა და სხვა კომპანიების მიერ წარმოებული ერთიმეორის მსგავსი საქონლით. მყიდველს სურს ვიზუალურად შეარჩიოს მათ შორის საუკეთესო, მაღალი ხარისხის და სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონელი, რაც შეუძლებელია. სწორედ ამ დროს ვლინდება ბრენდის მნიშვნელობა.

ბრენდი ეს არის არამატერიალური ცნება. იმისათვის, რომ გავაადვილოთ ამ ტერმინის გაგება, ზოგჯერ მას უდარებენ მატერიალურ-კომუნიკაციურ მარკეტინგის ელემენტებს-რეკლამას, ლოგოტიპებს, სლოგანებს ,სარეკლამო მელოდიებს, მაგრამ ბრენდი გაცილებით მათზე მეტს ნიშნავს.

ბრენდი ეს არის, დაპირება, შეგრძნების ერთობლიობა, ყველაფერი ის, რასაც თქვენ ხედავთ, გესმით, კითხულობთ, იცით, გრძნობთ, ფიქრობთ და სხვ.

წარსულის გამოცდილებისა და მომავლის ლოდინის შეგრძნების შედეგად ბრენდს ადამიანის გონებაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია, კომპანიებზე, საქონელსა და მომსახურებაზე. და ბოლოს, ბრენდი არის სარგებლის, დარწმუნებისა და ფასეულობების ატრიბუტების მოკლე შედეგი., რომელიც საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ მრავალ ერთგვაროვან საქონელში უკეთესი, იგი ამარტივებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. აქედან გამომდინარე "ბრენდი" –ეს არის დაპირება, რომელსაც თქვენ აძლევთ მყიდველს; რომლის პრაქტიკაში რეალიზაცია მოხდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მას ასრულებთ მუდმივად. თქვენი ბრენდის დაპირება უნდა იყოს მკვეთრად განსაზღვრული და მნიშვნელოვანი, რათა იგი არ აურიოთ მარკეტინგულ შეპირებებში.[1]

ბრედინგის მიზნობრივი მიდგომა მოითხოვს სტრატეგიულ პერსპექტივას. იგი უნდა იწყებოდეს კომპანიის უმაღლესი ეშელონიდან. საკმარისი არ არის გყავდეს ბრენდ-მენეჯერი, რომელსაც ექნება ტაქტიკური ხედვა თავისი მოვალეობის ჩარჩოში.

ძლიერი ბრენდის მშენებლობა, ხელშეწყობა და დაცვა, ეს არის კომპანიის, არა მარტო გენერალური დირექტორისა და ბრენდ-მენეჯერის ვალდებულება, არამედ, ამ პროცესში სისტემატურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს კომპანიის თითოეული მუშაკი,

ბრენდი კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი განსაზღვრავს ყველა დანარჩენს, როგორც მატერიალურ, ასევე არა მატერიალური აქტივების ეფექტიანობას, იგი

პროდუქციის რეილიზაციის პროცესში ვლინდება, როგორც ფასნამატი, რომელსაც მწარმოებელი პრემიის სახით ღებულობს განსაკუთრებით მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებისა და წარმოების მაღალი კულტურისათვის.

რაში გამოიხატება ბრენდის ეფექტიანობა? უპირველეს ყოვლისა მისი ინფორმაციულობა მომხმარებელს აძლევს საშუალებას კონკურენტ კომპანიების მიერ წარმოებულ მრავალ, ერთნაირი სახეობის პროდუქციას შორის აირჩიოს თქვენს მიერ წარმოებული ბრენდირებული საქონელი. ამაში მას ასევე ეხმარება თქვენს მიერ შერჩეული საქონლის სპეციალური ეტიკეტი, რომ ნამდვილად წარმოების პროცესში გამოყენებულ იქნენ ის ძირითადი კომპონენტები, რომელებიც განსაზღვრავენ ამ საქონლის ხარისხს და ეს გარანტია დადასტურებულია ეტიკეტზე დასმული მწარმოებლის მიერ განსაზღრული ნომრით. ამავე დროს კომპონენტის ბრენდი გავრცელებული იყო გლობალური სარეკლამო კომპანიის მიერ.[2]

[1] Belovo M. and Brand Reon. Brand Design for the Long Term, Design Management Journal (N1 , 2003), pp 33-39.

მომხმარებელი ბრენდში იხდის საქონლის ფასს დამატებული ამ საქონლის ხარისხის გარანტია, ინოვაციურობა, რისკის შემცირებისა და მაღალი ხარისხისათვის, ერთი სიტყვით ყველა იმ სარგებლიანობის გარანტიისათვის, რითაც ის განსხვავდება მისი კონკურენტი კომპანიის საქონლისაგან.

ბრენდის ეფექტიანობა განსაკუთრებით მაღალია "ბიზნესი ბიზნესისათვის" სფეროში. წარმოების სფეროში ბრენდი უნდა ხასიათდებოდეს განსაკუთრებული ხანგამძლეობით, საიმედოობით, მაღალი ხარისხის შენარჩუნების უნარით ექსპლუატაციის მთელ პერიოდში და მაღალი ინოვაციურობით.

ფირმის ბრენდის საფუძველია პროდუქციის მაღალი ხარისხი და მისი სტაბილურობა. მსოფლიოს დონის კომპანიებში პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა სისტემატურ ხასიათ ატარებს. ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ხარისხის ამაღლებისა და მისი უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმა. ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა რეალიზაციის პროცესში გაერთიანებულია კორპორაციის ყველა თანამშრომელი, პრეზიდენტიდან განყოფილების რიგით მუშაკის ჩათვლით.[3]

მარკეტინგის სპეციალისტებს შორის კარგადაა ცნობილი გამოთქმა "არაფერი ისე სწრაფად არ ანადგურებს ცუდ საქონელს, როგორც კარგი რეკლამა". წარმატებული ბიზნესი არ შეიძლება არსებობდეს ხარისხიანი საქონლის, მომსახურებისა და ორგანიზაციის გარეშე. სინამდვილეში რას წარმოადგენს ბრენდი? ეს ნიშნავს, აიღო რაიმე ჩვეულებრივი საქონელი გააუმჯობესო და სრულყო იგი, აამაღლო მისი ფასეულობა და მნიშვნელობა.

კორპორაციის თითოეულ განყოფილებას შემუშავებული აქვს ხარისხისა და წარმოების კულტურის ამაღლების გეგმა, რომელიც წარმოადგენს კორპორაციის სტრატეგიული გეგმის შემადგენელ ნაწილს. ბრენდი კორპორაციის ორგანიზაციის რთული სისტემაა. იგი კოლექტივის შემოქმედების ხანგრძლივი პროცესია. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილია მომხმარებლის მიერ აღიარებული პროდუქციის ხარისხი და წარმოების კულტურა. პროდუქციის ხარისხი თავისთავად რთული სისტემაა. იგი წარმოების ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა შედეგია, რაც საერთო ჯამში ქმნის წარმოების კულტურას,

ზოგადად ბრენდის სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონე;
2. საწარმოო პერსონალის კვალიფიკაციის დონე;
3. წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დონე;
4. საწარმოო პერსონალის სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა;
5. წარმოების ფინანსური უზრუნველყოფა;
6. პროდუქციის მართვის კომპლექსური სისტემა;
7. წარმოების კულტურ

წარმოების კულტურის მთავარი მახასიათებელია პროდუქციის ხარისხი, რომელიც დაფუძნებულია ექვს ზემოდ ჩამოთვლილ კომპონენტზე, თუნდაც ერთი მათგანის უგულველყოფა მიგვიყვანს ხარისხის არა სტაბილურობამდე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კორპორაციის იმიჯის შელახვა და საბოლოო ჯამში ბრენდის ავტორიტეტის დაცემა.

ბრენდინგის სპეციალისტების აზრით ბრენდინგი და ბრენდ-მენეჯმენტი მომავალში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს სამრეწველო საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროში. ზოგიერთი სპეციალისტების აზრით ბრენდის მომავალი– ბიზნესის მომავალია.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ბრენდინგს ჩინეთში. XX1 საუკუნეში ჩინეთი გადაიქცევა მთელი მსოფლიოს გლობალური ბრენდის წყაროდ. ისეთი ჩინური ბრენდები, როგორიცაა "ლენოვო"– კომპიუტერების სფეროში, "ჰაიერი" საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სფეროში, ლუდის წარმოებისა და მობილური ტელეფონების სფეროში, ფართოვდებიან სართაშორისო მასშტაბების დონემდე. ჩინეთის მთავრობა ღიად აცხადებს, რომ თავის ბრენდირებულ საქონელს განიხილავს, როგორც მსოფლიოს მიღწევის გზად. მისი სტრატეგია სრულიად ლოგიკურია,ვინაიდან ჩინეთი წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე მსხვილ მომხმარებელთა ბაზარს. ეს ბაზარი ფართოვდება, როგორც შიგნით ისე გარედან, ხოლო მისი მშპ იზრდება ყოველწლიურად 9,2%-ით და შედგენდა 2005 წლისათვის 1833 ტრილიონ დოლარს. [4]

[1] Brondoni S. M. Brand Policy and Brand Equity, Symphonya, Emerging issues in Management (Milano – 2002).
[1] Clifton R. The future of Brands in: Brand and Branding, Rita Clifton and John Simmon (London : Profile Books, 2003) pp 227-241.

მიუხედავად ბრენდის უდიდესი მნიშვნელობისა, ბიზნესის წარმატებაში, ბიზნესმენების უმრავლესობა სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ბრენდინგს. ბრენდინგის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მასზე გაწეული დანახარჯები მის შედეგებთან შედარებით უმნიშვნელოა, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ბრენდის ღონისძიებათა უმრავლეობა არავითარ დანახარჯებს არ მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Belbury S. A New Brand World (New York : Viking Penguin, 2002)
2. Berner R. and KileyD. Global Brands, Business Week (August 2005)
3. Belovo M. and Brand Reon. Brand Design for the Long Term, Design Management Journal (N1, 2003), pp 33-39.
4. Brondoni S. M. Brand Policy and Brand Equity, Symphonya, Emerging issues in Management (Milano – 2002)
5. Clifton R. The future of Brands in: Brand and Branding, Rita Clifton and John Simmon (London : Profile Books, 2003) pp 227-241.
6. Davis S. M. The Power of Brand, Strategy and leadership (28 April 2000, N4) pp 4-9.
7. Esch F.-R. et al., Corporate Brand Management: Marken als Anker strategischer Fuehrung von Unternehmen (Wisbaden : Gabler, 1999).
8. Филип Котлер и Вальдемар Пфер. Бренд Менеджмент в B2B сфере. Москва: Вершина, 2007.

BRANDING - MOVER OF BUZINESS

KOBA CHAGELISHVILI
Associated Professor of TSU

Nowadays, standard methods of Brand promotion – development of solid brand promotion Budget and allocate it to fancy advertising, manage to present goods on a attractive shelves in shop – don't work properly. The reason is that efficiency of ordinary type an advertising is very weak, it's very common already for customers. In article there is shown that brand is very complex an complicated issue to be considered. For gain success each detail of Brand should be developed and considered personally and in complex too. Author in article underlines practical steps towards Branding and gives standard faults are taken by Brand managers and gives suggestions how they can be avoid.

პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შეფასება ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელის საშუალებით

ეკატერინე მეყანწიშვილი

თსუ ასისტენტ–პროფესორი

ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის რეგულირება ხდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში ჩარევის გზით. ამგვარ ჩარევას ბუნებრივია გააჩნია თავისი ფორმები და საზღვრები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მოითხოვს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის ისეთი ინსტრუმენტარის განვითარებას, როგორიცაა ეფექტიანი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ეკონომიკის სფეროების სახელმწიფო რეგულირება მრავალფეროვანია თავისი ფორმების, განხორციელების მეთოდებისა და მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ამა თუ იმ პერიოდთან შერწყმის მიხედვით. რეგულირების პროცესთა ამგვარი სახესხვაობა იძლევა ერთმანეთისგან განსხვავებულ ეფექტებს, რომლებსაც, ბუნებრივია თან ახლავს სოციალურ-ეკონომიკური შედეგი.

ცნობილია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო მართვის რეალური შედეგი ხშირად უპირისპირდება სავარაუდოს და წარმოადგენს მოსალოდნელისაგან დიამეტრულად განსხვავებულს. ასე მაგალითად, ეკონომიკის მოსადლოდნელი სტაბილიზაციის მაგივრად შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოების განმეორებადი დაცემის ფაქტებს, რეალური სექტორის წახალისების მაგივრად – მისი ფუნქციონირების შეფერხებას, სამამულო მწარმოებლების საბაჟო ღონისძიებების დახმარებით დაცვის მაგიერ – ნედლეულის უზომოდ გატანას საზღვარგარეთ და ა. შ.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ ნებისმიერი პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის განსაზღვრისას საჭიროა: ჯერ-ერთი, შემოწმდეს მიღებული შედეგების შესაბამისობა დასმულ სოციალურ-ეკონომიკურ მიზანთან, აგრეთვე შეფასებულ იქნეს ასეთი შესაბამისობის ხარისხი; მეორე, დასახული მიზნიხ მიღწევა დაკავშირებულ უნდა იქნეს მოსალოდნელ ხარჯებთან (სასურველია მათი მინიმიზაციის განოხრციელება). ამ გზით ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება განაპირობებს მის ეკონომიურ ეფექტიანობას.

პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების დროს, ეკონომიკურთან ერთად გამოყოფილ უნდა იქნეს სოციალური მხარეც. ეს უკანასკნელი კი იწვევს აღნიშნული სახის რეგულირების სოციალური ეფექტიანობის განსაზღვრის საკითხის დასმასაც.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების უმეტესობის გამოყენების პროცესი ორადი და წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფო ზემოქმედების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არსებული სოციალური მემკვიდრეობა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდების შერჩევის პროცესს თან ახლავს სხვადასხვა სახეობის შეზღუდვა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ქვეყნის ეკონომიკის მარეგულირებელმა ორგანომ ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად გარკვევით უნდა ჩამოაყალიბოს მიზანი, რომლის მიღწევასაც ისწრაფვის იგი. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზანთა სიმრავლეს შეესაბამება მიზნის ფუნქციათა ერთობლიობა. ამ უკანასკნელის მათემატიკური სახის განსაზღვრა არის რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესი და დაკავშირებულია პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავებასთან. ასეთი განსაზღვრის დროს, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა სახელმწიფო უნდა ესწრაფოდეს თუ არა მიზნის ფუნქციებში

ასახულ მიზანთა ერთდროულ მიღწევას. ამასთან, ისიც უნდა გაირკვეს ყველა მიზნის მიღწევისადმი ერთდროულად სწრაფვას აჯობებს თუ არა მათი პრიორიტეტული რანჟირება და მნიშვნელოვნების ხარისხის მიხედვით განხორციელება. ეს საკითხი ნამდვილად რთული გადასაწყვეტია. მიზნის ფუნქციის ფორმირება წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ეკონომიკის სფეროს სახელმწიფო რეგულირების მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ განსახილველი მიზნის ფუნქციების ფორმირება ყველაზე უფრო გონივრულია უპირატესობის გათვალისწინების ე.ი. პირველხარისხოვანი მნიშვნელოვნების მიზნების გამოყოფის საფუძველზე.

იმისათვის, რომ გამოიკვეთოს განვითარების ოპტიმალური ტენდენცია (ისე, რომ ერთი სფეროს გაუმჯობესებამ არ გამოიწვიოს სხვა სფეროს გაუარესება) საჭიროა მართვის პროცეს უსწრებდეს ისეთი კვლევითი სამუშაოები როგორიცაა ეკონომიკური სისტემის მთლიანი სტრუქტურის ანალიზი და მისი სფეროების მდგრადობის განსაზღვრა. ასევე მართვად ზემოქმედებებში გათვალისწინებისა და მათი პერიოდულობისა და ხასიათის განსაზღვრის მიზნით საჭიროა დადგინდეს სტრუქტურული ურთიერთკავშირების აუცილებელი ცვლილებები და მათი შემადგენელი კომპონენტების ოპტიმალური რაოდენობა. უსაფრთხო მართვის ეს ამოცანები წყდება სტრატეგიული დაგეგმვის სტადიაზე.

ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედებათა ხასიათის მიზნობრივ-რაოდენობრივი განსაზღვრა რთულ ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს მრავალფაქტორული მაკროეკონომიკური მოდელირების კომპლექსის საფუძველზე.

მართვის ყველა დონეზე ეკონომიკური უწყებებისა და საფინანსო ორგანოების მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური სისტემისა და მისი შემადგენელი ელემენტების განვითარების მდგრადობის მიმდინარე და საპროგნოზო ანალიზი. ეკონომიკური სისტემის განვითარების აუცილებელი ტენდენციის მიღწევის მიზნით მის შემადგენელ ელემენტებზე რაციონალურ მართვად ზემოქმედებებში გასათვალისწინებელი წინადადებები უნდა ეფუძნებოდეს ანალიზისა და პროგნოზის შედეგებს.

ეკონომიკური სისტემის მაკროეკონომიკური მოდელირება ითვალისწინებს ისეთი ადეკვატური ანალიტიკური ინსტრუმენტის (მოდელის) აგებას, რომელიც კომპლექსურად ასახავს ურთიერთკავშირებს წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას შორის, შემოსავლებს, გასავლებსა და საბოლოო მოხმარებას შორის, დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის და ა. შ. ასეთი ინსტრუმენტი აუცილებელია სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოებისთვის, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური სისტემის განვითარების მიმდინარე და საპროგნოზო ტენდენციის ანალიზისათვის.

ეკონომიკური სისტემა ხასიათდება ენდოგენური პარამეტრების დიდი რაოდენობითა და სუბიექტებს შორის რთული ურთიერთკავშირის არსებობით. ასეთი სისტემის ანალიზისათვის საჭიროა იმიტაციური მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, ერთობლივ მომხმარებლებსა და ერთობლივ მწარმოებლებს შორის ურთიერთზემოქმედებათა სიმრავლის მოდელირებას.

ბოლო წლებში, ჩამოყალიბდა და ფართოდ გავრცელება ჰპოვა გამოყენებითი ეკონომიკის ახალმა მიმართულებამ, რომელიც საშუალებას იძლევა გადავჭრათ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ამოცანების ფართო წრე. ამ მიმართულების საფუძველია ეკონომიკური პროცესების მოდელირებისადმი ახალი მიდგომა ე.წ. ზოგადი წონასწორობის გამოთვლითი მოდელების აგების გზით, უცხოურ ლიტერატურაში ეს მოდელი ცნობილია, როგორც Computable General Equilibrium models (CGE models).

CGE მოდელებს ეწოდება ზოგადი, რადგან ის განიხილავს ეკონომიკურ აგენტებს ერთობლიობაში. თავისი არსით, CGE მოდელი წარმოადგენს წონასწორულს, რადგან მასში შემავალი არაწრფივი განტოლებეთა სისტემისა და მისი ალგორითმის ეკონომიკური შინაარსი მოიცავს ეკონომიკური წონასწორობის თეორიის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ბაზარზე ხდება ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორება. CGE მოდელებში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით გამოითვლება წონასწორობა. ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან გამოთვლითს.

არსებული CGE მოდელები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად, მათი ისტორიული განვითარებისა და აგების მიზნების შესაბამისად.

მოდელების პირველი ჯგუფი ჩამოყალიბდა დანახარჯები-გამოშვება სახის ლეონტიევის მოდელისა და მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდის მოდელების საფუძველზე. მოდელთა ამ ჯგუფის ამოცანები ძირითადად დაიყვანება მოკლევადიან პერიოდში შემოსავლის განაწილების რაოდენობრივ შეფასებაზე, ასევე ეკონომიკის დარგების ეკონომიკური ზრდის შედეგების შეფასებაზე.

მოდელების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ვალრასის ტიპის მოდელები, ან ვალრასის CGE მოდელები, რომლებიც წარმოადგენს ვალრასის ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის ცნობილი მოდელის პრაქტიკულ რეალიზებას. მათ გავრცელება ჰპოვეს ჰარბერგერის ნაშრომის შემდეგ, რომელშიც იგი აფასებდა კაპიტალბრუნვის ეფექტს ეკონომიკის ორსექტორიან მოდელში.

კონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შესაფასებლად ერთ-ერთ სრულყოფილ მოდელს წარმოადგენს ერთობლივი მწარმოებლების, ერთობლივი მომმხმარებლებისა და სახელმწიფოს ურთიერთზემოქმედების მაკროეკონომიკური მოდელი (რომელიც მიეკუთვნება ე.წ. Countable General Equilebrium Models (CGE) _ მოდელთა კლასს) . განსახილველ მოდელში ერთობლივი მომხმარებელი ბიუჯეტური შეზღუდვის პირობებში არჩევანს აკეთებს (უპირატესობას ანიჭებს) ერთობლივ მწარმოებელთა და იმპორტიორთა შორის პროდუქციასთან მიმართებაში. ერთობლივი მწარმოებელი, არსებული მოთხოვნისა და ბიუჯეტური შეზღუდვების პირობებში, მართავს მთლიანი მოგების მახასიათებლებს. ამასთან, ერთობლივი მწარმოებლის მმართველ პარამეტრებად წარმოგვიდგება: მწარმოებლის ფასი; გამოყენებული ძირითადი ფონდების მოცულობა; შრომითი რესურსების მოცულობა; ერთობლივი მწარმოებლის მოგების წილი, რომელიც გამოიყენება ძირითადი ფონდების ინვესტირებისთვის; შრომის ანაზღაურება. განსახილველი ეკონომიკური სუბიექტების ქმედების შედეგებს თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს ქცევაში, რომელიც ახორციელებს უპირატესობების მინიჭებას, როგორც ეკონომიკის სუბიექტებთან მიმართებაში, ასევე მათი ქმედების შედეგებთან მიმართებაშიც. ეკონომიკის სუბიექტების ქცევის შედეგებზე ზემოქმედებისთვის სახელმწიფო მმართველ პარამეტრებად იყენებს: დამატებითი ღირებულების გადასახადს; იმპორტზე გადასახადის განაკვეთს; საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს; მოგებაზე გადასახადის განაკვეთს; ექსპორტზე გადასახადის განაკვეთს; დოლარის კურსს; მინიმალურ ხელფასის განაკვეთს. ეს პარამეტრები უშუალო გავლენას ახდენს მომხმარებლის, მწარმოებლის, იმპორტიორის, ანუ განსახილველი სისტემის ყველა სუბიექტის ქცევაზე.

CGE მოდელის აგებისათვის მონაცემების ბაზად გამოიყენება ფინანსური ნაკადების მატრიცა (Social Accounting Matrix ან **SAM),** რომელიც ასახავს ფინანსური რესურსების ორმხრივ მოძრაობას, შემოსავლის ფორმირებიდან მის საბოლოო გამოყენებამდე. მატრიცის საფუძველზე შესაძლებელია:

- გამოკვლეულ იქნას ეკონომიკის ფუნქციონირების მახასიათებლები აღწარმოების სხვადასხვა სტადიაზე;
- განხორციელდეს მაკროეკონომიკური მახასიათებლების დინამიკის ანალიზი მატრიცის ფარდობითი და აბსოლიტური მაჩვენებლების შედარების საფუძველზე;
- მიღებული დასკვნები საფუძვლად დაედოს ეკონომიკისა და მისი სუბიექტების ფუნქციონირების შესახებ რიგი ჰიპოთეზების წამოწევას, რაც აისახება ერთობლივი მწარმოებლების, ერთობლივი მომმხმარებლებისა და სახელმწიფოს ურთიერთზემოქმედების მაკროეკონომიკურ მოდელში.

ეკონომიკის ფუნქციონირების თვისობრივი შეფასება ხდება სახელმწიფოს უპირატესობის სხვადასხვა ფუნქციის შესაბამისად, მართვადი პარამეტრების მნიშვნელობების პარეტო ოპტიმალური სიმრავლის აგებისა და მათი კლასიფიკაციის საფუძველზე. მოდელის რეალიზაცია ხორციელდება პარეტოს არის (ეფექტურ მდგომარეობათა სიმრალის) აგებასთან მიახლოებული გრაფონალიტიკური მეთოდით. ეს მეთოდი გულისხმობს მრავალმიზნობრივი ოპტიმიზაციის ამოცანიდან მიღებული მიზნობრივი ფუნქციის ინტეგრალური მნიშვნელობების მატრიცის აგებას. საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციისა და აგრეგირებული მწარმოებლის მიზნის ფუნქციის თანაკვეთის ინტეგრალური მნიშვნელობების მატრიცის აგება წარმოადგენს რთულ ამოცანას, რომელიც მოითხოვს სპეციფიკური პროგამის შემუშავებას. ამასთან ერთად ალგორითმის ფარგლებში გაითვალისწინება ყოველი ამოსახსნელი ლოკალური ოპტიმიზაციის ამოცანის სისტემური შეზრუდვები. ასეთი

მიდგომის ძირითადი მიზანია – აგებულ იქნას პარეტოს არის შესაბამისი მატრიცების სიმრავლე, რომლებზეც რეალიზდება საზოგადოებრივი ფუნქციის სხვადასხვა სახეობა. მარტიცების სიმრავლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ეკონომიკის სუბიექტების მიმართ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის ეფექტიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვლ., სილაგაძე ა.; წერეთელი გ., მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბილისი, მეცნიერება, 2003.
2. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002.
3. Колемаев В.А., Математическая экономика, М., ЮНИТИ, 1998.
4. Макаров В.Л., Бахтизин А. Р., CGE модели как эфективный инструмент оценки государственой политики, ИСЭИ УНЦ РАН, 2000.
5. Ланкастер К., Математическая экономика, Москва, 1982.

THE ESTIMATION OF STATE REGULATION EFFICIENCY OF POSTCOMMUNIST COUNTRY ON THE BASIS OF COMPUTABLE GENERAL EQUILIBRIUM MODEL

EKATERINE MEKANTSISHVILI

TSU Assistent-professor

Development of modern market economic relations needs interaction of state into the functioning of economics with realization of the functions such as the macroeconomic regulation and the realization of effective monetary policy. The efficiency of state regulation of economic system is special difficulty in the post communist countries (including Georgia). This is why, the systemic method of approach to the economic aspects and analysis of possible results are the most important for the working out of economic problems. This is possible with macroeconomic modeling, particularly with the creation of the analytical instrument (the model), which provides complex expression and quantitative estimation of the current economic processes in country. This model belongs to the class of the Computable General Equilibrium models.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებაში ხარისხის კონტროლის დროს სენსორული შეფასების როლი და მნიშვნელობა

ლია ბერიკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

თანამედროვე მსოფლიოში წარმატებული ბიზნესის წარმოება და კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ხარისხის მართვის სისტემების დანერგვის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია. ბიზნეს სტრატეგიის შემუშავების დროს, კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად კომპანიამ უნდა შეისწავლოს თუ რას აქცევენ მომხმარებლები ძირითად ყურადღებას, რომ მათი მოთხოვნები გათვალისწინებული იქნას პროდუქციის წარმოების დროს.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოშვებული სასურსათო პროდუქციის სენსორული მახასიათებლების ცოდნა და მათი შენარჩუნება მომხმარებლისათვის მისაღები დონის მიხედვით – ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოების ქვედანაყოფების მუშაობისათვის, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის მართვაზე, (QA/QC-quality assurance/quality contro), პროდუქციის გამოკვლევასა და დამუშავებაზე (R&D – research & development).

- პროდუქტის ძირითადი მახასიათებლები, როგორც წესი განისაზღვრება ახალი პროდუქტის დამუშავების, გამოცდისა და მარკეტინგული პროცესის მთელ ეტაპზე. მას შემდეგ, რაც ეს მაჩვენებლები იდენტიფიცირებულია, აუცილებელია მომხმარებლისათვის მათი ოპტიმალური დონის შენარჩუნების ხელისშეწყობა.

ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაზე, უნდა ანხორციელებდნენ ნედლეულისა და საბოლოო მზა პროდუქტის სრულმასშტაბიან სენსორულ ტესტირებას, რათა მუდმივად გააჩნდეთ აუცილებელი სენსორული მონაცემები. ამრიგად, სენსორული შეფასების როლი ხარისხის კონტროლისა და შეფასების პროგრამაში უკიდურესად მნიშვნელოვანია, და ამ საქმიანობის უზრუნველყოფამ მტკიცედ უნდა დაიკავოს წარმოების მენეჯმენტის პრიორიტეტულ ამოცანათა შორის სათანადო ადგილი.

სენსორული შეფასების პროგრამის შედგენისას, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თუ რა მიზნისათვის იქნება გამოყენებული მიღებული ინფორმაცია, ე.ი. თუ რომელი ქვედანაყოფებით იმუშავებს პასუხისმგებელი ჯგუფი სენსორულ შეფასებებზე. ქვედანაყოფის სენსორულ შეფასებას ინტეგრაციისა და ხარისხის მართვის უზრუნველყოფის საქმეში, რამდენიმე უპირატესობა გააჩნია: ჯერ ერთი, სენსორული მონაცემები ჩართულია ფიზიკურ-ტექნიკური ტესტების შედეგებში, რაც შესაძლებელი ურთიერთკავშირების დადგენის საშუალებას იძლევა. მეორე – ნიმუშების შერჩევა უფრო ეფექტურია, თუ იგი ხორციელდება ერთდროულად ყველა გამოკვლევისათვის. მესამე-სენსორული ტესტირება ემსახურება დამატებით მოტივაციას პერსონალისათვის, რამდენადაც აუცილებელია სენსორული შეჯამებისა და სხვა ტესტების მკაფიო კოორდინაცია და დაგეგმარება.

მაგრამ, ხარისხის მართვის სენსორული ინტეგრაციის ტესტირების საქმეში არსებობს უარყოფითი მხარეებიც – რამდენადაც, სენსორული ტესტირების მეთოდები ნაკლებად გასაგებია და უფრო მარტივად გამოიყურება, ვიდრე ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები, მათ ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლიან, რადგან ისინი ხორციელდება არასრული მოცულობით, ან საერთოდ არ ხორციელდება. ამას გარდა, რამდენადაც საწარმოო ლაბორატორიას, როგორც წესი მცირე ფართობი უკავია და გაჯერებულია მოწყობილობებით, სენსორული შეფასების შენობისათვის საჭირო ფართობი ხშირად არასაკმარისია, ან ასეთი ფართობი საერთოდ არ არსებობს, რაც უარყოფითად მოქმედებს შედეგების ხარისხზე.

სენსორული შეფასების საწარმოო პროგრამა შეიძლება დაკავშირებული იყოს აგრეთვე, გამოკვლევისა და დამუშავების ქვედანაყოფების მუშაობასთან. ეს ეხება ახალი პროდუქტების დამუშავების ასპექტებს, წარმოების მასშტაბების გაზრდას, პროცესების ოპტიმიზაციასა და ღირებულების დაქვეითებას. ამას გარდა, ინგრედიენტების სენსორული შეფასება ძალზე სასარგებლოა არსებული და ახალი სპეციფიკაციების დამუშავების გადამოწმების დროს.

გამოკვლევათა და დამუშავებების ქვედანაყოფების წყალობით, სენსორული ჯგუფი უკეთ ეცნობა პროდუქტს, რამდენადაც ეცნობა მას ორიგინალური სახით. აქვე ხდება ინგრედიენტების ცვლილებების გამოკვლევა, შემდგომ ეს ინფორმაცია მიეწოდება შესყიდვათა განყოფილებას. ამგვარი თანამშრომლობის უარყოფითი მხარეები წარმოიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვლევათა და განვითარების ჯგუფი მუშაობს წარმოებისაგან იზოლირებულად და შედეგად სენსორული მონაცემები ამოვარდნილია საერთო სურათიდან.

წარმოებაში სენსორულ ჯგუფს შეუძლია აგრეთვე იმუშაოს, როგორც კორპორაციული სენსორული ჯგუფის შემადგენელმა ნაწილმა, რაც მსხვილ კომპანიებს ახასიათებს, რომლებიც რამდენიმე წარმოებას აერთიანებენ. ამ შემთხვევაში აუცილებელია ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და ყველა ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია კორპორაციული ცენტრის მხრიდან, რათა პერსონალმა ცენტრიდან მოწყვეტილად არ იგრძნოს თავი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთნაირი პროდუქტების შედარებითი ტესტირების ჩატარება და ამით ხარისხის მაქსიმალური შედეგების გარანტირება. ნაკლად გვევლინება "ადგილზე" პერსონალის შესაძლებელი უკმაყოფილება "ცენტრიდან" რეკომენდაციებზე, რომელიც ყოველთვის არ ემთხვევა მათ მოსაზრებას.

- ზემოთ ჩამოთვლილი სენსორული მონაცემების გამოყენების გარდა, საჭიროა ითქვას, წარმოების მენეჯმენტისადმი ანგარიშების წარდგენის შესაძლებლობების შესახებ. ეს განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც სენსორული მახასიათებლები თამაშობენ გადამწყვეტ როლს პროდუქტის ხარისხის ფორმირებში და სენსორული შეფასების შედეგები მუდმივად გამოიყენება საწარმოო პროცესებში. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა დეფექტური პროდუქციის გამოვლენის დროს.

ამრიგად, წარმოების ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სენსორული ჯგუფის ინტეგრაციის საუკეთესო ვარიანტის შერჩევა სხვადასხვა ქვედანაყოფებთან საქმიანობაში.

ასევე მნიშვნელოვანია ხარისხის სენსორული კონტროლის პროგრამის შედგენა. სენსორული პროგრამის შედგენის წინ აუცილებელია, წარმოებაში გამოყენებული მეთოდებისა და პროცედურების ანალიზი, იმ მეთოდებისა და პროცედურების მიმოხილვა და მომზადება, რომელიც გამოიყენება ხარისხის კონტროლისათვის. ასეთი მიმოხილვა შემდეგ ასპექტებს უნდა შეიცავდეს:

1. ნიმუშების შერჩევისა და მომზადების რომელი მეთოდები და კრიტერიუმები გამოიყენება ნედლეულისათვის, შუალედური საქონლისათვის, საბოლოო პროდუქტისათვის და შესაფუთი საქონელისთვის?

2. რომელ პრიორიტეტებს ადგენენ ნიმუშებს შერჩევისა და კრიტიკული საქონელის ტესტირებისას?

3. შესაბამისობისა და ტესტირების როგორი კრიტერიუმები გამოიყენება ნედლეულის მომწოდებლისა და მწარმოებლის შეთანხმებით?

4. რომელ საკონტროლო ნიმუშებს იყენებენ და როგორ უწყობენ ხელს მათ მახასიათებლებს?

5. გამოსაშვებ პროდუქციაზე ტექნიკური პირობების რამდენი სპეციფიკაცია არსებობს და რომელ მათგანშია ჩართული სენსორული მაჩვენებლები?

6. სენსორული შეფასების პროცედურების უკვე გატარებული და განხორციელდებული მონაცემების რეგისტრაცია და დამუშავება.

დაგეგმვის შემდეგ აუცილებელია პროდუქტის ხარისხზე ჩანაწერების შესწავლა. სენსორული პროგრამის შედგენის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ინფორმაცია დეფექტებისა და მათი წარმოქმნის სიხშირის შესახებ. ასეთი ინფორმაციების ძირითადი წყაროა ჩანაწერები მომხმარებლების საჩივრებზე და ჩანაწერები ნედლეულისა და პროდუქციის საკონტროლო ნიმუშების წუნდების შესახებ, მათი შენახვის ვადის განმავლობაში, აქ შედის ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამობის კრიტერიუმებიც.

მომხმარებელთა საჩივრების შესწავლა საშუალებას იძლევა დადგინდეს შემთხვევითი თუ სისტემატური დეფექტების მიზეზი, მაგალითად, ისეთების, როგორიცაა წყლის ხარისხის სეზონური ცვლილებები, ან კლიმატური პირობები საამქროებში. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ

ნედლეულის რომელი სახეობები იქნა დაწუნებული წარსულში და რომელი კრიტერიუმებით შეიძლება იმ პრიორიტეტების დადგენა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა კონტროლდებოდეს პირველ რიგში.

თუ ნედლეული დაწუნებულია შესაფუთი მასალის დაზიანების გამო, მაშინ პრობლემას არანაირი კავშირი არა აქვს სენსორულ ანალიზთან. სენსორული მონაცემები განსაკუთრებით სასარგებლოა, მაშინ, როდესაც მათი დახმარებით წყდება ის საკითხები (ამოცანები), რომლებზეც პასუხის მონახვა არ შეიძლება ფიზიკური ან ქიმიური ტესტირების გზით.

შემდეგი ეტაპია საწარმოო პროცესის შეფასება. საწარმოო პროცესის შეფასება წარმოადგენს საბაზო ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია სენსორული პროგრამის შედგენისათვის. ამასთან პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. პროცესი პერიოდულია, თუ უწყვეტი?
2. როგორია პროცესის კონტროლის შესაძლებლობანი?
3. როგორ იგეგმება ნედლეულის შესყიდვა, როგორ შეიძენენ მას და როგორია მოწოდება?
4. როგორ ხდება ნედლეულის რეგისტრაცია, შენახვა და ბრუნვა?
5. როგორია დაბინძურების შესაძლებლობა, რომელიც გამოწვეულია შენახვის პირობების დარღვევით?
6. როგორ მუშავდება და ინახება შუალედური საქონელი?
7. როგორ ხდება საბოლოო პროდუქტის ტესტირება და სერტიფიცირება?

სენსორული პროგრამის შედგენისას აუცილებელია საწარმოო პროცესის მკაფიოდ (ნათლად) გაგება. ინგრედიენტების ტესტირება მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი მზა პროდუქტზე. აგრეთვე თუ როგორ ცვლის მათ დამუშავება. ინგრედიენტების გამოყენების დინამიკის შესწავლა, მათი დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღება და სათანადოდ მათი ტრანსფორმაცია შუალედურ ნივთიერებებში – ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იყოს სენსორული პროგრამის დამუშავების დროს.

როგორც ყველა სხვა ანალიზი, სენსორული შეფასებაც მოითხოვს გარკვეულ რესურსებს. სენსორული შეფასების სისტემის დაგეგმვის დროს, აუცილებელია არსებული რესურსების მთლიანობაში წარმოდგენა, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი ხარჯები, როგორც დროითი, ასევე მატერიალური.

პროცესის მართვის დროს, მნიშვნელოვანია შესაბამისი ნაგებობები და პერსონალი. ნაგებობა უნდა ქმნიდეს წყნარ (მშვიდ), გარემოს სენსორული სტიმულების გარეშე, უნდა იყოს ნიმუშების დამუშავებისა და გამომცდელების მუშაობისათვის საკმარისი ფართობი. იგი აირჩევა გამოკვლევების დაგეგმილი მოცულობისა და პანელის მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. შენობის პროექტირების დროს, შეძლებისდაგვარად აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტის ISO-8589-ას რეკომენდაციების გათვალისწინება.

- პერსონალი ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა, - უშუალოდ დეგუსტატორები და ისინი, რომლებიც ანხორციელებენ ნიმუშების მომზადებას, მათ მიწოდებას, მონაცემების დამუშავებას. სპეციფიკური მოთხოვნები პერსონალის მიმართ დამოკიდებულია წარმოების ზომებზე და პროდუქტების სახეობაზე. მცირე წარმოებებში სენსორული შეფასება შედის ხარისხის კონტროლის სამსახური კომპეტენციაში, და ხშირად მას ანხორციელებენ ის ადამიანები, რომლებიც აკეთებენ ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზს. როგორც წესი, ეს არის ლაბორატორიის პერსონალი. ასეთი მიდგომა ეკონომიკურად გამართლებულია, რადგან ყოველთვის უმჯობესია დაიწყო მცირე პროგრამით, ვიდრე დაისახო ძნელად შესასრულებელი ამოცანები.

მსხვილ კონცერნებში, რომლებიც რამოდენიმე წარმოებას აერთიანებენ, სენსორულ შეფასებაზე პასუხისმგებელი პერსონალის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება და შესაბამისად აუცილებელი ხდება კორდინატორების დანიშვნა, როგორც ყოველ წარმოებაში, ასევე კორპორატიულ დონეზეც. კორპორატიული კოორდინატორის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ყველა წარმოებებში სენსორული კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა. ამ ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელია პიროვნული და კომუნიკაციური თვისებების უზადოდ ფლობა.

სენსორული პანელის შემადგენლობა სპეციფიურია წარმოების ყოველი ტესტირებული პროდუქტისათვის. პანელის ფორმირებისათვის გამოიყენება ორი წყარო:

- წარმოების თანამშრომლები;
- გარეშე პირები.

წარმოების პერსონალის გამოყენება უზრუნველყოფს პანელის (მართვის პულტის ნაწილი) მრავალცვლიან კომპლექტაციას. ამ შემთხვევაში სენსორული ტესტირება ერთვება თანამშრომლების თანამდებობრივ

ვალდებულებებში, ანუ იქმნება დამატებითი მოტივაცია.

– თუ პანელის მონაწილენი მუშაობენ სენსორული სტიმულების ზემოქმედების პირობებში, (საწარმოო საამქროები), მაშინ ტესტირების ჩატარება უმჯობესია მუშაობის დაწყებამდე. ასევე აუცილებელია სენსორულ პროგრამაში ჩაერთოს პერსონალი, რომლებიც მუშაობენ აუცილებელი ინსტრუქტაჟისა და ტრენინგების გატარების ხაზზე. საკმაოდ ხშირად ეს ინფორმაცია უფრო სასარგებლოა, ვიდრე ექსპერტების ჯგუფისაგან მიღებული მონაცემები.

წარმოების თანამშრომლების მიხედვით სენსორული შეფასების ჩატარების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის მთელი პერსონალის ჩართვა საწარმოო პროცესში და ყოველი მათგანის პირადი პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხზე.

სენსორული პანელის ფორმირების მეორე წყაროა – გარეშე პირები, რომლებიც არ მუშაობენ კომპანიაში. შერჩევა, როგორც წესი, ხორციელდება პრესაში განცხადებების საშუალებით, ან სპეციალიზირებული ორგანიზაციების დახმარებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხო მონაწილეებთან მუშაობა ნაკლებად მოსახერხებელია, ხშირად მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია გაცილებით ობიექტურია.

პერსონალის მომზადება ორი მიმართულებით ხორციელდება:

– ტესტირებული პროდუქტის გაცნობა;
– ტესტირების მეთოდების გაცნობა.

ტრენინგის განმავლობაში პროდუქტის გაცნობა, საშუალებას იძლევა პროდუქტის სენსორული მახასიათებლების გაცნობისა და შეფასების როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად, ამასთან ხდება მათი აღწერისათვის დესკრიპტორების ლექსიკონის ფორმირება.

ტესტირების მეთოდების გაცნობის დროს პერსონალი სწავლობს შკალებისა და ანკეტების გამოყენებას, რომლებთანაც მათ მოუწევთ მუშაობა. ნებისმიერი სენსორული პანელი – ეს ერთგვარი ანალიტიკური ხელსაწყოა, და როგორც ნებისმიერ ხელსაწყოსთან მუშაობისას, პანელის მომზადება და "აწყობა", დაბალანსებული უნდა იყოს ყოველი კონკრეტული ამოცანისათვის. მოსალოდნელი პროცედურის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შეფასებები და შესაბამისი მომზადების დონე.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია სენსორული პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა. მისი რეალიზაციის პროცესში შესაძლებელია მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება მომხმარებლების მოთხოვნებისა და წარმოების ამოცანების გათვალისწინების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. ჯანაშვილი – პროდუქციის ხარისხის მართვა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2005 წ.
2. ნ. ორჯონიკიძე, ლ. ყიფიანი, ვ. ბაგდასარიანი - ბიზნესის საფუძვლები, თბილისი, 2007.
3. ო. ზუმბურიძე - მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი 2008.
4. Кантере В.М., Матисон А.В., Фоменко М.А. и др. Органолептический анализ пищевых продуктов. – М.: МГУПП, 2002.
5. Lawless H.T., Heymann H. Sensory evaluation of Food. Principles and Practices / An Aspen Publication. 1999.

ROLE AND IMPORTENCE OF SENSORY EVALUATION IN THE PROCESS OF QUALITY CONTROL OF THE PRODUCTION

LIA BERIKASHVILI
Doctor of Economics

Without implementing quality management systems, it is factually impossible to run successful business and gain competitive advantage. For gaining advantage in food manufacturing, the implantation of sensory evaluation system during quality control is of significant importance. While planning sensory evaluation system, it is necessary to view existing resources as a whole, in order to avoid extra charges both financially and for time saving.

Implementation of this system requires definite expenses and efforts. However, after some time expenses are diminished. At the same time, public image of production is raised and consequently entrepreneur's profit increases.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია ეკონომიკა და ფინანსური გლობალიზაციის ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე

ლილი გვენეტაძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკურმა გარემომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შედეგად საფინანსო სისტემამ გლობალურ დონეზე დაიწყო ფუნქციონირება. ნაციონალურმა ბაზრებმა კი ერთიანი მსოფლიო საფინანსო სივრცეში დიწყეს გარდაქმნა.

დღევანდელ მსოფლიოში იზოლირებულად ცხოვრება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მიუღებელია. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახადა. საერთაშორისო სფეროში ეკონომიკური კავშირების გაფართოებას თან ახლავს ანალოგიური პროცესები საფინანსო ურთიერთობის სფეროში. როგორც წესი ფულად კაპიტალს გააჩნია მუდმივი თვით გაზრდის უნარი, რაც ეროვნული საზღვრებიდან მისი აუცილებელი გამოსვლის სტიმულს წარმოადგენს.

უკანასკნელი ოთხი ათწლეულში საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა განუხრელად იზრდება. აღნიშნულის გამო მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდნენ. იზრდება მშპ-ში იმპორტისა და ექსპორტის ხვედრითი წონა. შესაბამისად დღეს ნებიმიერ ქვეყნაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი წარმოებს. ამასთან ეს ქვეყნები საქონლისა და მომსახურების ექსპორტიორებიც არიან.

ღია ეკონომიკაში ისევე, როგორც დახურულ ეკონომიკაში, ფინანსური ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბაზართან. იმისათვის რომ ეს კავშირი დავინახოთ განვიხილოთ ეროვნულ ანგარიშთა ერთ-ერთი ძირითადი ცნობილი ტოლობა:

$$Y = C + G + I + NX \qquad (1)$$

სადაც: Y არის მთლიანი შიდა პროდუქტი ან მთლიანი ეროვნული პროდუქტი; C -მოხმარება; G - სახელმწიფო შესყიდვები; I - ინვესტიციები; ხოლო NX - წმინდა ექსპორტი.

დახურულ ეკონომიკაში, როგორც წესი, NX ნულის ტოლია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი შედგება: საქონლისა და მომსახურების მოხმარებაზე გაწეული ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვებისა და საინვესტიციო ხარჯებისაგან. თუ კი დაუშვებთ, რომ დახურულ ეკონომიკაში ინვესტიციები და დანაზოგი ერთმანეთის ტოლია, ასეთ შემთხვევაში დანაზოგი $S = Y - C - G$. ხოლო ღია ეკონომიკაში $S = I + NX$, აქედან მივიღებთ ტოლობას:

$$(I - S) + NX = 0. \qquad (2)$$

მიღებული გარდაქმნა ახასიათებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს კაპიტალის დაგროვების საერთაშორისო ნაკადასა და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადს შორის.

მე-2 ტოლობის ყოველ წევრს საკუთარი სახელი ქვია. კერძოდ (I-S) -ს ღია ეკონომიკაში უწოდებენ საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს, ხოლო NX-ს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშს.

როდესაც (I-S) დადებითია, ხოლო NX უარყოფითი ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალის მოძრაობის დადებით სალდოსთან და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან. რაც ნიშნავს იმას რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყანა, მსოფლიო ფინანსურ ბაზრიდან, იღებს სესხს, ხოლო ამავე ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება ექსპორტს. თუ კი ქვეყანაში (I-S) უარყოფითია და NX დადებითი, ქვეყანა ფიანსურ ბაზარზე გამოდის როგორც კრედიტორი და საქონლის ექსპორტი აღემატება საქონლის იმპორტს.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დაგროვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაფინანსებლად ფულადი ფონდების საერთაშორისო ნაკადი და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადი წარმოადგენს ერთი მედლის ორ მხარეს. იმ შემთხვევაში თუ კი ქვეყნის დანაზოგი აღემატება ინვესტიციებს, მაშინ დანაზოგი, რომლის ინვესტირება არ მოხდა ქვეყნის შიგნით, სხვა ქვეყნის დასაკრედიტებლად გამოიყენება. კერძოდ მეტ სესხს გასცემს ქვეყანა, რომლის ექსპორტი აღემატება იმპორტს. სხვა შემთხვევაში თუ კი ერთ ქვეყანაში ინვესტიცია დანაზოგზე მეტია ეს ნიშნავს იმას რომ ეს ქვეყანა იღებს სესხს მსოფლიო საფინანსო ბაზრიდან. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, ხოლო წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდეა.

1980 წლიდან კაპიტალის გლობალური ნაკადი, ყოველწლიურად, მსოფლიო მშპ-სთან ან ვაჭრობასთან შედარებით თითქმის 6%-ით უფრო სწრაფად იზრდებოდა.[1] ეს პროცესი განსაკუთრებით 1990 წლიდან დაჩქარდა (მიუხედავად 1997-2002 წწ დროებითი ვარდნისა). აღნიშნული კი მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში კაპიტალის მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერების მოხსნით არის განპირობებული. ამასთან სხვადასხვა ქვეყნებში კაპიტალის სტრუქტურა განსხვავებული აღმოჩნდა. მრავალი განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენენ რა პირდაპირი ინვესტიციების წმინდა იმპორტიორებს და იმავდროულად ფინანსური კაპიტალის წმინდა ექსპორტიორები არიან. მაშინ როდესაც ბევრი განვითარებული ქვეყნები პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორები არიან და ახდენენ ფინანსური კაპიტალის იმპორტს.

ამგვარად როდესაც ქვეყანაში დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოედინება ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას საკუთარი საფინანსო სექტორის მეშვეობით, შინამეურნეობის დანაზოგის ეფექტიანად გამოყენების უნარი არ გააჩნია ან ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში საბოლოო მოხმარების ხვედრითი წონა მაღალია. შესაბამისად დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას სრულებითაც არ ასახავს. უბრალოდ ღია ეკონომიკის პირობებში ასეთი ქვეყნებისთვის უფრო მოხერხებულია თავი აარიდოს საკუთარი არაეფექტური ფინანსური სექტორის გამოყენებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ღია ეკონომიკის პირობებში ქვეყნებს შორის კაპიტალის ორმხრივი მოძრაობა, საფინანსო სისტემისა და კორპორაციულ მართვაში არსებული თვისებრივი განსხვავების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ფინანსური გლობალიზაცია, ქვეყანაში არაეფექტური ფინანსური სისტემისა და სუსტი კორპორაციული მართველობის გვერდის ავლით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და იმავდროულად ფულადი კაპიტალის გადინების განხორციელების საშუალებას იძლევა.

შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ეტაპზე საქმე გვაქვს ფინანსურ გლობალიზაციასთან. აღნიშნული უშუალოდაა დაკავშირებული ღია ეკონომიკასთან და ფინანსურ ურთიერთობას საყოველთაო მნიშვნელობას ანიჭებს. გლობალიზაცია ფინანსურ სფეროში საშუალებას იძლევა, ქვეყანაში არაეფექტური საფინანსო სისტემისა და სუსტი კორპორაციული მართველობის გვერდის ავლით, განხორციელდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და იმავდროულად მოხდეს ფინანსური კაპიტალის გადინება.[2]

საფინანსო სისტემასა და რეალურ ეკონომიკას შორის მაკავშირებელ რგოლს ფინანსური შუამავლები წარმოადგენენ. ფინანსური შუამავლები ეს ისეთი საკრედიტო და არასაკრედიტო ფინანსური ორგანიზაციებია, რომლებიც ფინანსური ბაზრების ყველა სეგმენტს უწევენ მომსახურებას და რეალურ ეკონომიკაში, კაპიტალის გადანაწილების პროცესში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ფინანსური შუამავლები, მსოფლიო ბაზარზე, როგორც უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებთან, ისე ქვეყნის შიდა ბაზარზე მცირე და საშუალო ბიზნესთან მუშაობენ. შესაბამისად თანამედროვე ფინანსური შუამავლებს ეროვნულ ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ. ხოლო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, მათი როგორც მსოფლიო ბაზრის მონაწილეების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა, არა მხოლოდ

1. Экономический вестник., Цзяндун Цзюй, Шан-Цзинь.., Местние институти и финансовая глобализция., Апрель-июнь 2007. с. 1.

2. Экономический вестник., Цзяндун Цзюй, Шан-Цзинь.., Местние институти и финансовая глобализция., Апрель-июнь 2007. с. 1.

მათი საქმიანობიდან მიღებული სარგებლის თვალსაზრისით, არამედ იმ საფრთხის გათვალისწინებით რომელიც გლობალურ ფინანსურ ბაზრებს ახასიათებს.

საქართველოში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება ექსპორტს. შესაბამისად ქვეყანაში წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდე და ამასთან ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2005 წელს ქვეყანაში წმინდა ექსპორტმა – 689 953 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 2006 და 2007 წლებში შესაბამისად – 1 152 551 და 2 005 823 ათასი აშშ დოლარი. ამავე პერიოდში იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც. ასე მაგალითად 2005 წელს პირდაპირ უცხოური ინვესტიციების იმპორტმა შეადგინა 449 785 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2006 და 2007 წლებში შესაბამისად 1 059 761 და 1 750 242 ათას აშშ დოლარი.[3] როგორც ვხედავთ ქვეყანაში არა მარტო წმინდა ექსპორტს არამედ პირდაპირი უცხოური ინვესიციების იმპორტსაც ზრდის ტენდენცია აღინიშნება, რაც ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის ზრდას ცალსახად არ შეიძლება ასახავდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ეს გარკვეულ წილად არის შედეგი იმისა, რომ ქვეყანას საკუთარი საფინანასო სექტორის გავლით დანაზოგის ეფექტურად გამოყენების უნარი არ გააჩნია. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში კორპორაციული მართველობა სუსტად არის განვითარებული, შესაბამისად ფინანსური კაპიტალის ექსპორტის ზრდის ტენდენცია აღინიშნება. როდესაც წმინდა ექსპორტი (NX) უარყოფითი სიდიდეა კაპიტალის მოძრაობის დადებით სალდოსთანა გვაქვს საქმე და ქვეყანა მსოფლიო ბაზრიდან იღებს სესხს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანას "ჭარბი ეფექტური (ფაქტობრივი) კაპიტალი" გააჩნია ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას გააჩნია ან ფიზიკური კაპიტალისა და შრომის თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი, ან საკუთრების უფლების დაცვის სუსტი ინსტიტუტი. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთრების უფლების არასაკმარისი დაცვა ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებას განაპირობებს. აღნიშნული კი ხელს უშლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და დანაზოგის გადინების სტიმულს წარმოადგენს.

ფინანსური კაპიტალის გლობალიზაციასთან დაკავშირებულ სარგებელსა და ხარჯებს ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტების განვითარების დონე განსაზღვრავს. ამასთან რაც უფრო შეტადაა ქვეყანაში დაცული საკუთრების უფლება, გლობალიზაციიდან ის მით უფრო მეტ სარგებელს იღებს.

საქართველოში, როგორც განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, საფინანსო ინსტიტუტები სუსტადაა განვითარებული. საქართველოში საფინანსო შუამავლობა, რომელიც საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით ხორციელდება, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით მართალია ერთ-ერთი დარგია, რომელსაც ზრდის მაღალი ტემპი გააჩნია, ამასთან მისი განვითარების ხარისხი დაბალია. ასე მაგალითად, 2006 წელს კერძო სექტორზე გაცემული სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება 4-ს უდრიდა, რაც 27-ჯერ ნაკლებია პირველ ადგილზე გასულ აშშ-სთან შედარებით, და 12,8-ჯერ ნაკლები მეორე ადგილზე გასულ გერმანიასთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაბალია და 3-დან 18-მდე მერყეობს.[4]

საქართველოში საფინანსო შუამავლობის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლის ერთ –ერთ მთავარ ფაქტორს მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე წარმოადგენს. როგორც ცნობილია ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში საბოლოო მოხმარების მაღალი ხვედრითი წონა მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეზე მიუთითებს. რამდენადაც მოსახლეობა იძულებულია მიღებული შემოსავლებიდან ნაკლები დაზოგოს და მეტი წილით მიმდინარე მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ბოლო წლებში მთლიან შიდა პროდუქტში მოხმარების ხარჯების ხვედრითი წილი მაღალია და ზრდის ტემპითაც ხასიათდება. ასე მაგალითად 2005 წელს მთლიან შიდა პროდუქტში საბოლოო მოხმარების ხარჯების ხვედრითი წილი 84, 3 პროცენტს შეადგენდა. 2006 და 2007 წლებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად გაიზარდა 94,1 და 92,5 პროცენტამდე.[4] აღნიშნული უარყოფით ტენდენციას წარმოადგენს და ხელს უშლის

3. საქართველოს ეროვნული ბანკი., მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტინი., თბილისი., წლები: 2006; 2007; 2008. გვ. 126; 107; 87.

4. ნ. ასლამაზაშვილი, საქართველო და დანარჩენი მსოფლიო: UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, 2008. მაისი, გვ. 68.

საფიანასო შუამავლობის გამოყენების ხარისხობრივი დონის ამაღლებას.

საქართველოში ასევე სუსტადაა განვითარებული კორპორაციული მმართველობა, სათანადოდ არ არის დაცული საკუთრების უფლება. შესაბამისად ფინანსური გლობალიზაციის შედეგიც არაერთმნიშვნელოვანია. ერთის მხრივ ქვეყანა, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებით გარკვეულ სარგებელს იღებს, ხოლო მეორეს მხრივ მისი ფინანსური ინსტიტუტები და მეწარმეები მნიშვნელოვან შემოსავალს კარგავენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.ასლამაზაშვილი, საქართველო და დანარჩენი მსოფლიო: UNCTAD-ის ვაჭრობისა და განვითარების ინდექსის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, მაისი, 2008.

2.საქართველოს ეროვნული ბანკი., მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტინი., თბილისი., №4 2006.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი., მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტინი., თბილისი., №4 2007.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი., მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტინი., თბილისი., №4 2008.

5.Экономический вестник., Цзяндун Цзюй, Шан-Цзинь., Местние институти и финансовая глобализция., Апрель-июнь 2007.

6. Объединенный венский институт Вена, Австрия., Макроекономические счета, анализ и прогнозирование., Институт МВФ., 2004.

7. Н.Грегори Менкъю., Макроэкономика., 1994.

OPEN ECONOMY AND EFFECT OF FINANSIAL GLOBALIZATION ON GEORGIAN ECONOMY

LILY GVENETADZE
Tbilisi State University
Associated Professor

Georgia, as the country with emerging market economy, constitutes the net importer of the direct investments and at the net exporter of the financial capital. While the countries with developed market economies are exporters of direct investments and importers of financial capital. this work explains the reasons of the creation of global capital flow and its acceleration in the conditions of open economy.The globalization of financial capital helps to improve the common welfare. Although those processes, in countries with developing market economies may also have negative risks in it, along with positive ones. This work assumes that in order to avoid the risks accompanying financial globalization, it's important to: develop financial institutions; improve the effectiveness of corporate ruling and to defend the right to the property.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"პოსტრევოლუციური" საქართველო – კორუფციის ბაზარი და მოთხოვნა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე

ინგა ბალარჯიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

კორუფცია გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. მისი უარყოფითი გავლენა უნივერსალურია. კორუფცია, ჩვეულებრივ, განისაზღვრება "როგორც სამსახურებრივი მოვალეობების ბოროტად გამოყენება ანგარებიანი მიზნებისთვის". ამ განმარტების უკან დგას მძარცველური სახელმწიფოს სახე, თავისი უხარმაზარი "თათით", რომელიც სძალავს ფირმებს და ინდივიდებს ფულს პოლიტიკოსების, უმაღლესი დონის ჩინოვნიკების და ბიუროკრატების ჯიბეში. ამ "თათის" სიმძიმეს, სამწუხაროდ, დღესაც მტკივნეულად განიცდის ჩვენი საზოგადოება.

კორუფცია წარმოადგენს არა მარტო სამართლებრივ, არამედ ეკონომიკურ კატეგორიასაც. ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, იგი არის ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკური სახეობა, რომელიც აღმოცენდება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩანაცვლებით საბაზრო ურთიერთობების მიერ, რომლებიც თავისი ბუნებით არ არიან ეკონომიკური. კორუფცია ტრანსაქციური ხარჯების სპეციფიკური ფორმაა. კორუფციის ეკონომიკური პარამეტრები განისაზღვრება მასზე მოთხოვნით: სანამ იგი მოახდენს ტრანსაქციური ხარჯების ეკონომიას, მანამდე იქნება მასზე მოთხოვნა.

ინსტიტუციური თეორიის თვალსაზრისით, კორუფცია წარმოადგენს არაფორმალურ ეკონომიკურ ინსტიტუტს, რომელიც წარმოიშობა მეურნეობრიობის პირობების არასრულყოფილების შედეგად და, გარკვეული აზრით, აკომპენსირებს ამ არასრულყოფილებას. მაშასადამე, საზოგადოების მიერ კონტროლირებად და დასაშვებ საზღვრებში მას აქვს კომპენსატორული ხასიათი.

კორუფცია მოკლევადიან პერიოდში წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ფაქტორს, ვინაიდან: 1) ქრთამი თავისთავად არის ტრანსაქციური ხარჯების სახეობა, რომელიც იძლევა ლეგალური ბიზნესის ორგანიზების ხარჯების მინიმიზირების საშუალებას და ამით არეალიზებს სამეწარმეო პოტენციალს; 2) განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რესურსები, უმეტეს შემთხვევაში, წილად ხვდება მათ, ვინც მზადაა გადაიხადოს მეტი ფასი მათგან მეტი სარგებლობის მოლოდინით და, შედეგად – იყენებს მათ უფრო ეფექტიანად.

საქართველოში პოსტრევოლუციურ ეტაპზე მიღებულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის ახალი კანონი, რამოდენიმე კანონი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ამერიკულ აქტთან "რეკეტიორთა და კორუმპირებულ ორგანიზაციათა გავლენის ქვეშ მოხვედრილთა შესახებ" და მაფიასთან ბრძოლის იტალიურ კანონებთან. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაექვემდებარნენ "კანონიერი ქურდები", გათვალისწინებულ იქნა უკანონოდ მოპოვებული ქონების კონფისკაცია. შედეგად, ბევრი კანონიერი ქურდი აღმოჩნდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. განხილვაშია კიდევ 127 სისხლის სამართლის საქმე (2007 წლის მონაცემებით). თუმცა კორუფციის პრობლემა არ მოხსნილა, პირიქით, ჩამოყალიბდა კორუფციის ბაზრის არაორდინალური მოდელი:

1) **რევოლუციის უშუალო შედეგს წარმოადგენდა კორუფციის სქემათა დეზორგანიზაცია**, რომელმაც ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესში უკიდურესად სახიფათო ფორმები მიიღო. ქართული სახელმწიფო აღმოჩნდა "კორუფციულ ხაფანგში", რომლის ფესვები ჯერ კიდევ 90-იან წლებში აღმოცენდა.

ზოგადად, ინსტიტუციური ხაფანგი – ესაა არაეფექტიანი მყარი ნორმა (არაეფექტიანი ინსტიტუტი), რომელსაც აქვს თვითშენარჩუნებადი

ხასიათი[1]. რაც უფრო ადრე გააცნობიერებს საზოგადოება ასეთი ხაფანგის საფრთხეს, მით უფრო ნაკლები იქნება მისგან გამოსვლის ტრანსფორმაციული ხარჯები. უპირველეს ყოვლისა, ხაფანგს წარმოადგენს ინერციული განვითარება – მსოფლიო ტექნოლოგიური ლიდერებისგან გლობალური ჩამორჩენის და განვითარებული ქვეყნებისთვის სანედლეულო დანამატად საბოლოოდ გადაქცევის საშიშროება. რაც შეეხება თვით "კორუფციულ ხაფანგს", მისი წარმოშობის შესაძლებლობა კანონმდებლებმა უნდა გაითვალისწინონ თითოეულ კანონში, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს მაკონტროლებელი როლის გაძლიერებისკენ. მისი საშიშროება მდგომარეობს არა მარტო ბიზნესზე კორუფციული გადასახადის დაკისრებაში, არამედ, ძირითადად, ეკონომიკის კონკურენტული საფუძვლების შერყევაში. კორუფციული ხაფანგი ბიუროკრატიულ ხაფანგთან ერთად აძევებს ეკონომიკიდან ყველაზე წარმატებულ, მცოდნე და საბოლოო შედეგზე ორიენტირებულ მეწარმეებს. იგი პირთა გარკვეული წრისათვის ხდება შემოსავლის გარკვეული სახეობა და შეიძლება არც აღიქმებოდეს როგორც კანონსაწინააღმდეგო ქცევა. კულტურული ინერცია გადააქცევს კორუფციულ შემოსავალს თავისებურ "კლუბურ დოვლათად".

"კორუფციული ხაფანგი" (corruption traps) საქართველოში მიკროდონეზე ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ფაქტორის ურთიერთქმედებით: კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის შესაძლებლობა – მაიძულებელი მოტივი – თვითგამართლება. მაკროდონეზე "კორუფციული ხაფანგი" აგებულია შემდეგი საზოგადოებრივი მოვლენების ტრიადაზე: "ბიუროკრატიული ტრადიციები", ჩამოყალიბებული საზოგადოებაში ძირითადად სამართლებრივი ინსტიტუტების არაეფექტიანი მუშაობის გამო – შემოსავლების მაღალი დიფერენციაცია – მოსახლეობის დაბალი კულტურული დონე.

2) **"კორუფციულ ხაფანგს" ჩვენს საზოგადოებაში აძლიერებს "ინერციული მენტალობის ხაფანგიც"** – შეცვლილ პირობებზე რეაგირების, ცხოვრებისეული განწყობების და აზროვნების წესის ერთობლიობა (ევოლუციური ეკონომიკის პოზიციიდან ესაა "ნეგატიური რუტინა" – ინოვაციური ქცევის ძირითადი დაბრკოლება). რადიკალური რეფორმები შეფერხებულ იქნა ჩინოვნიკების მიერ, რომლებსაც ეშინიათ, დაკარგონ "სტატუსური რენტა", ოლიგარქების მიერ, რომელთაც ეშინიათ დაკარგონ ბუნებრივი რენტის მითვისების შესაძლებლობა და ა.შ. ასეთი მენტალობა სათავე არის როგორც კანონისადმი უპატივცემულობის ძველ ტრადიციაში (სამართლებრივი ნიჰილიზმი), ასევე საბჭოთა წლებში ჩამოყალიბებულ – სახელმწიფოს პატერნალისტურ აღქმაში, შრომისადმი არამოტივირებულობაში და 90-იანი წლების რეფორმებში, როდესაც დასუსტდა როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ინსტიტუტთა მთელი სისტემა[2]

3) **სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის ხელფასის გაზრდამ და ანტიკორუფციული კანონის მიღებამ გავლენა მოახდინა მექრთამეობის მოცულობაზე.** გაიზარდა დაპატიმრების რისკი თანამდებობის ბოროტადგამოყენებისთვის და, შესაბამისად, გაიზარდა მოქალაქეებისგან გამოძალული ქრთამის ზომაც.

4) **რეფორმებს თან ახლდა რიგი "თანამდევი ეფექტები"**, მათ შორის სიტუაციის გაუარესება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და პოლიციელთა 16-ათასიანი არმიის სამსახურიდან დათხოვნა ყოველგვარი სოციალური დახმარების გარეშე, რომელთაგან ბევრი მოგვიანებით შევიდა ორგანიზებული დამნაშავეობის როგებში.

5) **ტრანსფორმაცია განიცადა საკუთრების გადანაწილების მექანიზმმაც – ახალ ელიტასთან დაკავშირებული ბიზნესმენები და პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი** წარმომადგენელი (ახალი ხელისუფლების ნათესავები და მეგობრები) ცდილობდნენ მიეღოთ სასურველი აქტივები "სახელმწიფოს ხელით". საკუთრების გარკვეული ნაწილი, რომელიც ეკუთვნოდა წინა ელიტის ნაცნობ-მეგობრებს, გადავიდა "ახალი ელიტის" მეგობართა ხელში. პირადი სიმპათიის და ნეპოტიზმის საფუძველზე თანამდებობებზე დანიშვნამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. პოლიტიკური, ჯგუფური თუ ოჯახურ-კლანური ძალების მუდმივი ზეწოლა ზღუდავს "მერიტოკრატიის პრინციპის" (საკუთარი ღირსებების მიხედვით ადამიანთა გამოყოფა) მიხედვით. სახელმწიფომ შეითავსა კვაზილეგალური როლი. ისინი, ვინც შეინარჩუნა საკუთარი ბიზნესი, მოვალენი იყვნენ გადაეხადათ

[1] Постсоветский институционализм. Под ред. Р.М. Нуреева, В.В. Дементьева. – Донецк: "Каштан", 2005. С 3
[2] Баскин А. С. Стратегия модернизации и институциональные ловушки. экономика и право. 2009. Вып. 1.

მნიშვნელოვანი თანხები ახალი ხელისუფლებისთვის. ბიზნესმენთა მიერ თავიანთი "წარსული ცოდვებისთვის" გადახდილი ფულის დიდი ნაწილი მიიმართა სპეციალურ ფონდებში, რომელთა ოპერაციები იყო სრულიად გაუმჭვირვალე. "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი ჩაანაცვლა "სახელმწიფო რეკეტმა".

6) შემცირდა ორგანიზებული კონტრაბანდა, მაგრამ მოთხოვნა კონტრაბანდულ, ე.ი. იაფ საქონელზე შიდა ბაზარზე იგივე დარჩა. შედეგად, გაიზარდა წვრილი კონტრაბანდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

7) ორგანიზებული დანაშაული საქართველოში შეიძლება გავიგოთ როგორც "კავშირების ქსელი", რომელიც მოიცავს სახელმწიფო მოხელეებს, სამართალდამცავ სტრუქტურებს, საქმიან სექტორს და კრიმინალურ დაჯგუფებებს. კორუფციის ბაზარი კოგერენტული, ცენტრალიზებულად მართვადი სისტემაა, სადაც პოლიტიკური ლიდერები აკონტროლებენ ქსელს "ზემოდან ქვემოთ". ორგანიზებული დამნაშავეები მოქმედებენ ფრთხილად და ცდილობენ არ გამოიყვნენ (ცხრ. №1).

ცხრილი №1. კავშირი პოლიტიკას, ბიზნესსა და დამნაშავეობას შორის

ცვლადები	დახასიათება
მმართველი რეჟიმისადმი პოლიტიკური ოპოზიციის ძალა	ძლიერი
რგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა როლი „რევოლუციურ პროცესებში"	უმნიშვნელო
„რევოლუციამდელი"ელიტის გავლენა „პოსტრევოლუციურ" სიტუაციაზე	სუსტი
პოლიტიკისა და ბიზნესის „შერევის" ხარისხი	ძლიერი
პოლიტიკური სცენის სტაბილურობა „პოსტრევოლუციურ" სიტუაციაში	არასტაბილური
ტროფეათა გადანაწილება	ნაწილობრივ ძალადობრივი
კორუფციის დახასიათება	წვრილი კორუფციის შემცირება„„ელიტარული" კორუფციის გაფართოება
დამნაშავეობის ძალა	ორგანიზებული დანაშაული

კორუფციის ბაზარზე შესაძლებელია საბაზრო ძალის თანაფარდობის ოთხი შესაძლო კომბინაციური ვარიანტი:[3]

1) "ორმხრივი მონოპოლია". ორივე მხარე ფლობს ერთნაირ საბაზრო ძალას და გაცვლები ურთიერთხელსაყრელია. ამგვარი ცენტრალიზებული გარიგებები უფრო ხშირია მაშინ, როდესაც პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა არამრავალრიცხოვანი და ერთგვაროვანია. ამასთან, მათი ლეგიტიმურობა ეფუძნება მათი საქმიანობის შედეგებს, როგორც ეს ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ამ შემთხვევაში ელიტა არ უშვებს წვრილმან კორუფციას ჩინოვნიკებს შორის;

2) ქრთამის ამღებთ უკავიათ უფრო ძლიერი პოზიციები, ვიდრე ქრთამის მიმცემთ (მოთხოვნა ძლიერია მიწოდებაზე). კლეპტოკრატიულ სისტემებში ქრთამის ამღებნი აწესებენ გარიგების ფასებს, ვინაიდან მოქმედებენ დიდი საბაზრო ძალაუფლების პოზიციიდან. ესაა გამომძალველობა. იგი ყვავის რენტის მიღების მსურველთა მუდმივი კონკურენციის დროს ან ისეთი მეთოდების გამოყენებისას, როგორიცაა ძალადობა და მუქარა. ფასები და კორუფციული გარიგებების რიცხვი იზრდება. მოცემული სიტუაცია ხშირად აღმოცენდება ორიდან ერთ-ერთ შემთხვევაში: 1) როდესაც შეინიშნება სამოქალაქო საზოგადოების ან კერძო სექტორის სისუსტე, რომელსაც თან სდევს ადამიანის უფლებებისა და ქონებრივი უფლებების განვითარების არასაკმარისი დონე ან მათი სრული არარსებობა; 2) როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება უკიდურესად ფრაგმენტირებულია, წარმოდგენილია სხვადასხვა რეგიონული ან ეთნიკური დაჯგუფებებითპარტიებით ან პარტიული ფრაქციებით და ყველა მხარე ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი რესურსი, რათა გააგრძელოს ბრძოლა. ასეთი სიტუაცია,

[3] იხ.: Rose-Ackerman S. Corruption and Development // Annual Bank Conference on Development Economics. The World Bank. 1997. Washington, D. C. Cartier-Bresson, J. "Corruption Networks, Transaction Security and Illegal Social Exchange, in *Political Studies*, 1997, v. 45, №3, pp. 463-476.

მიმართული მტაცებლურ-მძარცველური ქცევისკენ, იწვევს შესაძლო შედეგებიდან ყველაზე ნეგატიურ შედეგს. ნედლეულის ექსპორტის ან საერთაშორისო დახმარების წყალობით მიღებული რენტა ილევა ან მათი "ზეგამოყენების" გამო ან მისი ამოწურვის გამო. დაძაბულობა მისი გადანაწილების დროს აღწევს დამანგრეველ დონეს, იწყება სისტემის სოციალური რღვევა, იზრდება ძალადობა, რომელიც უკანასკნელ სტადიაზე ხშირად გადადის სამოქალაქო ომში. უმსხვილეს კორუფციონერთა შემწყნარებლური დამოკიდებულება წვრილი კორუფციისადმი წარმოადგენს კლიენტისტურ ურთიერთობათა დომინირების სტრატეგიის ნაწილს;

3) ქრთამის მიმცემთ უკავიათ უფრო ძლიერი პოზიციები, ბიდრე ქრთამის ამღებთ (მიწოდება ძლიერია მოთხოვნაზე). აქ შეიძლება აღმოცენდეს ორი სიტუაცია. პირველ შემთხვევაში ქრთამის მიმცემი ფლობს სოციალურ ან ეკონომიკურ ძალაუფლებას (მაგალითად, ელიტის წარმომადგენელი ურთიერთქმედებს უმნიშვნელო თანამდებობის პირებთან ან, მრავალეროვნული ფირმა – ადმინისტრაციასთან). ეს მას საშუალებას აძლევს, თვითონ დაადგინოს გარიგების ფასი. მეორე შემთხვევაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია სუსტი სახელმწიფო, კორუფციონერები (ორგანიზებულ დამნაშავეთა ჩათვლით) იღებენ ძალაუფლებას დაშინებისა და ძალადობის გამოყენებით. რამდენადაც კორუფციულ ბაზარზე დომინირებენ ქრთამის მიმცემნი, კორუფციის დონე და ფასები უფრო დაბალია;

4) ქრთამის მიმცემნი (მიწოდება) და ქრთამის ამღებნი (მოთხოვნა) ფრაგმენტირებულნი არიან. ამ შემთვევაში დაჯგუფებებად დაყოფილი მთავრობა ეჯახება ქრთამის მიმცემთა სიმრავლეს და კორუფციის ბაზარი ხდება უკიდურესად კონკურენტული, იწვევს კორუფციული სპირალის აღმოცენებას (როდესაც მიეწოდება მრავალი წვრილი ქრთამი). შეფარდებითი ძალა ამ ბაზრებზე დამოკიდებულია არა მხოლოდ კორუფციულ გარიგებათა პარტნიორების რიცხვზე ან მათ ფინანსურ ძალაუფლებაზე, არამედ მათ პოლიტიკურ ძალაუფლებაზეც, იმაზეც, თუ რამდენად ეფექტიანად არიან ისინი ორგანიზებულნი და შეუძლიათ თუ არა გაერთიანდნენ ზეწოლის სხვა ჯგუფებთან. კორუფციულ გარიგებათა შედეგები დამოკიდებულია პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელშიც კონკურირებენ პოლიტიკურად მძლავრი დაჯგუფებები და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები, აგრეთვე, იმაზე, შეუძლიათ თუ არა მათ თანამშრომლობა ერთმანეთთან შედარებით სტაბილურ და ხელსაყრელ საფუძველზე. მათი მიზნები, ვინც ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას – პირადი მოგების მაქსიმიზაციაა თუ განვითარების მაქსიმიზაცია – განუყოფელი ხდება იმ შედეგებისგან, რომელსაც კორუფცია იწვევს. ეს ხსნის, თუ რატომ მოაქვს განსაკუთრებით დიდი ზიანი კორუფციას განვითარებად ქვეყნებში, სადაც იშვიათად აქვს ადგილი ორმხრივ მონოპოლიას", და რატომ გვხვდება დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში კორუფციის უფრო კონტროლირებადი და ნაკლები ზიანის მომტანი ფორმები.

"პოსტრევოლუციურ" საქართველოში კორუფციის ბაზარი ძნელად ექვემდებარება კლასიფიცირებას, თუმცა იგი, ალბათ, უფრო შეესაბამება მეორე მოდელს. მოთხოვნის მხარე (სახელმწიფო ელიტა) ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას (ძალადობის და მუქარის გამოყენებით) მიწოდების მხარეზე, ადამიანის უფლებების და საკუთრების უფლებების დაცვის უკიდურესად დაბალი დონის და სამოქალაქო საზოგადოების სისუსტის პირობებში.

სამწუხაროდ, საქართველოში მაღალკონცენტრირებულ ეკონომიკურ კორუფციას დაემატა პოლიტიკური კორუფციაც. იგი, როგორც წესი, აღმოცენდება ფსევდოდემოკრატიულ ქვეყნებში. იქ, სადაც იწყება დემოკრატია, იწყება ვაჭრობაც. ხოლო ეს ვაჭრობა, გამოხატული ამაზრზენ ფორმებში, არის სწორედ პოლიტიკური კორუფცია. კანადაში, მაგალითად, პოლიტიკური კორუფციისთვის არსებობს თავისუფლების აღკვეთა 14 წლამდე. აღორძინების ეპოქაში არსებობდა შეხედულება, რომ მორალი და პოლიტიკა იგივეობრივი ცნებებია, მაგრამ ჯერ კიდევ მაკიაველიმ დაამტკიცა, რომ ეს ცნებები სრულიად განსხვავებულია. ხოლო საქართველოს უახლესი ისტორია ადასტურებს მაკიაველის შეხედულებას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით (2005წ.), ქვეყანას, რომელიც ახერხებს შეამციროს კორუფცია (როგორც დაბრკოლება ბიზნესისათვის) ერთი საშუალო გადახრით, შეუძლია გადაინაცვლოს ზემოთ 30 პოზიციით მსოფლიო კონკურენტუნარიანობის შკალაში, რაც აჭარბებს ბიზნესის მუშაობის ნებისმიერი სხვა შეზღუდვის შესუსტებისგან მიღებულ

სარგებლობას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს საქართველოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით (მან 79-ე ადგილიდან 2007წ. გადაინაცვლა 67-ე ადგილზე 2008წ.) (ცხრ.№2), მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში მისი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი არ შეცვლილა – იგი კვლავ 90 ადგილზეა, როგორც 2007 წელს, ხოლო 2006 წელთან შედარებით მდგომარეობა გაუარესდა კიდეც (2006წ. 87-ე ადგილი). თუ გავითვალისწინებთ, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის განსაზღვის საბაზო მოთხოვნებში შედის: საკუთრების უფლებები, ეთიკა და კორუფცია, პოლიტიკოსებისადმი საზოგადოებრივი ნდობა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ფავორიტიზმი სახელმწიფო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებში და სხვ., ცხადი გახდება კორუფციის და კონკურენტუნარიანობის ურთიერთსაწინააღმდეგო ვექტორის მიზეზი – კორუფციის კონცენტრაცია სახელმწიფო ელიტაში, რაც გაცილებით სახიფათო მოვლენაა, ვიდრე რევოლუციამდელი "საყოველთაო" კორუფცია.

ცხრილი №2. კორუფციის აღქმის ინდექსი (2004–2008წწ)

ქვეყანა	ქვეყნის რეიტინგი					კორუფციის აღქმის ინდექსი				
	2004	2005	2006	2007	2008	2004	2005	2006	2007	2008
სომხეთი	82	88	94	99	109	3,1	2,9	2,9	3,0	2,9
რუსეთი	96	126	127	143	147	2,8	2,4	2,5	2,3	2,1
ყაზახეთი	125	107	113	150	145	2,2	2,6	2,6	2,1	2,2
ყირგიზეთი	126	130	144	150	166	2,2	2,3	2,2	2,1	1,8
უკრაინა	129	107	104	118	134	2,2	2,6	2,8	2,7	2,5
საქართველო	136	130	100	79	67	2,0	2,3	2,8	3,4	3,9
ტაჯიკეთი	138	144	148	150	151	2,0	2,1	2,2	2,1	2,0
აზერბაიჯანი	140	137	130	150	158	1,9	2,2	2,4	2,1	1,9
სულ (ქვეყნები)	146	159	163	180	180					

წყარო: **Transparency International. Corruption Perceptions Index 2004-2008.**

ამ ხიფათს ადასტურებს ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსიც, რომელსაც აქვს კომპოზიტური ხასიათი და რომელშიც კონცეპტუალური მიზნის სახით განიხილება "დემოკრატია, დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკაზე სოციალური გარანტიებით". დემოკრატიის და ბაზრის ინდექსების შედარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გვიჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ეს ინდექსები შედარებადია, საქართველო აღმოჩნდა შედარებით წარუმატებელ ქვეყანათა რიცხვში (ცხრ. №3).

საბოლოოდ, საქართველოში კორუფციის განტოლება შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით: კორუფცია = მონოპოლია (პოლიტიკური და ეკონომიკური) + მოქმედების თავისუფლება – ანგარიშვალდებულება, რომლის დემონტაჟის აუცილებლობა ბადებს მოთხოვნას "კონტრაქტულ" სახელმწიფოზე, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების გარანტზე (სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო ვერ ამაღლდა თვით "სტაციონარული ბანდიტის" დონემდეც კი და მოქმედებს "ბანდიტი-გასტროლიორის" პრინციპით: "მოიპარე და გაიქეცი") და სასწრაფოდ გასატარებელ ღონისძიებათა რიგში აყენებს შემდეგ კონკრეტულ საკითხებს:

საჯარო სამსახურში თანამშრომელთა აყვანისას კლიენტელიზმზე უარის თქმა და "მერიტოკრატიის პრინციპის" გამოყენება, როგორც გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობის აუცილებელი პირობა. სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებთან გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება მათი კარიერის პოლიტიკური ცვლილებებისგან დამოუკიდებლობის მიზნით;

ცხრილი №3. დემოკრატიზაციის და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ინდექსების შედარება (პოსტკომუნისტური ქვეყნების მიხედვით)

	წარმატებულობის კატეგორია (10-ბალიანი კომპოზიტური ინდექსის მიხედვით)			
	ყველაზე წარმატებულნი (>8,5 ბალზე)	შედარებით წარმატებულნი (7–8,5 ბალი)	შედარებით წარუმატებელნი (5–7 ბალი)	წარუმატებელნი (< 5 ბალზე)
დემოკრატიის და ბაზრის ინდექსები შედარებადია (განსხვავება ± 0,5 ბალი)	უნგრეთი ლატვია პოლონეთი სლოვაკეთი სლოვენია ჩეხეთი ესტონეთი	ბულგარეთი მაკედონია რუმინეთი	საქართველო ყირგიზეთი უკრაინა	ბოსნია და ჰერცოგოვინა ტაჯიკეთი
დემოკრატიის ინდექსი მაღალია ბაზრის ინდექსზე	ხორვატია (0,6)	ალბანეთი (0,8) ჩერნოგორია (1,2) სერბეთი (1,1)	მოლდავეთი (1,9) მონღოლეთი (1,5)	
ბაზრის ინდექსი მაღალია დემოკრატიის ინდექსზე			სომხეთი (0,8) რუსეთი (1,2) ყაზახეთი (2,6)	აზერბაიჯანი(1,4) ბელორუსი (1,1) თურქმენეთი (1,1) უზბეკეთი (1,4)

წყარო: ***Bertelsmann Transformation Index 2008.*** (ფრჩხილებში მითითებულია (ნიშნის გაუთვალისწინებლად) სხვაობა დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის ინდექსებს შორის)

უცხოური დახმარების ხარჯვაზე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მიერ მონიტორინგის განხორციელება და თითოეული პროექტის მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა;

უარის თქმა ტენდერებში ერთი ფირმის მონაწილეობის მახინჯ პრაქტიკაზე და მათში საეჭვო წარმომავლობის კომპანიების მონაწილეობის გამორიცხვა მკაფიო კრიტერიუმების დაწესების გზით;

პრივატიზაციის სისტემის გადასინჯვა. ვინაიდან კვლავ პრობლემად რჩება სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ობიექტების პირდაპირი წესით გაყიდვა პრეზიდენტის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე;

პროკურატურის ზეწოლა სასამართლოებზე, როგორც 'პოლიტიკური კორუფციის" ერთ-ერთი სახეობა, შეიძლება ითქვას, 'პოსტრევოლუციური" საქართველოს ყველაზე მტკივნეული პრობლემაა და მისი გადაწყვეტა საჭიროებს მხოლოდ პოლიტიკურ ნებას. პროკურატურის ძალაუფლების გაწონასწორება დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მეშვეობით კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმია.

საპროცესო გარიგებების ფაქტიურად "გამოსასყიდად" გადაქცევამ მსუყე ნიადაგი შეუქმნა ამ სფეროში კორუფციის აყვავებას. ფართო საზოგადოებისთვის ამ სისტემის "გახსნილობის" უზრუნველყოფა აგრეთვე "დამცავი" სახელმწიფოს მოვალეობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Андрианов В. Бюрократия, коррупция и эффективность государственного управления: история и современность. "Волтерс клувер", 2009.
2. Бьюкенен Дж. Границы свободы. Между анархией и Левиафаном. М.: «Таурус Альфа», 1997.
3. Д. Кауфманн, С. Прадхан, Р. Ритерман. Восток: Эльдорадо для коррупции. Журнал "Экономическая теория преступлений и наказаний" №4, 2002.
4. Сатаров Г. «Как измерять и контролировать коррупцию», Журнал ,,Вопросы экономики, №1, 2007 г.
5. Постсоветский институционализм. Под ред. Р.М. Нуреева, В.В. Дементьева. – Донецк: "Каштан", 2005.

6. Cartier-Bresson, J. "Corruption Networks, Transaction Security and Illegal Social Exchange, in Political Studies, 1997, v. 45, '3. pp. 463-476.

7. Hellman J.S., Jones G., Kaufmann D. Seize the State, Seize the Day: State Capture, Corruption and Influence in Transition // World Bank Policy Research Working Paper ' 2444. September, 2000.

8. Houston D.A. Can Corruption Ever Improve an Economy // Cato Journal. 2007. Vol. 27. ' 3. (იხ. რეს. ენაზე: – www.polit.ru)

9. Rose-Ackerman S. Corruption and Development // Annual Bank Conference on Development Economics. The World Bank. 1997. Washington, D. C.

10. Svensson J. Eight Questions about Corruption // Journal of Economic Perspectives. 2005. Vol. 19. ' 3. P. 19–42.

POST REVOLUTIONARY GEORGIA – CORRUPTION MARKET AND DEMAND ON DEMOCRATC INSTITUTION

INGA BALARJISHVILI
Doctor of Economics
Associate Professor at Tbilisi State University

Specific model of corrupted market emerged in post revolutionary period in Georgia. Interaction of "Corruption Trap" and "Inactive Mentality Trap"; transformation of the mechanism of property distribution; concentration of corruption on the top of "corruption Pyramid" as one factor of lowering of countries competitiveness; organized crime as network among public servants, business people and criminal groups; superiority of demand on supply throw violence and threat; disregard of principals of "meritocracy" in favor of Nepotism; strengthening of "Quazilegal' role of the state are the specifics of this model.

Above mentioned phenomena creates demand on "contract" state that should guarantee: rejection of" "Clientism", monitoring by civic society spending of foreign aid, excluding participation of questionable companies form tenders, defense of human rights, balancing the procurators' power by independent court.

მარკეტინგი ინოვაციების სფეროში

ირმა დიხამინჯია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ყოველი მეწარმის ძირითადი ამოცანაა თავისი ინოვაციური საქმიანობის რაციონალურად წარმართვა და მისგან მაქსიმალური ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღება. ამ ამოცანის გადაჭრაში მას დახმარებას გაუწევს მარკეტინგი, რომელიც თავის თავში მოიცავს საწარმოო-საბაზრო საქმიანობის მსოფლიო გამოცდილებას. ვინაიდან ბიზნესის საბოლოო მიზანია მომხმარებლის მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება, ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მომხმარებელთა საჭიროებების შესწავლა და მათთვის შესაბამისი პროდუქციის შექმნა.

მარკეტინგის გამოყენების ეკონომიკური აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია ფირმის საწარმოო ფონდების უკუგების დაჩქარება, წარმოების მობილურობის, ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება, ახალ ბაზრებზე დაწინაურების უზრუნველყოფა, და განსაკუთრებით, იმ ბაზრებზე, სადაც შესაძლებელია მაქსიმალური კომერციული წარმატების მიღწევა. საქონელი ფირმის მთელი საქმიანობის არსია და თუ იგი ვერ დააკმაყოფილებს მყიდველის მოთხოვნილებებს, ვერ შესძლებს საკუთარი პოზიციების გამყარებას ბაზარზე. როგორი სრულყოფილი და უნიკალურიც არ უნდა იყოს საქონელი, იგი ვერ გაიყიდება მასზე მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში. მარკეტინგული კვლევების საფუძველზე ინჟინერი, ინოვატორი, დიზაინერი აყალიბებენ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს მომხმარებელი თავისი საჭიროებების დაკმაყოფილებას კონკრეტული საქონლის საშუალებით, რა ფასს გადაიხდის იგი მასზე, და სად და როდის გამოიყენებს. სწორედ ამიტომაცაა, რომ ახალი საქონლის წარმოების დაწყებამდე ხორციელდება მეტად რთული მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, რომელთა ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული ინოვატორი საწარმოს უნარზე მყიდველის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შექმნას ახალი ან სრულყოფილი პროდუქტი იმ ფასად, რომელიც მისაღებია მომხმარებლისათვის, და მოახდინოს მისი რეალიზაცია იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს კვლავწარმოების გაფართოებისათვის საჭირო მოგებას.

ცნება "ინოვაციების მარკეტინგი" წარმოადგენს მარკეტინგულ ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს დასამუშავებელი ნაწარმის, ნაკეთობის, ტექნოლოგიის, მომსახურების კომერციულად წარმატებული რეალიზაციისათვის. ინოვაციების მარკეტინგის თავისებურებებია:

– ინოვაციური პროდუქტის დარგთაშორისი ხასიათის გათვალისწინება. მოცემული პრინციპი სიახლის რამდენიმე დარგში გამოყენების შესწავლას გულისხმობს;

– ინოვაციური პროდუქტის რეალიზაციისას გამოცდილ, ჯგუფურ მომხმარებელზე ორიენტირება. ეს პრინციპი გულისხმობს ხანგრძლივი და შრომატევადი მოლაპარაკებების წარმოებას.

– ინოვაციური პროდუქტის გაყიდვა მოითხოვს რეკლამას: თუ მყიდველს დაწვრილებით არ განემარტა ინოვაციის არსი, იგი მას არ შეიძენს მის შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო;

– ინოვაციური პროდუქტის ტექნიკური სირთულიდან გამომდინარე, ფირმა-დამმუშავებელმა უნდა განახორციელოს მისი გაყიდვის შემდგომი მომსახურება, რაც ინოვაციის კომერციული წარმატების საწინდარია;

– ინოვაციური პროდუქტის რეალიზაცია დამოკიდებულია მომხმარებლის ინოვაციური პოტენციალის მოცულობასა და ხარისხზე.

კიდევ სამუშაოს დაწყების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამდე. ისინი განსაზღვრავენ არა მარტო მწარმოებელი ფირმის სასაქონლო პოლიტიკას, არამედ მონაწილეობენ მოთხოვნის ფორმირებაში, კონსულტაციურ მომსახურებას უწევენ პოტენციურ მომხმარებელს და განსაზღვრავენ შექმნილი პროდუქციის შემდგომი კომერციალიზაციის შესაძლებლობებს, ე.ი. შეისწავლიან მოცემულ ან მსგავს დარგებში საწარმოთა მოთხოვნებს ანალოგიურ სიახლეებში.

ცნობილია, რომ ინოვაციების ბაზარი მოიცავს შემდეგი სახის გამოკვლევებს:

– ინოვაციების ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზს;

– მრეწველობის დარგთა განვითარების ტენდენციების ანალიზს, სადაც გამოიყენება პროდუქცია;

– სხვადასხვა ქვეყნის პროდუქციათა ბაზრების შეფარდებითი ტევადობის ანალიზს;

– ინოვაციების ბაზარზე კონკურენციის პირობების ანალიზს, რაც მოიცავს: პოტენციური კონკურენტების გამოვლენას და მათ რანჟირებას აქტივობის მიხედვით; წამყვანი ფირმების მეცნიერულ-ტექნოლოგიური კვლევების მიმართულებების, მათი დაპატენტების, სალიცენზიო საქმიანობის, პროდუქციის ასორტიმენტის, გასაღების ბაზრის გეოგრაფიის ანალიზს;

– ინოვაციების ბაზრის სეგმენტაციას.

ბაზარზე სიტუაციის პროგნოზირებაში მარკეტინგულ გამყოფილებებს ეხმარება სიახლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. მიღებული მონაცემების საფუძველზე მოცემულ თემატიკაში ტარდება სიახლის გამომგონებლური აქტივობის კვლევა. გაცემული პატენტების რაოდენობის მიხედვით შეიძლება მსჯელობა მოცემული მიმართულებით მეცნიერთა მუშაობის ინტენსივობისა და განვითარების ტემპების შესახებ პერსპექტივაში. ასეთი მარკეტინგული კვლევები მიუთითებენ კონკრეტული სახის ინოვაციური პროდუქტის სამომხმარებლო თვისებებზე. საპატენტო ინფორმაციის გამოყენებით კეთდება კონკრეტული სახის პროდუქციის ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზი. ასეთი ანალიზი წარმოადგენს ერთგვარ დანამატს მარკეტინგული კვლევების ტრადიციული მეთოდებით (ანკეტირება, კაპიტალდაბანდებების დინამიკის ანალიზი, ბაზარზე პროდუქციის გაყიდვის დინამიკის ანალიზი, და სხვ.) ჩასატარებლად.

ბაზარზე საქონლის დანერგვასა და მარკეტინგის ინფორმაციულ მხარდაჭერას ახორციელებენ ქვეგანყოფილებები, რომლებიც სპეციალიზდებიან სარეკლამო საქმიანობაზე, მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის სემინარების, გამოფენების, პრეზენტაციების ორგანიზებაზე. გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული მომხმარებელზე კომპლექსური ზემოქმედების მეთოდი არა მარტო რეკლამის საშუალებით, არამედ სხვა "მარკეტინგული კომუნიკაციებითაც". მათ მიეკუთვნება პაბლისისტი (პერსონალური გაყიდვები) და პაბლიკ რილეიშენზი (გასაღების სტიმულირება). მარკეტინგული სამსახურები ატარებენ ბაზრის სეგნემენტაციას მომხმარებელთა და პროდუქტთა ჯგუფების მიხედვით. კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე შეისწავლება კონკურენტების საქმიანობა. კონკურენტების პროდუქციის შესწავლის პრაქტიკას ერთნი უწოდებენ პარაზიტულს, მეორენი კი ამ საკითხს "შემოქმედებითად" უდგებიან. თუ ადგილი აქვს პროდუქციის კოპირებას, შენიშვნა მართებულია, ხოლო თუკი ეს ხელს შეუწყობს კონკურენტების იდეების განვითარებას, ან მათ გამოყენებას ახალ გარემოებაში, მაშინ ასეთ სტრატეგიას პარაზიტულს ვერ ვუწოდებთ. გარდა ამისა, ახალი პროდუქციის შესახებ იდეების მიმწოდებლად შეიძლება იქცნენ აგენტები, სავაჭრო წარმომადგენლები, კონტრაგენტები, მომხმარებლები, ფირმის თანამშრომლები და ა.შ. ზოგიერთ კომპანიაში მუშაკთა მხრიდან ინიციატივა, მათ მიერ წამოყენებული რაციონა-ლიზატორული წინადადებებიც სიახლეებად ითვლება (საუკეთესო წინადადებების ავტორები ჯილდოვდებიან).

ერთი სიტყვით, შრომატევადია მარკეტინგული საქმიანობის ჩატარება, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი, მით უფრო ინოვაციების სფეროში. როგორც ავღნიშნეთ, ყველა ეფექტური საწარმო ფუნქციონირებს საკუთარ გარემოში და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მას სჭირდება მისთვის სპეციფიკური მარკეტინგი, შემუშავებული საწარმოსა და მის გარემოს შორის დინამიური ბალანსის მიღწევის მიზნით. ქვეყნის მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაციური ბაზრის გაფართოებაც მარკეტინგზე ორიენტაციის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს ბაზარი დასავლეთის ბაზრებისაგან განსხვავებით სუსტად

სტრუქტურირებული და ძნელად პროგნოზირებადი ბაზარია, ამიტომ მას მარკეტინგული კვლევის სპეციფიკური მეთოდები ესაჭიროება, სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი მენტალიტეტიც. ყოველივე ეს კი დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ., ინოვაციების მენეჯმენტი., "ევროპული უნივერსიტეტი".,თბილისი.,2008.
2. Менеджмент технологических инноваций, учебник, пособие.изд.Спб.2003.
3. Перлаки И., Нововведение в организациях. пер. со словецкого. М.: »Экономика»,1980.

MARKETING IN INNOVATION FIELD

IRMA DIKHAMINJIA
Associate Professor at Sukhumi State University

Scientific-technical development of the country and widening of its market innovation is impossible without orientation on marketing. Economic essence of marketing usage is in its possibility to hurry up counteracting the enterprise funds of the company, to rise the enterprise mobility, the level of compatibility of new technologies and products, to provide promotion for new markets. Innovation product needs specific marketing for itself, which is processed by achieving dynamic balance between enterprise and its environment. Innovation market also requests special marketing. Market investigation is implemented by innovators until receiving the decision about starting the work. They define not only commodity policy of producing company, but they participate in formation of demands, they perform consultation service to potential costumer and define the possibilities of further commercialization of created product. Affectivity of marketing measures is depended on capability of innovator enterprise in relation with costumer's demands to create a new and improved product of such prices which are acceptable for costumer, and to realize it in such volume and quality, which provides necessary profit for widening existed manufacture.

ახალი ეკონომიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობა*

რამაზ ფუტკარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი

საქართველოსათვის სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან, მით უფრო როცა საქართველოს საგარეო ინტერესებში შედის ევროპული ფასეულობების თუ გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირთან დაახლოება. საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობას საფუძველი 1991 წლიდან ჩაეყარა, როდესაც საქართველოში დაიწყო „ტასისი" (TACIS) პროგრამების განხორციელება, მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების ძირითად სამართლებლივ საფუძველს 1996 წელს გაფორმებული და 1999 წელს ძალაში შესული, „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება" წარმოადგენს. 2006 წლის 14 ნოემბერს ხელი მოეწერა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას საქართველოსათვის", რისი განხორციელებაც საქართველოს მისცემს შესაძლებლობას უფრო გააღრმავოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან.

ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში. ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის 17,4%, (2007წ.) აშშ-ზე - 11,9%, ჩინეთზე - (ჰონკონგის გარეშე) 12,5%, იაპონიაზე - 7,3% და კანადაზე - 4,3%. ასევე ევროკავშირზე მოდის საქონლის მსოფლიო იმპორტის 19%, აშშ-ზე 19,5%, ჩინეთზე (ჰონკონგის გარეშე) 9,2%, იაპონიაზე 6% და კანადაზე 3,7%[1]. ევროკავშირს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო ვაჭრობაში იგი მეტად მზარდი ბაზარია (იხ. ცხრილი №1), ევროკავშირის ექსპორტის მოცულობამ 2007 წელს 1 237 მლრდ. ევრო, ხოლო იმპორტმა 1 426 მლრდ. ევრო შეადგინა.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო თანამშრომლობის მაჩვენებლების მასშტაბების შესაფასებლად განვიხილოთ მოკლედ საქართველოს საგარეო ვაჭრობა. საქართველოს მთავარი პრობლემა არის მეტად მზარდი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (იხ. ცხრილი №2). 2003-2008 წლებში საქართველოს ექსპორტი თუ საშუალოდ წლიურად 27,5%-ით, იმპორტის შესაბამისი მაჩვენებელმა 40,5%-ით გაიზარდა.

ცხრილი №1. ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა 2003-2008 წ.

მლნ ევრო

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა %	ექსპორტი	წლიური ზრდა	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
2003	935,270		869,236		-66,034	1,804,506
2004	1,027,522	9.9	952,954	9.6	-74,568	1,980,476
2005	1,179,569	14.8	1,052,720	10.5	-126,849	2,232,289
2006	1,351,745	14.6	1,159,276	10.1	-192,469	2,511,021
2007	1,426,008	5.5	1,236,919	7.0	-189,089	2,662,927
საშუალო წლიური ზრდა		11.2		9.3		

* აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი #GNSF/PRES08/2-311). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

[1] იხ. hpp.eurostat.ec.europa.eu/portal/

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი №2. საქართველოს საგარეო ვაჭრობა[2]

1000 აშშ დოლარი

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა %	ექსპორტი	წლიური ზრდა	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
2003	1,141,165		461,406		-679,759	1,602,571
2004	1,845,555	61.7	646,903	40.2	-1,198,652	2,492,458
2005	2,489,953	34.9	865,454	33.8	-1,624,499	3,355,407
2006	3,677,745	47.7	936,172	8.2	-2,741,573	4,613,917
2007	5,214,883	41.8	1,232,371	31.6	-3,982,512	6,447,254
2008	6,058,104.0	16.2	1,497,664	21.5	-4,560,440	7,555,768
საშუალო წლიური ზრდა	X	40.5	X	27.1	X	X

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4,56 მლრდ. აშშ დოლარია, რაც ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა მაღალი მაჩვენებელია.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2008 წელს 7555,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგენა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1497,7 მლნ. აშშ დოლარია (შესაბამისად 21.5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 6058,1 მლნ. აშშ დოლარი (40.5 პროცენტით მეტი). მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით ექსპორტის მოცულობა იზრდება, მისმა ხვედრითმა წილმა ჯამურ სავაჭრო ბალანსში იკლო. ტენდენცია შემდეგია: 2003 წელი – 30%, 2004 – 26%, 2005 – 25,8%, 2006 – 21,2%, 2007 – 19,1%, 2008 - 19.8%. ბუნებრივია, რომ ამ ფონზე მატულობს იმპორტის ხვედრითი წილი და შესაბამისად იზრდება უარყოფითი სავაჭრო სალდო. მართალია იზრდება საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, მაგრამ უფრო მაღალი ტემპებით იზრდება სავაჭრო დეფიციტი და შესაბამისად არ იზრდება ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი. იზრდება ვაჭრობის გეოგრაფია და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, მაგრამ არ იზრდება ქვეყანათა რაოდენობა, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. ასევე მართალია მთლიანობაში წინა პერიოდთან შედარებით საექსპორტო მაჩვენებელი იზრდება, მაგრამ არ იცვლება საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეულ ასპექტებს მიეძღვნა მრავალი მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია[3]. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო

[2] წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის განყოფილების მონაცემები.

[3] პაპავა ვ., ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2008, ბერუჩაშვილი თ., ქართული ექსპორტის პერსპექტივები გაფართოებულ ევროპის ბაზარზე (ზოგადი მიმოხილვა), ჟურნ. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, №3, 2004, ბერუჩაშვილი თ., და სხვა, საქართველო და ევროკავშირი, თბ., 2006, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევითი ცენტრის შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2008, გრიშიკაშვილი ა., გზა ევროკავშირისაკენ, თბ., 2003, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი, (ფრიდრიხ ებერტიოს ფონდი) თბ., 2007, საქართველო და ევროკავშირი – საზოგადოების განწყობა (ფრიდრიხ ებერტიოს ფონდი) თბ.,2005,ყორღანაშვილი ლ.,საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა: თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი" V ტომი, №1-4, ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი I, თბ., 2001, ღაღანიძე გ., საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები. ჟურნ. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", ოქტომბერი 2007, ვინსენტზი ვ., (გერმანია) სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. ჟურნ. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", ოქტომბერი 2008. ვინსენტზი ვ., საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაცია და ხელშეწყობა. ჟურნ. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", ოქტომბერი 2006 და სხვა.

ურთიერთობების მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილი №2 (1995-2002წწ) და №3-ში (2003-2008წწ.). დიახ, საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდენცია აქვს და გაცილებით მაღალი ვიდრე საქართველოს ექსპორტს. 2007 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის 27 ქვეყანასთან 1807,4 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე, იმავე ქვეყნების მიხედვით, 73,5 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 268,5 მლნ. აშშ დოლარია (42,1 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 1538,9 მლნ. აშშ დოლარი (80,4 პროცენტით მეტი). ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 28,0 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 21,7 პროცენტი, იმპორტის 29,5 პროცენტი და სავაჭრო დეფიციტის 34,8 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი ბოლო ხუთი წელია მხოლოდ 17-25%-ის ფარგლებშია.

2008 წელს კი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა, მათ შორის ექსპორტი 335,2 მლნ. აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 1665,3 მლნ. აშშ დოლარი ანუ იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას აღემატება 5-ჯერ. ევროკავშირის ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 26,5 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 22,4 პროცენტი და იმპორტის 27,5 პროცენტი.

1995-2002 წლებში საქართველოში ევროკავშირის იმპორტის საშუალო წლიურმა ზრდამ 8,9%, ხოლო ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის საშუალოდ წლიურმა ზრდამ 15,9% შეადგინა. 2003-2008 წლებში შესაბამისმა მაჩვებებლებმა 34,0% და 34,8% შეადგინა (იხ. ცხრილი 3 და №4), შედარებისათვის 2003-2008 წლებში საქართველოს ექსპორტი საშუალოდ წლიურად 27,1%-ით, იმპორტი 40,5%-ით გაიზარდა.

ცხრილი №3. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები (1996-2002 წწ.)

1000 აშშ დოლარი

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა %	ექსპორტი	წლიური ზრდა	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
1995	114,091		7,238		-106,853	121,329
1996	186,943	63.9	34,962	383.0	-151,981	221,905
1997	224,431	20.1	30,648	-12.3	-193,783	255,079
1998	271,229	20.9	41,778	36.3	-229,451	313,007
1999	161,424	-40.5	54,922	31.5	-106,502	216,346
2000	161,536	0.1	78,874	43.6	-82,662	240,410
2001	240,850	49.1	62,255	-21.1	-178,595	303,105
2002	232,276	43.8	63,431	-19.6	-168,845	295,707
საშუალო წლიური ზრდა	X	8.9	X	15.9	X	X

ცხრილი №4. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები 2003-2008 წ.

1000 აშშ დოლარი

წელი	იმპორტი	წლიური ზრდა %	ექსპორტი	წლიური ზრდა	ბალანსი	სავაჭრო ბრუნვა
2003	409,406		81,590		-327,816	490,996
2004	657,248	60.5	128,204	57.1	-529,044	785,452
2005	740,323	12.6	216,756	69.1	-523,567	957,079
2006	1,104,127	49.1	225,354	4.0	-878,774	1,329,481
2007	1,538,905	39.4	268,530	19.2	-1,270,375	1,807,436
2008	1,665,324	8.2	335,198	24.8	-1,330,126	2,000,522
საშუალო წლიური ზრდა	X	34.0	X	34.8	X	X

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის და ევროსტატის მონაცემების სარკისებური შედარება მხარეებს შორის თანამშრომლობის სულ სხვა სურათს, უფრო მასშტაბურს იძლევა. განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე საქართველოს ექსპორტის მონაცემებს ეხება. ევროკავშირის მონაცემებით საქართველოს აღრიცხული ექსპორტი მერყეობს წლების მიხედვით 40%-ის ფარგლებში. (იხ. ცხრილი №5)

ცხრილი №5 საქართველოსა და ევროკავშირის მონაცემების სარკისებური შედარება

	საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში			
	2000	2004	2005	2006
საქართველოს მონაცემები (აშშ დოლარი)	78,9	128,2	216,8	225,4
ევროკავშირის მონაცემები (ევრო)	236	314	278	485
გაცვლითი კურსი ევრო/აშშ დოლარი	0.9238	1.2443	1.2444	1.258
ევროკავშირის მონაცემები (აშშ დოლარი)[4]	218.0	390.7	345.9	610.1
განსხვავება (აშშ დოლარი)	139,1	262,5	129,1	384,7
საქართველოს მონაცემები/ევროკავშირის მონაცემებთან	36,6	32,8	62,7	36,9
	საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან			
საქართველოს მონაცემები (აშშ დოლარი)	161,5	657,2	740,3	1104,1
ევროკავშირის მონაცემები (ევრო)	376	610	678	922
გაცვლითი კურსი ევრო/აშშ დოლარი	0.9238	1.2443	1.2444	1.258
ევროკავშირის მონაცემები (აშშ დოლარი)	347.3	759.0	843.7	1159.9
განსხვავება (აშშ დოლარი)	185,8	101,8	103,4	45,8
საქართველოს მონაცემები/ევროკავშირის მონაცემებთან	46,5	86,6	87,7	95,1

საქართველოსა და ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები. იმპორტის მიხედვით ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: ჩინეთი (16,2%), აშშ (12,7%), რუსეთი (10,1%), იაპონია (5,5%), ნორვეგია (5,4%), შვეიცარია (5,4%), თურქეთი (3,3%), კორეა (2,8%), ბრაზილია (2,3%) და ლიბია 1,9%), ხოლო ევროკავშირის ექსპორტის მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: აშშ (21,1%), შვეიცარია (7,5%), რუსეთი (7,2%), ჩინეთი (5,8%), თურქეთი (4,2%), იაპონია (3,5%), ნორვეგია (3,5%), ინდოეთი (2,4%), არაბთა გაერთიანებული ემირატები (2,2%) და კანადა (2,1%).

ცხრილი №6. ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2007 წ.

იმპორტის მიხედვით

№	ქვეყანა	მლნ. ევრო	%
	სულ	*1,426,008*	*100*
1	ჩინეთი	231,516	16.2
2	აშშ	181,104	12.7
3	რუსეთი	143,880	10.1
4	იაპონია	78,104	5.5
5	ნორვეგია	76,841	5.4
6	შვეიცარია	76,700	5.4
7	თურქეთი	46,867	3.3
8	კორეა	39,611	2.8
9	ბრაზილია	32,661	2.3
10	ლიბია	27,323	1.9
X	10 ქვეყანა	934,607	65.5
X	დანარჩენი ქვეყნები	491,401	35.5

ექპორტის მიხედვით

№	ქვეყანა	მლნ. ევრო	%
	სულ	*1,239,919*	*100*
1	აშშ	261,463	21.1
2	შვეიცარია	92,787	7.5
3	რუსეთი	89,100	7.2
4	ჩინეთი	71,757	5.8
5	თურქეთი	52,641	4.2
6	იაპონია	43,757	3.5
7	ნორვეგია	43,207	3.5
8	ინდოეთი	29,481	2.4
9	არაბთა გაერთიანებული ემირატები	26,878	2.2
10	კანადა	25,893	2.1
X	10 ქვეყანა	736,964	59.5
X	დანარჩენი ქვეყნები	502,955	40.5

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეევროკავშირზე მოდის ქვეყნის ექსპორტის 29.5% და იმპორტის 21.8%. ბოლო პერიოდში წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. 2007 წელს თურქეთთან

[4] Gilberto Gambini. Der Handel der EU-27 mit den GUS-Ländern 2006. Eurostat. Statistik kurz gefasst. Aussenhandel 114/2007

საავჭრო ბრუნვამ 900 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 13.6 პროცენტია. თურქეთის შემდეგ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო ქვეყნებია უკრაინა (სავაჭრო ბრუნვის 10,4%), რუსეთი (9,8%), აზერბაიჯანი (8%), გერმანია (6,9%), აშშ (5,5%), ბულგარეთი (3,8%), არაბთა გაერთიანებული საემირო (3,6), ჩინეთი (3,3%), თურქმენეთი 2,7%) და ა.შ. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორისაა დსთ-ს 3 ქვეყანა (რუსეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა) და მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის 27.7% და იმპორტის 29.4 %.

ცხრილი №7. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2007 წ.

იმპორტის მიხედვით

ქვეყანა	1000 აშშ დოლარი	%
სულ	*5,214,883*	*100*
ეკ 27	1,538,905	29.5
თურქეთი	727,906	14.0
რუსეთი	576,604	11.1
უკრაინა	574,906	11.0
აზერბაიჯანი	382,367	7.3
არაბთა გაერთიანებული ემირატები	214,721	4.1
ჩინეთი	206,709	4.0
აშშ	203,891	3.9
თურქმენეთი	149,902	2.9

ექსპორტის მიხედვით

№	ქვეყანა	1000 აშშ დოლარი	%
	სულ	1,232,371	*100*
1	ეკ 27	268,530	21.8
2	თურქეთი	171,764	13.9
3	აშშ	149,561	12.1
4	აზერბაიჯანი	137,455	11.1
5	სომხეთი	110,844	9.0
6	უკრაინა	94,169	7.6
7	კანადა	70,604	5.7
	რუსერუსეთი	45,599	3.7
8	ყაზახეთი	34,292	2.8

აღსანიშნავია რომ, როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია იმპორტის მიხედვით: თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი და აშშ. ექსპორტის მიხედვით კი: თურქეთი, აშშ და კანადა.

საქართველო-ევროკავშირის, ისევე როგორც საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოუკიდებელია იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისაგან. 2007-2008 წლებში საქართველოს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა 23.3% (იხ. ცხრილი №8). აღსანიშნავია, რომ ფეროშენადნობების მთლიანი ექსპორტის 3.7% (2008 წ.), შავი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის - 5.4%, სპილენძის მადანისა და კონცენტრატების - 100%, მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქის - 64.8%, ყურძნის ნატურალური ღვინოების - 19.5%, კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი - 65% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე.

ცხრილი №8. საქართველოს ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით[1]

	ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)					
	ექსპორტი სულ 2007	მათ შორის ევროკავშირი		ექსპორტი სულ 2008	მათ შორის ევროკავშირი	
		მლნ. აშშ დოლარი	%		მლნ. აშშ დოლარი	%
ფეროშენადნობები	159.6	4.5	2.8	267.2	10.0	3.7
ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა	96.8	9.7	10.0	128.5	7.0	5.4
მადანი და კონცენტრატები სპილენძის	79.2	79.2	100.0	118.3	118.3	100.0
მსუბუქი ავტომობილები	70.2	0.6	0.9	113.3	7.2	6.4
სასუქი მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	57.0	13.5	23.7	105.5	68.4	64.8
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული, ან ფხვნილის სახით	69.4	0.0	0.0	100.1	0.0	0.0
ცემენტი	64.0	0.0	0.0	80.1	0.0	0.0
სპირტი ეთილის, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	57.4	3.8	6.6	59.0	3.9	6.6
ყურძნის ნატურალური ღვინოები	29.2	4.8	16.4	36.9	7.2	19.5
კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი	65.1	58.4	89.7	31.7	20.6	65.0
ძირითადი პროდუქცია სულ	747.9	174.5	23.3	1040.6	242.6	23.3
დანარჩენი პროდუქცია სულ	484.3	94.0	19.4	457.0	92.6	20.3
სულ ექსპორტი	1232.2	443.0	36.0	2538.2	577.8	22.8

[1] საქართველოს უმსხვილეს საიმპორტო და საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებში ევროკავშირის წილის გაანგარიშება განხორციელდა ჩვენს მიერ სტატისტიკის დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე

საქართველოს იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა, მათ შორის ევროკავშირის გვიჩვენებს, რომ მისი უდიდესი ნაწილი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, მსუბუქ ავტომობილებზე, სამკურნალო საშუალებებზე, სატვირთო ავტომობილებზე, სამედიცინო ხელსაწყოებსა და მოწყობილებებზე, სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელზე მოდის. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წარმოდგენილია ბევრი ისეთი პროდუქცია,რომელიც საქართველოში არ იწარმოება ან არ მოიპოვება, მაგალითად ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქ და სატვირთო ავტომობილები, სამედიცინო ხელსაწყოები და მოწყობილებები, სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა.

საქართველოს სასაქონლო ჯგუფებიდან უმსხვილეს საიმპორტო ათეულთაგან 2007 წელს ევროკავშირის ქვეყნებზე 30.5%, 2008 წელს კი 27.3% მოდიოდა (იხ. ცხრილი №9). აღსანიშნავია, რომ ნავთობი და ნავთობბროდუქტების მთლიანი იმპორტის 31.1% (2008 წ.), მსუბუქი ავტომობილების – 32.2%, სამკურნალო საშუალებების – 58.2%, აპარატურა გადამცემი რადიოსატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის – 32.9%, გამომთვლელი მანქანების და მათი ბლოკების – 61.2% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე.

ცხრილი №9. საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

	იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)					
	იმპორტი სულ 2007	მათ შორის ევროკავშირი		იმპორტი სულ 2008	მათ შორის ევროკავშირი	
	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. აშშ დოლარი	%	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. აშშ დოლარი	%
ნავთობი და ნავთობბროდუქტები	556.3	204.0	36.7	762.4	237.0	31.1
მსუბუქი ავტომობილები	369.7	177.5	48.0	463.3	149.2	32.2
ნავთობის აირები აირისებრი ნახშირწყალბადი	293.9	0.0	0.0	204.7	0.0	0.0
სამკურნალო საშუალებები	144.0	82.0	56.9	189.9	110.5	58.2
აპარატურა გადამცემი რადიოსატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის,	105.2	44.0	41.8	148.2	48.8	32.9
რკინისა და ფოლადის წნელები	71.9	0.7	1.0	111.1	2.4	2.2
ხორბალი	139.2	0.6	0.4	108.9	2.0	1.8
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	77.9	46.4	59.6	92.8	57.2	61.6
ხორბლის ფქვილი	45.9	0.0	0.0	74.5	0.9	1.2
მანგანუმის მადნები და კონცენტრატები	19.2	0.0	0.0	70.1	0.0	0.0
ძირითადი პროდუქცია სულ	1823.2	555.2	30.5	2225.9	608.0	27.3
დანარჩენი პროდუქცია სულ	3391.6	983.7	29.0	3832.3	1057.3	27.6
სულ ექსპორტი	5214.8	1538.9	29.5	6058.2	1665.3	27.5

2008 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, გერმანიაზე მოდიოდა საქართველოს ექსპორტის მოცულობის 10%, (2007 წელი 21%) ბულგარეთზე 32.3%, გაერთიანებულ სამეფოზე 13% და საფრანგეთზე 12%. (იხ. ცხრილი №10). სავაჭრო თანამშრომლობის მასშტაბების მიხედვით ჩვენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ვყოფთ 3 ჯგუფად: I ჯგუფი, ქვეყნები, რომლებზეც მოდის საქართველოს ევროკავშირში ექსპორტის ან ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტის 10% და მეტი, II ჯგუფი, ქვეყნები რომლებზეც მოდის ექსპორტის ან იმპორტის 1-დან 10%-მდე და III ჯგუფი ქვეყნები რომლებზეც მოდის ექსპორტის ან იმპორტის 1%-მდე. საქართველოს ექსპორტის მიხედვით I ჯგუფის პარტნიორი ქვეყნებია: გერმანია, ბულგარეთი, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო. II ჯგუფის პარტნიორი ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, ესპანეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი და საბერძნეთი. III ჯგუფის პარტნიორი ქვეყნებია: დანია, ესტონეთი, ფინეთი, ირლანდია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი და უნგრეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 10. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში ქვეყნების მიხედვით 2004-2008 წწ (ათასი აშშ დოლარი)[6]

	2004	%	2005	%	2006	%	2007	%	2008	%
სულ ევროკავშირი	128,204.3	100.0	216,756.4	100.0	225,353.7	100.0	268,530.3	100.0	335,197.8	100.0
მათ შორის										
ავსტრია	311.2	0.2	1,045.9	0.5	1,798.0	0.8	4,919.2	1.8	3,001.6	0.9
ბელგია	5,068.1	4.0	5,075.1	2.3	11,007.3	4.9	17,737.7	6.6	7,190.8	2.1
ბულგარეთი	15,552.0	12.1	42,843.9	19.8	62,268.2	27.6	59,357.3	22.1	108,216.7	32.3
ჩეხეთი	1,621.6	1.3	6,614.2	3.1	6,095.5	2.7	6,111.2	2.3	4,349.9	1.3
დანია	754.6	0.6	219.0	0.1	646.8	0.3	808.6	0.3	1,046.7	0.3
ესპანეთი	9,495.9	7.4	14,237.5	6.6	15,543.5	6.9	14,414.9	5.4	19,667.7	5.9
ესტონეთი	873.4	0.7	2,781.9	1.3	1,883.9	0.8	1,442.7	0.5	970.0	0.3
ფინეთი	0.0	0.0	0.0	0.0	183.9	0.1	6,891.8	2.6	1,060.6	0.3
გაერთიანებული სამეფო	31,674.6	24.7	31,930.5	14.7	19,460.3	8.6	23,172.5	8.6	43,576.6	13.0
გერმანია	15,850.9	12.4	28,424.3	13.1	39,463.2	17.5	56,155.9	20.9	33,100.6	9.9
ირლანდია	55.7	0.0	942.1	0.4	46.1	0.0	356.8	0.1	178.0	0.1
იტალია	11,590.7	9.0	33,554.9	15.5	23,983.8	10.6	17,792.6	6.6	17,144.9	5.1
კვიპროსი	430.9	0.3	241.9	0.1	799.5	0.4	234.4	0.1	3,197.3	1.0
ლატვია	1,029.9	0.8	1,745.8	0.8	3,687.0	1.6	4,502.0	1.7	5,407.6	1.6
ლიტვა	870.0	0.7	972.5	0.4	2,942.8	1.3	6,040.2	2.2	8,769.2	2.6
ლუქსემბურგი	120.1	0.1	29.2	0.0	342.8	0.2	0.0	0.0	52.2	0.0
მალტა	454.3	0.4	12.4	0.0	2.0	0.0	0.8	0.0	0.0	0.0
ნიდერლანდები	9,840.1	7.7	11,331.9	5.2	6,559.5	2.9	12,111.4	4.5	12,652.5	3.8
პოლონეთი	1,516.1	1.2	736.7	0.3	3,067.9	1.4	6,275.4	2.3	4,886.4	1.5
პორტუგალია	143.0	0.1	212.0	0.1	955.0	0.4	2,311.5	0.9	128.3	0.0
რუმინეთი	1,288.9	1.0	8,752.3	4.0	5,183.5	2.3	7,534.7	2.8	13,611.5	4.1
საბერძნეთი	7,332.1	5.7	10,411.6	4.8	5,498.0	2.4	7,006.5	2.6	5,996.2	1.8
საფრანგეთი	9,555.9	7.5	11,545.2	5.3	12,445.2	5.5	11,613.7	4.3	39,910.1	11.9
სლოვაკეთი	2,628.1	2.0	2,899.1	1.3	1,326.3	0.6	1,561.5	0.6	912.4	0.3
სლოვენია	0.0	0.0	18.9	0.0	14.8	0.0	48.8	0.0	0.0	0.0
შვედეთი	63.4	0.0	146.9	0.1	10.0	0.0	90.4	0.0	66.9	0.0
უნგრეთი	82.8	0.1	30.7	0.0	138.6	0.1	38.0	0.0	103.3	0.0

2008 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, გერმანიაზე მოდიოდა საქართველოს იმპორტის მოცულობის 26.1%, იტალიაზე 11%. (იხ. ცხრილი №11). ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტის მოცულობის მიხედვით სამივე ჯგუფი დაახლოებით ანალოგიურად გამოიყურება: I ჯგუფი, გერმანია და იტალია. II ჯგუფი – ავსტრია, ბელგია ბულგარეთი ჩეხეთი ესპანეთი ფინეთი გაერთიანებული სამეფო ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, შვედეთი, უნგრეთი. III ჯგუფი - დანია, ესტონეთი, ფინეთი, ირლანდია, კვიპროსი, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი და სლოვენია.

[6] მონაცემები დამუშავდა ჩვენს მიერ სტატისტიკის დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის განყოფილების მონაცემების საფუძველზე

ცხრილი 11. საქართველოში ევროკავშირის იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2004-2008 წწ (ათასი აშშ დოლარი)

	2004	%	2005	%	2006	%	2007	%	2008	%
სულ ევროკავშირი	657,248.1	100.0	740,323.0	100.0	1,104,127.2	100.0	1,538,905.4	100.0	1,665,323.9	100
მათ შორის:										
ავსტრია	22,258.1	3.4	19,011.8	2.6	36,621.0	3.3	54,667.0	3.6	69,906.4	4.2
ბელგია	15,517.6	2.4	25,580.5	3.5	37,167.2	3.4	45,490.4	3.0	53,397.6	3.2
ბულგარეთი	38,875.2	5.9	72,278.3	9.8	115,535.7	10.5	184,049.7	12.0	122,928.2	7.4
ჩეხეთი	12,348.4	1.9	20,551.8	2.8	42,693.0	3.9	53,215.8	3.5	59,763.9	3.6
დანია	8,384.7	1.3	7,065.2	1.0	10,663.7	1.0	13,811.8	0.9	12,940.8	0.8
ესპანეთი	6,405.6	1.0	8,450.9	1.1	15,276.5	1.4	23,264.1	1.5	33,794.2	2.0
ესტონეთი	445.0	0.1	1,142.8	0.2	993.4	0.1	3,924.3	0.3	3,010.1	0.2
ფინეთი	6,337.5	1.0	13,250.3	1.8	26,563.7	2.4	37,689.1	2.4	41,332.5	2.5
გაერთიანებული სამეფო	158,618.7	24.1	62,543.4	8.4	63,001.9	5.7	71,754.4	4.7	84,590.4	5.1
გერმანია	151,066.5	23.0	206,754.2	27.9	351,147.1	31.8	387,326.6	25.2	434,328.1	26.1
ირლანდია	2,184.9	0.3	4,329.5	0.6	6,679.3	0.6	5,043.8	0.3	6,943.5	0.4
იტალია	61,623.9	9.4	64,422.4	8.7	102,095.9	9.2	144,048.8	9.4	181,604.4	10.9
კვიპროსი	8,056.2	1.2	1,733.8	0.2	2,875.7	0.3	2,851.9	0.2	2,951.7	0.2
ლატვია	2,906.1	0.4	6,195.1	0.8	6,368.8	0.6	8,341.6	0.5	10,909.9	0.7
ლიტვა	4,552.3	0.7	5,014.1	0.7	9,321.3	0.8	15,851.2	1.0	25,689.2	1.5
ლუქსემბურგი	471.0	0.1	939.5	0.1	934.7	0.1	2,955.7	0.2	3,007.9	0.2
მალტა	1.1	0.0	0.0	0.0	803.9	0.1	2,230.7	0.1	3,964.7	0.2
ნიდერლანდები	34,600.1	5.3	53,086.2	7.2	75,615.9	6.8	101,738.7	6.6	130,371.9	7.8
პოლონეთი	8,429.6	1.3	13,657.3	1.8	20,628.8	1.9	60,624.1	3.9	51,498.2	3.1
პორტუგალია	2,158.5	0.3	3,139.9	0.4	2,884.1	0.3	4,889.7	0.3	5,518.6	0.3
რუმინეთი	14,020.1	2.1	40,694.3	5.5	40,768.9	3.7	90,206.2	5.9	92,433.0	5.6
საბერძნეთი	14,485.2	2.2	18,591.0	2.5	22,865.8	2.1	52,861.1	3.4	57,455.7	3.5
საფრანგეთი	63,230.4	9.6	60,925.3	8.2	68,731.8	6.2	101,027.3	6.6	94,510.1	5.7
სლოვაკეთი	1,336.4	0.2	2,949.2	0.4	4,555.5	0.4	3,792.8	0.2	8,916.3	0.5
სლოვენია	3,970.1	0.6	4,054.4	0.5	5,551.4	0.5	7,720.9	0.5	11,392.2	0.7
შვედეთი	4,811.9	0.7	9,623.0	1.3	13,611.5	1.2	32,439.7	2.1	27,507.7	1.7
უნგრეთი	10,152.8	1.5	14,339.1	1.9	20,170.8	1.8	27,088.0	1.8	34,656.7	2.1

საქართველო-ევროკავშირს თანამშრომლობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის (FTA) შემოღების საკითხი. მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაზრდის სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბებს. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში, ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა. აღნიშნულს აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები, მაგრამ პერსპექტივაში, გრძელვადიან პერიოდში საქართველო აუცილებლად მოიგებს. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულობას ცალკეულ ბაზრებზე. ევროკავშირის დიდ ბაზარზე საქართველოს ექსპორტის უმნიშვნელო მოცულობის გათვალისწინებით ქართული პროდუქციის იმპორტი არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. ასეთი დარგები შეიძლება იყოს როგორც მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკისა და ინფორმატიკის, ისე დაბალტექნოლოგიური საფეიქრო მრეწველობის დარგები. საქართველოს ექსპორტის უმნიშვნელო მოცულობა ევროკავშირის შიდა ბაზარს არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის.

საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას აღნიშნული შეთანხმების გაფორმება ხელს შეუწყობს დღემდე დაბეგვრადი საქონლის (რომელსაც არ ითვალისწინებს დღეს მოქმედი GSP+ რეჟიმი) იმპორტს ევროკავშირში. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ფართო შეთანხმება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრებას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ფართო შეთანხმება ხელს შეუწყობს სტანდარტებთან და სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას. აღნიშნული შეთანხმების გაფორმება ხელს შეუწყობს რეგიონის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

საერთაშორისო ეკონომიკის ცნობილი გერმანელი ეკონომისტი ენგელი მიიჩნევდა, რომ უცვლელი ფასების და დემოგრაფიული ცვლადების (ოჯახის სიდიდე და შემადგენლობა) დროს შემოსავლების გადიდებას მივყავართ სურსათზე სამომხმარებლო ხარჯების წილის შემცირებამდე... შემოსავლის ზრდას მოთხოვნის ორიენტაცია ფუფუნების საგნებზე გადააქვს.[7] აქედან გამომდინარე, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდასთან ერთად გაიზრდება სავაჭრო თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირის ბაზარი მიგვაჩნია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან პირობად ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაცია წარმოადგენს, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე, რაც საფუძველია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის შიდა ბაზარი 27 ქვეყნითა და 480 მლნ. მომხმარებლით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, ევროკავშირზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის 20%-მდე. ევროკომისიის ინტერნეტ გვერდზე (europa.eu.int) აღნიშნულია, რომ ,,ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა ზრდის ზოგადი ტენდენციის მიუხედავად მცირე და არასაკმარისად დივერსიფიცირებულია, განსაკუთრებით როდესაც საქმე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს შეეხება..".

საქართველოს ხვედრითი წონა ევროკავშირის მთლიან ექსპორტში მართალია უმნიშვნელოა, მაგრამ პერსპექტივაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია, ეს მაჩვენებელი გაზარდოს. საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ევროკავშირს ეძლევა გაზარდოს სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა ყოფილი საბჭოთა კავშირის, სამხრეთკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან. მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის წილი დაბალია, ისევე როგორც მისი მაჩვენებელი. განვიხილოთ მაგალითად საქართველოს 2 მეზობელი ქვეყნის (თურქეთი და რუსეთი) საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის წონა.

ევროკავშირი წარმოადგენს თურქეთის №1 სავაჭრო პარტნიორს, როგორც ექსპორტის ისე იმპორტის კუთხით. ევროკავშირისათვის კი თურქეთი არის ექსპორტიორ ქვეყანათა შორის მე-5, ხოლო იმპორტიორ ქვეყანათა შორის მე-7 ადგილზეა. თურქეთის რესპუბლიკის ექსპორტის მოცულობის 52%, ხოლო იმპორტის 40% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის.

2005 წელს რუსეთის ექსპორტის 47% და იმპორტის 44% მოდიოდა ევროკავშირის ქვეყნებზე. შედარებისათვის საქართველოს ექსპორტის ექსპორტის 21,7 პროცენტი და იმპორტის 29,5 პროცენტი მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე ანუ პროცენტული განსხვავება მეტად მაღალია.

პროფ. ვ. ვილსენტზი (გერმანია) მართებულად მიიჩნევს, რომ საქართველოს ექსპორტის წილი მშპ-ში 40%-მდე უნდა გაიზარდოს. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის გახსნილობა, რომელიც მშპ-თან ვაჭრობის (ექსპორტს+იმპორტი) შეფარდებით იზომება, დაახლოებით 90%-ია, რაც არც ისე მაღალი მაჩვენებელია პატარა ქვეყნისათვის და უფრო დაბალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში[8]. საქართველოს ექსპორტის წილმა მშპ-ში (10171,9 მლნ. აშშ დოლარი) 2007 წელს შედგინა მხოლოდ 12%-ს ანუ შესაძლებელია საქართველოს ექსპორტის მოცულობის 300-500%-ით გაზრდა.

ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, რომ საქართველო ევროკავშირთან ვაჭრობს GSP+

[7] *ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა, თბ., 2001, (ქართულ ენაზე) გვ. 66.*

[8] ვინსენტზი ვ., სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. ჟურნ. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები", კვარტალური მიმოხილვა, ოქტომბერი 2008. გვ. 68

რეჟიმით, მაგრამ ევროკავშირის GSP+-ის რეჟიმით გათვალისწინებულ საქონლის ფართო ჩამონათვალში არაა წარმოდგენილი საქართველოსთვის ძირითადი საექსპორტო პროდუქციათა ნაწილი და შესაბამისად საქართველო არასრულად იყენებს არსებულ პოტენციალს. ევროკავშოირის ბაზარზე საქართველოს შეუძლია ნულოვანი საბაჟო ტარიფით განახორციელოს 10300 დასახელების საქონლის ექსპორტი. დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს 2009 წლის პირველი იანვრიდან 3 წლით 2011 წლამდე გაუგრძელდა "GSP+" რეჟიმით სარგებლობის უფლება. ევროკავშირში GSP+-ის რეჟიმით 2006 წელს ექსპორტირებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 93,5 მლნ. აშშ დოლარი, რაც საქართველოდან განხორციელებული საერთო ექსპორტის 9,4%-ს შეადგენს, ხოლო ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის 49,5%-ს შეადგენს.

საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მიმართულებით. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის გაზრდა დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ევროკავშირის ბაზარზე პერსპექტიულ საექსპორტო პროდუქციაა: ღვინო, მინერალური წყლები, თხილი, თაფლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მასშტაბების გაზრდა, საქართველოს აქტიური ჩართვა ევროპის ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში, ხელს შეუწყობს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის, საბანკო სექტორის, მრეწველობის რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას, ევროპული ინვესტიციების მოზიდვას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

MODERN SITOATION OF GEORGIA-EUROPEAN UNION TRADE RELATIONS

RAMAZ FUTKARADZE
Asistent-professor of TSU

Georgia EU relation began in 1991, when TACIS began the execution of its programs. Legal trade economic relation between the parties was laid on the base of the "Agreement on partnership and relationship" registered in 1996 and valid since 1999. In November 14, 2006, "An acting plan on European neighborhood policy for Georgia" was signed, the execution of which gave Georgia the possibility to deepen its trade-economic relation with Europe.

Export diversification is very important for Georgia, and we consider the European Union market to be one of the main priorities. One of the important priorities for the social economic development of Georgia is realization of export opportunities in the EU market too, which is the base for getting the high rate in economic growth. EU internal market, with its 27 member states and 480 millions of customers, is one of the greatest in the world. European commission web-page notes: "The capital movement between EU and Georgia in spite of the growth tendency is less and insufficiently diversified, especially when concerning the export from Georgia to the EU.

The external capital movement from Georgia to the EU countries reached 2000.5 million USD in 2008, among them 335.2 million USD from import and 1665.3 million USD from export, thus export is 5 times more than import. The share from the Georgian external capital movement to the EU countries is 26.5%, 22.4 % from export and 27.5 % from import.

Georgia exports to the EU countries in GPS+ regime that is one of the greatest assistance to the export, though EU does not have great range of Georgian main export products listed in GPS+ and Georgia uses this potential incompletely. Georgia can export about 10300 kinds of goods with the zero customs tariff. It is important and very positive, that EU prolonged the usage of the GPS+ regime since January 2009 to 2011.

One of the long-term directions of Georgia-EU relationship is implementation of free trading regime among the parties. Free trading relation among the parties will considerably grow the scale of trading relation. Insignificant size of Georgian export to the EU internal market will not endanger it. 0.3% of EU import comes to Georgia from CIS, which is a very low index.

Georgia has a great potential in the direction of agricultural export. A great effort is needed to grow Georgian export to the EU. Prospective products for export to the EU are: wine, mineral water, nut, honey and other products of agriculture.

Active involvement of Georgia in the European unite trade-economic space, growth of relationship scales between Georgia and EU will assist to competitive development of the local agriculture, banking sector and some fields in industry. Also it will help to attract European investors, advance

დიდი ქართველი მოაზროვნეები გლობალიზაციასა და ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ

შოთა ვეშაპიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი,
„ევროპული უნივერსიტეტის" რექტორი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის წინსვლა ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების გარეშე, რომელსაც ხშირად ღირებულებებსაც უწოდებენ, წარმოუდგენელიც არის და მიზანშეუწონელიც. საკითხის გადაჭარბებული სირთულის გამო, ჩვენი ინტელექტუალური მინაღწევრის მხოლოდ რამდენიმე შტრიხით შემოვიფარგლებით. კერძოდ, შევეხებით ზოგიერთ უმთავრეს ფასეულობებს, რომლებიც ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა დაგვისახეს. ეს ფასეულობანი იმ მთავარ ორიენტირებს მიგვანიშნებენ, საითკე-ნაც უნდა ვისწრაფოდეთ, რათა მივაღწიოთ ოპტიმალურ სინთეზსს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობებს შორის. ეს კი ნიშნავს, ჩვენი საკეთებელი ისე ვაკეთოთ, რომ არ გამოგვრჩეს, ჩვენც გავითვალისწინოთ და დავნერგოთ მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები და თანაც ეს ისე განვახორციელოთ, რომ ჩრდილი არ მივაყენოთ, არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 2005 წლის 8 ივლისს მიიღო, ქვეყნის ძირითად ეროვნულ ღირებულებებად აცხადებს სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, მშვიდობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას.

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. ყველაზე უფრო მოკლედ თუ ვიტყვით, გარდუვალი გახდა "ერის საერთო კეთილდღეობის" უთუოდ გლობალურ კონტექსტში განხილვა და ლიბერალური ეკონომიკური ორიენტირების გონივნული განსაზღვრა. ამისათვის კი, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემურობა და მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმად შემეცნებაზე, რომელიც ახლანდელ რეალობებს ითვალისწინებს. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. საჭი-როა გონივრულად მივუდგეთ საქმეს, არ შემოვიფარგლოთ ამწუთიერი ამოცანებით. ყოველი საკითხი კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მსვლელობისას დროულად უნდა გავითვალისწინოთ ახლად წარმოშობილი გარემოებები, ახალი მოვლენები და პროცესები. ასეთია მეცნიერული აზროვნების ლოგიკა. ილია ჭავჭავაძის მოძღვრება, მისი ტრაქტატები სამართლის და ფილოსოფიის, ეკონიმიკის და სოციოლოგიის, პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის და ბიბლიოლოგიის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის და საერთოდ, ცხოვრების ყოველგვარი „კუთხე-კუნჭულის" შესახებ, სწორედ ასეთ აზროვნებას გვიხსნის, განმარტავს, აყალიბებს მის პრინციპებს და ამით გვეხმარება ჩვენი ყო-ველდღიური პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად?

ყველაზე უმთავრესი ჩვენთვის ის უნდა იყოს, რომლის გარეშეც „ჩვენ", „ჩვენ" არ ვიქნებოდით. ასეთებად ილია ჭავჭავაძეს მამული, ენა და სარწმუნოება მიაჩნდა, რომლებსაც ,,სამ ღვთაებრივ საუნჯეს'' უწოდებდა. მათი მარადიული დაცვა თვითოეული ჩვენი თანამოქალაქის წმიდათა წმიდა ვალია. შთამბეჭდავად წერდა ილია ჭავჭავაძე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?"[1]

1. ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ.3, გვ. 26-27.

ამ მარადიულ ღირებულებებს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დავკარგოთ. მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება.

ილია ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე სამყარო, მისი შემადგენელი ნაწილები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც სხვებიც კარგად იყვნენ. ქვეყანა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. აღსანიშნავია, რომ იგი მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის, ინგლისის „სარგებლობას", მის „კარგად ყოფნას" დამოუკიდებლად, ცალკე აღებულად კი არ განიხილავს, არამედ რეგიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც. 1879 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში, ეხებოდა რა რუსეთისა და ინგლისის მეტოქეობას აზიაში „მფლობელობისათვის", ავტორი ერის საყოველთაო კეთილდღეობას მსოფლიო მასშტაბით განიხილავდა და შენიშნავდა, რომ ინგლისი ,,ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგამყო-ფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება..." – ო და დასძენდა: „აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწისყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვ-რილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუ-ლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც"[2]

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედების, საფაბრიკო და საქარხნო წარმოების გასაძლიერებლად ჩვენ გვჭირდება დავაგროვოთ „საჭირო ცოდნა და გამოცდილება", აუცილებელია სხვამ არ დაგვასწროს და ჩვენ თვითონ დავიკავოთ ჩვენი „ნიში" – „მოცლილი და სხვისგან დაუჭერელი ადგილი". ეს იყო და არის ყველაზე უმთავრესი გზა, ეპოქის მთავარი მოთხოვნა. სწორედ ამიტომ, ერის მამამ არ მოიწონა გერმანელი კაპიტალისტის მეისნერის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციები საქართველოში, რადგან მისი ამხანაგობის მონოპოლიზებული საქმიანობა ჩვენ ხალხს გააჩანაგებდა და არსებობის საფუძვლებს გამოაცლიდა. ავტორი ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას და სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის გონივრულ გაღრმავებას. ილია „თვითარსებობისა" და „თვითგანვითარებისაკენ" მოგვიწოდებდა და მიუთითებდა, რომ ყოველ სამეურნეო ოპერაციას თავისი შემოსავალი, „ხეირი" მოაქვს. ამიტომ რაც უფრო მეტ ოპერაციებს შეასრულებ შენ თვითონ, როგორც ქვეყანა, ყველა მისი შემოსავალიც პირადად დაგრჩება.

ილია ჭავჭავაძე გამოკვეთილად აყალიბებს თავის აზრს იმის თაობაზედ, რომ მეისნერის პროექტის განხორციელების შედეგად ჩვენი ხალხი არსებობის მთავარი საფუძვლის, მიწის გარეშე დარჩებოდა, რომ ერთეულების გამდიდრების საწინააღმდეგო მას არაფერი ჰქონდა, მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ ამასთან ერთად „ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს" - ო. კერძოდ იგი წერდა: „ბ-ნ ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცლისო, საყურადღებო და ძნელად დასარღვევი საბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა სთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც, როგორც ფინანსისტს, თითქმის ცალი არა ჰყავს მთელს ქვეყნიერობაზედ: „ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) ყოფაცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო"[3]. სწორედ ასეთი პრინციპების დაცვით უნდა ვუდგებოდეთ უცხოური ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში ამჟამადაც.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ქვეყანამ ისე უნდა გამოიყენოს თავისი აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობანი, მისი ეკონომიკის მდგრადობას საფრთხე არ დაემუქროს და ხალხისთვის, არსებობისთვის საჭირო სახსრები ადვილად და იაფად მოსაპოვებელი გახადოს.

2. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 229.
3. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 230.

ასეთი ნააზრევი ყოველი ხელისუფლებისაგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის, საყოველთაოდ განვრცობის პირობებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების ზომის ზუსტად მიგნება, განვითარების მისაღწევად, მისი გონივრული ერის საერთო ინტერესების დაცვით გადაწყვეტა, ხელისუფლების, საზოგადოების ყველაზე პრიორიტეტული, საყოველდღეო ამოცანაა.

ილია ჭავჭავაძემ, ერთი საუკუნის წინათ, 1897 წლის 31 დეკემბერს, ქართველი ხალხის მიერ ორი ათასი წლის მანძილზე განუწყეტელი ბრძოლების, ომებისა და სისხლის ღვრის შედეგად განვლილი გადარჩენის გზა გააანალიზა. ჰკვირობდა ერის მამა: რამ გაგვაძლებინა, როგორც გადავრჩითო? პასუხსაც ჩასწვდა და ამოიცნო, რომ საქართველო ორმა დიდმა საიდუმლომ გადაარჩინა. ჩვენი გადარჩენის პირველი დიდი საიდუმლო ის არის, რომ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს მუდამ თან ახლდა ნამდვილი პროფესიონალიზმი. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს: „ყველა ეს შევძელით და საკითხვად საჭიროა, - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმოხეველნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარხ-მალი. ვაუკაცობა უნდოდა, ვაუკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ხარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლ'ში გამოყოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ - ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ - ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა...“[4]

ძველი საქართველოს გადარჩენის მეორე დიდი საიდუმლო, არის მისი ეკონომიკური წყობა.10 ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად ახასიათებს ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის საიდუმლოს. კერძოდ იგი წერს: „ჩვენა აგვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მო-რიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქომამდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენი ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო....

აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგან ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო.“[5]

ასეთია საქართველოს გაარჩენის „საიდუმლოებანი“, რომლის დაცვა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესშიც აუცილებელია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველმა ხალხმა იცოდა, თუ სად უნდა მოეძებნა მისი გადარჩენის გზები, ცხოვრების აზრი.

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის უმთავრესი აზრი ის არის, რასაც ჩვენ „ხიზნობას“ ვუწოდებთ და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ ხიზნობა იმისთანა მიწათ-მფლობელობაა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორც განსაკუთრებული, ერთ-გვარი, თავისებური სახე მიწათ-მფლობელობისა.“[6]. ასეთი ურთიერთობის დროს მიწის დამქირავებელს შეეძლო მიწა ჰქონოდა თავის სარგებლობაში და მფლობელობაში სამუდამოდ, ასევე გადაეცა თავისი შთამომავლებისათვის, თუმცა, მისი გაყიდვის უფლება მას არ ჰქონდა, რადგან მიწის სრული მესაკუთრე არ იყო. ვფიქრობთ, ეს ფორმა დღესაც დიდ სარგებლობას

4. ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, გვ. 176.

5. ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 4, გვ. 151-152.

6. „ივერია“, №221, 1886, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუტანს ქვეყანას, რათა თავისი რესურსები ხალხს მოახმაროს უკლებლივ და სრულად.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებიდან ჩვენი ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რომ მის მიერ ყველაფერი, ყოველგვარი მოვლენა ფარდობითობაში ანუ რელატივურობაში განიხილება. მისი მთავარი დამახასიათებელი კონკრეტული თავისებურება ის არის, რომ ილია ყველაფერს საკუთარი ქვეყნისადმი, მისი ადგილის (გეო-სტრატეგიული მდგომარეობა), გარემო პირობების და ისტორიული ვითარების (დროის) ნიშნით, მასზე დამოკიდებულების მიხედვით განიხილავდა. მისი თეორია ეკონომიკურ ცხოვრებას წარმოგვიდგენს არა როგორც მოვლენათა, არამედ როგორც თანაფარდობის გაგებას (ახსნას). თავის თხზულებებში ილია სულ ამ თანაფარდობის დადგენის ძიებაშია:

– დღეინადაგ ცდილობს დაადგინოს ოპტიმალური, ჭეშმარიტი თანაფარდობა, საკუთრების ფორმებს, მის ორ უმთავრეს, კერძო და საზოგადო ფორმას შორის; მიიჩნევს, რომ საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ისეთი თანაფარდობაა უკეთესი, როდესაც შრომა არის თავისუფალი როგორც დროში, ასევე სივრცეში.

– ხსნის ზოგადკაცობრიული და ეროვნული ეკონომიკური იდეალების თანაფარდობას (საზომის, „საწყაოს“, „სტანდარტის“ ჩამოყალიბებას).

– კლასიკურად განიხილავს საერთო ეროვნული და რეგიონული ინტერესების თანაფორდობას; მიიჩნევს, რომ საერთო ეროვნულ დონეზე უნდა განიხილებოდეს „საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება'' ანუ საერთო კანონშემოქმედებითი საქმიანობა, „საერთო შემოსავალ-გასავალი'' ანუ ქვეყნის ფინანსები და „საყოველთაო მხედრობის დაწყობილობა'' ანუ ქვეყნის თავდაცვა, ყველა დანარჩენი საკითხი კი ადგილზე უნდა წყდებოდესო.

– ქვეყნის განვითარებისთვის უცილობელ პირობად ჭეშმარიტი ადგილობრივი მმართველობის დამკვიდრებას, ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის ოპტიმალურ გამიჯვნას მოითხოვს ,,ევროპიული გამოცდილების'' გათვალისწინებით.

– ასაბუთებს ფრიტრედერული (ლიბერალური, ღია) და პროტექციონისტული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის თანაფარდობას, ქვეყნის „თვითარსებობისა" და „თვითგანვითარების" უზრუნველსაყოფად და სხვა მრავალი.

სწორედ ასეთი თანაფარდობის დადგენის საფუძველზე მიიჩნევს ილია შესაძლებლად ჭეშმარიტი, ოპტიმალური, მთელი საზოგადოებისთვის მისაღები ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ეს კი უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ზოგადკაცობრიული და ეროვნული ღირებულებების ოპტიმალური სინთეზის მისაგნებად, ჩვენი „მე“-ს, „ადგილობრივი წვრილმანების“, ტრადიციების და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნების გზით საერთო წინსვლის მისაღწევად. ყოველივე ზემო აღნიშნულს, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში თვითოეული ქვეყნისთვის ფასდაუდებელი, გამოყენებითი დანიშნუ-ლება აქვს.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა ეთერ თათარაიძემ, *ვაჟა-ფშაველას* ცხოვრების მეტად საინტერესო მხარეების შესახებ თავის შესანიშნავ გამოკვლევას, მგოსნის სიყრმის შვილის, გულქან რაზიკაშვილის შემდეგი სიტყვები დააწერა სათაურად: „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი". წიგნის სათაური მიგვანიშნებს, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი სულიერებით, გონებითა და გაგებთ სრულ ჭეშმარიტებამდე ამაღლდა. ამიტომ დიდი მგოსნის მსოფლხედვის მთავარი ორიენტირების, განსაკუთრებით კი მისი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესწავლა თანამედროვე პოზიციებიდან დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საქმეა. სულ სხვაა, როდესაც გკარნახობენ, როგორ გავიგოთ შემოქმედის ნამოღვაწარი იმასთან შედარებით, როდესაც ამას არავინ არ გკარნახობს და შენ თვითონ განიხილავ მგოსნის ნააზრევს დროის მიხედვით, ახლებურად, თანამედროვე „ენით" და მიდგომებით, ანუ ევოლუციურად, რაც თანამედროვე გადასახედიდან მის შესწავლას ნიშნავს. მხოლოდ ასე შეიძლება დიდი შემოქმედის შეხედულებებში აღმოვაჩინოთ ისეთი იდეები, ღირებულებები ან პრინციპები, რომელთაც ცხოვრება უნდა დაეფუძნოს გლობალიზაციის პირობებში. დისტანციიდან დანახული შეფასებები მუდმივ ურთიერთქმედებაში მყოფ საზოგადოებას მთელი თავისი ჭეშმარიტებით წარმოაჩენენ. მთავარია ასეთ თვალსაწიერს მიაგნო და იგი სისტემურად ასახო. ზოგადპლანეტარული განვი-თარების, ზეეროვნულ ხანაში, როდესაც ნებისმიერი

ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერ-თაშორისო მასშტაბით ხდება, ვაჟა-ფშაველას ზოგადსაკაცობრიო, მსოფლიო მნიშვნელობის ნააზრევი განმსახღვრელ ღირებულებათა რანგში ამაღლებული წარმოჩნდება. კლასიკოსს ამ თვალსაზრისით მარტო ერთი პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" რომ დაეწერა, აღარაფერს ვამბობ, მაგალითად, პოემაზე „გველისმჭამელი", ისიც საკმარისი იყო ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მოვლენების ოპტიმალური სინთეზის განმსაზღვრელი ღირებულებების მისაგნებად.

სადავო არ არის ის, რომ მწერალი მით უფრო დიდია, რაც უფრო ზოგადი, ზოგად-კაცობრიული გამოხატვის შემძლებია იგი, რადგანაც სწორედ ეს არის საზომი ანუ საწყაო მისი მსოფლიო მნიშვნელობისა. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, ის რაც ზოგადკაცობრიულია, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება, რომელიც ყველას განვითარების აუცილებელი პირობაა. თავის წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" ვაჟა-ფშაველა წერდა: „გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება..."[7]

გენიოსის ნაწარმოების ზოგადკაცობრიულობის მთავარი საზომი არის მეცნიერება, რომელსაც აქვს ძალა თითოეული ადამიანი, ყველა ერი და მთელი მსოფლიო წაიყვანოს წინ ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად. ესე იგი, ის არის წამალი, რომელიც ყველას ერთნაირად კურნავს. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუდმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე"[8].

ეს არის სრული ჭეშმარიტება, რომელსაც ისტორია ყოველ ეტაპზე გვიმტკიცებს. ამის ნათელი დადასტურებაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის საქმიანობა. მიტომ ჩვენ გვჭირდება „ისეთი ეროვნული კულტურის განვითარება, რომელიც ზოგად საკაცობრიო თვალსაზრისითაც ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს და რომელსაც, ამდენად, წვლილი შეაქვს, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, მსოფლიო ცივილიზაციაში, ზოგადსაკაცობრიო კულტურაში"[9].

დიდი მგოსანი *აკაკი წერეთელი* ამის შესახებ გენიალურად აღნიშნავდა, რომ ქართველი „ჯერ უნდა თვითონ სულით ამაღლდეს, რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა".

ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგნების ჭეშმარიტი ღირებულებების შესწავლას ევოლუციურად უნდა ვუდგებოდეთ. ასეთი მიდგომა ავტორის შეხედულებების – ადგილის, გარემო პირობებისა და დროის მიხედვით შესწავლას მოითხოვს. სწორედ ასეთი ორიენტაციით ხასიათდება ქართველი მკვლევარის, გიორგი არაბულის კლასიკური წიგნი „ვაჟა-ფშაველას სამი პოემა". როგორც ავტორი აღნიშნავს, უმთავრესი დედააზრი, რის წარმოჩენასაც ვაჟა-ფშაველა თავის პოემებში და საერთოდ ყველგან ცდილობს ის არის, რომ ადამიანში უმთავრესი მისი ღირებულებაა. სწორედ ამის მიხედვით უნდა ვაფასებდეთ მას და არა იმის მიხედვით, თუ რომელი ეროვნების წარმომადგენელია იგი. ვაჟა-ფშაველა ღირსებას უმთავრეს, ადამიანურ ღირებულებად თვლიდა. ღირსეული კი ისეთი ადამიანია, რომლის მენტალიტეტი ტოლერანტობაზე, შემწყნარებლობაზე, განსხვავებული აზრის აღიარებაზეა დაფუძნებული. ღირსეული ისეთი ადამიანია, რომელსაც პიროვნული და ეროვნული ეგოიზმი დაუძლევია და ჭეშმარიტად მდიდარი სულის ადამიანად ქცეულა. ერთი სიტყვით, ღირსეული ისეთი ადამიანია, რომელიც *ისე ექცევა სხვას, როგორც უნდა რომ თვითონ მას ექცეოდნენ.* მხოლოდ ასე შეიძლება ყველა სიკეთისა და ბუნებრივი ფასეულობების გამანადგურებელი სიძულვილის დაძლევა და ჭეშმარიტებასთან, სიყვარულთან მიახლოება. ამით ვაჟა-ფშაველა

7. ვაჟა–ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 681.

8. ვაჟა–ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ. 681.

9. თ. გამყრელიძე, სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1997 წლის 28 ნოემბერი–5 დეკემბერი, გვ. 1.

გენიალურად ეხმიანება ჩვენი თანამედროვე გერმანელი თეოლოგის ჰანს კიუნგის ორ შესანიშნავ თხზულებას: „მსოფლიო ზნეობა" და „მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის", რომლებიც შესანიშნავად თარგმნა ქართულად და გამოსცა ცნობილმა გერმანისტმა, პროფესორმა ზურაბ აბაშიძემ.

სიკეთისკენ სწრაფვა ვაჟა-ფშაველას ადამიანურობის ყველაზე მთავარ საზომად მიაჩნდა და აღნიშნავდა:

„ვისც ჰშიან, სწყურან კეთილი,
იგი მეგულვის კაცადა".

არც ზნეობრივი, არც ეკონომიკური თვალსაზრისით ადამიანი ადამიანს არ უნდა „ჰხუთავდეს", არ უნდა სჩაგრავდეს:

„რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა"-ო, – წერდა ვაჟა-ფშაველა.

თანამედროვე გლობალიზირებულ სამყაროში, ჩვენი თვითმყოფადობა ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ. ვინმეს არ უნდა შევყურებდეთ ხელებში და მოწყალებას სხვებისგან არ უნდა ველოდოთ. ჩვენი საქმე ჩვენ თვითონ უნდა ვაკეთოთ. „შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი – ისტორიული კანონია..." – აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. ასევე გენიალურად წერდა ილია ჭავჭავაძის ძმა, შვილი, თანამებრძოლი, დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა 1896 წელს:

„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა,
თვით უპატრონეთ თავის თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა".

ვაჟა-ფშაველა ჩვენს გადამრჩენ, უნივერსალურ, მარადიულ ღირებულებად თავისუფლებას თვლიდა და მის საპირწონედ მხოლოდ სიცოცხლე მიაჩნდა, თვლიდა, რომ ადამიანმა მუდგრად უნდა იბრძოლოს „და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოებლად..."[10] თავისუფალი ისეთი ადამიანია, რომლის ყოველგვარი საქმიანობა მიმართულია ქვეყნის საბედნიეროდ, ავაზაკი კი, „თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის"– ო. თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანს „ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა", სადაც შრომა ღირსეულად ფასდება, სადაც თანასწორადაა განაწილებული ცოდნა, ქონება, სადაც ქონებრივ უზრუნველყოფას თან „ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე."

თვითონ ვაჟა-ფშაველას ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ იგი, ერის დიდ მოღვაწეებთან ერთად, ზნეობრიობის უმაღლეს კვარცხლბეკზე მდგომი გიგანტია. სწორედ ამიტომაა, რომ ერმა, სამშობლობლოსათვის ბრძოლის, ყველაზე მოწინავე აზრის, ჩვენი თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრების დროშას, უპირველეს ყოვლისა, *ილია ჭავჭავაძის, დავით აღმაშენებლის, ზვიად გამსახურდიას, ვაჟა-ფშაველას, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ბრწყინველეს, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ივანე ჯავახიშვილის* და სხვა *უღირსეულესი შვილების სახელები წააწერა.*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, გლობალიზაციის ეპოქაში, ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას მიიჩნევს. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მამულის მსახურებას ჭეშმარიტი რწმენით, ღირსების, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით. ასევე მნიშვნელოვანია გავემიჯნოთ იდეოლოგიურ უკიდურესობებს და გავიაზროთ „ჩვენის" საჭიროების უპირატესობა „მეს" და „ჩემის" საჭიროებებზე. 2005 წლის საადღგომო ეპისტოლეს მეშვეობით პატრიარქი გვმოძღვრავს:

„როგორც ყოველ ადამიანს, ერსაც ამქვეყნად თავისი მისია აქვს. საამაყოა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ვინარჩუნებდით ჩვენს ფუნქციას, – მტრის აურაცხელი შემოსევების მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე ვიყავით აღმოსავლეთში ქრისტიანული კულტურული სამყაროს ფორპოსტი, ხოლო ჯვაროსნული ომების დროს, – მთელი ევროპული კოალიციის ანგარიშგასაწევი მოკავშირე ძალა.

დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევას სთავაზობს ყველას, ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გასცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს თანამედროვე მსოფლიოში, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას. სახელმწფიებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია.

მამულის მსახურება ჭეშმარიტი რწმენით ერთ-ერთი უმთავრესი ღვაწლია; ეკლესიისაგან

10. ვაჟა–ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, იხ. თხზულებანი, თბ. 1986, გვ.760.

სწორედ ამ ნიშნით არიან წმინდანებად შერაცხილნი: *ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი* და სხვანი. სახელმწიფოებრივი აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ღირსების, თავისუფ-ლებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა. შეუძლებელია, საზოგადოებას შინაგანად არ სურდეს თავისუფლება და სხვაზე დამოკიდებულებას ამჯობინებდეს; შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე, ერს არ ჰქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა და ააშენოს სრულფასოვანი სახელმწიფო".[11]

სახელმწიფოებრივი აზროვნების მატერიალური ორიენტირი უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გონივრული გადაწყვეტა. პატრიარქი მიიჩნევს, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა მიეხედოთ ჯარს და განათლების სფეროს. ასევე აუცილებელია მოსახლეობის დასაქმება, – მცირე და საშუალო ეროვნული ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ადგილობრივი პროდუქტით ჩვენი ბაზრის შევსება და სამამულო წარმოებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. აუცილებელია მეცნიერების, კულტურის და სპორტის ხელშეწყობა და ბუნებრივია, ქვეყნის მთლიანობის აღდგენის-თვის ბრძოლა.

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, პატრიარქს უმთავრეს პირობად მიაჩნია, რომ ჩვენს ტრადიციებზე დაყრდნობით შევქმნათ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნე-ბული ქართული სახელმწიფო. 2006 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი აღნიშნავს: „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს."[12]

არ არსებობს ცალკე აღებული არცერთი დარგი, რომელსაც მარტოს შეეძლოს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. უმთავრეს პრიორიტეტად კი, პატრიარქი, სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს მიიჩნევს. სწორედ მათზეა დამოკიდებული თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით.

11. „კვირის პალიტრა", 2-8 მაისი, 2005.

12. „კვირის პალიტრა", 24 - 30 აპრილი, 2006.

შრომის მსოფლიო დანაწილებაში ჩვენ, ჩვენი რესურსებით უნდა ჩავერთოთ. უმნიშვნელოვანესი რესურსი კაცობრიობისათვის არის წყალი. პერსპექტივაში განსაკუთრებით ამაღლდება მტკნარი წყლის მნიშვნელობა, რომლის მოხმარება მსოფლიოში მეტად სწრაფად მატულობს. 1960-2003 წლებში იგი ორჯერ გაიზარდა. მსოფლიო საწყლო საბჭოს მონაცემებით, 2025 წლისთვის თითქმის 3,5 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს ისეთ რაიონებში, სადაც ან უკვე არის წყლის ნაკლებობა, ან ეს პრობლემა გაჩნდება მომავალში. ამჟამად, 1,1 მილიონამდე ადამიანს არ აქვს საშუალება მიიღოს სუფთა სასმელი წყალი. კიდევ 2,6 მილიარდი მოკლებულია უმარტივესი სანიტარული საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობას. წყლის მიწოდებაზე გაზრდილი მოთხოვნილება საჭიროებს მისი გაწმენდის, დამუშავების, დაცვის (შენახვის) და ტრანსპორტირების ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. საქართველო წყლის რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია, ამიტომ მომავალში წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილი უნდა მოვიპოვოთ. დღეს კი უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ხალხი დასაქმდეს და გამოვიდეს მძიმე სოციალური პირობებიდან. ყოველივე ზემო აღნიშნული გვიდასტურებს, რომ დასახელებულ პრობლემებსა და პრიორიტეტებს პატრიარქი თავის ეპისტოლეებში მრავალჯერ გვიმეორებს სხვადასხვა კონტექსტებში, ეს კი იმას მიგვანიშნებს, რომ მათზე ორიენტირებულობას, მათ გადაჭრას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და უმთავრეს მატერიალურ ფასეულობებად წარმოგვიდგებიან.

ჩვენი დიდი რესურსია ინტელექტუალური პოტენციალიც. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში ინტელექტუალური რესურსების როლი განუხრელად იზრდება, მათი მოპოვებისათვის ბრძოლა კი სულ უფრო მწვავდება. ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია. სრულად უნდა გამოვიყენოთ თუნდაც საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო თუ ეკონომიკური მიღწევები, რომლის დიდი ნაწილი ჩვენ თითქმის მთლიანად დავთმეთ და დავკარგეთ. რაც შეეხება მეცნიერებას, უნდა ითქვას, რომ მრავალ დარგში სა-ქართველოს მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები ჰყავს. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს, მის ჩამოყალიბებას დიდი თანხა და დიდი დრო სჭირდება. ქვეყანამ უნდა გამოიყენოს თავისი მდიდარი სამეცნიერო პოტენციალი.

აუცილებელია ვიმოქმედოთ დროის მოთხოვნების მიხედვით და დავიცვათ ეროვნული ფასეულობები. ჩვენი წინაპრების, წინა თაობათა მინაღწევრის დაცვა გვმართებს. ამისათვის დიდი ძალისხმევა გვჭირდება. თანამედროვე პირობებში ვი-თარება კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ კაცობრიობამ შექმნა ბრძოლის ახალი ფორმა – ინფორმაციული ომი. ამიტომ ჩვენც შეცვლილი ვითარების შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ და სათანადო ალღო ავუღოთ ამ ახალ მოვლენას.

2009 წლის სააღდგომო ეპისტოლეს მეშვეობით, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II კიდევ ერთხელ გვმოძღვრავს ჩვენი სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვის აუცილებლობის შესახებ, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების შესახებ, კულტურათა შორის დიალოგის შესახებ. ამისათვის თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს, გააკეთოს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მაქსიმუმი. ხელისუფალთ, ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა, განათლების ხელშეწყობა. ჩვენ აუცილებლად, უნდა გავაღრმაოთ კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან. მისი წინაპირობა უნდა იყოს კულტურათა შორის დიალოგი. ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტას.

ეროვნულ ეკონომიკურ ფასეულობებს უნდა ეფუძნეობდეს ჩვენი ეროვნული ინტერესები, რომლებსაც ნიადაგ უნდა ვიცავდეთ და ვაძლიერებდეთ. პატრიარქი ქადაგებს: "საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს რო-გორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენ თითოეულ მოქალაქეზეც. ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ სხვათა მიზნების განხორციელებისათვის ბრმა იარაღად. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა..."[13]

ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებში ეროვნული მიმართულების გაძლიერების მიზნით, პატრიარქი მიზანშეწონილად მიიჩნევს ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოებას, შეძლებული საშუალო ფენის შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოს დახმარება სუბსიდიებისა და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

იმის გამო, რომ მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ეკონომიკასა და ბიზნესს, სამუშაო ადგილების შემცირების თავიდან აცილების, მოქალაქეთა და მეწარმეთა საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლად და მათი ეკონომიკური აქტივობის წახალისების მიზნით პატრიარქი ხელისუფლებას კონკრეტულად სთავაზობს საქართველოში მოქმედი ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი გაათავისუფლოს სანქცია – საურავებისაგან. ასეთი ნაბიჯი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმის, ასევე მოქალაქეების საგადასახადო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას.

და ბოლოს, ყველაზე უმთავრეს და აუცილებელ პირობად პატრიარქი მიიჩნევს სამართალს, სიმართლის მსახურებას, სამართლიანობას, რადგან "ღმერთი სიმართლით მცხოვრებთ მადლით მოსავს, ცრუთ და თვალთმაქცთ კი – განეშორება."

13. „კვირის პალიტრა", 20 – 26 აპრილი, 2009.

THE GREAT GEORGIAN THINKERS ABOUT GLOBALIZATION AND NATIONAL ECONOMIC VALUES

SHOTA VESHAPIDZE
The doctor of economic sciences,
fool Professor,
Head of "European University"

The national values of the country reference to the main point we should aspire to for using the world civilization achievements optimally without losing our traditions and to preserve originality. It is considerable the references pointed by great Georgian figures.

There are three main treasures Ilia Chavchavadze was putting out, state, language and faith. For him true professionalism and protecting the secret of economic structure of ancient Georgia was the way to preserve state originality.

Vazha–Pshavela admitted as peculiar value characteristics like tolerance, mercy, acknowledgement of exceptional opinion, inculcate "the world morals", making goodness, justice, freedom, when human activity is for country and whole nation, not only for personal needs.

The Catholicos-Patriarch of all Georgia, Ilia II, for preserving function of the country appeals for overcoming new challenges, for that is necessary right governmental thinking, keeping traditions, rising science, culture, agriculture, the state support for development fine and average business, overcoming unemployment and poverty, producing ecologically clean product, he appeals for active integration of our water, intellectual and other kind of recourses in the world economy.

საქართველოს ეკონომიკა და ქრისტიანობა

იოსებ მასურაშვილი
თსუ ასოცირებული პროფესორი

ისტორიულად ეკლესია-მონასტრებს თავიანთ მოღვაწეობაში აქტიურად ეხმარებოდა სახელმწიფო ჯერ კიდევ საქართველოს მეფეების დროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წმიდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ზრუნვა ამ მიმართულებით. ისინი არ იშურებდნენ ეკლესია-მონასტრებისთვის ნაყოფიერ მიწებს, ოქროვერცხლს.

საბჭოთა სისტემაში რელიგიის თავისუფლების მოწესრიგების შესახებ და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის განმსაზღვრელი საკითხები კონსტიტუციაში გამოკვეთილი არ იყო. დეკლარაციული თვალსაზრისით, პოსტკომუნისტური ქვეყნის კონსტიტუციები ნაწილობრივ დასავლეთის კონსტიტუციების მსგავსი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა კომუნისტური რეჟიმის შემდეგაც ნაციონალურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში მათი რეცეფცია მომხდარიყო. კომუნისტურ სივრცეში რელიგიის თავისუფლება ათეისტური პოზიციებიდან განიხილებოდა და კომუნისტური სისტემა რელიგიისადმი მტრულ სახელმწიფო სისტემას წარმოადგენდა. რელიგიისადმი მტრობა მეცნიერებაზე პრეტენზიით დაიწყო. ამას ეყრდნობოდა, აგრეთვე სინდისის თავისუფლების ანტი-რელიგიური და ათეისტური გაგება.

სინდისის თავისუფლება არ იყო თითოეულისთვის სამართლებრივად უზრუნველყოფილი ავტონომია, რომელიც საშუალებას იძლეოდა წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით არჩევანი გაეკეთებინათ ჭეშმარიტად შეცნობილის სასარგებლოდ. იგი უფრო ნიშნავდა სინდისის თავისუფლებას რელიგიისაგან. ასეთი მოძღვრების გამო, რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან პირად ცხოვრებაში გადასახლდა. ინსტიტუციონალურად ეს ნიშნავდა, რომ სახელმწიფო ორგანოები თავიანთ საქმიანობაში არ უშვებდნენ რელიგიურ შინაარსს, რაც საფუძველს უქმნიდა რელიგიაზე პერსონალურად ორიენტირებულ მოქალაქეთა განდევნას ხელმძღვანელი თანამდებობებიდან და პროფესიიდანაც კი. ტოტალური რეჟიმის რღვევის შემდეგ შექმნილმა ნაციონალურმა სახელმწიფოებმა აღიარეს რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის დასავლური მოდელი, მაგრამ, რადგან ეს ქვეყნები გამოირჩევიან დიდი ტრადიციების მქონე ეკლესიებით, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ახალი სახელმწიფოების ფორმირების პროცესში მწვავე კონფლიქტები წარმოიშვა.

ჩვენთან ამჟამად მოქმედებს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ჩვენს თემასთან მიმართებით აღნიშნულიდან რამდენიმე პუნქტს შევეხებით:[1]

მუხლი 1

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

[1] იხ.: კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტიკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. წიგნში: ჩიკვაიძე დ. საეკლესიო სამართალი. თბ., 2008, გვ. 159-162.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნების შესახებ საგნის სწავლა ნებაყოფლობითია.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადისაგან.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში) სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტიური ფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებაში ჩაწერილი ზემოთ მოყვანილი პუნქტები სწორედაც რომ ჩვენი სულიერი მამის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დიდი რუდუნების შედეგია. როგორც 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი აღნიშნავს ‘ჩვენ ვამბობთ: ჩვენთან არს ღმერთი და ეს ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენც ვიყოთ ღმერთთან, საჭიროა სწორად ცხოვრება. ჩვენ ვამბობთ: ივერია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრია, მაგრამ ეს წილხვდომილობა რომ ჩვენს დროშიც გამოვლინდეს, საჭიროა შესაბამისი სულიერი ნაბიჯების გადადგმა...

როგორ უნდა მივხვდეთ, სწორად ვცხოვრობთ თუ არა? ადამიანს უნდა ჰქონდეს რეალური შეგრძნება იმისა, რომ ის არის მართალი სამშობლოს, მოყვასისა და თვით თავისი მტრების წინაშეც.

რაც შეეხება ღმერთთან დამოკიდებულებას, უფალთან მიმართებაში მართალი საერთოდ არავინაა, რადგან ცოდვისგან თავისუფალნი არც წმინდანებია; ესა თუ ის პიროვნება ოდენ ჭეშმარიტი სინანულითა და ღვთის მოწყალებით განმართლდება...

უფალთან ჩვენი დამოკიდებულება, მართალია ინდივიდუალურია, მაგრამ საზოგადებისთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კვალავაც აქვს ხელისუფალთა რწმენას ან ურწმუნოებას...

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს ქრისტიანული თვალსაზრისით ადამიანის სწორი დამოკიდებულება სამშობლოსადმი. თითოეული ჩვენგანი უნდა ეცადოს გააკეთოს მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხიმგებლობაც მას აკისრია. ესაა მისი მსახურება ქვეყნისადმი. ყველაზე მეტი უფლებები და პასუხისმგებლობა კი, რა თქმა უნდა, ხელისუფალთ აქვთ. მათ ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება. შემდეგ კი – ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვ.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც...

საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც.

ჩვენ ჩვენი მეობა უნდა დავიცვათ, რათა არ ვიქცეთ ბრმა იარაღად სხვათა მიზნების განხორციელებისათვის. ეს ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

ზემოთჩამოთვლილ ინსტიტუტებში, ეროვნული მიმართულების გაძლიერებისათვის კი საჭიროა ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა.

სამწუხაროდ კი, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს; არადა საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და მითუმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიების და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

გვინდა ხელისუფლებას ერთი წინადადებაც შევთავაზოთ: მოგეხსენებათ, მსოფლიო გლობალური კრიზისი საკმაოდ მწვავედ შეეხო ქართულ ბიზნესს და საერთოდ მოსახლეობას. ბუნებრივია, აუცილებელია, ქმედითი ჩარევა, რათა თავიდან ავიცილოთ სამუშაო ადგილების შემდგომი შემცირება. 2009 წლიდან სახელმწიფოს მიერ გადასახადების კლებისკენ გადადგმული ნაბიჯი კარგი ფაქტი იყო, მაგრამ ალბათ უფრო შედეგიანი იქნება საგადასახდო ამნისტიის გამოცხადება, რომელიც საქართველოში მომქმედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს გაათავისუფლებს სანქცია-საურავებისაგან.

რა თქმა უნდა, თუ ეს ნაბიჯი განხორციელდა, იგი სერიოზულად შეამსუბუქებს როგორც მეწარმეების, ასევე მოქალაქეების საგადასახდო ტვირთს და წაახალისებს მათ ეკონომიკურ აქტივობას."[2]

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ოდითგანვე ხელს უწყობდა ეკლესიის მონაწილეობა. XII საუკუნეში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყანაში ძირითადი ექსპორტიორიც ყოფილა.

დღევანდელ დღეს მთავარი არის ბიზნესის, როგორც პარტნიორის საიმედობა და ბიბლიური პოსტულატი – „არამედ იყავნ სიტყუაი თქუენი ჰეი ჰე და არაი არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს" (მათე 5,37) – ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ხდება. „ხნარცვი სთხარა და აღმოჰკუეთა და შთავარდეს იგი მთხრებლსა მას რომელცა ჰქმნა" (ფს. 7, 16).

ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში ღრმად მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ ეკონომისტები - ადამ სმიტი, ჟან-ბატისტ სეი, ფრედერიკ ბასტია, ალფრედ მარშალი, უილიამ ჯევონსი, იოზეფ შუმპეტერი და მრავალი სხვ. XIX ს-ის დიდი ეკონომისტი დავიდ რიკარდო იუდაიზმიდან ქრისტიანობაში გადავიდა (რისთვისაც მამამ დაწყევლა და მემკვიდრეობა ჩამოართვა). ეკონომისტი ტომას მალთუსი იყო სასულიერო პირი. მართლმადიდებელი მღვდელი გახდა ეკონომისტი სერგეი ბულგაკოვი.

წარმოვიდგინოთ ისეთი საზოგადოების მოდელი, რომელიც შედგება 100 ეკონომისტი ქრისტიანისგან, ანუ იმ ადამიანებისგან, რომლებიც ცდილობენ შეასრულონ ყველა ქრისტიანული მცნებები. ისინი არ ფიქრობენ არავისზე ცუდს, არ შურთ სხვისი წარმატებების, ცდილობენ დაეხმარონ ერთმანეთს, ასრულებენ მცნებებს "არა კაც ჰკლა", "არ მოიპარო", "არ ისურვო სახლი შენი ახლობლის..." და აგრეთვე ყველა ასრულებს ქრისტიანობის ოქროს წესს: "როგორც გინდათ რომ თქვენ მოგექცნენ ადამიანები, ასევე მოექეცით მათ თქვენ."

იბადება კითხვა - ასეთ საზოგადოებაში როგორი იქნება მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ? მშპ უფრო მეტი იქნება ასეთ საზოგადოებაში, თუ საზოგადოების ისეთ მოდელში, სადაც რომელიმე ქრისტიანული მცნება არ სრულდება?

რა თქმა უნდა, ეკონომიკის თვალსაზრისიდან იმ საზოგადოების მოდელი, რომელიც შედგება ქრისტიანებისაგან, უფრო ეფექტიანია სხვა დანარჩენ მოდელებთან შედარებით. სხვა სიტყვებით, ბიბლიური მცნებების არ შესრულება წარმოადგენს მუხრუჭს აღნიშნული საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისათვის.

[2] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 2009 წლის სააღდგომო ეპისტოლე. გაზ. "საპატრიარქოს უწყებანი", №14, 2009, გვ. 3-5.

ცხადია, რომ ზემოთ მოყვანილი ბიბლიური მცნებების დარღვევის ეკონომიკაზე ნეგატიური ზეგავლენის მექანიზმები ამა თუ იმ დონით მოქმედებს რეალურ საზოგადოებაშიც, მათ შორის ჩვენს ქვეყანაში. მშპ-ს ციფრების შემცირება ბიბლიური მცნებების შეუსრულებლობის გამო ფაქტიურად შეიძლება განსხვავდებოდეს ზემოთ მაგალითად მოყვანილი საზოგადოებისგან, მაგრამ ერთი საკითხი ცხადია, რომ ადგილი აქვს მცნებების დარღვევის ნეგატიურ გავლენას ეკონომიკაზე და ეს გავლენა ჩვენს დღეებში ძალიან ძლიერია. თუმცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ნელ-ნელა ვითარდება.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქე გახდა ქრისტიანი და შეუდგნენ ბიბლიური მცნებების შესრულებას. ამ შემთხვევაში რა მოხდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკაში? სახელმწიფო დაწევს გადასახადებს და გაადვილებს საგადასახდო სისტემას; ჩვენი ეკონომიკა მძლავრ დადებით იმპულსს მიიღებს და დაიწყებს განვითარებას სწრაფი ტემპებით.

ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობს ტალანტური ხალხი. საქართველო მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულით. თუ კი ჩვენი ქვეყანა გახდება აბსოლუტურად ქრისტიანული, საქართველოს მშპ ჩვენი წინასწარი გაანგარიშებით ყოველწლიურად არანაკლებ 7-8 % -ით გაიზრდება, ხოლო 15-20 წლის განმავლობაში ზრდის სიდიდე მიაღწევს 15%-საც. სულ რაღაც 20 წლის შემდეგ საქართველო ეკონომიკური განვითარებით დაეწევა ევროპის განვითარებულ ქვეყნებს.

ეს მეცნიერული ფანტასტიკა არ გეგონოთ. მაგალითისთვის მოვიყვანთ, სამხრეთ კორეას, რომლის ეკონომიკის ზრდაც ხდებოდა ამ ქვეყანაში ქრისტიანობის ზრდის ფონზე. დღეისათვის ქრისტიანობა სამხრეთ კორეაში წამყვანი ეროვნული რელიგიაა, ხოლო მისი მთავრობის წევრთა უმეტესობა – ქრისტიანები. თავად სახელმწიფო კი განვითარებული ქვეყნების სიაშია[3].

სტატიას დავასრულებთ პატრიარქის სიტყვებით 2009 წლის საადგომო ეპისტოლედან: "თუ გსურს ნამდვილი კეთილდღეობა მოიპოვო (და თანაც მარადიულად), სასუფეველი ღმრთისა უნდა ეძიო, – ანუ უფლის მცნებებით ცხოვრებას უნდა ესწრაფო, რადგან 'სასუფეველი ღმრთისაი არა არის საჭმელი და სასმელი, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარული სულითა წმიდითა" (რომ. 14,17), – აი ეს უნდა დავიმახსოვროთ.

ჩემო საყვარელო შვილებო, ძენო და ასულნო ღვთიმშობლის წილხვედრი ღვთივკურთეული ივერიისა: კახელნო და აფხაზნო, აჭარელნო და თუშნო, ლაზნო და ხევსურნო, ჰერნო და სვანნო, ოსნო და მთიელნო, ემგრელნო, გურულნო, სამაჩაბლოსა და სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნო, ყოველნო ჩვენნო თანამემამულენო, მაშ შეიყვარეთ სიმართლე და მშვიდობა, განიძარცვეთ ცოდვის სამოსელი და ემსახურეთ ჭეშმარიტებას, რომ 'სიმართლე იგი სჯულისაი აღესრულოს" თქვენს შორის (რომ. 8,4).

ჯოჯოხეთის დამსხვრეულ ბჭეთა ზედა ამაღლებული და არამიწიერი ნათლით მოსილი, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი გვიხმობს, რათა მისი მადლით განმართლებულნი, ვითარცა ფინიკნი, აღვყვავდეთ და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განვმრავლდეთ. ქრისტე აღდგა![4]

ECONOMY OF GEORGIA AND CHRISTIANITY

IOSEB MASURASHVILI
Asociate professor

Influence of bible sermons on economy in a real life such or a different way operates in real a society, including in our country. Decrease in figures of economy from for not performance of bible sermons can beat the actual to differ from an advanced society, but one is obvious, influence of infringement of sermons on economy and such influence very strong takes place today. But the economy of our country on develops a few. If all inhabitants of Georgia become Christians and will be will execute bible sermons, the state will reduce taxes. Our economy will receive a strong positive impulse and will develop the accelerated rates.

[3] http://www.foma.ru

[4] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 2009 წლის საადგომო ეპისტოლე. გაზ. 'საპატრიარქოს უწყებანი", №14, 2009, გვ. 6.

კაპიტალის მოძრაობის ადგილი ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაში

კობა სოხაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

კაპიტალის მოძრაობაში იგულისხმება, როგორც ქვეყნის შიგნით სახელმწიფო ბიუჯეტის და არასაბიუჯეტო სახსრების მოძრაობა დარგებისა და რეგიონების მიხედვით, ისე კაპიტალის შემოდინება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და ეროვნული კაპიტალის გადინება უცხოეთის ქვეყნებში. აღნიშნულ პროცესებს, როგორც წესი არეგულირებს სახელმწიფო, ძირითადად საინვესტიციო პოლიტიკის სახით. უნდა ითქვას, რომ საინვესტიციო პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, იგი განსაზღვრავს სახელმწიფოს ავტორიტეტს და მის უნარს მიიზიდოს უცხოური კაპიტალი და ხელი შეუწყოს საკუთარი ქვეყნის კაპიტალის გადინებას მსოფლიო ბაზარზე. განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის უპირატესად დამახასიათებელია ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, რაც აისახება კიდევაც მათ საგადასახადო, სავაჭრო ბალანსებში და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

საინვისტიციო პოლიტიკა უპირველესად გულისხმობს ინვესტორისათვის მიმზიდველი საინვისტიციო კლიმატის შექმნას, რაც აისახება საგადასახადო გარემოს ლიბერალიზაციასა და მოქნილობაში. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა კი მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ინვესტიციების ზრდასთან ერთად რეკომენდაციებს აძლევენ განვითარებად ქვეყნებს სათანადო საინვესტიციო გარემოს შექმნის მიზნით. აღნიშნულის გამო საქართველოს საგადასახადო კოდექსი და კანონმდებლობა, მათ შორის საინვესტიციო საქმიანობის შესახებ განიცდის მუდმივ სრულყოფას. ამასთან აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვის პროცესში სახელმწიფოს ინტერესების მწყობრი დაცვა, რადგან როგორც მსოფლიო პრაქტიკა და საქართველოს გამოცდილება ამტკიცებს, ადგილი აქვს საინვესტიციო თანხების არამიზნობრივად ხარჯვას, უფრო ზუსტად კი, ზოგიერთ შემთხვევაში, მის მითვისებას ხახელმწიფო მოხელეთა გარკვეული წრისა და გრანტების გამანაწილებელი ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ. საქართველოში შემოსული ინვესტიციების მიზნობრივი ხარჯვის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდი ხნის წინ დაადგებოდა ეკონომიკური აღმავლობის გზას და გადაწყდებოდა მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის მეტად მტკივნეული პრობლემები.

კაპიტალის მოძრაობა განხილული უნდა იქნას, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომლის ანალიზისა და მართვის გარეშე შეუძლებელია ეროვნული მეურნეობის სრულფასოვანი გაძღოლა. საინვესტიციო თანამშრომლობის საკითხები (კაპიტალის ექსპორტი-იმპორტი ფულად და სასაქონლო ფორმაში) წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური კავშირების სპეციფიკურ ფორმას, რომელიც დამოკიდებულია და ზუსტად ასახავს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონეს, კვლავწარმოებითი პროცესების დინამიკას და უნარს აწარმოოს მსოფლიო ან რეგიონალური მასშტაბის კონკურენტუნარიანი საქონელი.

უცხოური კაპიტალი განხილული უნდა იქნას, როგორც ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის რეალური საშუალება და ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური პროდუქციის წარმოებას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიო ბაზარზე. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რომლის ექსპორტიც წლობის განმავლობაში წარმოდგენილი იყო ნედლეულით, ჯართისა და ხე-ტყის სახით. ქვეყნის ეკონომიკაში ბოლო წლებში მიმდინარე პროგრესული ძვრები იმის გარანტიას იძლევა, რომ ექსპორტში უმოკლეს პერიოდში ნედლეულის ადგილს მზა პროდუქცია დაიჭერს და ტურიზმის განვითარების პარალელურად მოხდება საგადასახადო ბალანსის დეფიციტის შემცირება და აღმოფხვრა. თუმცა აუცილებლად

გასათვალისწინებელია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ფაქტორი.

უცხოური კაპიტალის ქვეყანაში შემოდინების დროს არ უნდა დავივიწყოთ ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ კაპიტალის მოძრაობის უპირველესი მოტივია რაც შეიძლება მოკლე პერიოდში კაპიტალის მაქსიმალური ეფექტიანობით უკან დაბრუნება. ამიტომ აუცილებელია ეროვნული და უცხო ქვეყნის ინვესტორების ინტერესების გათვლა და გათვალისწინება. მაგალითად საქართველოს სინამდვილეში ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმი, რომლის განვითარებასაც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მილიარდობით ლარის შემოტანა შეუძლია. აღნიშნულის პარალელურად ხდება ქვეყნის ტყის მასივების, წყლისა და ტურისტული კომპლექსების უცხოელებისათვის მიყიდვის ან გრძელვადიანი იჯარით გადაცემა. საკითხის ასე გადაწყვეტის შემთხვევაში არის იმის რეალური საშიშროება, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტი (ამ შემთხვევაში ტურიზმის განვითარება) დარჩება ქაღალდზე, რადგან მისი განვითარების რეალური მექანიზმები დარჩება უცხოელების ხელში, სამუდამოდ ან ხანგძლივი დროის განმავლობაში. არ ამართლებს არც ის არგუმენტი, რომ ინვესტორი შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს ინვესტორი დონორ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმების დროს მაქსიმალურად ახერხებს საკუთარი ინტერესების ხელშეკრულებაში ასახვას და როგორც წესი რამდენიმე ხნის შემდეგ რეგიონის მოსახლეობა რჩება უმუშევარი და სოციალურად დაუცველი.

უცხოელ ინვესტორთან ურთიერთობის დროს გასათვალისწინებელია ინვესტორის ინტერესის შეთანხმება საკუთარი ქვეყნის პოლიტიკასთან. არ უნდა დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ინვესტორი გარკვეული მოგების მიღების მიზნით იმოქმედებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. ნებისმიერ სერიოზულ ინვესტორს სჭირდება საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა, რის გამოც აუცილებელია ინვესტიციის რეალური მიზნის კარგად გააზრება. მაგალითად საქართველოს ეკონომიკური ბლოკადის რეალური ინსტრუმენტი გახდა რუსეთის აეროფლოტი, რომელმაც უახლოეს წარსულში მნიშვნელოვანი თანხა დაკარგა საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკური შეკვეთის განსახორციელებლად. ამიტომ ინვესტიციის მიმღებ, დონორ სახელმწიფოს ეკონომიკურ შედეგთან ერთად კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული ინვესტიციის პოლიტიკური მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების მრავალწლიანი პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ უცხოური ინვესტიცია არ არის დაინტერესებული ადგილობრივი წარმოების განვითარებით. მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ცდილობენ მსოფლიო მასშტაბით შეინარჩუნონ საკუთარი პროდუქციის მომხმარებელი რეგიონები და ქვეყნები. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას თავს ახვევდნენ ისეთ საკანონმდებლო რეკომენდაციებს (ეს რეკომენდაციები, როგორც წესი სავალდებულო იყო შესასრულებლად), რომელთა განხორციელებაც შეუძლებელს ხდიდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ეს ტენდენცია სახეშეცვლილი ფორმით დღემდე გრძელდება. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2007 წლის ივლისში წამოყენებული იყო ინიციატივა საქართველოში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი 100 საწარმოს აშენების შესახებ. აღნიშნული ინიციატივის რეალური ხორცშესხმა დიდი სტიმული იქნებოდა წარმოების სფეროში ინვესტიციების მოზიდვისა და დაბანდებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის გარანტიაა.

საერთოდ, წარმოების სფეროში უცხოური კაპიტალის დაბანდების დაბალი ტემპები განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით. არასაკმარისი საინვესტიციო კლიმატი ადგილობრივი ინვესტორებისათვის, რაც ძირითადად გამოიხატება საკანონმდებლო გარემოს არასრულყოფილებით და მისი ხშირი ცვლილებებით. საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია კერძო საკუთრების დაუცველობა და საკუთრების უფლების გაუქმება და ჩამორთმევა სხვადასხვა მიზეზებით. მესაკუთრე პასუხს არ უნდა აგებდეს ბიუროკრატიული აპარატის მიერ საკუთრების გადაცემის დროს დაშვებულ ობიექტიურ თუ სუბიექტურ გადაწყვეტილებებზე და შეცდომებზე. ხელისუფლების ცვლა არ უნდა

იწვევდეს საკუთრების ხელახალ გადანაწილებას, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების და მათთან მიახლოებული პირების საკუთრების ჩამორთმევასა და ნაციონალიზაციას, რადგან ასეთი პრაქტიკა აშინებს როგორც შიდა, ისე უცხოელ ინვესტორს, განსაკუთრებისთ განვითარებად ქვეყნებში, სადაც კაპიტალის (ინვესტიციების) წარმოშობის კანონიერება ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ქვეყნის კაპიტალის ოფშორულ ზონებში გადადინებას ან დაკონსერვებას, რაც თავისთავად უარყოფიდად მოქმედებს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

აღსანიშნავია ეკონომიკის კრიმინალიზაციის, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის დონის გავლენა ინვესტიციების მოზიდვაზე. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საინვისტიციო ფონი უკეთესობისკენ შეიცვალა. (თუ არ ჩავთვლით გასული წლის აგვისტოს ომის მეტად ნეგატიურ შედეგებს) ჩრდილოვანი და კრიმინალური ეკონომიკის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. კორუფციის მასშტაბები მცირდება, თუმცა სერიოზული პრობლემებია გრანტებისა და საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად გამოყენების სფეროში, რაც აფერხებს ელიტარული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

სახელმწიფო აპარატის სწრაფი ტემპებით შემცირება და მეურნეობის გაძღოლის ძველი ფორმების მოშლა ბევრად უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ვიდრე ახალი საწარმოების შექმნა და ამუშავება, რაც იწვევს უმუშევრობის ზრდას და ინვესტიციებზე მოთხოვნის შემცირებას. აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის ქვეყნებში ეს პროცესები სახელმწიფოს კონტროლითა და რეგულირებით მიმდინარეობდა, რის გამოც მას არ ჰქონდა ხანგძლივი, ანარქიული და დამანგრეველი ხასიათი.

პოსტსოციალისტურ, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, სახელმწიფო უარს ამბობს შეასრულოს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფუნქცია და ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ქაოსურად მიმდინარეობს, რაც ხელს უხსნის ხელისუფლებასთან მიახლოებულ პირებს და კრიმინალურ ელემენტებს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე წარმართონ მოვლენები. გავიხსენოთ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის საქართველო, სადაც ერთმანეთში იყო არეული კრიმინალური ჯგუფებისა და ხელისუფლებაში მყოფ ზოგიერთი მსხვილი მოხელის და მასთან დაახლოებული წრის ინტერესები. პირველნი სახელმწიფოსა და ხალხის ქონების მითვისებას ძარცვა-გლეჯვით ახდენდნენ, ხოლო მეორენი ამას უფრო ცივილიზებულული ფორმებით ახერხებდნენ. ეროვნული სიმდიდრის ასეთი ფორმებით გადანაწილების შედეგად ხდება საზოგადოების მდიდრებად და ღარიბებად ხელოვნურად დაყოფა. საზოგადოების სტაბილურად განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას აფერხებს დაუსაქმებელთა დიდი ხვედრითი წილი და კაპიტალის უდიდესი ნაწილის ოლიგარქების ხელში მოხვედრა. ერთიც და მეორეც ხელს უშლის ქვეყანის სტაბილურურად განვითარებას.

აქტუალურია საინვესტიციო კლიმატის შექმნის მიზნით ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი სახელმწიფოს მიდგომა. განვითარებად ქვეყნებში ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხასიათდება რეგიონების სანედლეულო რესურსების ექსპლოატაციით და უყაირათო გამოყენებით. ეს პროცესები ქვეყნების სიდიდის მიხედვით, მასშტაბების სიდიდით განსხვავებულია. რუსეთში რეგიონების ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივმა გამოყენებამ არნახული მაშტაბები მიიღო და ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე ოლიგარქების მცირე წრის საკუთრებად გადააქცია. საქართველოში ეს პროცესები ძირითადად რეგიონებიდან ხე-ტყისა და ჯართის უკონტროლო გატანით გამოიხატა და საქართველოს ეკოლოგიას და ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული პროცესები რეგულირდემა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და გამკაცრების შედეგად.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს უცხოელი ინვესტორები საინვესტიციოდ ისეთ რეგიონებს ირჩევენ, სადაც არ არის ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემა, არსებობს შრომითი რესურსები და ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, მათ შორის ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები. საქართველოში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს. საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „თავისუფალი

ინდუსტრიული ზონების შესახებ", რაც მნიშვნელოვან პერსპექტივებს ქმნის საქართველოს რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისა და მისი განვითარებისათვის. საჭიროა საქართველოს ყველა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შექმნა და პოტენციური ინვესტორებისათვის მათი გაცნობა. ინვესტორი არ უნდა ეძებდეს ინფორმაციის მომწოდებელს, მფარველასა და დამხმარეს მთავრობაში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურაში, რაც გარკვეული კორუფციული გარიგებების საშიშროების მატარებელია. აუცილებელია ინვესტორების ინფორმირების მწყობრი სისტემის შექმნა ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების ეფექტურად გამოვენების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობისა და გარანტიების შესახებ".
2. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ".
3. საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ".
4. ლ. ქოქიაური. ინვესტიციების თეორიული გენეზისი. თბ. 2007.

THE ROLE OF CAPITAL MOTION IN SYSTEM OF ECONOMIC POLICY

KOBA SOKHADZE
Doctor of Economics
Associate Professor

In the process of globalization the world thrift, exceptionally urgent is determination of capital motion tendency. Capital motion means as movement of state budget and non-budget sources according to branches and regions, inside the country so capital gains from foreign countries and departure of national capital in abroad countries. As order, designated processes are regulated by state, on the whole, in the form of the investment policy.

Capital motion should be considered as one of prior direction of economic policy, without analyzing and managing capital motion, valuable lead of national thrift is impossible. The investment collaboration matters (capital export import in the form of goods and money) performs specific form of foreign economic connections, which depends and exactly represents the level of using economic potential of the country, dynamics of reproduction processes and ability to product competitive goods in the scale of the world or regions.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღრიცხვა

ელენე ხარაბაძე
თსუ სრული პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს მოგება წარმოადგენს. მოგება ფინანსური ანგარიშგების ორი ელემენტით, საერთო შემოსავლებით და ხარჯებით განისაზღვრება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით, "შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან".

შემოსავლების ცნება მოიცავს ამონაგებს და შემოსულობას. ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე (ბასს 18,მ. 7).

ბასს-ის მიხედვით, საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

– საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

– საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება საკუთრების უფლებასთან და არ ახორციელებს გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს;

– შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

– მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

– შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მაშასადამე, ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

საქონლის (მომსახურების, სამუშაოების) გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს საოპერაციო შემოსავალს. საოპერაციო შემოსავლების აღსარიცხავად მოქმედი ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია ანგარიშების ჯგუფი – 6100 "საოპერაციო შემოსავლები".

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა შესაძლოა ითვალისწინებდეს, შემოსავლების აღიარების კრიტერიუმის სხვადასხვა დროს დაკმაყოფილების შესაძლებელობას. კერძოდ, კანონი შეიძლება განსაზღვრავდეს დროის იმ მომენტს, როდესაც საწარმო გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

ხელშეკრულების პირობების შემოწმების გზით ხდება იმის დადგენა, თუ როდის გადასცა საწარმომ მყიდველს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი. ხშირად, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველზე სამართლებრივი ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. უმეტესად, ასე ხდება საცალო ვაჭრობაში. შემოსავლების აღიარების აღნიშნული მეთოდი მიწოდების თარიღით შემოსავლების აღიარებად იწოდება. შესაბამისად, საქონლის (მომსახურების,

სამუშაოების) მიწოდება, რომელიც იწვევს აქტივების ზრდას, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით:

დ-ტი – ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები; ან

დ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით;

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან.

ერთი და იმავე ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგებისა და ხარჯების აღიარება ერთდროულად ხდება, ამონაგებისა და ხარჯების შესაბამისობის პრინციპის საფუძველზე. ამიტომ, საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარებასთან ერთად უნდა მოხდეს შესაბამისი ხარჯის, ანუ გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნამოწერა:

დ-ტი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება;

კ-ტი – საქონელი.

საქონლის გაყიდვა და შესაბამისად, შემოსავლის აღიარება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მყიდველის მიერ გადახდილ ან გადასახდელ ისეთ თანხებთან, რომელიც საწარმოს არ ეკუთვნის და ცხადია, არც აღიარდება შემოსავლად. ასეთი შეიძლება იყოს ე. წ. არაპირდაპირი გადასახადები, მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი. თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, საწარმო, რომელიც არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი, ვალდებულია საქონლის გაყიდვისას მყიდველს გადაახდევინოს დღგ-ს თანხაც და შესაბამისად, შემოსავლების აღიარებისას აღიაროს იგი, როგორც ვალდებულება:

დ-ტი – ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები (საერთო თანხით); ან

დ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით (საერთო თანხით);

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან (შემოსავლის თანხით);

კ-ტი – გადასახდელი დღგ (დღგ-ს თანხით).

ოპერაცია არ ითვლება გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება, თუ საწარმო ინარჩუნებს მფლობელობის მნიშვნელოვან რისკებს. საქონლის მფლობელობის რისკის შენარჩუნება სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. ბასს-ით, საწარმო საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს მყიდველს არ გადასცემს, თუ:

– საწარმო იტოვებს არადამაკმაყოფილებელ მიწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომელიც უზრუნველ-ყოფილი არ არის სათანადო გარანტიით;

– საწარმოში რომელიმე საქონლის (მომსახურების) გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის ამონაგების წყაროზე, რომელიც მან უნდა მიიღოს თავისი საქონლის გაყიდვის შედეგად;

– ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

– მყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების თანახმად, უარი თქვას საქონლის ან მომსახურების შეძენაზე და, ამდენად, საწარმოსათვის გაურკვეველია უკუგების მიღების შესაძლებლობა.

მაშასადამე, ბასს-ით ნებადართულია შემოსავლების აღიარება მოხდეს საქონლის მიწოდების შემდეგ.

გარიგება საქონლის შემდგომი მიწოდების შესახებ, როდესაც მყიდველი იღებს საკუთრების უფლებას და ანგარიშის განაღდების ვალდებულებას, შესაძლებელია ითვალისწინებდეს საქონლის მიწოდების გადავადებას მყიდველის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში 1. გარიგება საქონლის შემდგომი მიწოდების შესახებ, როდესაც საქონლის მიწოდების გადავადება ხდება მყიდველის მოთხოვნით, მაგრამ მყიდველი იღებს საკუთრების უფლებას და ანგარიშის განაღდების ვალდებულებას. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მყიდველი მიიღებს საკუთრების უფლებას, იმ პირობით, რომ:

– შესაძლებელი იქნება საქონლის მიწოდების განხორციელება;

– სახეზე არსებობს ის საქონელი, რომელიც იდენტიფიცირებულია და მზად არის მყიდველისათვის გასაგზავნად იმ მომენტისათვის, როდესაც ხდება რეალიზაციის აღიარება;

– მყიდველი სპეციალური შეთანხმების შესაბამისად ადასტურებს საქონლის მიწოდების გადავადებას; და
– გამოიყენება გადახდის ჩვეულებრივი პირობები.

გადავადებული გაყიდვისას საქონლის მიწოდება განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მყიდველი საბოლოოდ გაასწორებს ანგარიშს, ნაწილნაწილ გადახდის პირობებში. ამგვარი რეალიზაციიდან ამონაგების აღიარება ხდება მას შემდეგ, როდესაც საქონელი მიტანილი იქნება ადგილზე.

ამონაგების აღიარება არ ხდება, თუ არსებობს მხოლოდ საქონლის შეძენის ან წარმოების სურვილი, მისი დროულად მიწოდების მიზნით.

გარიგება საქონლის მიწოდების შესახებ შეიძლება ითვალისწინებდეს მიწოდებული საქონლის **დამონტაჟებას** და **ტექნიკურ შემოწმებას**. ამ შემთხვევაში ამონაგების აღიარება მაშინ მოხდება, როდესაც მყიდველი მიიღებს მიწოდებულ საქონელს და მისი დამონტაჟება და ტექნიკური შემოწმება დამთავრდება.

დ-ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები;

დ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით;

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან.

მიუხედავად აღნიშნულისა, ამონაგების აღიარება შესაძლოა განხორციელდეს მიწოდებული საქონლის მიღებისთანავე იმ შემთხვევაში, როდესაც:
– დამონტაჟების პროცესი მარტივია; ან
– ტექნიკური შემოწმება ხორციელდება მხოლოდ საბოლოო სახელშეკრულებო ფასების დადგენის მიზნით.

საბოლოო სახელშეკრულებო ფასების დადგენის მიზნით ტექნიკური შემოწმების განხორციელდებისას ამონაგების აღიარება შესაძლოა განხორციელდეს მიწოდებული საქონლის მიღებისთანავე, თუ:
– მყიდველს აქვს საქონლის დაბრუნების შეზღუდული უფლებები;
– საქონლის გაყიდვა ხდება კონსიგნაციით;
– საქონლის მიწოდებისთანავე ხდება ფულის გადახდა.

გარიგება საქონლის მიწოდების შესახებ შეიძლება ითვალისწინებდეს მყიდველის მიერ საქონლის დაბრუნების შეზღუდულ უფლებებს. ამ შემთხვევაში ამონაგების აღიარება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც მყიდველი ოფიციალურად მიიღებს მიწოდებულ საქონელს ან საქონელი მიტანილია ადგილზე და უარის თქმის ვადა ამოწურულია.

საქონლის გაყიდვა დაბრუნების უფლებით ბუღალტრულ აღრიცხვაში შემდეგნაირად აისახება:

1. შემდგომი გადახდის პირობით საქონლის მიწოდებისას:

ა. შემოსავლის აღიარება:

დ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით (საერთო თანხით);

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან (შემოსავლის თანხით);

კ-ტი – გადასახდელი დღგ (დღგ-ს თანხით).

ბ. გაყიდული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა:

დ-ტი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება;
კ-ტი – საქონელი.

2. მყიდველის მიერ საქონლის ღირებულების გადახდა:

დ-ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები;

კ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით.

3. გაყიდული საქონლის ნაწილის დაბრუნება:

ა. გასაყიდი ღირებულებით:

დ-ტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა;

კ-ტი – ვალდებულება საქონლის დაბრუნებით.

ბ. თვითღირებულებით:

დ-ტი – საქონელი;

კ-ტი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება.

მყიდველის მიერ საქონლის დაბრუნების შემთხვევაში უნდა მოხდეს გადასახდელი დღგ-ის ანგარიშის კორექტირება:

დ-ტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა;

დ-ტი – გადასახდელი დღგ;

კ-ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები;

კ-ტი – ვალდებულებები გაყიდული საქონლის დაბრუნებით.

4. საკომპენსაციო თანხის გადახდა:

დ-ტი – ვალდებულება საქონლის დაბრუნებით;

კ-ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები.

5. შემოსავლების კორექტირება:

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ანგარიში "გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა" დაიხურება, რითაც მოხდება რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების კორექტირება:

დ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან;

კ-ტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა.

6. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშების დახურვა:

ა. დ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან;

კ-ტი – საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი;

ბ. დ-ტი – საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი;

კ-ტი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის დაბრუნება მოხდა მყიდველის მიერ დავალიანების თანხის დაფარვამდე, იგივე ოპერაციები ბუღალტრულ აღრიცხვაში შემდეგნაირად აისახება:

1. შემდგომი გადახდის პირობით საქონლის მიწოდებისას:

ა. შემოსავლის აღიარება:

დ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით;

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან.

ბ. გაყიდული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა:

დ-ტი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება;

კ-ტი – საქონელი.

2. გაყიდული საქონლის ნაწილის დაბრუნება:

ა. გასაყიდი ღირებულებით:

დ-ტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება;

კ-ტი – ვალდებულება საქონლის დაბრუნებით.

ბ. თვითღირებულებით:

დ-ტი – საქონელი;

კ-ტი – გაყიდული საქონლის თვითღირებულება.

3. გაყიდული საქონლის ღირებულების გადახდა მყიდველის მიერ:

დ-ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები;

კ-ტი – მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით.

4. შემოსავლების კორექტირება:

დ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან;

კ-ტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება.

საქონლის გაყიდვა **კონსიგნაციით** გულისხმობს, რომ საქონლის მიმღები (მყიდველი) თავის თავზე იღებს ვალდებულებას, საქონელი გაყიდოს ტვირთის მიმწოდებლის სახელით. საქონლის გამგზავნი ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც საქონლის მიმღები მას მესამე პირზე გაყიდის.

საქონლის გაყიდვა შეიძლება ასევე, განხორციელდეს შუამავალ მხარეზე, დისტრიბუტორებზე, დილერებზე ან სხვა პირებზე, რომლებიც ახდენენ საქონლის გადაყიდვას უშუალოდ მომხმარებლებზე. ჩვეულებრივ, ამგვარი რეალიზაციიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა. მიუხედავად ამისა, თუ მყიდველი არსებითად მოქმედებს როგორც აგენტი, გაყიდვა ითვლება კონსიგნაციურ გაყიდვად. გაყიდული საქონლის ღირებულების ან გაყიდვის შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე მოხდება ამონაგების აღიარება.

კონსიგნაციით საქონლის გაყიდვა ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება:

1. **საქონლის მიწოდება კონსიგნატორისათვის:**

დ-ტი – საქონელი კონსიგნაციით;

კ-ტი – საქონელი.

2. **ამონაგების აღიარება ფულის მიღებისას:**

დ-ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები;

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან.

3. **იმავდროულად, გაყიდული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-ტი გაყიდული საქონლის თვითღირებულება;

კ-ტი საქონელი კონსიგნაციით.

გარიგება საქონლის მიწოდების შესახებ შეიძლება ითვალისწინებდეს ავანსად გადახდას (სრულად ან ნაწილობრივ) იმ საქონლის მიწოდებისათვის, რომელიც მოცემულ მომენტში არ არსებობს სასაქონლო-მატერიალური მარაგის სახით. ასეთ შემთხვევებში ამონაგების აღიარება მოხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიტანილი იქნება მყიდველთან, რადგან წინასწარ გადახდილი თანხა წარმოადგენს საწარმოს ვალდებულებას მყიდველის წინაშე, ანუ გამოუმუშავებელ (დაუმსახურებელ) შემოსავალს. შესაბამისად, თანხის ავანსად მიღება ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გატარებით:

დ–ტი – ფულადი საშუალებების ანგარიშები;

კ–ტი – მიღებული ავანსები.

საქონლის მიწოდებისა და მყიდველთან მიტანისას მოხდება მისი ღირებულების აღიარება შემოსავლად, შესაბამისი ვალდებულებების, ანუ მიღებული ავანსების შემცირების გზით:

დ–ტი – მიღებული ავანსები (საერთო თანხით);

კ-ტი – შემოსავალი რეალიზაციიდან (შემოსავლის თანხით);

კ-ტი – გადასახდელი დღგ (დღგ-ს თანხით).

გუდვილის აღიარება და შეფასება საერთაშორისო სტანდარტებით

დავით ჯალაღონია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გუდვილი (**goodwill** - კეთილი ნება) განეკუთვნება არამატერიალურ აქტივებს და განისაზღვრება, როგორც სხვაობა საწარმოს საბაზრო ფასსა და ამ საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულებას შორის. თავის მხრივ, აქტივების წმინდა ღირებულება წარმოადგენს სხვაობას საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის. აქედან გამომდინარე, გუდვილის ღირებულება ტოლია ინვესტორის მიერ საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა.

არსებობს ცალკეული სპეციალისტის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გუდვილი, როგორც სხვა არამატერიალური აქტივი, როგორიცაა სავაჭრო ნიშანი, პატენტი და ა.შ., გამოიყოფა ცალკე საღრიცხვო ერთეულად და შესაბამისად, წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ცალკე ობიექტს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი აზრი ცალსახაა. გუდვილის, როგორც ცალკე საღრიცხვო ერთეულის ყიდვა-გაყიდვა მისი წარმოშობის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია. გუდვილის წარმოშობა კი უშუალოდ უკავშირდება საწარმოს მაღალ რეპუტაციას და მის პრესტიჟს; კლიენტურას; საწარმოში დასაქმებულ მაღალპროფესიონალ კადრებს; საწარმოს სარეკლამო სამსახურს; ეფექტურად მოქმედ რეალიზაციის სისტემას; მენეჯმენტის მაღალ დონეს; მუშაობის შეღავათიან ნორმატიულ-სამართლებრივ რეჟიმს; შრომის ორგანიზაციის მაღალ დონეს; საკრედიტო რეიტინგს; რეპუტაციის დონეს იმ საწარმოებს შორის, რომლებიც მოქმედებენ მოცემული დარგის სფეროში; გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობას; მომწოდებლებთან მყარ და ეფექტურ კავშირებს და ა.შ. როგორც ჩანს გუდვილი საწარმოშია, ამ საწარმოს ღირებულების შემადგენელი ორგანული ნაწილია და შესაბამისად, თავის გამოხატულებას პოულობს საწარმოს ფასში. აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში გუდვილის აღიარება-ასახვა შესაძლებელია მხოლოდ საწარმოს ყიდვა-გაყიდვის შედეგად.

გუდვილის ღირებულება შეიძლება იყოს როგორც დადებითი ისე უარყოფითი სიდიდე. თანამედროვე ეტაპზე არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ საწარმოთა შერწყმის შედეგად წარმოშობილი გუდვილის სიდიდე დადებითია. ეს ხდება იმიტომ, რომ სურვილი ინვესტორისა იმიჯის მქონე კონკურენტუნარიან საწარმოში განახორციელოს კაპიტალის ინვესტირება, როგორც წესი, ყოველთვის დიდია. ასეთ საწარმოზე მოთხოვნილება მაღალია, შესაბამისად, მაღალია მისი საბაზრო ფასი და საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულებაც. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საწარმოს აქტივების საბალანსო ღირებულება აღემატება ამ აქტივების საბაზრო ღირებულებას გუდვილის სიდიდე უარყოფითია. (თუმცა ეს ხდება იშვიათად).

როგორც ავღნიშნეთ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გუდვილის ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის თარიღისათვის შესყიდული საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას გადამეტებულ ღირებულებას. სწორედ, ამ ღირებულებას მოაქვს საწარმოსათვის მომავალში საშუალოზე უფრო მეტი მოგება. აქედან გამომდინარე, შესყიდვის შედეგად წარმოშობილი გუდვილის ღირებულება წარმოადგენს გადასახდელს, რომელსაც იხადის მყიდველი საწარმო სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

ბასს-ით შესყიდვა, ესაა სავაჭრო ოპერაციის შედეგად ორი ან მეტი საწარმოს შერწყმის პროცესი, როდესაც ერთი (მყიდველი) საწარმო მოიპოვებს კონტროლის უფლებას მეორე (შესყიდული) საწარმოს წმინდა აქტივებზე. საწარმოს შესყიდვის თარიღი კი არის დღე, როდესაც შესყიდული საწარმოს წმინდა აქტივებისა და საქმიანობის კონტროლი ფაქტობრივად გადაეცემა მყიდველ საწარმოს. შესყიდვის შედეგად მყიდველ საწარმოს ეძლევა საშუალება გააკონტროლოს შესყიდული

საწარმოს აქტივები და ვალდებულებები და განახორციელოს აქციების გამოშვებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების მართვა.

საწარმოთა შერწყმისას აუცილებელია განისაზღვროს შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები. ამის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საწარმოს შესყიდვა ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს შესყიდვის თვითღირებულებით. საერთაშორისო სტანდარტებით გუდვილის შესყიდვის თვითღირებულება ტოლია მყიდველი საწარმოს მიერ შესასყიდი საწარმოს წმინდა აქტივებზე კონტროლის უფლების მოპოვების სანაცვლოდ გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტებისა ან გაცვლის თარიღისათვის მყიდველი საწარმოს მიერ გაღებული შესყიდვის სხვა კომპენსაციის რეალური ღირებულებისა და საწარმოს შესყიდვასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯების ჯამისა. საწარმოს შესყიდვასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს მიეკუთვნება საწარმოს რეგისტრაციასთან და წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული დანახარჯები, ასევე, სავაჭრო ოპერაციაში მონაწილე შემფასებელთა, ბუღალტერთა, იურისტთა და სხვა კონსულტანტთა შრომის ანაზღაურება. რაც შეეხება ამ ოპერაციებთან დაკავშირებით გაწეულ საერთო ადმინისტრაციულ და სხვა დანახარჯებს, რომელთა მიკუთვნება რომელიმე კონკრეტულ შესყიდვასთან შეუძლებელია, ასეთი დანახარჯები ბასს-ით არ შეიტანება საწარმოს შესყიდვის თვითღირებულებაში და მათი გაწევისთანავე შეიძლება აღიარებულ იქნას პერიოდის ხარჯად.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა გუდვილის აღიარება და შეფასება. რამდენადაც გუდვილი წარმოადგენს საწარმოს აქტივების ღირებულების შემადგენელ ნაწილს, ამდენად მისი აღიარება და შეფასება ბასს-ით უკავშირდება შესყიდული საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებასთან და შეფასებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. გუდვილის აღიარებისა და შეფასების არსებული მეთოდოლოგია განპირობებულია იმ ფაქტით, რომ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გუდვილის შემთხვევაში მათი ღირებულების განსაზღვრა უკავშირდება შესყიდვის ნარჩენ თვითღირებულებას, ანუ თვითღირებულებას, რომელიც რჩება აღრიცხვას დაქვემდებარებული აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შემდეგ.

ასს-ის მიხედვით შესყიდული საწარმოს აქტივები და ვალდებულებები შესაძლებელია აღიარებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი:

ა. მყიდველ საწარმოს შესყიდული აქტივების გამოყენებით მომავალში გაეზრდება და/ან ვალდებულებების დაფარვით შეუმცირდება ეკონომიკური სარგებელი; და

ბ. მყიდველი საწარმოს მიერ შესაძლებელი იქნება მიღებული აქტივებისა და ვალდებულებების თვითღირებულების ან რეალური ღირებულების საიმედო შეფასება.

რაც შეეხება გუდვილის შეფასებას, იგი ასევე განპირობებულია შესყიდული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების პრინციპებით და უკავშირდება შესყიდვის თვითღირებულების განაწილების მეთოდოლოგიას. ბასს-ით არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვის თვითღირებულების განაწილების ორი მეთოდი: საბაზისო და ნებადართული ალტერნატიული.

საბაზისო მეთოდის გამოყენების შემთხვევაში შესყიდული საწარმოს აქტივები და ვალდებულებები უნდა შეფასდეს აგრეგირებულად, კერძოდ:

ა. გაცვლითი ოპერაციის თარიღისათვის აღრიცხვას დაქვემდებარებული აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების აგრეგირებული თანხით კაპიტალის იმ წილის ფარგლებში, რომელიც მყიდველმა საწარმომ მიიღო ამ ოპერაციიდან; და

ბ. შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვამდე არსებულ საბალანსო ღირებულებაში უმცირესობის წილის აგრეგირებული თანხით.

მაგალითად, ერთმა საწარმომ შეიძინა მეორე საწარმოს აქციების 90 პროცენტი 30 000 ლარად. მეორე საწარმოს აქტივების საბალანსო ღირებულებაა 40 000 ლარი, რეალური ღირებულება კი 45 000 ლარი. ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ემთხვევა მის რეალურ ღირებულებას და შეადგენს 20 000 ლარს. შესაბამისად, წმიდა აქტივების ღირებულებაა:

საბალანსო ღირებულებით 40 000 - 20 000 = 20 000 ლარი

რეალური ღირებულებით 45 000 - 20 000 = 25 000 ლარი

შეძენის თვითღირებულება განაწილდება შემდეგნაირად:

უმცირესობის წილი შეძენილ (მეორე) საწარმოში 20 000 X 10 % = 2 000 ლარი

მყიდველი საწარმოს წილი ნაყიდ საწარმოში 20000 – 2000 = 18 000 ლარი

შეძენით მიღებული გუდვილის ღირებულება: 30 000 - 18 000 = 12 000 ლარი

ნებადართული ალტერნატიული მეთოდის მიხედვით აქტივები და ვალდებულებები უნდა შეფასდეს შესყიდვის თარიღისათვის მათი რეალური ღირებულებით. უმცირესობის ნებისმიერი წილის აღიარება აქტივებად და ვალდებულებებად ბასს-ით უნდა მოხდეს რეალურ ღირებულებაში უმცირესობის წილის პროპორციულად.

თუ განვიხილავთ იგივე მაგალითს იგივე პირობების გათვალისწინებით, შეძენილ თვითღირებულების განაწილება მოხდება შემდეგი პროპორციით:

უმცირესობის წილი შეძენილ (მეორე) საწარმოში 25 000 X 10 % = 2 500 ლარი

მყიდველი საწარმოს წილი ნაყიდ საწარმოში 25 000 - 2 500 = 22 500 ლარი

შეძენით მიღებული გუდვილის ღირებულება 30 000 - 22 500 = 7 500 ლარი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესხია ი, ჯალაღონია დ. ფინანსური აღრიცხვა. თბილისი 2006 წ.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
3. Энтони Райс. бухгалтерский учет и отчетность без проблем. (перевод с английского) ИНФРА-М, 1997.
4. **Generally accepted accounting principles – GAAP.**

ACKNOWLEDGMENT AND EVALUATION OF GOODWILL ACCORDING TO INTERNATIONAL STANDARTS

DAVID JALAGONIA

Professor of Sukhumi State University

In the article there are discussed the items concerning acknowledgement and evaluation of the goodwill according to international standards. Taking into consideration the international experience it is obvious that defining of the price of the enterprise's goodwill after executed transactions becomes highly necessary. While discussing the item evaluation methods of positive and negative goodwill are considered as highly important. There is mentioned in the article that in case of both the positive and negative goodwill evaluation of their price is related with the depreciated cost of the purchase, it means that the price is related with the prime cost that is remained after acknowledgement of assets and liabilities that are the subjects of accounting. As for evaluation of the goodwill it is also stipulated by the principles of evaluation of assets and liabilities and related to the methodology of distribution of purchase prices.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები

იოსებ მასურაშვილი
თსუ ასოცირებული პროფესორი

პაატა ტერტერაშვილი
თსუ ბაკალავრი

საქართველოს ისტორია, ეს არის ისტორია უმკაცრესი ბრძოლისა ეროვნული გადარჩენისთვის. ვის არ უთარეშია ქართულ მიწაზე – რომაელები, ბერძნები, არაბები, მონღოლები, თურქები და სხვ. უპირველეს ყოვლისა ორი უძლიერესი მუსულმანური ქვეყნის – ირანის და თურქეთის – მუდმივმა შემოსევებმა და საშინელმა ზეწოლამ მრავალრიცხოვანი ქართული სახელმწიფო (ის გაერთიანებული იყო მხოლოდ ისტორიის მოკლე პერიოდში – დავით აღმაშენებლის {1089-1125წწ.} და თამარ მეფის {1184-1212წწ.} დროს) სრული საშიშროების წინაშე დააყენა. ამიტომაც სცადა საქართველომ კავშირი დაემყარებინა მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან – რუსეთთან.

1783 წლიá 24 ივლისს {3აგვისტოს} გეორგიევსკის ციხესიმაგრეში (ამჟამად სტავროპოლის მხარის სამხრეთით, რუსეთში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფომ (ქართლი და კახეთი) და რუსეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას (ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით). ამ ხელშეკრულების გაფორმება ახსნილი იქნა იმდროინდელი ისტორიული აუცილებლობით[1].

იმპერიული რუსეთის მერე იყო საბჭოთა პროექტი, როდესაც საქართველოს გარდა ამიერკავკასიის ფედერაციაში 1921 წელს მოხვდნენ აზერბაიჯანი და სომხეთიც, მაგრამ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა პირველად ისტორიაში განაცხადა, რომ თავისი ისტორიული პროექტი მას არ გააჩნია და რომ მას ინტეგრირება სურდა სრულიად განსხვავებულ, დასავლეთის პროექტში. საქართველომ, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმა ანალოგიური მცდელობები დაიწყეს უკვე რუსეთის გარეშე. როგორც ზოგიერთი ექსპერტი თვლის, სწორედ ამაში მდგომარეობს რუსეთ–საქართველოს კონფლიქტების მთავარი მიზეზი – რუსეთს არ სურს, რომ საქართველომ მის გარდა სხვა "მეზობლის კარზე აკაკუნოს". რუსეთის პოლიტიკოსებს, და განსაკუთრებით სამხედრო პირებს აღიზიანებთ საქართველოს სწრაფვა ნატოში და ევროკავშირისკენ, ეს პოზიცია კი არ არის სამართლიანი.

საქართველოს და რუსეთს შორის საქონელბრუნვის და საერთო ეკონომიკური თანამშრომლობის მოცულობის მკვეთრი დაცემის მიზეზთა შორის შეიძლება გამოვყოთ: პოლიტიკური სიტუაცია; საქართველოს სამრეწველო პოტენციალის დაბალი დონე; სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის დაცემის მაღალი ტემპი ყოფილი დსთ-ს სახელმწიფოთა შორის; საქართველოში მოხდა წარმოების სტრუქტურის კარდინალური ცვლილება – თუ 1991 წლამდე საქართველო რუსეთთან ვაჭრობდა მანქანათმშენებლობის და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციით, 1991 წლის შემდეგ ეს ძირითადად იყო ენერგომატარებლები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. საბჭოთა პერიოდში საქართველოში წარმატებით ფუნქციონირებდა წარმოება, რომელიც უშვებდა: მაგისტრალურ ელექტრომატარებლებს, ელექტრო ძრავებს და შესადუღებელ მოწყობილობებს, ავტომატიზირებულ მოწყობილობებს პროგრამული მართვისთვის, გამოთვლით ტექნიკას, ანალიტიკურ მოწყობილობებს და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზირებულ მოწყობილობებს, სატვირთო ავტომობილებს, გემებს წყალქვეშა ფრთებით, მინერალურ მოწყობილებებს, საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს, ღვინოს, მინერალურ წყლებს, კონსერვებს, თამბაქოს, ციტრუსსა და ჩაის.

2002 წელს რუსეთიდან იმპორტმა სასურსათო პროდუქტებზე და სასოფლო-

[1] რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თსუ. 2002. გვ. 259.

სამეურნეო ნედლეულზე შეადგინა 49%, მანქანათმშენებლობის საქონელმა - 13%-მდე, ქიმიური მრეწველობის პროდუქციამ - 12,6%-მდე და მინერალურმა პროდუქტებმა - 11,4%-მდე. თუმცა საქართველოდან რუსეთში ექსპორტის სტრუქტურაში სასურსათო პროდუქტებმა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულმა თითქმის 85% შეადგინა (ღვინო და არაყ-საკონიაკე ნედლეული, მინერალური წყალი, ხილი, ციტრუსი, ხამანაქი), ხოლო მანქანათმშენებლობის დარგის საქონლის წილმა – სულ რაღაც 6%[2].

2008 წელს რუსეთიდან საქართველოში

ცხრილი 2

რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები[3](1000 აშშ დოლარი)

2008 წ. I კვ.	2008 წ. II კვ.	2008 წ. III კვ.	2008 წ. IV კვ.
34029,6	-14225,0	+4437,9	-10386,1

განხორციელებულ ინვესტიციებზე ნათლად მეტყველებს ცხრილი 2 და 3.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებელი 2008 წელს მთლიანად იყო 7555767,4 ათასი აშშ დოლარი, აქედან რუსეთთან – 454494,4 ათასი აშშ დოლარი; ექსპორტმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში სულ შეადგინა – 1497663,6 ათასი აშშ დოლარი, აქედან რუსეთთან - 28471,0 ათასი აშშ დოლარი; იმპორტი სულ იყო – 6059103,8 ათასი აშშ დოლარი, ხოლო რუსეთთან – 426023,4 ათასი აშშ დოლარი (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით 2008წ. (ათასი აშშ დოლარი)[4]

	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
საგარეო ვაჭრობა–სულ	7 555 767,4	1 497 663,6	6 058 103,8	- 4 560 440,2
მათ შორის: რუსეთი	454 494,4	28 471,0	426 023,4	- 397 552,4

საქართველოს შემდგომი განვითარების დონე პირველ რიგში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დააღწევს იგი თავს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ქარიშხალს. ეს კი მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება საშინაო და საგარეო ბაზრების ურთიერთკავშირით. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირები ცალმხრივი არ არის. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის როგორც დსთ-ს, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებზე.

2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2000,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10,7 პროცენტით მეტია. დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2008 წელს 2542,9 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა (2007 წელთან შედარებით 9,9 პროცენტით მეტი). უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის დსთ-ის 3 ქვეყანა (აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი) და მათზე მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 27,3 პროცენტი მოდის. რუსეთის ფედერაციამ ამ წელს მე–3 ადგილიდან მე-5 ადგილზე გადაინაცვლა[5].

საქართველოსა და რუსეთის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოებულმა მეურნეობებმა პრაქტიკაში დაგვანახა, რომ შიდა ბაზარი უფრო პერსპექტიულია. მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, ქიმიური და სხვა დარგების პროდუქციის რეალიზაციაში, ხოლო მომავალში კი მეცნიერებატევადი მრეწველობის ახალი სახეების შემუშავებისთვის ერთობლივი საცდელი ობიექტიც კი შეიძლება გახდეს. ამიტომ აუცილებელია მოქმედებათა კოორდინირება (რა თქმა უნდა პოლიტიკური ურთიერთობების დათბობისთანავე) დაგროვილი ეკონომიკური და

[2] http://www.statistics.ge/main.php?pform=39&plang=2, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2002. გვ. 288.

[3-4] http://www.statistics.ge/_files/georgian/Quarterly%20Bulletin%20IV_2008.pdf. გვ. 37.

[5] http://www.statistics.ge/_files/georgian/Quarterly%20Bulletin%20IV_2008.pdf. გვ. 42.

სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ერთობლივი გამოყენებით და მათი ურთიერთსარგებლობით საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური დაგროვილი პოტენციალის ერთობლივ გამოყენებაზე და მათ ურთიერთსასარგებლო გამოყენებაზე.

განვითარებული ქვეყნების მიერ შემოთავაზებული ინვესტიციების როლის შეფასებისას შედარებული უნდა იქნას საქართველო-რუსეთის გრძელვადიანი ინტერესები და უცხოელი ინვესტორების მოთხოვნები. ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. უკიდურეს შემთხვევაში, გარდაუვალია ორი შეზღუდვა; უცხოური კაპიტალი არ უნდა იქნეს დაშვებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგებში და მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს კაპიტალის წყაროზე.

ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავების თვალსაზრისით აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია თითოეულ ქვეყანას. ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველო-რუსეთის მატერიალური და ფინანსური რესურსები უკიდურესად დაძაბულია, ამიტომ განსაკუთრებით აქტუალურად მიგვაჩნია მათი კონცენტრაციის პრობლემა უფრო პრიორიტეტულ მიმართულებებში.

საქონელბრუნვის დონეზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს განეკუთვნება სატრანსპორტო კავშირის არ არსებობა, საბრუნავი და საკრედიტო სახსრების არ არსებობა, არასრულყოფილი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, საფინანსო მომსახურება და დაბეგვრის პრაქტიკა. აუცილებელია ლიკვიდირებული იქნას შეუსაბამობა ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაში და ახალი ეკონომიკური ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოსა და რუსეთს შორის.

რუსეთს შეუძლია საქართველოს მოაწოდოს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ტრაქტორები, მზესუმზირა, ხე-ტყე, ქაღალდი და სხვ. პროდუქცია, ხოლო სანაცვლოდ მიიღოს სპილენძის კონცენტრატი, მარგანეცი, ღვინო, შამპანური, კონიაკი, მინერალური წყალი, ჩაი, ციტრუსები და სხვ.

გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია რუსეთს მიაწოდოს მაღალხარისხიანი საკონიაკე სპირტი სამარკო კონიაკების (ბრენდი) ჩამოსასხმელად. აქ სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის საბაჟო მოსაკრებლების თანხა 5,6-ჯერ აღემატება სპირტის შეთავაზებულ ღირებულებას და არამომგებიანს ხდის შეტანას სარეალიზაციოდ.

ეკონომიკური თანამშრომლობის ცალკეული მაგალითების ფონზე სანიმუშოა სიტუაცია ენერგეტიკულ სფეროში. ტექნოლოგიური თვალსაზრისით ხელსაყრელია სწორედაც კავკასიის რეგიონის ენერგოსისტემების ერთობლივი ფუნქციონირება რუსეთის ჩართვით. ამის მაგალითია "რაო ეესი" და "გაზპრომი", რომელთა გამართული მუშაობა თითოეული ჩვენგანის ყოფით ცხოვრებაშია ასახული.

ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი უნდა იყოს საბაზრო თავისი ტიპის მიხედვით, სამეურნეო ურთიერთობები უნდა აიგოს მხოლოდ სამეურნეო მიზანშეწონილობის პრინციპზე, ურთიერთ მომგებიანობაზე და აღებული ვალდებულებების ეკონომიკურ პასუხისმგებლობაზე.

რომ არაფერი ვთქვათ იმ ზიანზე, რამაც რუსეთის საერთაშორისო იმიჯზე იმოქმედა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არამეგობრული აქციები ძნელად ასახსნელია, თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ ძველი დროიდან მოყოლებული სწორედ საქართველო იყო მთავარი დასაყრდენი პუნქტი და სტრატეგიული მოკავშირე რუსეთისთვის მის სამხრეთ საზღვრებზე. მაგრამ ჯერჯერობით კავკასიასთან რუსეთის პოლიტიკაში, და არა მარტო მასში, კორპორატიული ინტერესები კვლავ ჭარბობს, რაც ცხადია ზიანს აყენებს ქვეყნის იმიჯს და მის ლიდერებს.

რაც შეეხება მომავალ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, ისინი უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისთის, ვიდრე მას თვლიან. საუბარია არა მარტო სტრატეგიულ ინტერესებზე კავკასიაში მისი ტრადიციული გაგებით (რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია), არამედ მომავალი რუსული საზოგადოების ფორმირების ამოცანებზეც. აუცილებელია, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში საქართველოს ისტორიულ-კულტურული წვლილის და იმ ჰუმანიტარული და კულტურული კავშირების გაცნობიერება და აღიარება, რომლებმაც მჭიდროდ დააკავშირა იგი რუსეთს.

დღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ისტორიაში ყველაზე სერიოზულ გამოცდას გადის. ამიტომაც გასაკვირი არც არის,

რომ საქართველოს პოლიტიკური კომპასი უფრო მეტად გადახრილია ნატო-სთან და ევროკავშირთან თანამშრომლობისკენ. მაგრამ საერთო ისტორია, რელიგია, კულტურა – ეს არის ის, რაც არ ექვემდებარება დროს და რაც შეიძლება გახდეს ორ ქვეყანას შორის ახალი ფორმატის ურთიერთობების აგების საფუძველი. მით უმეტეს დღეს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ეს ფრიად აქტუალურად გვეჩვენება.

საქართველო მეგობრულ ხელს უწვდის რუსეთს და მზად არის თანამშრომლობისთვის მხოლოდ ერთი პირობით, რომ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღიაროს მეზობელმა დიდმა, მართლმადიდებელმა სახელმწიფომ.

PROBLEMS AND PROSPECTS OF ECONOMIC COOPERATION OF GEORGIA AND RUSSIA

IOSEB MASURASHVILI
Asociate professor TSU
PAATA TERTERASHVILI
Bachelor

The history of Georgia is a history of the most severe struggle for a national survival. Constant attacks and monstrous pressure from the party first of all two powerful Muslim neighbours - Iran and Turkey - have put the numerous Georgian states. For this reason Georgia already in beginning ÕVI of a century has started to search for mutual relations with the next Christian state - Russia. As a part of principal causes of sharp falling of volumes of goods turnover and the general economic cooperation of Russia and Georgia it is possible to allocate the following: a political situation, low modern level of industrial potential of Georgia, rates of falling of level industrial and an agricultural production for years of independent existence in Georgia the highest of the commonwealth countries.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით

ტატა (დოდო) კურტანიძე
თსუ დოქტორანტი

ფასიანი ქაღალდების პორტფელი არის კაპიტალი, რომელიც ინვესტორისთვის შემოსავლის მომტან ფინანსურ ინსტრუმენტებშია განთავსებული. სახსრების განთავსების ძირითადი მიზანია ინვესტორის კაპიტალის გაზრდა. პორტფელურ ინვესტიციებს ახასიათებს დინამიურობა და დროში სწრაფად გადაადგილება მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს მიხედვით, რაც განაპირობებს პორტფელის ოპერატიულ ადაპტირებას ცვალებად ფინანსურ პირობებში. პორტფელური პაკეტის ოპერატიული მართვა გულისხმობს, როგორც მეორად საფინანსო ბაზრებსა და აუქციონებზე ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციათა ჩატარებას და პორტფელის შემადგენლობის ცვლილებას, ასევე, იმ ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრას, რომელთა მიხედვით ინვესტორი იღებს გადაწყვეტილებას პორტფელის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

საკუთარი საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურის განსაზღვრისას, ინვესტორს ბაზართან მიმართებაში ფრთხილი და დაკვირვებული პოზიცია უკავია. თუ ბაზარი ინარჩუნებს ზოგად დინამიკასა და შიდა პროპორციებს, პორტფელური კაპიტალი მშვიდად გრძნობს თავს. საბაზრო სიტუაციაში მკვეთრი ცვლილებებისას და კონკრეტული ქაღალდების კურსებსა და შემოსავლებში მოულოდნელი ძვრებისას კი, ინვესტორი ახდენს საკუთარი პორტფელის სასწრაფო კორექტირებას შესაბამისი ინსტრუმენტების ძალზე ფართო სპექტრის გამოყენებით. მაგალითად, ოპციონების მეშვეობით, რომლის დროსაც ინვესტორს უფლება აქვს გარკვეული ვადის განმავლობაში შეიძინოს ან გაყიდოს ფასიანი ქღალდი სპეციალურად დათქმულ ფასში.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საინვესტიციო პორტფელის ფორმირების ძირითადი კრიტერიუმებია შემოსავლიანობა, ლიკვიდურობა და საიმედოობა. ძირითად ინდიკატორად ითვლება შემოსავლიანობა – კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს სახსრების დაბანდების ეფექტურობასა და ინვესტორის შესაძლო მომავალ შემოსავალს. "პორტფელის თეორია" ფასიანი ქაღალდების რისკისა და მოგების შეფასების მიზნით სტატისტიკურ მეთოდებს იყენებს[1]. პორტფელურ თეორიას საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ მოგებისა და რისკების შეფასება, კლასიფიკაცია და კონტროლი უნდა მოხდეს იმ ფასიანი ქაღალდების პოზიციიდან, რომლებიც გააჩნია პორტფელში მათ მფლობელს. ამრიგად, პორტფელური თეორია გულისხმობს საინვესტიციო პროგრამის იმგვარად განსაზღვრას, რომ არსებული კაპიტალის პირობებში მივიღოთ *დასახული შემოსავალი მინიმალური რისკის გაწევით* ან *მაქსიმალური შემოსავალი დაშვებული რისკის ფარგლებში.* საინვესტიციო პორტფელის აგება ხდება დაბანდებათა დივერსიფიკაციის საფუძველზე. რაც უფრო მეტი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების ტიპია ჩართული პორტფელში,მით უფრო ნაკლებად იცვლება მისი ფასი ერთ-ერთი შემადგენლის კურსის ვარდნის შემთხვევაში და პირიქით, რაც უფრო ნაკლები ტიპის ფასიანი ქაღალდია ჩართული პორტფელში, მით უფრო მეტ შემოსავალს მოგვცემს (ან დაგვაზარალებს) საერთო მოცულობით ერთ-ერთი მათგანის ზრდა (ან კლება).

ფასიანი ქაღალდების ტიპების გათვალისწინებით, მოსალოდნელი რისკებისა და უკუგების მინიმუმამდე შეზღუდვის მიზნით, ინვესტორი აყალიბებს ფასიანი ქაღალდების საკუთარ პორტფელს. პორტფელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი სახის ფასიანი ქაღალდების ნაკრებით, რაც რა თქმა უნდა არ გამორიცხავს ამგვარი სტრუქტურის შეცვლის შესაძლებლობას სხვა სახის ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლების გზით.

[1] ლორენს გიტმანი, ინვესტირების საფუძვლები, გადმოქართულებული და შევსებული ლ. ქოქიაური მიერ. ფინანსები, თბილისი, 2001, გვ. 644.

პორტფელის წინაშე არსებული *ამოცანების კუთხით* გამოირჩევა პორტფელის რამდენიმე ტიპი:

- ზრდის პორტფელი;
- შემოსავლის პორტფელი;
- სარისკო კაპიტალის პორტფელი;
- ბალანსირებული პორტფელი;
- სპეციალიზებული პორტფელი;
- სტაბილური კაპიტალისა და შემოსავლების პორტფელი;
- მოკლევადიანი ფონდების პორტფელი;
- ფიქსირებული შემოსავლის მქონე საშუალო და გრძელვადიანი ფონდების პორტფელი;
- რეგიონული ან დარგობრივი პორტფელი;
- უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელი.

პორტფელების დაყოფა ასევე შესაძლებელია *რისკის/შემოსავლის ფარდობის* თვალსაზრისით:

- *აგრესიული პორტფელი*, მნიშვნელოვანი შემოსავალი მნიშვნელოვანი რისკისას – აირჩევა ფასიანი ქაღალდები, რომელთა კურსი მნიშვნელოვნად იცვლება, მოკლევადიანი დაბანდებების მიზნით, სწრაფი მოგების მისაღებად;
- *საბაზრო პორტფელი*, რომელიც იმეორებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტრუქტურას ნაკლებ პროპორციებში და მოცემული რისკისას იძლევა მინიმალური შემოსავლის მიღების საშუალებას;
- *კონსერვატიული პორტფელი*, რომელიც გათვლილია მინიმალურ რისკზე და ნელა მაგრამ გარანტირებულად მზარდ შემოსავალზე ფასიანი ქაღალდებიდან.

საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს საინვესტიციო პორტფელის ფორმირების პრინციპები - დაბანდებათა შემოსავლიანობა და უსაფრთხოება, მათი ზრდა და ლიკვიდურობა. ამასთანავე, პორტფელის ფორმირების დროს უმთავარესი ყურადღება უნდა მიექცეს საინვესტიციო რისკსა და შემოსავალს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფორმირების ეტაპები: *პირველი*, ოპტიმალური ტიპის პორტფელის არჩევა; *მეორე*, პორტფელის შემოსავალისა და რისკის თანაფარდობის შეფასება; *მესამე*, პორტფელის თავდაპირველი შემადგენლობის განსაზღვრა; *მეოთხე*, პორტფელის შემდგომი მართვის სქემის არჩევა.

საინვესტიციო პორტფელის ფორმირების დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ფასიანი ქაღალდების გადაფასების ფაქტორი, რომელიც [1]განპირობებულია, როგორც ინვესტიციათა ობიექტის ფინანსური მდგომარეობით, ასევე, საბაზრო სიტუაციის ძლიერი ცვალებადობით.

პორტფელის ზოგადი სტრატეგიის (ოპტიმიზაციის) ფუნქციურ ნაწილს წარმოადგენს ლიკვიდურობა. პორტფელის ლიკვიდურობის ხარისხი დამოკიდებულია პორტფელის მობილურობასა და მოქნილ სტრუქტურაზე. ლიკვიდურობა, ანუ სწრაფი რეალიზაციის შესაძლებლობა, მაღალი უნდა იყოს ფასიან ქაღალდების უდიდეს ნაწილში თუ ყველაში არა.

საინვესტიციო პოლიტიკის არჩევისას და საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურის განსაზღვრისას ინვესტორი, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: ლიკვიდურობა, შემოსავლიანობის დონე, საბანკო-საპროცენტო განაკვეთების ოდენობა. ბუნებრივია, ლიკვიდურობისა და შემოსავლიანობის გარდა, აუცილებელია დიდი ყურადღება დავუთმოთ ფასიანი ქაღალდების საიმედოობას. ამის გამო, მათ შერჩევას საფუძვლად უდევს ცალკეული რეკომენდაციები და ხერხები, რომელთა გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია მხოლოდ ინვესტორზე,

ინვესტიციების განხორციელება დასაშვებია იმ პირობებში, როდესაც მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის I პირობებში ინვესტიციების კაპიტალური ღირებულება Co, მისი რეალიზაციის საწყის ეტაპზე, არ არის უარყოფითი:

$$C_0 = \sum_{t=1}^{t} \frac{b_t - a_t}{(1+i)^t} \geq 0$$

სადაც, t - მოქმედების დრო, b - დარიცხვები, a - გადახდები.

აღნიშნული პრინციპი მეტყველებს იმაზე, რომ მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში ინვესტიციები მისაღებია, როდესაც ყოველწლიური საშუალო შემოსავლები აჭარბებს შესაბამის დანახარჯებს.

შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების არსებობისას უპირატესობა ეძლევა იმ ვარიანტს, როდესაც მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში გარკვეული

მომენტისათვის კაპიტალური ღირებულება მინიმალურია. ამ შემთხვევაში დასაშვებია, რომ ინვესტორს მოცემულ საანგარიშო საპროცენტო განაკვეთის პირობებში შეუძლია განახორციელოს სახსრების ნებისმიერი დაბანდება და ამოღება, რადგანაც შესაძლებელია ხარჯების და შემოსავლების შედარება კაპიტალის ღირებულების შეფასების მეთოდის ან ანუიტეტის მეშვეობით.

ამ პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია ინვესტორების განხორციელების ალტერნატიული ვარიანტებიდან საუკეთესოს ამორჩევისათვის.

როდესაც საუბარია საინვესტიციო გადაწყვეტილების შესახებ აქტუალური ხდება რისკ-ფაქტორების გაანალიზების საკითხი. ინვესტიციების მოსალოდნელი შედეგების შეფასებისას გამოიყენება:

- „წმინდა მიმდინარე ღირებულების" მეთოდი, რომლითაც განისაზღვრება მომავალში მოსალოდნელი შემოსავლების დღევანდელი ღირებულება;
- „უკუგების საპროცენტო განაკვეთი", როდესაც პროექტზე გაწეული დანახარჯები ამ პროექტის განხორციელების შემდეგ მისაღები შედეგების მიხედვით დგინდება;
- ინვესტიციის „ამოღების" მეთოდი, რომლის დროსაც განისაზღვრება ინვესტიციაზე გაწეული დანახარჯების ამოღება;

რისკის ძირითადი ფაქტორებ, რომლებიც დგანან ინვესტორის წინაშე კაპიტალდაბანდების განხორციელებამდე, შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- ეკონომიკური რისკი - რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად, და ალბათობა იმისა თუ რამდენად მოახდენს ეს ცვლილებები გავლენას ინვესტიციის მოსალოდნელ უკუგებაზე.
- ტრანსფერის რისკი - როგორია კაპიტალის გატანის შესაძლებლობა ქვეყნის გარეთ.
- ინფლაციის რისკი - ინფლაციის არსებული და საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრავენ გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას და გასაღების ბაზრების ფუნქციონირებას.
- ადგილმდებარეობის რისკი - იმ უარყოფითი შედეგების ერთობლიობა, რომელთაც შეიძლება თავი იჩინონ რეგიონში;
- სუვერენული რისკი - ძირითადად უკავშირდება საგარეო ვალების მომსახურებას და იმის საშიშროებას, რომ მთავრობა ვერ გაისტუმრებს სახელმწიფო ვალებს.
- პოლიტიკური რისკი - დაკავშირებული ქვეყნის შიგნით მოსალოდნელ სამოქალაქო არასტაბილურობასთან.

ინვესტიციების ეკონომიკური არსის დახასიათების შემდეგ, მეტად მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ეტაპები, რომლებსაც გადიან ინვესტორები სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ: პირველი ეტაპი, მიმართულია კაპიტალის სწრაფი ზრდისკენ, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე ინვესტორებს, როგორც წესი, აქვთ შეზღუდული რაოდენობის თანხები, ამიტომაც მიისწრაფიან სახსრების სწრაფი მიღებისაკენ დროის შედარებით მოკლე განაკვეთში; მეორე ეტაპი, რომლის განმავლობაშიც მნიშვნელოვანი ხდება კაპიტალის ზრდის ხარისხი და ინვესტიციისაგან მიმდინარე შემოსავლის მიღება; მესამე ეტაპი, მოიცავს კაპიტალის შენარჩუნებასა და მდგრადი და ამასთან მაღალი შემოსავლის მიღებას.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე პორტფელური ინვესტიციების აქტივობა არ შეიმჩნევა, რისკის მაღალი დონის გამო. კონკურენტულ ბაზარზე საქონელგასაღებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო პოტენციური ინვესტორები ერიდებიან საწარმოების აქციების შესყიდვას, რაც საკმაოდ დიდ დაბრკოლებებს უქმნის მცირე ბიზნესის წამატებულ განვითარებას.

ე.წ. "ვარდების რევოლუციამდელი" ეროვნული საფონდო ბაზრის ანალიზი[2] აჩვენებს, რომ ინვესტორები თავიანთ სახსრებს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ ცალკეულ დარგებში აბანდებენ. ბაზრის კაპიტალიზაციის თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი ამ შემთხვევაში იყო სანედლეულო წარმოება, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სფეროები. ასეთ არჩევანს განაპირობებდა აღნიშნული სამეურნეო დარგების შემოსავლიანობის მაღალი დონე.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ბაზრის ერთი თავისებურება, რომელიც გამოიკვეთა 90-იანი წლების ბოლოს - სერიოზული დაინტერესება ენერგეტიკის

[2] ლ. ხურცია, საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება საქართველოში, თბილისი, სპეკ, 2007, გვ.45

სფეროთი ინვესტორების მხრიდან. ენერგეტიკის საწარმოებში სახელმწიფოს წილი საკონტროლო აქციების გაყიდვამ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მაღალი საინვესტიციო აქტივობით იჩინა თავი - გაიყიდა ენერგოგამანაწილებელი კომპანიის „თელასის" აქციების 75% და გასაყიდად გამოვიდა ბუნებრივი არის გამანაწილებელი კომპანიის „თბილგაზის" საკონტროლო აქციათა პაკეტები (ჯერ 75%, ხოლო შემდეგ 85%, საბოლოოდ „თბილგაზი" მართვის 40 წლიანი უფლებით 2006 წელს ყაზახურ კომპანიას გადაეცა)[3].

2008 წლის აგვისტომდე, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განსაკუთრებული აქტივობა შეიმჩნეოდა საბანკო სექტორში, სამშენებლო ინდუსტრიაში, სასტუმროებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების სფეროში, ღვინის მრეწველობასა და საზღვაო პორტებში.

ბოლო პერიოდში საბანკო სექტორი საქართველოს საფონდო ბაზარზე წარმოდგენილი იყო სამი ქართული ბანკით - „საქართველოს ბანკი", „გაერთიანებული ქართული ბანკი", „სახალხო ბანკი". ამ ბანკების მიერ მთლიანობაში გაყიდულ იქნა 15,454705 აქცია 24,859506 ლარად.

საქართველოს საინვეტიციო ჯგუფის შეფასებით "საქართველოს ბანკის" აქციათა ფასი ნომინალთან შედარებით ხელოვნურად იყო აწეული, ხოლო დანარჩენი ორი ბანკის აქციების ფასი კი პირიქით - ხელოვნურად შემცირებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს აქციების რეალური საბაზრო კურსის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

ამავე პერიოდში სამშენებლო სფეროში აღსანიშნავი იყო სამშენებლო მასალების მწარმოებელთა გამსხვილების პროცესი - „კასპიცემენტის" აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი შესყიდულ იქნა „რუსთავცემენტის" მიერ. საერთო ჯამში, მრეწველობის ამ სექტორში აქციების საერთო ბრუნვამ შეადგინა 4,4 მლნ ლარი.

საინტერესო აქტივობა შეიმჩნეოდა დიდი შენობების აქციათა ბაზარზე, სადაც მაღალი ღირებულების მქონე შენობების აქციები, ფაქტობრივად ჩალის ფასად გაიყიდა. მაგალითად, სასტუმრო „აჭარამ" საკუთარი აქციების 51,13% გაიყიდა სულ რაღაც 268477 ლარად (სასტუმრო „ივერიის" მაჩვენებელი იგივე რაოდენობის აქციებისათვის იყო - 617802 ლარი), ასევე თითქმის უფასოდ გაიყიდა „სოფმშენის" 14 სართულიანი შენობის აქციების 20% - 60 ათასი ლარად, „საქტრანსპროექტის" აქციების 45% - 300 ათას ლარად, „კასპმშენის" აქციების 18% - 9 ათას ლარად, თბილისის ქაღალდის ფაბრიკის აქციების 41,5% - 33 ათას ლარად. რა თქმა უნდა ასეთი სიტუაცია დიდად არ განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელიც საქართველოში არსებობდა ვაუჩერიზაციის ეტაპზე, რაც ძალზედ უარყოფითად მოქმედებს საფონდო ბაზრის განვითარებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტივობაზე ძალზედ უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ემიტენტების საინფორმაციო ვაკუუმი. აქციების საბაზრო ღირებულების განმსაზღვრელია მოსალოდნელი შემოსავალი (დივიდენდი) აქციაზე, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ემიტენტის მიმდინარე და პროგნოზირებად რენტაბლეობაზე. ემიტენტის შესახებ სარწმუნო ფინანსური ინფორმაციის არარსებობა ზრდის შესაბამის ფასიან ქაღალდებში დაბანდებების რისკს და ამგვარად ამცირებს მათ საკურსო ღირებულებას, ზრდის განსხვავებას აქციის ყიდვა-გაყიდვას შორის, რაც უარყოფითად აისახება აქციების ლიკვიდურობაში. ვითარებას ამწვავებს სამართლებრივი ნიჰილიზმიც, რასაც მივყავართ არა მხოლოოდ ცალკეული აქციონერების, არამედ მსხვილი აქციონერების უფლებების დარღვევასთან.

მთლიანობაში საქართველოს თანამედროვე სააქციო ბაზარზე შემდეგი სახის ვითარებაა: ეს არის მსხვილი ინსტიტუციონალური ინვესტორების (ძირითადად უცხოური) ბაზარი, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან სახსრებსა და აქციების მსხვილ პაკეტებს; საქართველოს სააქციო ბაზრისთვის დამახასიათებელია გარიგებების არასაბირჟო ფორმით დადება. ეს არის როგორც საბაზრო გარიგებები, ასევე პირდაპირი გარიგებანი მნიშვნელოვანი პაკეტებით მხარეების ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, რაც არ აისახება სავაჭრო თუ საინფორმაციო სისტემებში; ინვესტორების მიერ ძირითადად ხდება პრივატიზებული საწარმოების აციების საკონტროლო პაკეტების შეძენა, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მთლიანად იგნორირებულია ცალკეული აქციონერების

[3] საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით – აქაც და ქვემოთ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბრუნვის შესახებ მონაცემები მოყვანილია აღნიშნული ჯგუფის მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც ელექტრონული ფოსტის საშუალებით ვრცელდება. http://www.investgroup.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება მიიღოს შესაბამისი მოგება საკუთარი პაის შესაბამისად; საინვესტიციო ნაკადები კონცენტრირდება ძირითადად ლიკვიდურ აქციებზე, ანუ ინვესტორების ცდილობენ შეიძინონ იმ საწარმოთა აქციები, რომელთა აქტივები მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა; ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სიტუაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პორტფელური ინვეტიციები წარმოადგენენ შესანიშნავ ინსტრუმენტს იმისათვის, რომ ფინანსურ ბაზარზე მოხდეს დამატებითი ფულადი მასის შემოდინება, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სათანადო ფინანსური აქტივობის მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კოვზანაძე–საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ, 2001
2. ლ. ხურცია – საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება საქართველოში, თბილისი, სპებ, 2007
3. Банковское дело: Учебник / Под. ред. Г.Н. Белоглазовой, Л.П. Кроливецкой. - 5-е изд. переаб. и доп. - М.: Финансы и статистика, 2003
4. Ван Хорн Дж.К. Основы управления финансами. - М.: Финансы и статистика, 2007
5. Ендовицкий Д.А. Комплексный анализ и контроль инвестиционной деятельности: методология и практика / Под. ред. проф. Л.Т. Гиляровской. -М.: Финансы и статистика, 2001
6. Грядовая О.В. Некоторые проблемы деятельности коммерческого банка // Деньги и кредит. - 2003. - №3. - С. 13 - 16.
7. http://www.investgroup.ge

THE STRUCTURE OF INVESTMENT PORTFOLIO ACCORDING TO BASIC CRITERIA

TATA (DODO) KURTANIDZE

Doctorant

Portfolio of securities is the capital, which is in profitable financial instruments for investors. The main target of investing is to increase the investor's capital. For this purpose the portfolio should be managed in an operative way that means that basic economic showings should be defined, so that it is possible to make changes in the contents of the portfolio.

When defining the structure of the investment portfolio the investor usually uses the following criteria: liquidity, amount of income, interest rates of the bank. It's obvious that besides liquidity and income, reliability of the securities should be taken into consideration as well. That's why there are various recommendations and methods that can be used when selecting these criteria, the effectiveness of which depends only on the investors.

In changing market situations the investor can make fast corrections to his portfolio according to definite securities. When forming the structure of the portfolio the investor should find out the reasons of profit refusal as well as the role of definite securities in getting profit and business risks. This enables the investor to make decisions about advisability of possible future increase of profit with the potential risk.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

www.gruni.edu.ge

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებელია ქართულ სინამდვილეში, რომელიც 2002 წლიდან სრულად გადავიდა სწავლებისა და სწავლის ევროპულ სისტემაზე.

აკადემიური პროგრამები შექმნილია ევროპისა და ამერიკის პარტნიორი უნივერსიტეტების პროგრამების ბაზაზე და ამ უნივერსიტეტების წამყვანი ექსპერტების უშუალო მონაწილეობით. ამიტომ ყველა პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტთან.

უნივერსიტეტი სტუდენტს მაღალი სტანდარტით ემსახურება – აძლევს იმ ტიპის ცოდნას, რითაც ის ადვილად მოერგება შრომის ბაზარს. ფაკულტეტებზე სტუდენტთა შორის შექმნილია ჯანსაღი კონკურენტული გარემო ბუნებრივად მოტივირებული მაღალი მომთხოვნელობის ფონით. შესაბამისად, სწავლა სტუდენტისათვის აღარ არის მძიმე ტვირთი. იგი სასიამოვნო, და ამავე დროს, მიზანმიმართულ პროცესად იქცა.

უნივერსიტეტმა უკვე გააფორმა მემორანდუმები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, წამყვალ კლინიკებთან, აგრეთვე, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. ასეთი კონტაქტები გვეხმარება ჩვენი კურსდამთავრებულების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის უნივერსიტეტი

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია საქართველოში

2008 წლის 8-11 მაისს კავკასიის უნივერსიტეტმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ჩაატარა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენცია სახელწოდებით "XXI საუკუნის განვითარების პერსპექტივები", რომელიც გაიმართა ბაზალეთის ტბის სასტუმრო კომპლექსში.

კონფერენციის უმთავრესი მიზანი იყო ორიგინალური იდეებით გამსჭვალული საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების შერჩევა, სამეცნიერო პოტენციალის მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა და მათი წახალისება.

საერთაშორისო სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია "XXI საუკუნის განვითარების პერსპექტივები" განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, ცნობილი ექსპერტების მიერ, წინასწარ გამოცხადებული კრიტე-რიუმების მიხედვით, შეირჩა ნაშრომები კონფერენციაში მონაწილეობისათვის გამოგზავნილი საქართველოს, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან.

შერჩეული ნაშრომლები გამოიცა კრებულის სახით.

მეორე ეტაპი ჩატარდა ბაზალეთის ტბის სასტუმრო კომპლექსში. სტუდენტები წარდგნენ მოხსენებებით საერთაშორისო დონის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ კომისიებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე.

დასკვნით ეტაპზე კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 46 სტუდენტმა და ახალგაზრდა მეცნიერმა, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის 12 უნივერსიტეტიდან.

სამდღიანი მუშაობის შედეგად შეირჩა საუკეთესო სამეცნიერო ნაშორმები და მათი ავტორები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს მომავალ წლებშიც მიიღონ მონაწილეობა უკვე ტრატიციად ქცეულ კონფერენციაში და განახორციელონ ერთობლივი სამეცნიერო პროექტები.

კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტები:

სექცია - ეკონომიკა და თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა

I ადგილი - **Lyubov Artemenko** - Lviv Academy of Commerce - Investments and Innovations: A Model of Ukraine's Development[1]

1. ვინაიდან კონფერენცია ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამარჯვებული სტუდენტების სახელი, გვარი, ქვეყანა და წარმოდგენილი თემის სახელწოდება იბეჭდება ინგლისურ ენაზე.

II ადგილი - **Kristine Sahakyan** - Russian – Armenian (Slavonic) University - The investment climate of Caucasian countries and the impact of Economic Freedom on FDI inflows

IIIადგილი - **Irakli Giorbelidze** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University - The Samples of Free Industrial Zone in Georgia and its Future in the XXI Century

სექცია - სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და თანამედროვე საზოგადოება

I ადგილი - **Ana Kostava** - Caucasus School of Law- The self-determination principle and legal prospects of Abkhazia and South Ossetia

II ადგილი - **Baqar Phalavandishvili**- Caucasus School of Law - the Aims of the Penalty in Criminal Law and their Enforcement Mechanism

III ადგილი - **Levan Kakhishvili**- Ivane Javakhishvili Tbilisi State University - Energy Sector in Euro integration – the Role of the European Union in the Diversification of Gas Supplies of the Central and Eastern European States

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ახალციხის ინსტიტუტი

ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ: 8(77) 711 582, 8(58) 682 600
www.akhaltsikhe.edu.ge
E-mail: contact@.akhaltsikhe.edu.ge
tinikogel@rambler.ru

AKHALTSIKHE INSTITUTE
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

106, Rustaveli st., Akhaltsikhe
Tel: 8(77) 711 582, 8(58) 682 600
www.akhaltsikhe.edu.ge
E-mail: contact@.akhaltsikhe.edu.ge
tinikogel@rambler.ru

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.05.2009 № 01-01/178

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
მთავარ რედაქტორს ბატონ
ლიოიდ ჭარჩავას

ბატონო ლიოიდ,

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - „ახალი ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“ აღიარებული იქნება სსიპ ახალციხის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა); როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის
რექტორი, პროფესორი თინა გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის უნივერსიტეტი
Gori University

№ 279-3 "22" მაისი 2009

ჟურნალ "ახალი ეკონომისტის"
მთავარ რედაქტორს,
ბატონ ლეონიდ ჭარხავას

ბატონო ლეონიდ,

გაცნობებთ, რომ ოთხშაბათ-გარ ვიყო ხანმეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის – "ახალი ეკონომისტის" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, ვალდებულებთ, რომ ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" ადიარებული იქნება გორის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ეროვნული დონის სტუდენტებისათვის ცალკეულობაში, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის ხელშეწყობას გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო ხარეის მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

ხალხი ცოტიაშვილი

რექტორი, პროფესორი

Chavchavadze Street, Gori, Phone/82707 2413, ელ.ფოსტა: contact@gu.edu.ge, www.gu.edu.ge
55 Chavchavadze Street, Gori, Phone/82707 2413, Fax: 8270 72413, E-mail: contact@gu.edu.ge www.gu.edu.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

gr_uni@posta.ge info@gruni.edu.ge

12-09/253
24.06.09

ჟურნალ „ახალი ეკონომისტი"-ს
მთავარ რედაქტორს
ბატონ ლოიდ ქარჩავას

ბატონო ლოიდ,

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - „ახალი ეკონომისტი"-ს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი" აღიარებული იქნება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

მურთაზ კვირკვაია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი

შპს ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ
ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

LTD EUROPEAN
UNIVERSITY

თბილისი, ჯიქიას ქ. №10
☎ 31-79-40

№ 436 25.06.2009 წ.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტი“-ს
მთავარ რედაქტორს
ბატონ ლეონიდ ქარჩავას

ბატონო ლეონიდ,

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო ჟურნალ - „ახალი ეკონომისტი“-ს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ აღიარებული იქნება ევროპული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ყველა დონის სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს მივაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

შოთა ვეშაპიძე

ევროპული უნივერსიტეტის რექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. **ტექსტი** აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNucx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში.

2. **ავტორის** სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო **კორდინატები,** (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, კრეფილი AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა ჰქონდეს სქოლიოები და დაერთოს გამოყენებული ლიტერატურა.

4. სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი **8 ლარი,** რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი 36025354, ბანკი "რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია 220101757.

ჩვენი კორდინატებია:

ელექტრონული ფოსტა: info@economisti.ge ან info@loi.ge
ტელ: 422 771; 99-05-76; 855 277 554; 895 32 30 34.

PS.
სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-ი აუცილებელი არ არის.

შპს „ალბატროსი“

მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები

პროფილები

აქსესუარები

დაზგა-დანადგარები

თბილისი, წერეთლის გამზირი №141ა

ტელეფონი: 35-47-47; 899 -90-20-91